

კვირის პალიტრა



საზოგადოების სენი -

სვ

№11(144) 13/III.-19/III.2003. ფასი



1168
2003

ყველაზე მტკივნეული ჭორები

პირველი სიყვარული გვერს სფრთხეს შეიცავს



**ეკა
კვალაშვილი:**
„თუ ვინმე ჩემს
თავმოყვარეობას
შეესო, ვერ ვაპატიებ!“



**შვიდჯარ
ბანათხოვარი
იბალიელის
ქართველი
ვაჟი**

ირინე პატარიძე:
..... შავარდნაძე პანაშვიდებს მოვიდა და
დაკრძალვას, „სასახლეს“ კი პსენია...
მამად მივუღო, — მითხრა, მავრამ
მერე, სპირტოდ აღარ მიწახსავს...”

გვ. 27



მინიატურები

XXI საუკუნის „მამულაქები“
 ანუ ბავიტიანოთ „ბრინჯანდია“! 3

ერთი კითხვა 4

თემა

პირველი სიყვარული – სოცარი
 ბრძოლა, რომელიც ბევრ
 საფრთხეს შეიტავს 6

ჭრელი სამყარო 8

ქორწინება

ბელნიერების ღღე ანუ
 იკულებითი ჯვრისწერა 8 მარტს 9

იმიჯი

პოპულარობა და მტკივნეული
 ზოგები ცნობილ ქართველებზე 10

კრიმინალი

- მპარცველებმა ქალი ტელეფონის
 აპარატის კაბელით მოასრჩვეს 13
- სანაიას ქვრივი პროკურატურას
 100.000 ლარს სთხოვს 14

საპარკლონები

დაპარტული თანამდებობის
 ნოსტალგია და გაღამდარი თუ
 გაღამდებული ჩინოვნიკები 16

რეპორტაჟი

„ლიჯივი მგე“, ქურთუქებით სრიალი
 და მეგობრის მონატრება 19

მეოცარი

ავღანეთის ომის მონაწილე
 ქალბატონი ვარნიტაზე ოცნებობს 20

გემოვნება

ეკა კვალიაშვილი: „თუ ვინმე
 ჩემს თავმოყვარეობას შეეხსო,
 ვერ ვაპატიებ!“ 23

ანტიფაქსანტი

ინფორმაციულ-შემატნებითი
 კოლაჟი გოგა ღვალის
 უბის წიგნაკიდან 24

თეთრი ლაქები

მთავრობის თავმჯდომარის
 მანქანა ვაშლით დატვირთულ
 ტრაილერს დაეჯახა... 27


სახე

სოსხველი მამისა და
 ვენეციელი ღვლის პოეტი
 შვილი ირაკლი ნაღარაია 30

ქალის ფსიქოლოგია

- მომქანცველი სამუშაო
 ღღის შემატბ... 32
- გამუღმებით იღვალის ღვწნაში 33

პირველი სიყვარული – სოცარი ბრძოლა, რომელიც ბევრ საფრთხეს შეიტავს



გარდაგების ასაკზე მსჯელობას პირველი სიყვარულის თემით განვაგრძობთ. ვინც ამ ასაკიდან უკვე გამოვიდა, კარგად მოეხსენება, რომ საოცრად ამალღებული განცდების გარდა, პირველ სიყვარულს ბევრი პრობლემაც ახლავს თან. სამწუხაროდ – მიიმე ცხოვრებისეული ღრამებიც...

6

პოპულარობა და მტკივნეული ზოგები ცნობილ ქართველებზე

სშირად მინახავს რესპონდენტის ხან გაოცებული, ხან აღშოთებული სახე, როდესაც მასზე გაფრცელებული ჭორის შესახებ მიკითხავს. „ჩვენ, ქართველები ჭორიკანა ხალხი ვართ“, – ასე იწყებს ხოლმე მათი უმრავლესობა პასუხის გაცემას, ცოგა ხანში კი...



10

ღახარაშვილის თქმით, ჩაღნილი სღისტერი კვლეღობის ორგანიზატორის ქალი იყო



მოკლეღის გვამი პოღციეღებმა ბინაში, შემთხვევიდან ერთი კვირის შემღეგ აღმოაჩინეს. მათი თქმით, ქალი საშინღად იყო ნაწამები. თანაც, იმასაც აღნიშნავენ, რომ მოკლეღს კისერზე, კაბეღის გარდა, სარეცხის თოკიც ჰქონღა რამღენჯერმე შემთხვეული, პირის ღრუში კი – ჩვრეღი ჩაგენიღი.

13

თუ ვინმე ჩემს თავმოყვარეობას შეეხსო, ვერ ვაპატიებ!

ბესომ მომცა იმის სღიმული, რომ კარგ ფორმაში ჩაემღგბარიყავი და კილოგრამები დამეკლო. ახღა ჩაცმუღობის პრობღემა აღარ მაქვს – მეღმეღი წონა აღარ მაწუხებს. ბესომ ჩემს ჩაცმუღობაში უფრო მეღი თავისუფღება შემოიღანა.



23

ტაქარი	
როგელ წმინდანს ვევედროთ?	34
საუჯუე	
„ჰოი მთაწმინდავ, მთაო წმინდავ...“ (წერილი მეორე)	35
ფავორიტები	
ჯენიფერ კასრიატის ალმასვლა, ღაცემა და „მკვდრებით აღდგომა“	37
სორტული მოზაიკა	39
ავტო	40
რომანი	
რუსულან ბერიძე. ქალური ინტუიცია ანუ ზინაიას ფრთები (ბაზრქალება)	42
შეამოწმეთ თქვენი ყოფნა	
ტესტი ერუდინიაზე	45
პარაკლავი	
„კოლივულის ყველაზე ლამაზი დეკორატი“ ტიტულის მფლობელი, შეუპოვარი სიბერნი უივერი	46
ეკრანს მიღმა	
თავგანებლადებული ფანატი ბენ აფლეკი	48
მოგზაურის დღიურები	
ამერიკაში სამსახურის და... ქალების საძიებლად	49
აქეთური-ჩიითური	52,54
შემოქმედი	
ბია მაჰარაშვილი ახალი სიბერით აპირებს საკუთარი ზინის ბახარებას	56
ჯანვრთალოკა	
• ვებროლოთ ალერგიას	58
• დიასახლისის კუთხე	58
• თუ იბუნებები დაბიჰვეითდათ	59
• ბუნება მკურნალია	59
• პითხვა-პასუხი	60
სკანვორდი	61
ჰოროსკოპი	
კვირის (17-23 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი	62
ტესტი	
ხართ თუ არა კონფლიქტური?	63
კალიდოსკოპი	
ჰრელ-ჰრელი ამბები	64

ბარაკანვა: ბიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამომცემის კვირაში ერთხელ, სუბსაბათობით გახვით „კვირის კალიტრის“ ღამათგმა ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე რედაქტორი: ელჩა ტყემელაშვილი მენეჯერი: კიაზო ბინინაშვილი მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32 ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

დაპარგული თანამდებობის ნოსტალგია და გადამგარი თუ გადამგებული ჩინოვნიკები



ყოფილ ჩინოვნიკთა უმრავლესობა იმედს არ კარგავს და გაათავისუფლებული ენერჯით ცდილობს პოლიტიკაში დაბრუნებას... რა უდევს საფუძვლად ამ „მეორედ მოსვლის“ ეინს – საკუთარი იმიჯის რეაბილიტაციას, დაპარგული შემოსავლის წყაროს დაბრუნების სურვილი თუ პატრიოტული გრძნობა.

16

სოსხელი პაიისა და პენსიული დედის პოეტი უილი ირაკლი ნაღარაია

დედაჩემი დღე-ღამის მონაცვლეობას ჰგავს ჩემს ცხოვრებაში... სულ მოგზაურობს. სხვადასხვა დროს, ცხოვრობდა ათენში, პრაღაში, მოსკოვში, დუბლინში, რიგაში და რა ვიცი, სად აღარ... ამჟამად, თავის მეშვიდე ქმართან ერთად მოგზაურობს.



30

„კოლივულის ყველაზე ლამაზი დეკორატი“ ტიტულის მფლობელი, შეუპოვარი სიბერნი უივერი



მსახიობი იმდენად კარგად გამოიყურება, ძნელად დასაჯერებელია, რომ შარშან თქვომბერში მას 52 წელი შეუსრულდა. მას არასოდეს გაუკეთებია პლასტიკური ოპერაცია და განსაკუთრებულად არც არასოდეს უვლიდა თავს.

46

ქალური ინსუიციას ახუ ჭიამაძის თვითობი

– ძალიან გთხოვთ... გეხვეწებით, თავი დამანებეთ! – ბავშვივით ამოიხლუკუნა დაფეთებულმა მარმი.

ის იყო, ბაგონ გოგის მარისთვის საბანი ძალით უნდა გადაეხადა, რომ პალატის კარი ხმაურით გაიღო და მღურბლზე აქოშინებული ნინი გამოჩნდა...



42

XXI საუკუნის „მამლუქები“ ანუ გავიწანით „გრენლანდია“!



მილად გადაქექს საქართველოზე ფიქრში ჯორჯ ბუშმა-„პატარამ“, რაც კი ბუხარში ნაცარი იყო. რა გეგმები არ დასახა, მაგრამ მაინც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სანამ ერაყის პრობლემას არ „მოაკვარახვინებს“, არც აფხაზეთის საკითხს ეშველება რამე... შემოუთვალა კიდევ თავის ქართველ კოლეგას – ნუ შემჭამე კაცი, მაცადე ცოტა! ჯერ ჰუსეინას „მოვპარსავ უღვაშს“ და მერე შენი აფხაზეთისთვისაც მოვიცილო...

ეს სიტყვები საიღუმლო ტელეფონით კი უთხრა, მაგრამ ხომ იცით ძველი ქსელის მდგომარეობა? პუტინსაც მოუსმენია ეს საუბარი და იცოცხლე, კი დაფაცურებულა. მიტომ შემოუთვალა შევარდნაძეს – იქნებ, მთიაცლო და სოჭში მესტუმროო...

ორჯონიკიძის გულუხვობას რა უთხარი, ბაბუაძისის ყანასავით რომ გააჩუქა ამოღენა ტერიტორია, თორემ რა სჭირდა ჩვენს მთავრობას სოჭში სტუმრად ჩასასვლელი?! თუმცა, ბოლო სამიტის შემდეგ, არც ქართველ პრეზიდენტს ჰყავდა ნანახი პუტინი და მონატრებული, სიამოვნებით დათანხმდა შეხვედრაზე. კიევშიც კი გადაუკრა სიტყვა აფხაზეთზე, მაგრამ თუ ასე გულთან ახლოს მიიტანდა, ნამდვილად არ ეგონა. არადა, მოგეხსენებათ პუტინის ამბავი: ისეთი ყოჩაღია, შინ რომ მარტო დატოვო და დაუბარო – ამ ოჯახში ახლა, კაციც შენა ხარ და ქალიცო, – რომ დაბრუნდები, შეიძლება, ბავშვიც კი დაგახვედროს... ჰოდა, დაახვედრა კიდევ – ე.წ. აფხაზეთის პრემიერი გენადი გაგუღია, რომელიც დილის „ელექტრიკას“ ჩამოჰყოლოდა ვაჭრებთან ერთად და მონატრებული აფხაზური მანდარინიც პეშვით დაყარა მოლაპარაკების მაგიდაზე.

დიღუ: ეს რა საჩუქარი გამიკეთო! – გადაირია ჩვენი პრეზიდენტი – რამდენი წელია, ცოცხალი აფხაზი თვალით არ მინახავსო! – და მოხსნა პირი ქება-დიდების გულას. პოლიტიკა მოტყუებაზე დამყარებული „ბიზნესია“, რომელშიც ხან ცრემლია საჭირო და ხანაც – ღიმილი. არადა, ღიმილი მართლაც „სუპერი“ იცის ჩვენმა პრეზიდენტმა, ჯოკონდასაც რომ შემურდება – ისეთი. სწორედ იმ „ჯოკონდას ღიმილმა“ და „ნიანგის ცრემლებმა“ გააკეთა ის, რასაც ათი წელიწადი უშედეგოდ შევალეთ: როგორც იქნა, დავითანხმეთ რუსული მხარე სოჭი-თბილისის მატარებლის დანიშვნაზე. პრეზიდენტებმა ზუსტად გათვალეს განრიგი: რომელ სადგურში რამდენ წუთს გაჩერდება, რა ელირება კუპე და პლაკარტი, სად მოხდება თეთრულის გამოცვლა და ა.შ... ამ მიღწევით ბუნდოვანი პრეზიდენტი კმაყოფილებისაგან ფრინავდა „აბრატინ რეისზე“.

შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, – ნათქვამია და არც ჩვენ ვიცით ჩვენი მთავრობის ფასი. საცოდაობაა, მისი უსაზღვრო შესაძლებლობები მარტო საქართველოს ფარგლებში იზღუდებოდეს! რა უნდა გავროს გენერალურ მდივნად ბანანებზე გაზრდილ კაცს?! შევარდნაძე – აი, ვინ უნდა მართავდეს მსოფლიოს! კაცი, რომელიც „მასტერია“ დაშლასა და ნგრევაში: ერთი ხელის დაკრით დაანგრია 70-წლიანი იმპერია და წერაქვის გარეშე, აგურ-აგურ დამალა ბერლინის კედელი. ისე დაანგრევს თუნდაც, ერაყის ძლიერბრისტულ გეგმებს, რომ აზრზე ვერ მოვა შენი პუსეინი. ანკი, რა დანერგვა სჭირდება ისეთი?! – მთელი ქვეყანა ნავთობზე დგას, ერთი „ბიჩოკის“ დაგდება უნდა და სულ ჰერში ავა – ბუშიც მოისვენებს და პუტინიც...

ახლა, ჩვენს თავდაცვის მინისტრს დავაკვირდეთ. რა, ვერ ითავებდა NATO-ს ჯარების სარდლობას? რა ხდება დღეს მსოფლიოში? რა ამბავია, ამდენი შეიარაღება და მუქარა?! – რაკეტას ვისვრი და ბომბს ავაფეთქებო!... რაკეტა კი არა, რუსების ვერტმფრენები დაფრინავდნენ

კაცის სიმაღლეზე, მაგრამ ჩვენს მინისტრს ერთი ნერვიც კი არ შესტოკებია... იქაც ბატონი დავითის მისვლა უნდა, რომ ჯარის ჩვენებური რეფორმა გატარდეს და „ქართული“ სამხედრო „პაიოკიც“ დაწესდეს – თითო ნაკერი პური და „სუპი“. სანამ ჯარისკაცი ამ „სუპში“ უკომბასოდ „მოდრიფეუ“ კომბოსტოს ნამცეცს დაიჭერს, იმდენ ნერწყვს ყლაპავს, რომ მაძლარიცაა უკვე და ეძინება კიდევ – აღარც ბრძოლის თავი აქვს და აღარც იარაღის თრევის. აი, რას ნიშნავს ნამდვილი, მშვიდობისმოყვარე ჯარი!...

სხვა ძალოვნებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია – თავადაც კარგად მოგეხსენებათ, რომ მათ გამჭრიახობას ნებისმიერი კრიმინალური პრობლემის გადაჭრა შეუძლია. თუნდაც ბინ ლადენი რომ ავიღოთ, ასე რომ იქაჩება და შიშით აზანზარებს მთელ მსოფლიოს. რა დიდი ამბავი უნდა? – ჩაუვლე ვიბეში 10 გ ჰერიონი, ან მოსტაცე ოჯახის რომელიმე წევრი და გადაამლე რომელიმე კანიონში (აბა, პანკისის მაღლიანი ხეობა ვინ მართვით მაგ გლახაკებს?! – მერე ნახონ, თუ კანფეტით არ დატკებენ...)

ისე, არც ამერიკაა მილად წმინდა წყლის დამლევი. ისიც ზედმეტს იღებს საკუთარ თავზე. ბევრმა ფულმა იცის ამბიციების გაჩენა, თორემ აბა, ჩვენი ფინანსების განმგებელი მართავდეს თეთრი სახლის ფინანსებს! ერთი შეიდი თვე დაუგვიანებს ხელფასებს ადმინისტრაციის წევრებს და აყურყურებს CLOSED წარწერიან სალაროსთან – ნახეთ, თუ არ მოიტეხონ „რქები“!...

ვიცი, მკითხავთ: თუ ასეთი კარგები არიან, რაღა სხვებს სთავაზობ, აგერ არა გვეყვანაო?! – მაგრამ მე ხომ პროვოკატორი ვარ და ჩემს საქმეს ვაკეთებ. თანაც იმიტომ, რომ სიძაროლე გითხრათ, არც მომავალი არჩევნების იმედი მაქვს ნამეტანი. ვიცი თქვენი საწყალი გულის

ამბავი: ერთი ლამაზი შეპირება მოგთაფლავთ და „ესნიცი“ კიდევ კარგა ხანს არ დაგვანებებენ თავს. სწორედ ამიტომ მინდა, უფრო ფართო ასპარეზი შევთავაზო, უფრო ღრმა „ქერის ორმოსკენ“ ავალ-ებინო გვი, რომ XXI საუკუნის „მამლუქებად“ მოვიწინო ქვეყნიერებას, ოღონდ „გრენლანდია“ გაეიტანოთ აქედან!... დაპირებებს კი, არც სხვები დაიშურებენ და იქნებ, დაპირებების „ფანრის“ რამე ახალი ნიმუშიც შემოგვთავაზონ?! მართალია, არც იმას შეგვისრულებენ, მაგრამ გონება და გული მაინც ხომ ეზიარება რაღაც ახალს? აბა, სულ ერთი და იგივე, მტერმა ისმინა!...

P.S. პარიდიული ამონაწერი პრეზიდენტის ათი წლის წინანდელი ინტერვიოდან:

– მე გამოვიყვანე კრიზისიდან. მოცემთ საჭმელს, სასმელს, ენერგორესურსებს...

ჟურნალისტი:

– უფრო გასაგებად რომ თქვით...

– უფრო გასაგებად? მე დაგაპურებთ, დაგაწყალებთ, დაგვაზავთ, დაგანავთობებთ და დაგაგულდონებთ კიდევ...

ჟურნალისტი:

– უკაცრავად, ბატონო პრეზიდენტო, „გულდონი“ რუსული სიტყვაა. ქართულად მგონი „ფისია“...

– ეი. დაგაფისებთ“ სუყველას...

პროვოკატორი

„მინ გეგავს ღავით გარკინიშვილის მოკვლას...“

— რა ინფორმაციაზე დაყრდნობით აცხადებთ, რომ დავით ბერძენიშვილის ლიკვიდაციას მისივე პარტიის წევრები გვეგმავენ? რატომ უნდა განირონ „ნაციონალეზმა“ ბერძენიშვილი?

სანდრო ბრეზაძე, „აღორძინების“ წევრი:

— რატომ გაწირავენ ბერძენიშვილს და პიარი რომ გაიკეთონ! თანაც, როგორც ჩანს, „ნაციონალეზს“ თანაპარტიელის სიცოცხლე არაფრად უღირთ და ყველაფერს გააკეთებენ, რომ არჩევნებისწინა პერიოდში, მოსახლეობის თვალში „აღორძინების“ დისკრედიტაცია მოახდინონ. რა გასაკვირი იქნება ეს? ისეთი ადამიანებიც ხომ არსებობენ, საკუთარ თავს თვითონვე რომ უწყობენ ტერაქტებს?! ბერძენიშვილის ლიკვიდაცია იმიტომ იგეგმე-



ბოდა, რომ მერე, ყველაფერი ასლან აბაშიძისთვის გადაებრალეზინათ — ვითომდა, „აღორძინება“ მათ ატერორებდა... „აღორძინების“ წინააღმდეგ პროვოკაციები და ტერორისტული აქტები იგეგმება. ბერძენიშვილის მოკვლაც სწორედ ამ ერთი დიდი გეგმის ნაწილი იქნებოდა, თუმცა ახლა აღარ ვიცე, რას იზამენ: ალბათ ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, მის ლიკვიდაციას გადაიფიქრებენ. რაც შეეხება ინფორმატორს — მის სახელსა და გვარს ვერ გავამხელ! ისე კი გეტყვით, რომ ის პიროვნება წლების მანძილზე, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გახლდათ, უფრო სწორად — მათ გუნდში იყო თავიდანვე... ■



მაია რიქველიძე

არის თუ არა დარღვევები „ცენტრ-პოინტის“ საქმიანობაში?

მერიის ადმინისტრაციული ინსპექცია ფორმა „ცენტრ-პოინტს“ უკანონო მშენებლობებში და თანხების და-

მალვაში ადანაშაულებს. ინსპექციის უფროსი დავით მუმლაძე, ვიცე-სპეკერ ვახტანგ რჩეულიშვილს, მეუღლის სამშენებლო ბიზნესის ლობირებაში სდებს ბრალს და კანონის დარღვევისთვის ფორმას მილიონამდე ლარის გადახდას უწინასწარ მეტყველებს. პარლამენტარ, რა თქმა უნდა, ყველა ბრალდებას უარყოფს და მუმლაძეს იქით უხსენებს „ძველ ცოდვებს“. ამ საკითხის თაობაზე პოლიციის დაფიქსირება ორივე მხარეს ვთხოვეთ.

დავით მუმლაძე:

— როგორც კი საკრებულომ აქტიურად დაიწყო რიგი ღონისძიებების გატარება უკანონო მშენებლობების წინააღმდეგ და როგორც კი ადმინისტრაციული ინსპექციის უფროსად დავინიშნე, რჩეულიშვილმაც მაშინვე დაიწყო ჩემზე თავდასხმა. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ჩემ მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა სერიოზული საფრთხე შეუქმნა მის წარმატებულ ბიზნესს. გადავხედეთ დოკუმენტებს და აღმოვაჩინეთ არაერთი დარღვევა, რაზედაც თვალის დახუჭვა შეუძლებელია. შინაგან საქმეთა მინისტრი გვწერს, რომ „ცენტრ-პოინტის“ მიერ წარმოებული მშენებლობა ერთ-ერთ უბანში ხერგავს იმ ტერიტორიაზე არსებულ თავდაცვის ობიექტს. ომის შემთხვევაში, სწორედ იქ უნდა განთავსდეს სახელმწიფო მმართველობის აპარატი და იქიდან უნდა მოხდეს ქვეყნის მართვა. ამ ობიექტის შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ არ არსებობს არც პროექტი და არც შესაბამისი ორგანოს ნებართვა. ძველი პროექტი, რომელიც დარღვევით იყო მიღებული, გაუქმებულია, ახალი კი, შეთანხმებული არ არის. განეხილა და გასაჩუხად არის გამოადებული 50-წლიანი წიწვნარი. უნდა ვითხრათ, რომ ეს არ არის შემთხვევითი დარღვევა. „ცენტრ-პოინტის“ არც ერთ ობიექტს არა აქვს გავლილი სახელმწიფო ექსპერტიზა. არადა, 500.000 ლარზე მეტი ღირებულების მქონე მშენებარე ობიექტი აუცილებლად გადის მშენებლობის სამინისტროში შესაბამის სახელმწიფო ექსპერტიზას. დიღომში 10-სართულიანი სახ-

ლის მშენებლობა სიმბოლურ თანხად — 498.000 ლარად არის შეფასებული. ე.ი. გამოდის, რომ კვადრატული მეტრი 30 ლარი ღირს... ყველამ კარგად იცის, თუ რეალურად რა ღირს კვადრატული მეტრი და რა ფასად იყიდება „ცენტრ-პოინტის“ ბინები... სახელმწიფო ექსპერტიზის გარეშე კი, უფრო ადვილია გადასახადების დამალვა... ■

ვახტანგ რჩეულიშვილი:

— საქართველოში წესრიგის დასამყარებლად, ნებისმიერი ღონისძიების გატარებას მივესალმები, ვის წინააღმდეგაც არ უნდა იყოს ის მიმართული — თუნდაც, ჩემი ოჯახის... არაერთხელ მითქვამს, რომ ჩემი ოჯახის წევრებს აქვთ „თეთრი“ ბიზნესი, გადასახადებსაც წესიერად იხდიან და მათი საქმიანობა ძალიანაც მეამაყება! მაის და რუსულანს (რუსულანს კერვალიშვილი ბატონი ვახტანგის ცოლისდა გახლავთ. — ავტ.) თბილისის ზოგიერთ უბანში ნანგრევებიდან გამოჰყავთ ხალხი და მშენიერ, ევროსტანდარტების სახლებში აბინავებენ... ერთი სიტყვით, ხალხისთვის უზარმაზარ სიკეთეს აკეთებენ, მაგრამ რა ხდება „ცენტრ-პოინტში“ — ეს ჩემი საქმე სულაც არ არის. არ ვერევი ბიზნესის საქმეში. ჩემი დანიშნულება და ფუნქცია, საქართველოს გამარჯვებაა და ვფიქრობ, ჩემს საქმეს „ხუთიანზე“ ვაკეთებ... დარწმუნებული ვარ: „ცენტრ-პოინტის“ ყველა დოკუმენტაცია წესრიგში აქვს, მაგრამ თუ მაინც არის რაღაც დარღვევები და ვინმეს რაიმე ეჭვი გაუჩნდა — კი, ბატონო, სათანადო ორგანოებმა შეისწავლონ ეს საკითხი და რეაგირება მოახდინონ! ხალხს ალბათ მაინც ვერ დააჯერებ, რომ ხარ პარლამენტში და არ ლობირებ მეუღლის ბიზნესს. როდესაც ჩემი ავიაკომპანია დახურეს, უმრავლესობის ვიცე-საიკერი ვიყავი და ყველაფერი ჩემს ხელში იყო, მაგრამ მაშინ არ ჩავერუღვარ და ახლა ჩავერევი?! მიმაჩნია, რომ თუ ჩინოვნიკი თავის ბიზნესს ლობირებს, ესეც იგივე კორუფციაა. მუმლაძე თვითონ, იმ გუნდის წევრი გახლავთ (ფვანას გუნდს ვგულისხმობ), რომელმაც საქართველოში პოლიტიკური კორუფცია შექმნა. ნებისმიერი შემოწმების მომხრე ვარ, ოღონდ — იმ შემთხვევაში, თუ ეს არ იქნება გამოყენებული კონკურენციისთვის — ანუ მშენებარე სახლების შექმნას იმიტომ თუ არ გადაწყვეტენ, რომ „ცენტრ-პოინტის“ ვალები „დააწვეს“ და გაკოტრდეს... ■

„ხელისუფლების გადადგომის მიზნით, მიტინგებს კვლავაც გავეპარტავო...“



— გენერალურმა პროკურატურამ „იმელის“ შენობასთან 2002 წლის 22 ოქტომბერს მომხდარო, მასობრივი არეულობის ორგანიზებაში დაგდოთ ბრალი. როგორ ფიქრობთ — 22 ოქტომბერს მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე 2003 წლის 26 თებერვალს რატომ აღიძრა და კიდევ — 3 წლით თავისუფლების აღკვეთის შესაძლო პერსპექტივა როგორ გუნებაზე გაცენებთ?

კობა დავითაშვილი, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი:

— როგორ გუნებაზე დამაყენებს?! არც ის ვიცი, მაინცდამაინც თებერვალში რატომ გაასხენდათ ეს ამბავი. ჩემი ვარაუდით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, გაფართოებულ სამთავრობო სხდომაზე

საკაშვილის გამოსვლამ და „მოქალაქეთა კავშირის“ ზოგიერთი აქტივისტის მოთხოვნამ განაპირობა. თუმცა, ჩვენ მიერ მიტინგის ორგანიზებასა და რუსთაველის გამზირის გადაკეტვას არც უარყოფ. პროკურატურაში დაკითხვაზეც განვაცხადე, რომ ხელისუფლების გადადგომის მიზნით, 2002 წლის 22 ოქტომბრამდეც გავმართე მიტინგები და კვლავაც გავმართავ! თუ გენპროკურორი პარლამენტს ჩემთვის დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნის განცხადებას წარუდგენს, მზად ვარ, ყველა ფრაქცია მოვიარო და თითოეულ დეპუტატს ვთხოვო, რომ პროკურატურის ამ მოთხოვნას მხარი დაუჭიროს: საქმის ბოლომდე გამოძიება პირველ რიგში, ჩემს ინტერესებში შედის. არ მინდა, ამ ეტაპზე საქმე შეჩერდეს, მე რე კი, ეს პოლიტიკური სპეკულაციის საფუძველად იქცეს. მაგრამ ამ ყველაფერთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს,

რომ საქართველოს კონსტიტუციასა და სისხლის სამართლის კოდექსს შორის სერიოზული შეუსაბამობაა: კონსტიტუციის 25-ე მუხლის თანახმად, საქართველოში კერძო პირს მთავრობის გაუფრთხილებლად შეუძლია პოლიტიკური ან სხვა სახის თავყრილობის ორგანიზება. ე.ი. კონსტიტუცია მხოლოდ მიტინგის შესახებ გაფრთხილების შესაძლებლობას ითვალისწინებს და სპეციალურ ნებართვას არ მოითხოვს. სისხლის სამართლის კოდექსი კი, მიტინგის მოსაწყობად სწორედ რომ ნებართვას მოითხოვს. ■



„საუბარი მილიონზეა და რატომ უნდა გავომოხსნოთ, თუნდაც დაპუტატების ლიკვიდაცია...“

ტყველებაში“ — რაღაც მნიშვნელოვანი იცით და მალავთ?

გივი წერეთელი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი:

— იცით რა, კონკრეტულად ხელს ვერავის დავადებ და ვერ ვიტყვი: ეს არის ამა თუ იმ პიროვნების ლიკვიდაციის მოთავე ან ამა და ამ პოლიტიკური ფიგურის სიკვდილს გვემავენ-მეთქი, — მაგრამ ჩვენს ქვეყანაში არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. ასე რომ, გარკვეულწილად, ამ განცხადების გაკეთების საფუძველი მქონდა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ამის საფუძველს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა მაძლევს. ეს განცხადება იმიტომაც გააკეთე, რომ საუბარ-

ია ძალიან დიდ თანხებზე, რომელიც ჩვენი პროექტის (საუბარია ხელფასების გაზრდის პროექტზე, რომელიც „გაერთიანებულმა დემოკრატებმა“ შეიმუშავეს. — ავტ.) მიხედვით, ერთი მუხლიდან მეორეში უნდა გადანაწილდეს. აქედან ადვილად შეიძლება ფულის წაღება... ჩვენ მოვითხოვთ, რომ ეს ფული ვიღაცის ჯიბეში კი არა, ხალხს, ხელფასების გაზრდას მოხმარდეს. საუბარია მილიონებზე! ჰოდა, რატომ უნდა გამოვირიცხოთ, რომ ვიღაცის, მათ შორის პარლამენტარების, ფიზიკურ ლიკვიდაციასაც კი არ მოერიდონ?! ამას სხვების შესამინებლად გააკეთებენ... ■

„ქაღალდის დანიშნავს უშიშროების მინისტრს უნდა ვეპითხოვოდეთ?..“

— უშიშროების მინისტრმა არ დააკმაყოფილა თქვენი მოთხოვნა და თანამდებობიდან არ გაათავისუფლა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების უშიშროების მინისტრის მოადგილე მალხაზ კორძასია. რატომ აპროტესტებთ მის გადამწყვეტილებას და რას მოითხოვთ?

თამაზ ნადარეიშვილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარე:

— მე შეეხვდი ვალერი საბურძანას და მოვითხოვე თანამდებობიდან კორძას-

იას დროებით გათავისუფლება. ვფიქრობ, საქმეს მსვლელობა მიეცემა და ისე გადაწყდება, როგორც საჭიროა. კორძასიას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაცია „იუპიტერი“ შეიარაღებული დაჯგუფებაა და მას მე ვმუხარეულობ, მცდარია! იმიტომაც ის, რომ აზერად კორძასია თავის თანამდებობაზე დარჩა, არასასიამოვნო ფაქტია. სხვათა შორის, არც საბურძანას ჰქონდა იმის უფლება, რომ ჩემს წინააღმდეგ გამოსულიყო. მე ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერი ვარ, ისევე, როგორც ასლან აბაშიძე და ჩემს მოთხოვნებს

უნდა ითვალისწინებდნენ. არც კადრების დანიშვნა-არდანიშვნას უნდა ვეპითხოვოდეთ უშიშროების მინისტრს! ამ დოკუმენტის შინაარსისა და გაერო-საიდუმლოს შესახებ, აფხაზეთის უშიშროების საბჭო მოკლევას კვლავ აწარმოებს, მაგრამ მოვითხოვ — კორძასია მოკლევას დასრულებამდე გადააყენონ. არსებობს ეჭვი, რომ ამ საიდუმლო წერილის გაერო-საიდუმლოს მიხედვით უნდა დასრულდეს და თუ მალხაზ კორძასიას უდანაშაულობა დამტკიცდება, პარლამენტის წინაშე ბოდიშს მოვიხდით. ■

დაპირებისამებრ, გარდატეხის ასაკზე მსჯელობას პირველი სოც-ვარულის თემით განვადგრობთ. ვინც ამ ასაკიდან უკვე გამოვიდა, კარ-გად მოეხსენება, რომ საოცრად ამალღებული განცდების გარდა, პირველ სოცვარულს ბევრი პრობ-ლემაც ახლავს თან. სამწუხაროდ — მძიმე ცხოვრებისეული დრამებიც...

ლელა ჭანკოტაძე



პირველი სოცვარული — საოცარი ბრძნობა, რომელიც ბევრ საფრთხეს შეიხაპს

ლიანა ანდელუაძე, ფსიქოლო-გი:

— ვაჟებმა უნდა იცოდნენ, რომ ქალ-იშვილი ფიზიკური აგებულებით, უფრო სუსტია, რომ ის უფრო მგრძობიარე და ემოციურია. ქალიშვილის ორგანიზმი და ფსიქიკა განსაკუთრებულად მზრუნველ დამოკიდებულებას მოითხოვს. შემთხვევით არ ამბობენ — სიმორცხვე სიყვარულის დედააო... ასეთი მორცხვი და სათუთი გოგონა იყო მაკა (აქც და შემდგომაც, მოქმედ პირთა სახელები შეცვლილია. — ავტ.). წლების წინ, დედამისს ფსიქო-ლოგიური პრობლემების დაძლევაში ვეხ-მარებოდი, ამიტომ მაკასთან დიდი ხნის ნაცნობობა მაკავშირებდა. ერთხელ ის დედამ ჩემთან მოიყვანა. ერთი შეხედვი-თაც ჩანდა, რომ სერიოზული პრობლემე-ბი აწუხებდა. გამხდარი მომეჩვენა, ხე-ლებს გამუდმებით იფშენებდა და ცხ-ვირის ნესტოები უთამაშებდა. რომ ვე-საუბრებოდი, ისე იბუზებოდა, თითქოს ჩემი ემინოდა. ვთხოვე: დედაშენთან სალაპარ-აკო მაქვს, მარტო დაგვეტოვე-მეთქი. როგორც კი მარტონი დავრჩით, დედა-მისს შევთავაზე — მაკა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაეწვინა. ავუხსენი კიდევ, თუ რატომ იყო ეს აუცილებელი. უარი მითხრა. თვითონ ჩემი ყოფილი პაციენ-ტი გახლდათ. მაინც განმიცხადა: შვილს „სავიჟეთში“ ვერ დავაწვევო.

— რა სჭირდა მაკას?

— შეყვარებული იყო. მეზობელი უყ-ვარდა — მასზე თითხმეტი წლით უფროსი მამაკაცი, რომელსაც ცოლიც ჰყავდა და ორი შვილიც. მაკა ამტკიცებდა — ცო-ლთან განქორწინება უნდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. შემდეგ, როცა მაკას შინ მი-ვაკითხე, უამრავი წერილი მიჩვენა. უჩამ გამომიგზავნაო, — მითხრა და მიაბო საოცარი სიყვარულის ამბავი. ისეთი სიტყვებით მესაუბრებოდა და ისეთ ამ-

ბებს მიყვებოდა, რომ გაცილებელი დავრ-ჩი. მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებუ-ლი ვიყავი — მატყუებდა, მისმა მონათხრობ-მა მაინც ამაღელვა.

— რას ნიშნავს, გატყუებდათ? რას გულისხმობთ?

— როცა მეუბნებოდა — უჩა ყოველ დღით სკოლაში მაცილებს, საათობით თვალეში მიყურებს და მეუბნება, შენს თვალეში ჩემს სიცოცხლეს ვხედავო, — ტყუოდა. უჩას სიყვარული გოგონამ გამო-იფონა. უჩას საერთოდ არ ჰქონდა გრძნო-ბა მის მიმართ. ისინი ერთმანეთს არ ხვდებოდნენ. ეს მაკას ფანტაზიის ნაყ-ოფი იყო... ასეთი რამ ხშირად ხდება. გარდატეხის ასაკში გოგონები თავს გამუდ-მებით იტყუებენ და ილუზიებით ცხ-ოვრობენ.

— რა მოხდა შემდეგ?

— მაკამ თავის მოკვლა სცადა — მესამე სართულის ფანჯრიდან გადახტა, მაგრამ სასწაული მოხდა და გადარჩა. მე რომ ვნახე, საშინელ მდგომარეობაში იყო. გადაუღებელი ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდებოდა. სხვათა შორის, მდგომარე-ობიდან იოლად გამოვიდა... ახლა სტუ-დენტია. მაგრამ მაინც მეკითხება ხოლმე: გახსოვს, უჩას რომ ვუყვარდიო?.. ვინც არ უნდა გაიცნოს, ყველას უყვება თავისი უიღბლო სიყვარულის ამბავს. ვერ შეძ-ლო გონებიდან იმის ამოგდება, რაც ერთხ-ელ დაიჯერა... მეორე პაციენტიც მყავდა. ნანა 14 წლის იყო. მას ამოჩემებული ჰქონდა, რომ მალე უნდა მომკვდარიყო. სულ ტირიდა და საუბრობდა ცხოვრება-ზე, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ გაგრძელდებოდა... სიკვდილის შიშმა ის სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ნანა თავის თანაკლასელს უყვარდა. ირაკლი ე.წ. ძნელად აღსაზრდელ მოზარდთა კატეგო-რიას მიეკუთვნებოდა. ასეთ მოზარდებში პირველი სიყვარულის განცდა მოკლე-

ბულია სიღრმეს და უპირატესად, პრიმი-ტიულ ბიოლოგიურ დონეზე მყლავნდება ხოლმე. გრძნობა არამყარი და ცვალება-ლია. თუმცა, აღნიშნულ პირობებშიც ვეხ-ვლებიან ჭეშმარიტი და ღრმა განცდების მქონე მოზარდები. ნანას მიმართ ირაკ-ლის მყარი და სუფთა გრძნობა ჰქონდა. სიყვარულში გამოუტყდა თუ არა, გოგო-ნამ მაშინვე უთხრა: სისხლის გათეთრება მაქვს, ჩემი დღეები დათვლილია — წლის ბოლომდეც ვერ ვიცოცხლებო. ეს საშინე-ლი დარტყმა აღმოჩნდა ბიჭისთვის, რომელ-საც დედა სულ ახალი გარდაცვლილი ჰყავდა, თანაც — იმავე დაავადებისგან. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა, ნან-ას შესთავაზა: სახლიდან გავიქცეთ და შენი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები სადმე ერთად გავატაროთო. ასე აღმოჩნ-და ორი მოზარდი ბაზალეთის ტბაზე. იქ ირაკლის ბიძას სახლი ჰქონდა. მათ ყოველდღიური ცხოვრების სიძნელეებთ-ან გამკლავება სცადეს. რამდენიმე დღე მშვიდად და ბედნიერად გაატარეს, რის შემდეგაც ნანა საწოლიდან აღარ ადგა. კვდებოდა, — თქვა მისუსტებული ხმით... ისინი ტირილით, საოცარი სიტყვებით და დიდი განცდებით გამოემშვიდობნენ ერთმანეთს. ირაკლი ტბაში შეცურდა. მას სიკვდილი უნდოდა. სამწუხაროდ, მისი გადარჩენა შეუძლებელი აღმოჩნდა. ნანა კი, მესამე დღეს იპოვეს. ისევ საწოლში იწვა და გარეგნულად, მართლა მომაკე-დავს ჰგავდა... ის ახლაც მკურნალობს. რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც ირაკლის ამბავი შეიტყო, თავის მოკვლა სცადა. საავადმყოფოდან გაიპარა და ზოოპარკის ტერიტორიაზე შეღწევა სცადა. ფული არ ჰქონდა, უფულოდ კი არ შეუშვეს, თორემ შეიძლება, რაღაც უბედურება და-ეტება საკუთარი თავისთვის...

პირველი სიყვარულის დროს, ახალ-გაზრდების ნაწილში გაჩენილი გაურკვევ-

ლობის, დაბნეულობისა და სოციალური მოუწიფებლობის გამო და ბევრ შემთხვევაში, მშობელთა უტაქტობისა და უხეში ჩარევის შედეგად აღმოცენებული ჩრდილოვანი მხარეებისა და მოსალოდნელი გართულებების შესახებ გვესაუბრება ცნობილი ფსიქიატრი, აკადემიკოსი **მირიან მესტიაშვილი**:

— იმ ოჯახებში, სადაც მოზარდის მიმართ ზედმეტ ყურადღებას იჩენენ, სადაც ყოველი ნაბიჯი განსაზღვრულია უფროსების დიქტატით, მოზარდის ლტოლვის და სიყვარულის პირველ გამოვლინებას ხშირად, უხეშად ახშობენ და უტაქტოდ თრგუნავენ. ასეთ დროს, არცთუ ისე იშვიათად, ახალგაზრდა თვითმკვლელობას ცდილობს. ჩვენთან სტაციონარში წევს ყმაწვილი, რომელსაც ოჯახში ცივ ნიაგსაც არ აკარებდნენ. არანაირ თავისუფლებას არ აძლევდნენ. სულ თვალეში შეჰყურებდა ბებიას და დედას, როგორც დიქტატორებს... მას შეუყვარდა ძალიან კარგი, ლამაზი და აქტიური გოგონა, რომელსაც ბიჭი, დედისა და ბებიისგან ძალუღალდ ზღვებოდა. ეს რომ გაიგეს, საშინელი ამბები დაატრიალეს. ყველანაირად ეცადნენ, რომ მოზარდების პირველი სიყვარული ჩაეკლათ. გოგონამ განშორება შედარებით იოლად გადაიტანა, ვაჟს კი, ორჯერ ჰქონდა თავის მოკვლის მცდელობა. არ ვიცი, რამდენ ხანს დაყოფს ეს ბიჭი ჩვენთან, მაგრამ ფაქტია, რომ ის უფროსების უხეში ჩარევის მსხვერპლი გახდა... მინდა ვიამბოთ კიდევ ერთი ვაჟის შესახებ, რომელიც ასევე ჩვენთან მკურნალობდა. მასზე ცუდი გავლენა მოახდინა შინაბერა დამ, რომელიც ამ ბიჭზე ბევრად უფროსი იყო და თავისი გავლენის ქვეშ მის მოქცევას ცდილობდა. დაუწუნა შეყვარებული და დაამცირა. 15 წლის ასაკში, ამ ყმაწვილს დაეწყო შარდვა — ის ყოველ ღამით, პროტესტის გამოსახატავად, ლოგინში ისველებდა. მერე, ცუდ წრეში მოხვდა და ნარკოტიკების მიღება დაიწყო. მას საკმაოდ ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდა... „ჭაბუკური“ სიყვარული ძალზედ მნიშვნელოვან, კანონზომიერ ფსიქოფიზიოლოგიურ ძვრებს იწვევს მოზარდში, რომელიც ხშირად, ვერ ერკვევა თავის მდგომარეობაში, განცდებში და დეზორიენტირებულია. ამ დროს, საჭიროა უფროსების რაციონალური დახმარება, ტაქტიანად და ფაქტულად მოზარდის გრძნობების იმგვარად წარმართვა, რომ მან გააანალიზოს საკუთარი განცდები და გაერკვეს — მოზღ-

ვაკებული, პრიმიტიული ლტოლვა აწუხებს თუ ნამდვილი, ჭეშმარიტი სიყვარული ეწვია.

— რაიმე განსაკუთრებული ხომ არ შეიძლება ითქვას იმ მოზარდებზე, რომლებიც ფიზიკური მომნიშვნებით უსწრებენ თანატოლებს? რაიმე პათოლოგიებს ხომ არ ამჟღავნებენ ხოლმე?

— ნაადრევი მომწიფების (აქსელერაციის) გავლენა მოზარდის ქცევის თავისებურებებზე საკმაოდ მნიშვნელოვანია, რაც მშობლებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ. ასეთი მოზარდები ადრე ავლენენ სექსუალურ ლტოლვას, მოპირდაპირე სქესთან დაახლოების სურვილს, ხშირად ეძალებათ სექსუალური შინაარსის ფანტაზიები. მოზარდი ჰყვება მის მიერ გამოვლილ სექსუალურ თავგადასავლებს. ხშირია სექსუალური აღვირახსნილობის, გაუკუღმართების გამოვლინება. ასეთი მოზარდები იოლად ეჩვევიან სპირტიან სასმელებს, ნარკოტიკულ და ტოქსიკურ ნივთიერებებს. ნაადრევად მომწიფებულ მოზარდებს უძებნენ შემთხვევაში, დაქვეითებული აქვთ რეალური სიტუაციის სწორად შეფასების უნარი, ამიტომ შესაძლებელია, ისინი მეძაობის ჭაობშიც ჩაიძირონ...

— თუ შეგიძლიათ, კონკრეტული შემთხვევა გვიამბოთ?


— 16 წლის გოგონამ, რომელსაც პირობითად მაიას დავარქმევ, ოთხი წლით უფროსი ყმაწვილი გაიცნო. როგორ? — მანქანაში ჩაუჯდა... სად წაიყვანო? — ჰკითხა ყმაწვილმა. — სადაც გინდაო, — უპასუხა მაიამ. ზურამ ავლაბარში, თავის მეგობართან წაიყვანა. მეგობარს, გიას,

ახლომდებარე რაიონში ნათესავები ჰყავდა და ბიჭებმა მაიასთან ერთად იქითკენ აიღეს გეზი. ოთხი დღე დარჩნენ. ზურასა და მაიას ერთმანეთთან ინტიმური კავშირი ჰქონდათ. მეხუთე დღეს, ზურა ძალიან ცუდად მოიქცა: მეგობრები ტყუილად ვართო?! — უთხრა გიას, თვითონ თბილისში დაბრუნდა, მაია კი, მას დაუტოვა... ორი დღის მანძილზე, გია მაიათი ერთობდა თავს... შემდეგ, მთაში, მწყემსებს აუყვანა. ორი კვირა მწყემსებს ჰყავდათ საბრალო ბავშვი. ერთ-ერთმა მათგანმა იფიქრა: გოგონაზე ძებნა იქნება გამოცხადებული, ჯობია, იმას დაუბრუნო, ვინც აქ მოიყვანაო, — და მაია ისევ გიას ჩაუყვანა. მაგრამ გიამ არ მიიღო. მაშინ მწყემსმა მაია თბილისში წამოიყვანა და მშობლებს მიუყვანა. ამის შემდეგ, გოგონა ჩვენთან მოიყვანეს. სტაციონარში მოვათავსეთ. ძალიან ცუდად იყო. ერთი თვე დასჭირდა იმისთვის, რომ გაეცნობიერებინა, რაც დაემართა. ერთ დღეს, ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გაიპარა, რათა თავი მოეკლა, მაგრამ მეტროში ახლობელმა დაინახა, დაიჭირა და უკან დააბრუნა. ორი წლის ინტენსიური მკურნალობის შემდეგ, მაია მდგომარეობიდან გამოვიდა. ინსტიტუტი დაამთავრა. გათხოვდა. ახლა ორი შვილი ჰყავს და მშვენიერად უძღვება ოჯახს.

— როგორ უნდა შეამჩნიოს მშობელმა, რომ პირველმა სიყვარულმა ცუდი გავლენა მოახდინა და რომ მოზარდი ფსიქოლოგიურ დახმარებას საჭიროებს?

— მოზარდი ქალიშვილები ხშირად, გატაცებულები არიან მათზე უფროსი ასაკის მამაკაცებით. ასეთი გატაცება არ უნდა ჩაითვალოს პათოლოგიად, მაგრამ არის შემთხვევები, როცა გატაცება და პირველი სიყვარული ცუდ ფორმას იღებს — ქალიშვილის მთელი ცხოვრების აზრი, ინტერესი, მოქმედება მიმართულია ამ პიროვნებასთან შეხვედრის, დალაპარაკების, თუნდაც შორიდან დანახვის ცდისკენ. ასეთ მოზარდებს გული უცრუვდებათ სწავლაზე, ისინი ნაკლებად ეკონტაქტებიან გარემომოყვარებულს, იკეტებიან საკუთარ თავში. მშობლების ყოველგვარ შენიშვნაზე გაუმართლებელი აგრესიით რეაგირებენ. ასე, თანდათანობით მრუდდება ასაკისთვის შესაფერისი, ცხოვრების გეზი. ნებისმიერ მსგავს შემთხვევაში, საჭიროა სპეციალისტის კონსულტაცია.

— თქვენი აზრით, როგორ, რა გზით ჯობს, რომ მოზარდი



გაეცნოს სექსის თემას?

– სამწუხაროდ, ზოგიერთი მშობელი ამ თემას ძალიან ალმაცერად უყურებს ან იმდენად დამამცირებლად და პრიმიტიულად ეხება, რომ შვილებთან რეალური დიალოგის გამართვა ვერ ხერხდება. ერთ-ერთი გამოკითხვის თანახმად, მოსწავლეთა 75% სექსის საკითხებზე ინფორმაციას იღებს ცუდი ყოფაქცევის უფროსი ადამიანებისგან, 12% – პედაგოგებისგან, 8% – სამედიცინო პერსონალისგან და მხოლოდ 5% – მშობლებისგან. არადა, ინფორმაცია უპირველესად, სწორედ მშობლებისგან უნდა მიიღოს.

— შეგიძლიათ, რამდენიმე რჩე-

ვა მისცეთ მშობლებს?

– როგორც ცნობილია, ქალიშვილები ფიზიკურად უფრო ადრე მწიფდებიან, ვიდრე ვაჟები. ქალიშვილებმა უნდა იცოდნენ, რომ სქესობრივი ლტოლვისადმი ბრმა მორჩილება ბევრ შემთხვევაში, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური დრამით მთავრდება. სექსუალურ საკითხებში უვიცობა განაპირობებს, როგორც არასასურველ ორსულობას, ასევე ფსიქო-ფიზიკურად დეფექტიანი ბავშვების დაბადებას, რაც ბავშვთა სახლში მათი ჩაბარებით მთავრდება ხოლმე. უვიცობა იწვევს აბორტებს, ქრონიკულ ანთებით პროცესებს და ბევრ შემთხვევაში – უშვილობას.

ბას. ქალიშვილებში ბევრად ადრე ვლინდება ქალური საწყისი, ვიდრე ჭაბუკებში – მამაკაცური, მაგრამ ლტოლვას საპირისპირო სქესის მიმართ ვაჟები უფრო ადრე ავლენენ. აქედან გამომდინარე, საჭიროა, ვაჟებს ჰქონდეთ სწორი წარმოდგენა ამ ლტოლვათა შესახებ, რათა კონტროლი გაუწიონ მათი გამოვლენის ფორმებს და არ მიაყენონ ფსიქიკური ტრავმა ქალიშვილებს. მშობლებმა განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ სექსუალურ აღზრდას, სექსის კულტურას და, რაც მთავარია, პირველი სიყვარულის გამოვლინებებს.

ჭრელი საყარო

კომპიუტერული ომის მოლოდინში

აშშ-ის პრეზიდენტმა – ჯორჯ ბუშმა მოიწონა კიბერუსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც შემუშავდა საიმისოდ, რომ მთავრობამ და კომპიუტერულმა ინდუსტრიამ სათანადოდ დაიცვას ყველაზე მნიშვნელოვანი კომპიუტერული ქსელები ჰაკერებისა და კიბერტერორისტების შესაძლო შემოტევებისგან. აღნიშნულ სტრატეგიას უახლოეს პერიოდში გამოაქვეყნებენ და თუმცა მისი პირველი ვარიანტები ფართო აუდიტორიისთვის უკვე ცნობილია, ვარაუდობენ, რომ საბოლოოდ, პროგრამა უფრო მკაცრი იქნება. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მაშინ, როცა ინტერნეტში მილიონობით მოწყობილობაა ჩართული, კიბერუსაფრთხოების სახელმწიფო სტრატეგიის არარსებობის შემთხვევაში, ის ყოველთვის შეიძლება ჰაკერების მსხვერპლად იქცეს. ამერიკული სტრატეგია ითვალისწინებს ნამდვილი კიბერომის წარმართვას იმ სახელმწიფოსა თუ ტერიტორიული ვჯგუფის წინააღმდეგ, რომელიც კიბერსიფრცემი აშშ-ზე იერიშის მიტანას გადაწყვეტს.



„იუვენტუსი“ სან-რემოში ამღერდება

საინტერესოა, რომ სახელგანთქმული იტალიური კლუბის ფეხბურთელების ვოკალური დებიუტი არა რომელიმე მომცრო სცენაზე, არამედ სან-რემოს ყოველწლიურ საესტრადო ფესტივალზე შედგება. თანაც, გუნდი მთელი შემადგენლობით და ცოცხალი შესრულებით წარდგება აუდიტორიის წინაშე. ფეხბურთელები კომპოზიტორ ლუსიო ბატისტის კომპოზიციას – In Mio Libero Canto-ს იმღერებენ. მათი გამოსვლის დღეს დაგეგმილი კონცერტიდან ამონაგები თანხა მთლიანად საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება. ამრიგად, ახლა „იუვენტუსი“ ვარჯიშებს მუსიკალურ რეპეტიციებსაც უთავსებს. როგორც სან-რემოს ფესტივალის ორგანიზატორები იუწყებიან, მის სტუმრებს შორის, ბევრი ვარსკვლავი – მაგალითად, ნიკოლ კიდმანი იქნება.

დიქტატორის კოლექცია

ყოფილი იუგოსლავიის მთავრობამ გადაწყვიტა, აუქციონის წესით გაყიდოს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის აწ გარდაცვლილი თავმჯდომარის, იოსიპ ბროზ ტიტოს მოკრძალებული საავტომობილო პარკი. ყოფილ დიქტატორს სულ 13 ლიმუზინი და პრესტიჟული მარკის ავტომობილი ჰყავდა. ყველაზე ძვირად ღირებული ამ კოლექციაში, 2 ექვსადგილიანი, ტყვიაგაუმტარი ლიმუზინია, რომელიც სპეციალური დაკვეთით, შესა-



ბამისად, 1967 და 1978 წელს დაამზადა კომპანია „მერსედესმა“. თითოეული მათგანის საწყისი ფასი 508.000 დოლარს შეადგენს, თუმცა აუქციონის ორგანიზატორებს მასში გაცილებით დიდი თანხის მიღების იმედი აქვთ. განსაკუთრებულ ფასეულ მესამე ეგზემპლარს წარმოადგენს Rolls-Royce Phantom, რომლის სასტარტო ფასია 206.800 დოლარი.



სუსტი სქესის წარმომადგენლები 8 მარტს სხვადასხვაგვარ შეფასებას აძლევენ. მიუხედავად იმისა, რომ მათი უმრავლესობა ხმამაღლა აღნიშნავს — ქალისთვის 8 მარტი მთელი წლის განმავლობაში უნდა იყოს და ეს დღე პირობითიაო, — მისი დადგომა მაინც ბევრს უხარია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ 8 მარტს ყველა „მარტისეულად“ ხვდება და ჩვენი რესპონდენტის — იუსტიციის სამინისტროს ექსპერტ მანია ნიკოლეიშვილისთვისაც წლებიდან 8 მარტი სწორედ ამ თვისთვის დამახასიათებელი „შფოთიანობით“ აღინიშნა. ის სრულიად შემთხვევით წამოეგო ჟურნალისტის მაპროვოცირებელ კითხვას და ქორწინებიდან 11 წლის შემდეგ, თავის მეუღლესთან — გენერალური პროკურატურის პროკურორთან, ნუგზარ ამირიძესთან სვეტიცხოველში დაინერა ჯვარი.

მარინა მამისაშვილი

— რატომ გადაწყვიტეთ, რომ მაინცდამაინც 8 მარტს დაგეწერათ ჯვარი? რაიმე განსაკუთრებული დატიროთვა ჰქონდა თქვენთვის ამ დღეს?

— პრინციპში, დიდი ხანია გვინდოდა, რომ ჯვარი დაგვეწერა, მაგრამ ხან რა დაბრკოლება გვხვდებოდა და ხან — რა. ასე გავიდა 11 წელი. მოულოდნელად, იმ დღეს ტელეჟურნალისტი დამიკავშირდა და მითხრა, რომ 8 მარტთან დაკავშირებით ჩემი ჩაწერა უნდოდა. დაიწყო ინტერვიუ. ჟურნალისტი მეკითხება: 3 მარტი უფრო მოგწონთ თუ 8 მარტი? ვპასუხობ: 3 მარტი არ მომწონს — იმიტომ, რომ ეს დღის დღეა, ყველა ქალი კი, დედა არ არის, ხოლო 8 მარტი მომწონს იმიტომ, რომ ყველა ქალის დღეა; ვინც დედა არ არის, არ უნდა დაიჩაგროს, ამიტომ 3 მარტი დისკრიმინაციული მგონია-მეთქი. ამის შემდეგ მეკითხება: 8 მარტს ვინმეს თქვენთვის სიყვარული თუ აუხსნია? დავიბენი და ჩავფიქრდი. ვერ გავიხსენებ შემთხვევა, ვინმეს ჩემთვის 8 მარტს რომ სიყვარული აეხსნას, მაგრამ ჟურნალისტის წინაშე იხტიბარი არ გავიტეხე და ვუპასუხე: „არა, მაგრამ ვნახოთ — „ეშო ნე ვერ...“ ეს კითხვა ჩემთვის იმდენად მასროვოცირებელი აღმოჩნდა, რომ ინტერვიუს შემდეგ, ჩემს მოადგილეებთან საუბრისას (აერობორტში ვხვდებოდი სტუმრებს) აღშფოთება ვერ დავფარე: წარმოგიდგინიათ? — 42 წლის ვარ და 8 მარტს ჩემთვის სიყვარული არავის აუხსნია-



**ბენიჩეხის
ღრე ანუ**

იძოვებითი ქეხისწეხა 8 მაისს

მეთქი!
— ...და მოადგილეებმა რაიმე გირჩიეს?

— სასწრაფოდ შენს მეუღლეს დაურეკე — იქნებ ეს მდგომარეობა გამოასწოროსო... გაგულისებული ვიყავი: მე ისევ სამსახურში მივდიოდი 8 მარტს, ჩემი მოადგილე ვაჟები კი — საქეიფოდ... სამსახურში, მხოლოდ დარაჯი დამხვდა. ბუნებრივია, ის სიყვარულს არ ამიხსნიდა. შევედი ოთახში. გადავრეკე, გადმოვრეკე, საქმეც გავაკეთე. მერე ჩემს მეგობარ ქალს ვეუბნები ტელეფონით: წარმოგიდგინია? — ჩემთვის 8 მარტს სიყვარული არავის აუხსნია-მეთქი!.. ამ დროს მომივიდა აზრი. ვურეკავ ნუგზარს და ვეუბნები: „ხომ ვინღოდა ჯვრის დაწერა?“ — „კი, მაგრამ ვერა და ვერ მოვახერხეთ...“ — „ჰოლდა, ახლა, ხუთ წუთს გაძლეე — ან დღეს დავიწერთ ჯვარს, ან არასოდეს!“ — და გავთიშე ტელეფონი. მაშინვე გადმომირეკა და მეკითხება: სერიოზულად მეუბნებიო?... პასუხი რომ მიიღო, მითხრა: რა თქმა უნდა, დავიწერთო.

— მეჯვარეებიც ასე უცებ მოძებნეთ?

— მეჯვარეების პოვნა ნამდვილი ანეკდოტი იყო. თან ჩემი ტელეფონის აკუმულატორი ჯდებოდა. ჩქარაჩქარა, მეჯვარე ხარ და სვეტიცხოველში გელოდებით-მეთქი, — ვუთხარი მეგობარს... 5-ის ნახევარი იყო უკვე. სასწრაფოდ გავიქეცი „ოქროს ბირჟაზე“, ვიყიდე ბეჭედი მეუღლისთვის... და ასე აღმოჩნ-

დით სვეტიცხოველში. ჩვენი ოჯახის წევრები დაგვიანებით მოვიდნენ ეკლესიაში. ყველაზე დიდი მოულოდნელობა კი ის იყო, რომ მღვდელი არ დაგვხვდა. ჩემმა ძმამ თქვა: ამ საკითხს მე მოვაგვარებო. წავიდა და მამა დავითი სახლიდან გამოიყვანა... როდესაც, ეკლესიიდან გამოვედი, უკვე შეღამებული იყო. სანთლების შუქზე ძალიან რომანტიკულად და ლამაზად გამოიყურებოდა ყველაფერი... მერე პატარა სუფრაც გავშალეთ. იმდენად სწრაფად მოხდა ყველაფერი, რომ უახლოეს მეგობრებსაც ვერ შევატყობინეთ. ჩემი მეუღლე გაკვირვებული იყო: უამრავი რამ მინახავს, მაგრამ ასეთი რაღაც არავისგან გამიგონიაო... სუფრასთან რომ ვისხედით, იმ ჟურნალისტს დაურეკე და ვუთხარი: ხომ გითხარი, „ეშო ნე ვერ...“ — სიყვარულიც ამიხსნა და ჯვარიც დავიწერეთ-მეთქი. გაოგნებული დარჩა და, რა თქმა უნდა, ძალიან გაუხარდა.

— რა განწყობა დაგეუფლათ ჯვრისწერის შემდეგ?

— ხომ 11 წელია, ერთად ვართ, მაგრამ იცით — ჯვრისწერის შემდეგ, აბსოლუტურად სხვა განწყობა მაქვს. თითქოს სულ სხვა თვალთ შევხედე ადამიანს, რომელთანაც ამდენი ხანი გავატარე, რადგან ეს საეკლესიო ქორწინება იყო. ახლა ვიგრძენი, რომ ნამდვილი ოჯახი მაქვს — უფლის წინაშე ჯვარდაწერილი ვარ. ვიგრძენი, რომ ჩემი ოჯახი ნამდვილად ნაკურთხია...

პირობა

მსაქმნელი ჭორები

ქნობი ქონსკუქზე

ზშირად მინახავს რესპონდენტის ხან გაცემული, ხან აღშფოთებული სახე, როდესაც მასზე გაფრცხლებული ჭორის შესახებ მიკითხავს. „ჩვენ, ქართველები ჭორიანა ხალხი ვართ“, — ასე იწყებს ხოლმე მათი უმრავლესობა პასუხის გაცემას, ცოტა ხანში კი...

თავადაც შეიძლება გამიზიაროს ჭორი კოლეგასა თუ სხვა ცნობილ ადამიანზე... ჭორი და ჭორიკანობა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ქცეულა და ზოგჯერ, ძალზედ მნიშვნელოვან გავლენასაც კი ახდენს ადამიანის ბედზე.

მარი ჩაფარიძე

ფსიქოლოგი ნატო ბელოვანი:

— ჭორი ჩვეულებრივი მოვლენაა, ის ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს. როცა შევიტყვე, რომ ამ ფენომენზე გსურდათ საუბარი, ჩემს სტუდენტებთან იმპროვიზებული გამოკითხვა ჩავატარე. აღმოჩნდა, რომ 100%-ს უყვარს ჭორაობა. ეს გართობის ერთ-ერთი საშუალებაა, მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ჭორს თვითონ თხზავენ და ავრცელებენ. ზოგჯერ ეს მიზანმიმართულად ხდება — მაგალითად, ბოროტ ჭორს შური, ბოლმა უდევს საფუძვლად... როდესაც ადამიანი წინ მიიწევს იერარქიულ კიბეზე, მას უამრავი წინააღმდეგობის გადალახვა უწევს. ერთ-ერთი ამ წინააღმდეგობათაგანია ჭორი, რომლის გავრცელებასაც ხელს უწყობს ის, რომ ადამიანთა უმრავლესობას საიდუმლოს შენახვა არ შეუძლია ან არ სურს. ჰონკონგში ასეთი ჩვეულება არსებობს: თუ რომელიმე ადამიანმა რაღაც საიდუმლო იცის და მისი გამჟღავნებისაგან თავს ვერ იკავებს, ამოთხრის ორმოს და „მის უყვება“ ამბავს... ბოლო დროს, საქართველოში მოდაში შემოვიდა სიტყვა „პიარი“. ეს ნიშნავს საზოგადოებრივ აზრს ამა თუ იმ ადამიანის შესახებ. პიარი შეიძლება იყოს თეთრი ან შავი. ზოგჯერ შავი პიარი მეტ პოპულარობას სძენს ადამიანს. ხშირად მსმენია ცნობილი ადამიანებისგან: რადგან ჭორაობენ, ე.ი. პოპულარული ვარო... ჩვენში ასეთი ტენდენცია გამეფდა — მთავარია, პოპულარული იყო, დანარჩენს დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

— რას ურჩევთ იმ ადამიანებს, რომლებიც ჭორის მსხვერპლნი ხდებიან?
— ყურადღება არ მიაქციონ ჭორებს.

ჭორს თუ აპყვეი, შესაძლოა, სავალალო შედეგამდეც კი მიხვიდე. ამის ბევრი მაგალითი შეგვიძლია გავიხსენოთ. ამიტომ ვობს, ერთ ყურში შევუშვათ და მეორედან გამოვუშვათ... ერთ კარგ მაგალითს მოგიყვანთ: ახალგაზრდა მამაკაცი ცოლს გაეყარა და თანამშრომელი გოგონას შერთვას აპირებდა. მიტოვებული მეუღლე მისულა მის სამსახურში და დაცვის თანამშრომლებისთვის უთქვამს: უთხარით, თითქოს ამ გოგომ ყველა თქვენგანის ლოგინი მოიარაო. არ ვიცი, ეს როგორ მოახერხა, მაგრამ ის ბიჭები დაითანხმა. მაგრამ კაცმა არ დაიჯერა მოსმენილი სიბინძურე, ის გოგონა შეერთო და მშვენივრად ცხოვრობენ. მეორე ამბავი კი ასეთია: ცოლს დაურეკეს და უთხრეს: შენი მეუღლე გდალატობს, თუ გინდა, რომ დარწმუნდე, დღეს, ამა და ამ დროს, ამა და ამ ადგილზე მიდი და შენი თვალით ნახავ, თავის სატრფოს როგორ ელოდებაო. ანალოგიური ხარი გაისმა ქმრის მობილურზე. ჰოდა იდგნენ, უთვალთვალებდნენ ერთმანეთს და დარწმუნდნენ იმაში, რომ ორივე ვიღაც სატრფოს ელოდა... მერე იქვე, ხალხის თვალწინ ეცნენ ერთმანეთს და ამგვარად სცადეს ურთიერთობის გარკვევა... ასე რომ, ნებისმიერ ორმხრივ ურთიერთობაში, მესამე ზედმეტია. ამ „მესამის“ როლს კი ხშირად, ჭორი ასრულებს, რომელსაც, ნებისით თუ უნებლიეთ, შეაქვს ბზარი ადამიანების ურთიერთობებში.

ეს „მესამე პირი“ ძალზედ აქტიურად ერევა ურთიერთობაში პოპულარულ ადამიანებსა და მათ თავყანისმცემლებს შორის, რომლებიც თავადაც აქტიურად მონაწილეობენ თავ-თავიანთი კერპების თეთრი თუ შავი პიარის ჩამოყალიბებაში. საინტერესოა, რას ფიქრობენ, ამაზე და საერთოდ, ჭორზე, ჭორის მსხვერპლნი — ცნობილი ადამიანები?



ეკა ბერიძე:

— ჭორაობა არ მიყვარს, ჩემზე შეთხზულ ჭორებს კი, დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. ბოროტი ჭორები მალიზიანებს. ზოგი ადამიანი ფიქრობს, რომ პოპულარობის ნიშანია, როდესაც შენზე ჭორაობენ, მაგრამ ასეთი პოპულარობა არ მსიბლავს — ეს იაფფასიანი პოპულარობაა.

— ჯერ თქვენ მომიყვებით, რაიმე ჭორი თქვენ შესახებ, მერე მე შეგატყობინებთ „სიამაღლებს“...

— ამას წინათ, გავიგე, რომ თურმე კახა ჩემზე ანგარების გამო დაქორწინებულა; ის ღარიბი, საცოდავი და უბედური კაცი ყოფილა და ჩემი სიმდიდრით მოხიბლულს, ხელი უთხოვია. სასაცილო არ არის?

— სხვათა შორის, თქვენ გბრალებათ მისი ოჯახის დანგრევაც...

— არა, გამორიცხულია! ისეთ კაცთან, რომელიც ქალის გამო დაანგრევს ოჯახს,

არანაირ ურთიერთობას არ ვისურვებდი, რადგან თუ კაცმა ასეთი ნაბიჯი ერთხელ გადადგა, მეორედ უფრო გაუადვილდება...

— **ბევრს ქორაობდნენ „რუსთავი-2“-დან თქვენი წამოსვლის მიზეზებზეც: თითქოს კინმარშივე ილთან ჩხუბი მოგივიდათ...**

— ეროსისთან უსიამოვნო საუბარი მქონდა მხოლოდ იმის გამო, რომ მას ტელეკომპანიიდან ჩემი გამოშვება არ უნდოდა. ძალიწმინდი მეთოდით ცდილობდა ჩემს შეჩერებას, მე კი კარი გამოვიჯახუნე და წამოვედი. ახლა ახალ ტელეკომპანიაში გადავდივარ, რომელიც აპრილიდან გავა ეთერში. მისი სახელი ვერჯერობით გასაიდუმლოებულია. მე წავეყვანე სადამოს საინფორმაციო გადაცემას. ანაზღაურება მექნება ზუსტად ისეთი, როგორც სახელმწიფო არხზე მქონდა, ოღონდ — უფრო თავისუფალი და დამოუკიდებელი ვიქნები...

— **ბარემ თქვენს ახალ ჯიბზეც გვიამბეთ. მართლა მეუღლის საქორწინო საჩუქარია?**

— არა, ესეც ჭორია. კახასთან ქორწინებამდე დიდი ხნით ადრე შევიძინე, უფრო სწორად — განვადებით გამოვიყვანე „ტოიოტას“ ცენტრიდან... საერთოდ კი, თბილისური ჭორების 99% რეალობას მოკლებულია.

შალვა ნათელაშვილი:

— ჭორების მიმართ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება მაქვს: გააჩნია, რა სახის ჭორია და რაზეა გათვლილი.

— **სომ არ გაიხსენებდით ისეთ ქორს, რომელმაც თქვენში განსაკუთრებული აგრესია გამოიწვია, ან იქნებ, რომელიმე მათგან თქვენს იმიჯს კარგადაც წაადგა?**

— საერთოდ, ჭორები იმიჯს უმე-

ტესწილად, კარგად ადგება — პოპულარული ხდები, მაგრამ ადამიანური თვალსაზრისით თუ მიუღებებით, ცოტა ძნელი გადასატანია. ზოგი ისეთი ბინძური ჭორია, რომ მრცხვენია, ამას ოჯახში ბავშვები და ცოლი რომ ისმენენ. საერთოდ, ჩემზე ჭორებს ძირითადად, შევარდნაძის სამსახურები, სააკაშვილისა და ყვანიას გუნდის წევრები ავრცელებენ. მათ საინფორმაციო საშუალებებიც ეხმარებიან. ეს გამიზნულად კეთდება. ჩადიან აღნიშნული ადამიანები ამერიკაში, ბრიტანეთში, იქაურ ლეიბორისტებთან ათას ბინძურ ჭორს ავრცელებენ. ამას თავად არ აკეთებენ — ჩვენი პარტიიდან პერიოდულად ვილაც-ვილაცებს რომ გაეყრით ხოლმე, იმ ადამიანებს მიუცუცქლებიან, რაღაცას შეჰპირდებიან და მეტი დამჯერებლობისათვის მათი პირით ავრცელებენ მოვინდ ამბებს.

— **სამაგიეროს არ უხდით ხოლმე იმ ადამიანებს, ვინც ქორებს გივრცელებენ?**

— არა, სამაგიეროს არ ვუხდი, მაგრამ ჩემმა პრესსამსახურმა შეაგროვა ბოლო ერთი წლის განმავლობაში გავრცელებული ყველა ჭორი და სასამართლოში საჩივარი შევიტანეთ. უკვე ბევრი ადამიანი დაიკითხა ამ საქმის გამო და იმედი მაქვს, დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩება...

— **სასამართლოზე გამახსენდა: თქვენზე იმასაც ამბობენ — ნათელაშვილის განმარტებული პროცესები წინასაარჩევნო ფანდიაო...**

— არა, გენაცვალე, ასე რომ ყოფილყო, დენის ტარიფის გაზრდასთან დაკავშირებულ პროცესს არჩევნებისკენ ახლოს გადავწვედი...

— **კიდევ ერთ ქორს გეტყვით ამასთან დაკავშირებით: ამბობენ, ირიბარენმა სოლიდური თანხა შემოგთავაზათ, პროცესი რომ არ წამოგეწყობო...**

— არა, ირიბარენი ამას ვერ გამიბედავდა, მაგრამ მე გეტყვით, რომ ის აფინანსებს ძველ „მოქალაქეთა კავშირს“, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, ირაკლი მელაშვილს, ზოგიერთ ტელეკომპანიასა და გაზეთს...

— **ახლა თქვენც სომ არ მეჭორავენით? თუ ამას კონკრეტული ფაქტების საფუძველზე ამბობთ?**

— რა ჭორი, რის ჭორი?! ამას რომ

გეუბნებით, კონკრეტული ინფორმაციაც მაქვს. ვისაც უნდა, დავეუბტყიცებ...

— **გინდათ, კიდევ რამდენიმე ძველი და ახალი ქორი გიამბობთ თქვენზე?**

— აბა, მიდით, გამახარეთ...

— **როდესაც თქვენსა და კობა ბურჯუკურს შორის ურთიერთობა დაიძაბა, ამბობდნენ, თქვენ მისთვის ნაჯახი გაგიგზავნიათ (ტყეები კარგად გაჩხელო), მას კი საპასუხოდ, დიდი მახათი მოუძღვნია თქვენთვის — შალვა, უსაქმური ხარ და გაერთეო...**

— ჰა, ჰა, ჰა, ეს რა მითხარით!.. არა, მე მისთვის არაფერი გამიგზავნია. „მწვანეთა“ პარტიამ ჩაატარა კონკურსი ტყის მჩხვავ გუბერნატორებს შორის. კობამ გაიმარჯვა და მთავარი პრიზი — ნაჯახი მას შეხვდა, ვილაცას კი, ეს ჩემთვის გადმოუბრალდება... კიდეც კიდეც რით გამახარებთ?

— **დღეს საქართველოში დენის ბიზნესს მართლა თქვენ აკონტროლებთ?**

— ო-ო-ო, ეს ძალიან კარგია...

— **მართლა შეიძინეთ ვილა იტალიის საკურორტო ქალაქში?**

— ეს უბინძურესი ჭორია! ამაზე კომენტარსაც არ გავაკეთებ...

— **კომენტარს არც იმაზე გააკეთებთ, თქვენზე რომ ამბობენ — შალვას პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დიდ გავლენას მისი ცოლი და სიდედრი ახდენენო?**

— სიცრუეა! ჩემი ცოლი, როგორც ჭკვიანიც არ უნდა იყოს, მის ჭკუაზე მაინც არ გავივლი... მით უმეტეს — სიდედრის... თქვენ ალბათ ის არ გავიგიათ, პატარაკაციშვილმა ოცი მილიონი დოლარი რომ მაჩუქა...

— **ეგ არ გამიგია, მაგრამ თუ ასეა, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ...**

— რას ამბობთ, კაცო! ეს მეც გაზეთიდან გავიგე და სწორედ ამ ფაქტის გამო ვიჩიველუ სასამართლოში...

— **წინათ, ენ „კაგებეს“ სეციალური სამსახური ჰქონდა, რომელიც ამა თუ იმ ადამიანზე თხზავდა და ავრცელებდა ქორებს...**

— ასეთი სამსახური უშიშროებას





დღესაც აქვს. მას ინფორმაციისა და ანალიზის განყოფილება ჰქვია და უამრავ ჭორს თხზავს და ავრცელებს საზოგადოებაში...

მანია ჯაბუა:

— ჭორაობა არ მიყვარს. აქედან გამომდინარე, ჭორებზეც უარყოფითი რეაქცია მაქვს. ვილატას შესაძლოა, მოსწონს, მაგრამ ჭორი — ეს არ არის ის მეოდი, რომელიც მე პოპულარობას მომიტანდა...

— ამბობენ, თითქოს მალე, პატარძლის კაბაში გამოწყობილს, ახალ მეუღლესთან ერთად გინილაგეთ...

— ჯერ არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით, მე თვითონ არაფერი გადამიწყვეტია და ხალხმა საიდან გაიგო?...

— იმასაც ამბობენ, რომ ორსულად ხართ და მალე, თქვენს ოჯახს მესამე შვილი შეემატება...

— თბილისური ჭორებია... ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როდესაც ჩემზე ამბობდნენ — შვილი ჰყავსო... ხალხს საქმე არა აქვს და ჭორაობით იქცევენ თავს. შვილის გაჩენა კი, ღვთის ნებაა და თუ მიწერია, გაეაჩენ კიდევ...

თამარ მღებრიშვილი:

— ჭორაობა რა კაცის საქმეა, კაცო?! ჭორაობა ქალებს უხდებათ. ჭორიკანა კაცი ქალზე უარესია.

— თქვენ თვითონ როგორი ჭორი მოგისმენიათ საკუთარ თავზე?

— ე-ეჰ, ჩემზეც ჭორაობენ, რასაც უნდათ, იმას ამბობენ. ახლა გავიგე ჩემზე უთქვამთ — სასტუმრო აქვსო. თურმე რაღაც სასტუმრო ყოფილა — „444“; ჰოდა, გენაცვალე, გეცოდინებათ ალბათ, რომ ოთხიანიები ძალიან მიყვარს — მანქანის ნომერი ხომ, სამი ოთხიანით მაქვს...

— ტელეფონის ნომერშიც სულ ოთხიანიები ფიგურირებს...

— ჰო, გენაცვალე, ეგეცა გცოდნიათ... ჰოდა, რადგან ის სასტუმროც „სამი ოთხიანია“, ვინდა თუ არა, მღებრიშვილისააო. გუშინ ვნახე ეს სასტუმრო, მაგრამ შიგ არ შევედი — იქიდან გამოსული რომ ვინმემ დამინახოს, მართლა ჩემი არ ეგონოთ-მეთქი... თქვენ რა ჭორები იცით ჩემზე?

— ამბობენ, მღებრიშვილი მექალთანეაო...

— რაო, კაცო? ეგ რაღას ნიშნავს?

— რაო და — ქალებში სიარული უყვარსო ძალიან..

— ეგა, გენაცვალე, ჭორი კი არა, სიმაბრთლეა. ქალები მიყვარს და ძალიანაც. ახალგაზრდა ქალებიც მიყვარს, ქალბატონებიც მომწონს, თანაც — ბავშვობიდან. დღემთმა დამიფაროს, კაცები მიყვარდეს, ან კაცებს მოვწონდე...

— ისიც გავიგე, 8 მარტი მღებრიშვილმა ძვირად ღირებულ რესტორანში საყვარელ ქალთან ერთად გაატარაო...

— საერთოდ, მე თუ მკითხავთ, მარტი სულ ქალებისაა — ენაცვალთ მაგათ ჩემი თავი! ყველა — 31 დღე მარტში მაგათი უნდა იყოს. რვა მარტს დამით კი, ჩემს მეუღლესთან ვიყავი, გენაცვალე და იმასთან გავატარე... დღისით — სამსახურში, დამით კი — ცოლთან...

— როგორ ფიქრობთ — რადგან თქვენზე ჭორაობენ, ეი.



პოპულარული ხართ?

— კაცო, პოპულარული ვარ თუ არ ვარ, არ ვიცი, მაგრამ რომ მცნობენ, ეგ ვიცი. ხალხმა პრესისა და ტელევიზიის საშუალებით გამიცნო. ალბათ იცით, გენაცვალე, ხშირად რომ გამოვდივარ ხოლმე ტელევიზიით და პოპულარობაც ალბათ ეგ არის...

გომომლა კალანდაძე:

— ჭორაობა მიყვარს, მაგრამ ბოროტად არასოდეს ვიჭორავებ. ბინძური ჭორები საშინელ შეგრძნებებს იწვევს. როცა ჩემ შესახებ ვიკებ ჭორს, ვერთობი და ვხალისობ ხოლმე...

— გაიხსენეთ, რომელმა ქორმა გაგამსიარულათ ყველაზე მეტად?

— როდესაც გავიგე, რომ თურმე ცხვირის პლასტიკური ოპერაცია გამიკეთებია, გულიანად ვიცინე. არადა, ისეთი შშიშარა ვარ, ძალიან დიდი და უშნო ცხვირიც რომ მქონოდა, მაინც ვერ გაგებლავდი ოპერაციის გაკეთებას...

— წინათ ბეგრს ლაპარაკობდნენ თქვენი და მალხაზ ქვრივიშვილის ურთიერთობებზე. ახლა მალხაზი, ლევან გაჩეჩილაძით შეიცვალა...

— ლევანი ახლახან გავიცანი. მის მეუღლესთან კი, საემოდ კარგი ურთიერთობა მაქვს. საიდან მოიგონეს ეს ამბავი, არ ვიცი... არასოდეს, არასოდეს არ მივატყვე ყურადღებას სხვის ნათქვამს. ისე კი, ჩემი რჩევა იქნება, არც თქვენ დაიჯეროთ სხვისი ნათქვამი მანამ, სანამ საკუთარი თვალით არ ნახავთ...



მეარსველებმა ქალი გელეფონის აპარატის კაბელით მოასრივეს

დაზარალებულის თქმით, ჩადენილი სადისტური მკვლელობის ორგანიზატორიც ქალი იყო

12 წლის წინ, ვაკეში, კეკელიძის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში საშინელი მკვლელობა მოხდა. ბოროტმოქმედებმა იქვე მცხოვრები, შუახნის ქალი — ქეთევან დადიანი სადისტურად ანამეს და ბოლოს, ტელეფონის აპარატის კაბელით მოასრივეს. დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მკვლელებმა იქაურობა საჩქაროდ დატოვეს. ამბობენ, დამნაშავეთა შორის ერთ-ერთი, ქალი იყო...



მეგი სანაპა

მოკლულის გვამი პოლიციელებმა ბინაში, შემთხვევიდან ერთი კვირის შემდეგ აღმოაჩინეს. მათი თქმით, ქალი საშინლად იყო ნაწამები. თანაც, იმასაც აღნიშნავენ, რომ მოკლულს კისერზე, კაბელის გარდა, სარეცხის თოკიც ჰქონდა რამდენჯერმე შემოხვეული, პირის ღრუში კი — ჩვრები ჩატენილი. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა მოკლულის სხეულის და მასზე დაფიქსირებული დაზიანებების სრულყოფილი გამოკვლევა ვერ შეძლეს, რადგან მათი თქმით, ლპობის პროცესი კარგა ხნის დაწყებული იყო.

მოგვიანებით, სამართალდამცავებმა დამნაშავეთა ვინაობა დაადგინეს. ისინი სამნი აღმოჩნდნენ, მათ შორის ერთი — არასრულწლოვანი, მეორე კი — ქალი. როგორც საქმის მასალებიდან შევიტყვეთ, არასრულწლოვანი, ჭიათურელი დემა გაფრინდაშვილი გახლდათ. შემთხვევის დღეს, მოკლულის ბინაში მასთან ერთად, მისი მეგობარი — კონსტანტინე კიპარიძე და ნაცნობი — ნინო ბოჭორიშვილი იყვნენ. აწ გარდაცვლილი ქეთევან დადიანი გაფრინდაშვილმა და კიპარიძემ სწორედ ბოჭორიშვილის მეშვეობით გაიცნეს.

1991 წლის ივნისის პირველ რიცხვებში (ზუსტი თარიღი დაუდგენელია) ნინო ბოჭორიშვილმა თავისი ჭიათურელი მეგობრისგან, ირინა ბრეგვაძისგან თბილისელი ქეთევან დადიანი გაიცნო. შეიტყო, რომ ეს უკანასკნელი მაჭანკლობდა, გარდა ამისა, საკუთარ ბინაში მამაკაცებს მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან ახვედრებდა და გასამრჯელოდ გარკვეულ თანხას იღებდა.

ამ ინფორმაციას დღეს, კატეგორიულად უარყოფს საქმეში დაზარალებულად ცნობილი, **დურმიშხან ხინიპაძე**.

„ქეთევან დადიანი ჩემი დეიდა გახლ-

დათ. 60 წლის ქალი იყო და მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე პატიოსნად უძღვებოდა ოჯახს. გათხოვილი იყო, თუმცა შვილი არ ჰყავდა. მისი მეუღლე — პოლკოვნიკი ნიკოლოზ ზაქარაშვილი იმ პერიოდისთვის, როცა მკვლელობა მოხდა, უკვე გარდაცვლილი იყო. დეიდაჩემს საკუთარ ოთახში აღარავინ ღარჩა და ამიტომაც, მთელი უძრავი და მოძრავი ქონება ანდერძით მე დამიტოვა.

თავის დროზე ცოლ-ქმარი შეძლებული იყო. ოჯახში ბევრი ძვირფასეულობა ჰქონდათ. ქმარი რომ დაეღუპა, დეიდაჩემი მარტო ღარჩა, მაგრამ თავის სარჩენად მუშაობა არ დაუწყია, ჩვენ — ნათესავები ვეხმარებოდით. ხშირად ჩამოდიოდა ჩემთან ბათუმში, მეც ვაკითხავდი თბილისში და ფულს ვაძლევდი. დეიდაჩემი ისეთ ბინძურ საქმიანობას, როგორც ეს პროკურატურის ოქმებში წერია, საკუთარ თავს არ აკადრებდა. ასეც რომ ყოფილიყო, ან მე მივხვდებოდი რამეს, ან სხვა ვინმესგან მოაღწევდა ჩემამდე ხმა. ამის მსგავსი დეიდაჩემზე არაფერი მსმენია. ეს ბინძური ცილისწამება თავად მკვლელებისგან მოდის, რასაც რატომღაც პროკურატურამაც დაუჯერა და სიმართლის გარკვევას სათანადოდ არ ეცადა“, — აღნიშნავს დაზარალებული.

გამოძიების მასალების მიხედვით, ნინო ბოჭორიშვილი ქეთევან დადიანთან ხშირად დადიოდა. იმის შიშით, რომ ასეთ ბინაში მისი ხშირი სტუმრობის შესახებ შესაძლოა, ნათესავებსაც შეეტყოთ, სახელი და გვარი შეიცვალა და ყველას, მათ შორის ქეთევან დადიანსაც, ინგა წერეთლად აცნობდა თავს. პროკურატურის ინფორმაციით, ბოჭორიშვილი დადიანთან ბინაში სამი დღის განმავლობაში ცხოვრობდა. იქიდან ტელეფონით დაუკავშირდა თავის ნაცნობებს — დემა გაფრინდაშვილსა და კონსტანტინე კიპარიძეს,

მეტსახელად კოწოს; შესთავაზა მათ, რომ თუ გარკვეულ თანხას გადაინდიდნენ, დადიანი მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან შეახვედრებდა. გაფრინდაშვილმა და კიპარიძემ ამის სურვილი გამოთქვეს და ფულის გადახდაზეც დათანხმდნენ.

1991 წლის 5 ივლისს, გაფრინდაშვილი და კიპარიძე თბილისში ჩავიდნენ და დადიანს შინ მიაკითხეს. კარი მათ ნინო ბოჭორიშვილმა გაუღო. გაფრინდაშვილმა მას 200 მანეთი მისცა და ბინაში ქალების მიყვანა მოითხოვა. რადგან გვიანი იყო, დადიანმა იმავე ღამეს პირობის შესრულებაზე უარი თქვა. უარმა გაფრინდაშვილი და კიპარიძე გაანაწყენა. გაბრაზებულებმა გადაწყვიტეს, შური ეძიათ და დადიანის ბინის გამარცხვა განიზრახეს. განზრახვის შესახებ მათ ნინო ბოჭორიშვილსაც უთხრეს, თანაც შესთავაზეს: თუ ბინის გამარცხვაში დაგვეხმარები, წალბებულ ნივთებს გავყვით და აღებულ თანხას შენც გიწილადებთო. ბოჭორიშვილმა ასეთი წინადადება მიიღო და როლების განაწილების შემდეგ, დადიანის ბინის კართან, გარეთ, საღარბაზოში დადგა, რათა სიტუაცია გაეკონტროლებინა.

განზრახვის სისრულეში მოყვანის დროს, ბოროტმოქმედები დადიანის წინააღმდეგობას წააწყდნენ. მაშინ მათ ქალის მოკვლა გადაწყვიტეს. ქეთევან დადიანი ჯერ დაახრჩვეს, შემდეგ კი ბინა გამარცხეს. ბინიდან ძვირად ღირებული ბეწვის ქურქი და დიდი რაოდენობით ოქროულობა წაიღეს.

გაფრინდაშვილი, კიპარიძე და ბოჭორიშვილი მაშინვე მიიმალნენ. მოგვიანებით, პოლიციამ ბოჭორიშვილი დააკავა; 2002 წელს სამართალდამცავებმა დემა გაფრინდაშვილიც დააპატიმრა, ხოლო რაც შეეხება კონსტანტინე კიპარიძეს, იმავე კოწოს — ის დღემდე იძებნება.

1998 წელს, ნინო ბოჭორიშვილი გაასა-

მართლეს და მარცხაში თანამონაწილეობისა და დანაშაულის დაფარვისთვის სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სასჯელი ბოჭორიშვილმა უკვე მოინახა და როგორც ამბობენ, ამჟამად საქართველოში არ იმყოფება. თავის დროზე, სამართალდამცავებს მან ასეთი ჩვენება მისცა:

„...დაახლოებით 40 წუთში, გაფრინდაშვილი ბინიდან გამოვიდა. ანერვიულებული სახე ჰქონდა. რა მოხდა-მეთქი? — რომ შევეკითხე, მიპასუხა: დადიანი გავვიძლიანდა და ტელეფონის აპარატის კაბლით ვაკოჭეთი. ამის შემდეგ, ორივენი, ეზოში ჩავედით და ლურჯ, „ჟიუგული-06“-ის მარკის ავტომანქანაში ჩავსხედით. მძღოლის ვინაობა არ ვიცოდი. მან მეტრო „მარჯანიშვილთან“ მიგვიყვანა, სადაც სხვა მანქანაში, აბჯერად — ტაქსიში გადავსხედით. სანამ პირველი მანქანის მძღოლი წავიდოდა, გაფრინდაშვილმა მას უთხრა: იქ მიდი, სადაც იცი და ვინც გელოდება, ის მოიყვანო. მივხვდი, რომ კიპაროიძეზე იყო ლაპარაკი.

ამის შემდეგ, გაფრინდაშვილმა მატარებლის ბილეთი ამიღო, 20 დოლარიც მომცა და მეც მოსკოვში გავემგზავრე“.

ავტომანქანა „ჟიუგული-06“-ის ზემოთ ხსენებული მძღოლი, აწ გარდაცვლილი მეკლუდ გაფრინდაშვილი იყო. როგორც დაკითხვისას თავად აღნიშნა, ის დემნა გაფრინდაშვილის მეზობლად ცხოვრობდა. მეკლუდ გაფრინდაშვილმა პროკურატურას მოვლენები სულ სხვაგვარად

წარმოუდგინა: მისი თქმით, დემნა გაფრინდაშვილმა მას ერთ ადგილას მანქანით წაყვანა სთხოვა. მანქანაში მის გარდა, კიპაროიძე და ბოჭორიშვილი ისხდნენ. მეკლუდ გაფრინდაშვილი ბოჭორიშვილს არ იცნობდა, მისი ვინაობის შესახებ შემდეგ შეიტყო, თუმცა, როგორც ჩვენებაში აღნიშნავს, გზაში მას სახელით — „ნინო“ მიმართავდნენ.

მეკლუდ გაფრინდაშვილის ჩვენებიდან:

„...გზაში საუბრობდნენ. ნინოს საყვედურობდნენ — ჩვენ რომ ბინაში შევედით, პატრონმა გაიღვიძა; საკმარისი წამალი რატომ არ მიეცო?... მათი საუბრიდან გავიგე, რომ ბინის პატრონი მათ ტელეფონის კაბლით ვაკოჭეს, შემდეგ კი ბალიშით მოკლეს. ლაპარაკობდნენ, ასევე, „ნორკის შუბაზე“.

მეკლუდ გაფრინდაშვილის თქმით, ნინო მანქანიდან გადავიდა და როცა იქ მეორედ ჩაჯდა, მას ყვითელი პარიკი და შავი სათვალე ეკეთა. „...დედამისთან და შვილთან ერთად ჩაჯდა მანქანაში და იძახდა: როგორ გაბედეთ იმ ქალის მოკვლა?! მაშინ გაფრინდაშვილმა და კიპაროიძემ გააფრთხილეს: არ ილაპარაკო, თორემ შენც მოგკლავთ“ — დასძენს მეკლუდ გაფრინდაშვილი.

დაზარალებულს არც ამ ჩვენების სჯერა და აღნიშნავს, რომ გაფრინდაშვილმა ყველაფერი პროკურატურის კარნახით დაწერა. ღურმიშან ხინიკაძის თქმით, ნინო

ბოჭორიშვილისგან მოქრთამულ პროკურატურას ხელს აძლევდა, რომ ის საქმეში უდანაშაულოდ გამოეყვანა და საამისოდ ვერსიებსაც თავად თხზავდა.

ღურმიშან ხინიკაძე:

„იმ ქალს დღეს, პასუხს არავინ სთხოვს; თავის დროზე, სათანადოდ არ დასაჯეს, ახლა კი თავისუფალია. არადა, მეკლულობა მისი ორგანიზებულია. დეიდაჩემს სპეციალურად დაუხლოვდა, რადგან საერთო ნაცნობისგან მისი ქონების შესახებ შეიტყო. მთელი ბინა და ნივთების ადგილმდებარეობა კარგად შეისწავლა, შემდეგ კი ბანდიტებს — კიპაროიძესა და გაფრინდაშვილს დაუკავშირდა და იქაურობა გააძარცვინა. მანამდე დეიდაჩემი მოწამლა, რათა ამ უკანასკნელს წინააღმდეგობა არ გაეწია და მისი მოკვლაც უფრო გაადვილებოდათ. სამწუხაროდ, პროკურატურამ საქმეში ბევრი დეტალი ხელოვნურად არ დააფიქსირა“ — დასძენს დაზარალებული.

დემნა გაფრინდაშვილი 2002 წლის თებერვალში, რუსეთში დააკავეს. ამჟამად ის 30 წლისაა, ცოლ-შვილი არ ჰყავს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, გაფრინდაშვილი ღუმდლის უფლებას იყენებს, თუმცა, სასამართლოს წინაშე იგი უკვე წარდგა. დაზარალებული იმელოვნებს, რომ სასამართლოში მეკლულობის ბევრი ბუნდოვანი დეტალი გაირკვევა, ხოლო რას იტყვის ჩადენილი დანაშაულის შესახებ თავად განსასჯელი, მომავალ კვირას შეიცვობთ.

სანაიას ქვივი პროკურატურას 100.000 ლარი სთხოვს

„ხურცილავა არ მაინტერესებს, საქმე პროკურატურასთან მაქვს და პასუხიც მან უნდა აგოს“, — აცხადებს ხათუნა ჩხაიძე



მეზი სანაია
11 მარტს, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ გენერალური პროკურატურის მიერ ხათუნა ჩხაიძის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის განხილვა დაიწყო. აღნიშნული საჩივრით, გენერალური პროკურატურის წარმომადგენელი — გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი, ნუგზარ სადრაძე თბილისის საოლქო სასამართლოს იმ განჩინების გაუქმებას სთხოვს, რომლითაც მოკლული გიორგი სანაიას მეუღლის — ხათუნა ჩხაიძის მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

2002 წლის სექტემბერში, ხათუნა ჩხაიძე საჩივრით თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოს მიმართა და გენერალური პროკურატურისგან, გიორგი სანაიას მეკლულობის გამოძიებისას დაშვებული, უხეში კანონდარღვევების შედეგად მიღებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, 100.000 ლარი მოითხოვა.
„პროკურატურამ საქმის მასალების ასლები პირველად, მხოლოდ 2002 წლის 11 აგვისტოს ვადმომცა. მანამდე, ჩემთვის არავის შეუტყობინებია არც ერთი იმ საგამოძიებო მოქმედების დანიშვნის ან ჩატარების შესახებ, რაც საქმის მასალებშია დაფიქსირებული. ამით ჩემი, როგორც დაზარალებულის უფლებები პროკურატურამ უხეშად დაარღვია. როდესაც ასლებს გავცეანი, აღმოჩნდა ისიც,

რომ საგამოძიებო მოქმედებები წარმოუდგენელი დარღვევებითაა ჩატარებული. პროკურატურამ არად ჩააგლო ჩემი უფლებები, როგორც შეძახვის ადვოკატის დამატებითი მისას, ასევე ექსპერტიზის ჩატარების დროსაც. გამოძიება წარმოებულია ისე, როგორც ეს პროკურატურას სურდა, დაზარალებულს კი, ყველაზე გვერდი აუარეს. ყოველივე ამან მე მორალური ზიანი მომყენა, რაზეც პროკურატურამ პასუხი უნდა აგოს. თუმცა, ამ არგუმენტების ჩამოყალიბების საშუალება მე სასამართლოზე უნდა მომეცეს. თუკი ამ საკითხს მოსამართლეები განიხილავენ და ჩემს საჩივარსაც დააკმაყოფილებენ, ეს იქნება ერთგვარი გაფრთხილება იმ თანამდებობის პირებისადმი, რომლებიც მსგავს უკანონობას ყოველ ფეხის ნაბიჯზე სჩადიან“ – განაცხადა ხათუნა ჩხაიძემ.

გენპროკურატურის წინააღმდეგ მიმართული საჩივარი, რომელიც მან მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში შეიტანა, არ დაკმაყოფილდა. მოსამართლის აზრით, აღნიშნული საკითხის განხილვა მის მიერ

ამ ეტაპზე კანონის ფარგლებს არ ექვემდებარება. მაშინ დაზარალებულმა საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საპელაციო პალატას მიმართა და მას მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება მოსთხოვა. საოლქო სასამართლომ ხათუნა ჩხაიძის ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა. ამ უკანასკნელის საჩივრის განხილვა კვლავ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს, თუმცა – სხვა მოსამართლეს დაევალა. საოლქო სასამართლოს განჩინებით განაწესდა გენპროკურატურამ, თავის მხრივ, უზენაეს სასამართლოს მიმართა. საბოლოო სიტყვა საჩივრის განხილვა-არგანხილვასთან დაკავშირებით, სწორედ უზენაეს სასამართლომ უნდა თქვას.

ხათუნა ჩხაიძე:

„თუ პროკურატურას კანონდარღვევები არ ჩაუდენია, მაშინ რატომ გაუბრუნა ამ საკითხის განხილვას? ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ როგორმე თავიდან აიცილოს ის სასამართლო პროცესი, სადაც ამ კონკრეტულ და აშკარად უკანონო მოქმედებებზე

იქნება საუბარი. ემზინა, ეს საკითხი საჯარო განხილვის საგანი მართლაც რომ გახდეს. ამ ეტაპზე, განსაკუთრებული სურვილია საერთოდ არ მაინტერესებს, მე საქმე პროკურატურასთან მაქვს და ჩემ წინაშე პასუხივც მან უნდა აგოს“.

ნუზუარ სადრაძე:

„პროკურატურას არაფრის ემზინა და არც რამეს გაუბრუნა. მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ ხათუნა ჩხაიძის საჩივრის განხილვა, კანონის არანაირ ჩარჩოში არ თავსდება. სწორედ ამიტომ, ჩვენი საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და საოლქო სასამართლოს განჩინება უნდა გაუქმდეს. საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა პროფესიონალიზმში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ცხადია, რომ ისინი დაზარალებულის ვავლენის ქვეშ მოექცნენ და საკითხიც არაობიექტურად გადაწყვიტეს“.

უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას 18 მარტს გამოაცხადებს. ■


**სახელგანთქმული პროდიუსერი
მკვლელობაშია ეჭვიგანილი**

ელვის პრესლის ყოფილი პროდიუსერის, ფილ სპექტორის სახლში ახალგაზრდა ქალის გვამი აღმოჩინეს. მკვლელობის მსხვერპლი, 40 წლის ლოს-ანჯელესელი ლანა კლარკსონი აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ მისი ვინაობის დადგენამდე სასამართლო ექსპერტმა ივარაუდა, რომ ქალი სულ 25 წლის იყო. პროდიუსერი მაშინვე დააკავეს, მაგრამ მალევე გაათავისუფლეს, 1 მლნ დოლარის გირაოს შეტანის შემდეგ. პოლიციისთვის უცნობია, თუ ვინ დარეკა და ამცნო მას პროდიუსერის სახლიდან გაგონილი სროლის შესახებ. ვილასთან მისულ სამართალდამცავებს შესასვლელთან, შავი „მერსედესი“ დახვდათ, რომლის კარიც რატომღაც ღია იყო. სხვა გარემოებებს გამოძიება ჯერჯერობით არ ახმაურებს. სპექტორის მეგობარი, მარვინ მიჩელსონი აღნიშნავს, რომ პროდიუსერი მართო ცხოვრობს და არ ჰყავს საყვარელი, თანაც – ძალზედ გაწონასწორებული ადამიანია, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. მაგალითად, 1995 წელს ფურნალი „როლინგ სტონსი“ წერდა, რომ შოუბიზნესის ეს თავისებური ლეგენდა ე.წ. „ანტი-საზოგადოებრივი ქცევით“ გამოირჩევა. ბას-გიტარისტი დი დი რამონი ერთხელ ჰყვებოდა, თუ როგორ ემუქრებოდა სპექტორი პანკ-ჯგუფის – Rammones-ის მუსიკოსებს პისტოლეტით – თუმცა, გიტარისტის ძმა, მარკი რამონი საპირისპიროს ამტკიცებდა: ტელევიზიით გამოსვლისას მან თქვა – ეს ბიჭი ბუზსაც კი არ მოკლავსო... თავისი პირველი ჰიტი ფილ სპექტორმა ჯერ კიდევ 1957 წელს დაწერა, როცა 17 წლის იყო. მას შემდეგ, ბედნიერება ჰქონდა ემუშავა ისეთ ვარსკვლავებთან, როგორებიც იყვნენ: ელვის პრესლი, ტინა ტერნერი, ჯონ ლენონი. კრიტიკოსების აზრით, მან სრულიად გამორჩეული წვლილი შეიტანა 60-იანი წლების პოპ-მუსიკის განვითარებაში, რის გამოც 1989 წელს როკ-ენ-როლის ე.წ. „დიდების დარბაზში“ დაიმკვიდრა ადგილი. ■

კა უნათ სუმიოსტავს ღაბით ქრიაში

იაპონიის დელაქალაქის ერთ-ერთ რაიონში – ელოგავაში, ყოველ ღამით, სამორიგოდ გამოვლენ ეროვნული ბრძოლის – სუმოს ოსტატები. ქუჩების პატრულირებით მათ სურთ, თავიანთი წვლილი შეიტანონ მოქალაქეთა უსაფრთხოების განმტკიცებაში. ამ იდეის ავტორი, სუმოს კლუბის მეპატრონე, ისენოუმი აღნიშნავს: „მინდა, რომ ჩემმა ახალგაზრდა სპორტსმენებმა ჩვენს რაიონში დამნაშავეობის დამარცხების საქმეში შეიტანონ თავიანთი წვლილი“.

სუმოს ეროვნულ ასოციაციაში აღნიშნავენ, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა სუმიოსტები ქუჩების პატრულირებაში ერთვებიან. გვემის მიხედვით, 2 მოჭიდავე სუმიოსტი შუალაძეზე, ერთი საათით გამოვა ელოგავას ქუჩებში და „შეიარაღებული“ იქნება სასტვენითა და ქაბრით, რომელსაც დააწერენ: „ჩვენ ღამის პატრულები ვართ“. როგორც ოსტატი ისენოუმი ამბობს, „ჩემი სპორტსმენების კუნთების დანახვისას, პოტენციური ბოროტმოქმედები უმალ გაიფანტებიან“. ყველაზე სახელგანთქმული სუმიოსტის, ტაკანოხანას სპორტიდან წასვლის ფაქტმა მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ამ სახეობის პოპულარობას. ამასთან დაკავშირებით, ისენოუმი აღნიშნავს: „ჩვენი აქციის მეორე მიზანს სუმოს შემდგომი პოპულარიზაციაც წარმოადგენს“. ■





დაკარგული თანამდებობის ნოსტალგია და გადადგამი თუ გადაყენებული ჩინოვნიკები

ამთო მარგველაშვილი

ქართული პოლიტიკა ისეთივე არაორდინარულია, როგორც სხვა ყველაფერი ქართული. იგი იმდენად გაჯერებულია სასიამოვნო თუ უსიამოვნო სიურპრიზებით, რომ პოლიტიკას შეჭიდებული კაცი სათვინს ყველანაირი მოულოდნელობა მოსალოდნელი. ამიტომ ზოგადსაკაცობრიო ჭეშმარიტება – „ღრონი მეფობენ და არა მეფენი“ – ქართულ პოლიტიკურ რეალობაში გაცილებით თვალსაჩინოა, ვიდრე სხვაგან, მაგრამ რას იზამ? თურმე არასტაბილურ ქვეყანაში თანამდებობებიც არასტაბილურია. მით უმეტეს, რომ საქართველოში ზოგჯერ მდინარეც „აღმა მიედინება“, საათიც „უკულმა ბრუნავს“ და ხშირად თეთრიც კი „შავია“ და თუ დიპლომატი იმდენად არადიპლომატიურია, რომ ვერ ახერხებს უსწრაფესი რეაგირებით ცვალოს ტაქტიკა და ორიენტაციაც კი, ხშირად მისგან გასროლილი ისარი ბუმერანგით უბრუნდება და საკუთარი გვემის მსხვერპლიც ხდება ხოლმე.

ამიტომ, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა გუშინდელი „პრო“-ს დღეს უკვე „კონტრად“ ქცევა, მხარდამჭერის გაოპონენტება, დამდურებულის შერიგება და შემორიგებულის დამდურება. ყოველივე ამის შედეგად პოლიტიკაში ბევრი მოდის, მაგრამ ბევრიც მიდის იქიდან, „შვიდთვიანი“ მინისტრებიც კარგად ვეახსოვს და პარლამენტიდან გამოიძევებული, იმუნიტეტ-მოხსნილი დეპუტატებიც.

ალბათ ნებისმიერი თანამდებობის პირისთვის მართლაც ძნელია, შეეგუოს იმ უხერხულ და შეურაცხყოფელ რეალობას, რომ გუშინ, გარკვეულწილად, ქვეყნის ბედი ებარა, დღეს კი, საკუთარი ცოლ-

შვილის გარდა, არავინ არაფერს ეკითხება; გუშინ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კანონებს იღებდა, დღეს კი, აღარ არის საკანონმდებლო ორგანოში და საკუთარ ზურგზე ცდის იმ კანონის „უკუღმართობას“, რომელსაც გუშინ თვითონ მისცა ხმა; დღეს იმ მასის ერთ-ერთი ჩვეულებრივი ნაწილია, რომელიც გუშინ ტაშს უკრავდა და მის ყოველ სიტყვას „ჭურბლაცქვეტილი“ უსმენდა...

ამიტომ, ყოფილ ჩინოვნიკთა უძრავ-ლელობა იმდენ არ კარგავს და გაათქვამებული ენერგიით ცდილობს პოლიტიკაში დაბრუნებას – თუნდაც სხვა მოძრაობით, სხვა თანამდებობაზე და სულ სხვა სახით, მაგრამ „მეორედ მოსვლის“ ჟინი და ზოგჯერ, შურისძიების სურვილიც კი, ბევრ მათგანში აშკარად შეიმჩნევა.

მაშ, რა უღვევს საფუძვლად ამ „მეორედ მოსვლის“ ჟინს – საკუთარი იმიჯის რეაბილიტაცია, დაკარგული შემოსავლის წყაროს დაბრუნების სურვილი, დიდკაცობის ნოსტალგია, რომელსაც ბევრი ნარკოტიკისეულ „ლომკასაც“ კი ადარებს, თუ სუფთა პატრიოტული გრძნობა?

ამ საკითხებზე თუნდაც ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად და თანამდებობიდან გადაყენებული ადამიანის მდგომარეობის შესაცნობად, ფსიქოლოგსა და პარლამენტის წევრს, ქალბატონ **მაია ნადირაძეს** დავუკავშირდით.

— ქალბატონო მაია, როგორია ფსიქოლოგიური, მორალური და ემოციური მდგომარეობა ადამიანისა, რომელიც მაღალი თანამდებობიდან გადააყენეს ან, როგორც ჩვენთან ხდება, „გათავისუფლდა საკუთარი განცხადების საფუძველზე“?

— ადვილი სავარაუდოა, ადამიანისთვის, რომელიც თანამდებობაზე მარტო იმი-

სთვისაა, რომ საკუთარი კაპიტალი გაზარდოს, გადაყენების ფაქტის გადატანა ძალიან ძნელია. ეს მასში ძლიერ უარყოფით ემოციებს იწვევს, მაგრამ ეს არ არის სინდისის ქენჯნა. მინისტრი რომ 600 მილიონს მოიპარავს, ე.ი. არც ერთხელ არაფერი გაუკეთებია ქვეყნისა და ხალხის სასარგებლოდ და არ უნანია; რომ გადადგება, მერე ინანებს?!

— იქნებ, ეს დაუსჯელობის სინდრომის ბრალია...

— რა თქმა უნდა... საკადრისად რომ ისჯებოდეს, სინანულის გრძნობაც გაუჩნდებოდა. ახლა კი – შერჩა ის „ნაჭამი“; ასე ვთქვათ, „მეორე მადაც“ გაეხსნა და ისევ ფიქრობს თანამდებობაზე. ასეთი უმსგავსობის მაგალითიც გვაქვს, სამწუხაროდ!...

— ამბობენ, თანამდებობას, ავტორიტეტსა და მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობას შეჩვეული ადამიანისთვის ამის დაკარგვა ისეთივე მდგომარეობას იწვევს, როგორსაც „ლომკა“ ნარკომანებში. თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს?

— ნარკოტიკები და მთავრობა რაღაც კავშირში მართლაც არიან, მაგრამ ვერ გეტყვით, რამდენად იწვევს „ლომკას“ თანამდებობის დაკარგვა. ისე კი, პოლიტიკა მართლაც დიდი აზარტია და რომ „წააგებ“, ანუ ჩამოგასორებენ, ჟინი მართლაც გუუფლება ადამიანს, მით უმეტეს, თუ ბიუჯეტში გქონდა ხელი ჩაყოფილი. შედარებით მართალი და პატიოსანი მინისტრი ან სხვა ჩინოვნიკი, რომელიც გადააყენეს ან გადადგა, ამ გულისტკივილს ნაკლებად გამოამჟღავნებს.


— რატომ?

— ის ამ პოლიტიკის მსხვერპლია და იცის, რომ მანც ვერაფერს დაამტკიცებს...



მაია ნადირაძე

კახა
თარგამაძე



... მაღა ჭამაში მოდიხ — და ჩვენც ისე ვავთამაზდით, რომ საკუთარი ემოციებისა და განცდების შესახებ, სხვადასხვა დროის ქართული პოლიტიკოსების რამდენიმე ყოფილ თვალსაჩინო წარმომადგენელსაც ვკითხეთ.

კახა თარგამაძე, შინაგან საქმეთა ექსმინისტრი:

— (ივინის) ოპ! ყოფილი მინისტრიც გაგახსენდათ?

— სიმართლე გითხრათ, არც დამვიწყხარ, ბატონო კახა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ თქვენთან ერთად მეც „ყოფილი“ გავხდი.

— როგორ?

— თქვენი იმიტატორი გახლდით „დიდების ზღაპარში“ და შეიძლება ითქვას, თქვენთან ერთად მეც გადაამაყენეს.

— (ხარხარებს) ე.ი. თქვენც ყოფილი ხართ?

— იმედი მაქვს, გულახდილი საუბარი გამოგვივა ორ „ექსმინისტრს“.

— კი, ბატონო, ვისაუბროთ.

— ხომ არ გრძნობთ ნოსტალგიას ისეთ დიდ თანამდებობაზე მოღვაწეობისა, როგორც თქვენ გეკავათ და რა გრძნობა ეუფლება ადამიანს, რომელიც წლების მანძილზე მინისტრი იყო და ერთ მშვენიერ დღეს, ეს ყველაფერი დაკარგა?

— ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ყველანაირი თანამდებობა დროებითია და როგორც მოვიდა, ისე წავა. არც ნოსტალგია მაწუხებს. ვისაც გინდათ, შეეკითხეთ და ნახავთ, რომ 7 წლის მუშაობის შემდეგ, არავის ექნება ნოსტალგია — მით უმეტეს, ისეთი თანამდებობისა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი რომ ჰქვია.

— ფიქრობთ თუ არა, რომ უსამართლობაა ამ პოსტიდან თქვენი წამოსვლა და კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეგძლო?

— ძალიან უხერხულია საკუთარ თავზე ლაპარაკი. თვითონ შეაფასებს დრო და საზოგადოება ყველაფერს. ამიტომ მეტს მეც არაფერს ვეტყვით, ყველაფერი გამოჩნდება.

— რა შეიცვალა მას შემდეგ თქვენს ცხოვრებაში — თუნდაც, ადამიანების თქვენდამი დამოკიდებულების მხრივ?

— ცვლილებები მართლაც მოხდა, მაგრამ აბსოლუტურად ნორმალური: თუნ-

დაც ის, რომ ადამიანურ ცხოვრებას დავუბრუნდი. საქმით დატვირთული ძალიან ახლაც ვარ, მაგრამ იმ დიდი პასუხისმგებლობისაგან ვავთავისუფლდი. თუმცა, პასუხისმგებლობის არასოდეს მშინებია, არც ახლა მასვენებენ...

— ვინ, ბატონო კახა?

— მაინც ათასი სისულელე იბეჭდება, იწერება და ქვეყნდება...

— არ გეუფლებათ გარკვეული ჟინი თქვენი იმიჯის რეაბილიტაციისა, იმისა, რომ დაბრუნდეთ ხელისუფლებაში და თქვენი სათქმელი უბლომდე თქვათ?

— იცით, ნამდვილად არაფერი მაქვს სარეაბილიტაციო. ამიტომ დაბრუნებას იმ მიზნით, რომ საკუთარი სიმართლე ვამტკიცო, არ ვაპირებ.

— არც პოლიტიკაში მისვლას გეგმავენ?

— კი. აუცილებლად.

— იქნებ, ორი სიტყვით მაინც გამანდოთ, როგორც ყოფილი ყოფილს?

— (ივინის) არავითარი ორი სიტყვა! იმაზე მეტს, რაც უკვე გითხარით, ერთ სიტყვასაც ვერ ვეტყვით...

ვალერი ასათიანი, კულტურის ექსმინისტრი:

— მე ორჯერ ვიყავი კულტურის მინისტრი: 1985-90 წლებში და 1995-2000 წლებში. ასე რომ, 10 წლის მანძილზე მქონდა ეს პატივი და პასუხისმგებლობა, მაგრამ მართლ ერთი დღითაც რომ მქონოდა, მაინც ბედნიერი ვიქნებოდი, რადგან უდიდესი და უძველესი კულტურული ტრადიციების ქვეყანაში კულტურის მინისტრობა მართლაც დიდი პატივია. მეგობრები მასხენებდნენ კიდევ ფილოსოფოსის სიტყვებს: ერთ მდინარეში ორჯერ არ შედიანო, — მაგრამ მე ვპასუხობდი: ღელვა იყო სხვადასხვანაირი-მეთქი... მართლაც, სხვადასხვა დრო იყო ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ მთავარი ჩემთვის მაინც ერთი რამ იყო: ეროვნული კულტურა, ცნო-

ბიერება, ფესვები არ დაკარგულიყო და ახალი სახეებიც გამოჩენილიყო.

— ბატონო ვალერი, მიგაჩნიათ თუ არა თავი წარმატებულ, ნაყოფიერ მინისტრად და ხომ არ ფიქრობთ, რომ არ დაგაცადეს შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენა?

— ცოტა მეუხერხულეა ამაზე საუბარი. არ მეულება ადამიანი, რომელიც პოსტის დატოვებისას იტყვის — აღარაფერი დამრჩა განსახორციელებელი. თუმცა, გარკვეული ძალები მუშაობდნენ ჩემს წინააღმდეგ და ამან ჩემს ცხოვრებაში, ბიოგრაფიაშიც იჩინა თავი. ალბათ გახსოვთ ერთ-ერთი ტელეკომპანიის მოქმედება ჩემს წინააღმდეგ... სიტყვის თავისუფლება სხვაა და მისი ბოროტად გამოყენება კიდევ — სხვა. როცა ტელევიზია, პრესა თუ სხვა საინფორმაციო საშუალება არასწორ ინფორმაციას ვერდნობა და ავრცელებს, ამით საზოგადოებას თრგუნავს. უცხოეთშიც გაუშვეს მასალა, თითქოს, საქართველოში კულტურის მინისტრის თანამდებობაზე 10 წლის განმავლობაში იჯდა კაცი, რომელიც სატანისტია და ათას მზაკვრობას სჩადის... ზოგმა დაიჯერა, ზოგმა — არა, მაგრამ ეჭვი ხომ მაინც გაჩნდა? ე.ი. გასაფუჭებელი მაინც გაფუჭდა და ვეჯქტი მიღწეულია. უდიდესი თანადგომა და მხარდაჭერა ვიგრძენი ქართული კულტურის უძლიერეს წარმომადგენელთაგან. ეს ის ხალხია, ვისთანაც მინისტრობის დროსაც მიწვევდა და დღესაც, როგორც უნივერსიტეტის პროფესორს მიწვევს ურთიერთობა.

— ყოველივე ამის შემდეგ, ბუნებრივია, გექნებათ სურვილი, პოლიტიკაში, ხელისუფლებაში, ასე ვთქვათ, „მესამედ მოსვლისა“, და



ვალერი
ასათიანი



ვახტანგ გოგუაძე

თქვენი პოზიციების დამტკიცებისა...

— სიმართლე ვითხრათ, ამაზე არ ვფიქრობ. ორჯერ მინისტრი ვიყავი, ორჯერ — დეპუტატი: „იმ დროშიც“ და „ამ დროშიც“. არის ხალხი, ვისაც ასეთი ჟინი აწუხებს, მაგრამ არა მე. არც რეაბილიტაცია მჭირდება. სიმართლით ვიცხოვრებ და რაც შემეძლო, ვაკეთებდი. შეიძლება ბევრიც ვერ გავაკეთე, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო...

ვახტანგ გოგუაძე, პარლამენტის სპიკერი 1992-95 წლებში:

— როცა ამ თანამდებობაზე ვიყავი, არც მაშინ აღვიქვამდი თანამდებობად, რადგან „ვულკანზე ვიჯექი“. ვამბობდი კიდეც: ამ სკამზე ვჯდომა სიამოვნება რომ გახდება, აქ აღარავინ გამაჩერებს-მეთქი. არ მომეწონა მთავრობის კურსი და წამოვედი კიდეც. მე კი არ ჩამოვშორდი პოლიტიკას — პოლიტიკა „ჩამომშორდა“. მე კი ძველი კურსის ერთგული ვრჩები დღემდე და რუსეთს იმას კი არ ვუმტკიცებ — ვახტანგ გოგუაძეს უყვარხარ-მეთქი, — არამედ იმას, რომ საქართველოს მოსახლეობის 90%-ს ჩემზე მეტად უყვარს რუსეთი.

— ნუთუ, მართლა ასეა, ბატონო ვახტანგ?

— აგერ ნახავთ — მდგომარეობა შემობრუნდება და ეს დროებითი ხალხი წავა პოლიტიკიდან.

— ეი. მიაგჩნიათ, რომ ხელისუფლება ადგას კურსს, რომელიც დამლუბველია საქართველოსთვის?

— ეს აშკარა შედეგი სახეზეა. დღევანდელ ზომბირებულ მთავრობას გონება მხოლოდ რუსეთის ლანძღვაზე აქვს მომართული, მე კი ტერორისტი გამომიყვანეს. მე რა ტერორისტიცა ვარ, შევარდნამემ ჩემზე კარგად იცის.

— თქვენთვის მიუღებელ ფონზე,

როგორ გრძნობთ თავს? ხელისუფლებაში დაბრუნების ჟინი ხომ არ განუხებთ?

— მე ახლა გაცილებით უკეთესად ვგრძნობ თავს, ვიდრე სპიკერობისას. ამ პოლიტიკის ფონზე, გამოირცხვლია, ქვეყნის ბედზე მოფიქრალ კაცს გული სწყდება, რომ პოლიტიკაში აღარ არის. საკუთარ თავთან კარგად ვარ — ვიცი, რომ არ ვიტყუები, არ ვლაღატობ ჩემს ქვეყანას, ვმუშაობ. გამოვეცი ორი წიგნი — „Верните мне мою Россию“ და „Глас Грузии“ ვიცი, რომ ვაკეთებ იმას, რაც სწორად მიმაჩნია. თუ შენი ხალხი გიყვარს, მაინც უნდა აკეთო ის, რაც მისთვის კარგია — თუნდაც ამისათვის ათასი ლანძღვისა და ცილისწამების ატანა მოგიწიოს. არც ერთი ხელისუფლებისაგან სიგელიც კი არ მახსოვს: ჯერ კომუნისტები მიპირებდნენ დაჭერას, მერე ზვიადის ხელისუფლება; შევარდნამემ — საერთოდ, ტერორისტად მომნათლა, მაგრამ ღმერთის მაღლობელი ვარ.

— ეი. არ გსურთ, აქტიურ პოლიტიკას დაუბრუნდეთ და როგორც თანამდებობის პირმა, თქვენი სიტყვა თქვათ?

— ერთ-ორ წელიწადში, დადგება დრო, როცა მართალი კაცი დასჭირდება. დღეს ტკბილი ტყუილი ურჩევნია ხალხს მწარე სიმართლეს, მაგრამ მაღე არც ერთი გიჟიც კი არ ისურვებს თანამდებობაზე ყოფნას და ყველა გაიტყვევა, ვისაც საკუთარი სიცოცხლე ქვეყანას ურჩევნია... მერე მოვბნობი მართალ კაცს.

— ვის ხედავთ, ბატონო ვახტანგ, იმ მართალი კაცის ამჟღავნებაში?

— ამაზე ადრეა ლაპარაკი...



გიორგი ხუშგარია

ზოგი სოფარია, საგარეო საქმეთა ექსმინისტრი:

— თანამდებობის წყურვილი რომ მქონდეს, პოლიტიკიდან არ წავიდოდი. არავითარი ნოსტალგია არ მაწუხებს, ერთის გარდა: ის გულწრფელობა მენატრება, რაც მაშინ იყო, ერთად რომ ვიდევით ძნელბედობისას, გნებავთ — 9 აპრილს, გნებავთ — ცხინვალში... თანამდებობაზე კი, ვინ დაბადებულა, რომ ბოლომდე შერჩეს?! მქონდა კიდეც შემოთავაზებები — არა იმავე მინისტრობაზე, მაგრამ სხვა მაღალ თანამდებობებზე.

— რამდენად უსამართლოდ მიგაჩნიათ ის, რაც მაშინ მოხდა, და რის შედეგადაც, სხვებთან ერთად, თქვენც დაკარგეთ თანამდებობა?

— უსამართლოდ არა — ლოგიკურად მოხდა. თუმცა, ეს ლოგიკა მე არ მესმის. მე მკაცრად დასავლურ ორიენტაციაზე ვიდევით. იყო კიდეც მაშინ მჭიდრო კავშირები, მაგრამ ომანიდის მოსვლა (პრემიერად. — ავტ.) ნიშნავდა ამ კავშირების გადაჭრას, რადგან მისი გეგმები რუსეთზე იყო გათვლილი.

— როგორ აფასებთ თქვენი უწყების დღევანდელ მუშაობას?

— უტაქტობად მიმაჩნია კოლეგებზე საუბარი, მაგრამ საერთოდ, ცნობილია: როცა საგარეო პოლიტიკით ქვეყნის პირველი პირია დაკავებული, მაშინ მინისტრზე რაიმე ნაკლებადაა დამოკიდებული.

— თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, უკეთესობისკენ შეიცვალა თქვენი ცხოვრება თუ უარესობისკენ?

— არაფერი შეცვლილა. უამრავი მეგობარი მყავდა და დღესაც მყავს. მხოლოდ, ცხოვრება შეიცვალა უარესობისკენ.

— არ აპირებთ თანამდებობის მოსაპოვებლად მოქმედებას, ამ ცხოვრების გასაუმჯობესებლად?

— არავითარ გეგმებს არ ვუკავშირებ პოლიტიკას, რადგან ჩემთვის მიუღებელია სკამებისათვის ბრძოლა და ინტრიგების ხლართვა, რასაც დღეს პოლიტიკას ეძახიან...

როგორც ხედავთ, ყოფილ ჩინოვნიკთა გეგმებიც მრავალფეროვანია. თუმცა, თითქმის არავინ საუბრობს თანამდებობის მონატრებასა და მისი დაბრუნების სურვილზე, მაგრამ დიდკაცობის ნოსტალგია და საკუთარი პრინციპებით ხელისუფლებაში მოსვლის ჟინი, ღიად თუ ფარულად, მაინც იგრძნობა.

„აღდგომა და ზვალეო“ — ვნახოთ რას მოგვიტანს და ვის მოგვიყვანს ზვალენდელი დღე...

ნანა ქიბიშაური

აფხაზეთის ომში დაღუპული ქართველი მოთხილამურის, სულხან სულხანიშვილის სახელობის ტურნირზე, „სუხია-2003“-ზე, სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულმა ელიტამ, სუხიას მეგობრებმა და ჟურნალისტებმა მოიყარეს თავი. გულაურის მთებს მოთხილამურეები სერავდნენ, ცას – დელტაპლანები, ჰაერს მუსიკის ჰანგები ავსებდა, თოვლს კი აცეკვებული ტინეიჯერები ისე მონდომებით ტკეპნიდნენ, როგორც ხეჩო, „ოჯრის ტყის სიზმრებიდან“ – თოვლი უნდა გავადნო, ია ამოვიყვანო და ევას უნდა მივართვაო – რომ მოთქვამდა. „დიჯეი მზე“ – ამჯერად ნინო დარასელი მუსიკას სიმღერ-სიმღერით ისე შეთანხმებულად აყოლებდა მთიდან დაშვებული მოთხილამურის გვარსა და შედეგს, რომ ბაღებს მიღმა აცეკვებული დამსვენებლები დიჯეის იმპროვიზაციის ახალ-ახალ მცდელობებს ხელების ქნევით ეგებებოდნენ.

სუხიას ტურნირი გულაურში უკვე მეთერთმეტედ ჩატარდა. საპრიზო ფონდმა 4.000 ლარზე მეტი შეადგინა და პირველ ადგილზე გასულ შეჯიბრების მონაწილეებს 1.000 ლარი ფულადი ჯილდო და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. გული არც ფინიშთან მისულ, შეჯიბრების ბოლო მონაწილეს დასწყვიტეს და ტრადიციისამებრ, ჩაიდნით დაასაჩუქრეს.

ტურნირის ორგანიზატორის, დავით ნათაძის ინფორმაციით, სამთო-სათხილამურო სპორტის არც ერთ შეჯიბრს არ ჰყავს იმდენი მონაწილე და მაყურებელი, რამდენიც „სუხიას“. ყოველწლიურად შეჯიბრში 100-120 მოთხილამურე სტაბილურად მონაწილეობს. გულაურის სათხილამურო ტრასა, საბაგირო გზა და იქ არსებული სასტუმრო, ფართომასშტაბიანი სამოყვარულო ასპარეზობისთვის სავსებით დამაკმაყოფილებელია. ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ ამ ტურნირმა მალე საერთაშორისო მასშტაბიც შეიძინოს.

„სუხია-2003“-ში სპორტული მონაცემების გამოვლენა ჟურნალისტებსაც მოუხდათ. ელექტრონერგის გამორთვის გამო, მწყობრიდან გამოვიდა საბაგირო გზა და მთიდან „მარკო პოლომდე“ იმ ჟურნალისტებს, რომელთაც თხილამურებზე შედგომა ვერ მოახერხეს, ფეხით მოუხდათ 5 კმ-ის გავლა. ზოგიერთმა ორიგინალურ ხერხს მიმართა: ქურთუკი გაიხადა, ზედ დაჯდა და ისე შეეცადა ქვემოთ ჩასრივს. მას შემდეგ, რაც თხილამურებზე შემდგარმა ელიტამ მჯდომარედ მოსრივალე მედიას ჩაუქროლა, ერთ-ერთმა „გაზეთიჩიკმა“ თავის დამშვიდება სცადა:



„რიჯი მზე“, პუნტუნებით წილიც

megobris

monatreba...

როგორც ყოველთვის, ელიტა მისრიალებს, მედია მიძინებულს, მაგრამ მოვლენების განვითარებას წინ მანც ჩვენ უსწრებთო. ამ დროს ისე ჩაგვიქროლა ლევან პირველმა, ფოტოგრაფებმა აპარატის მომარჯვებაც ვერ მოასწრეს. მათ წინ მიმავალი კოლეგები ტელეფონით გააფრთხილეს: გზა გაათავისუფლეთ – ლევან პირველი მოქრის, ორივე ხელში ჯოხი უჭირავს და თავს საფრთხეში ნუ ჩაიდგებთო...

ახლა კი, მოკლედ, მონაწილეების შესახებ: პოლიტიკური ბომონდიდან შეჯიბრში მონაწილეობდნენ ეკონომიკის მინისტრი გიორგი გაჩეჩილაძე და პარლამენტარი პეტრე ცისკარიშვილი. სხვათა შორის, პეტრე საპრიზო სამეულშიც მოხვდა და ჯილდოსაც გამოჰკრა ხელი. რაც შეეხება გიორგი გაჩეჩილაძეს – როგორც გვითხრა, მისთვის მთავარი იყო არა გამარჯვება, არამედ იმ ტურნირში მონაწილეობა, რომელიც მისი მეგობრის ხსოვნის უკვდავსაყოფად დაწესდა. „მე, სუხია და ლევან აბაშიძე ერთად წავედით ომში. სულხანი აფხაზეთში ჩასვლიდან მეორე კვირას დაიღუპა. ჩვენ ბავშვობიდან მეგობრები ვიყავით. სამთო-სათხილამურო სპორტშიც ერთად ვვარჯიშობდით და საქართველოს ნაკრებშიც ერთად ვიყავით. მერე ერთად ვიომეთ. ის ძალიან კარგი ადამიანი იყო, ხალისიანი და სიცოცხლით სავსე, ისეთივე ხალისიანი, როგორიც „სუხიას ტურნირი“ გამოდგა. საქართველოში სპორტის ამ სახეობის განვითარებას დიდი პერსპექტივა აქვს. ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით საქართველოში საუკეთესო მთებია სათხ-

ილამურო სპორტისთვის. არსებობდა გეგმა – ბაკურიანში სათხილამურო ტრასების დამუშავებისა და იყო დრო, როდესაც ბაკურიანში ოლიმპიადის ჩატარებასაც კი ფიქრობდნენ. საერთოდ, ძალიან ლამაზი სახეობაა – მასში სისწრაფე, სილამაზე და ვაჟკაცობაა შერწყმული. თუმცა, გოგონები არაფრით ჩამოვკრებიან – ძალიან გაბედულები არიან და ლამაზად სრიალებენ“.

ქალთა შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: სოფიკო გოგუაძე, მარიამ კობაძე და სოფო ლუმბაძე. ვაჟებში კი – მიხეილ უდესიანი, ავთო ჯანგობეგოვი და პეტრე ცისკარიშვილი.

აღსანიშნავია, რომ გოგონებში პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასულები მხოლოდ წამით სჯობნიან ერთმანეთს. სოფო ლუმბაძე: „8 წლის ასაკიდან 15 წლამდე დავდიოდი სპორტის ამ სახეობაზე. ახლა მოყვარულებში გადავინაცვლე. შედეგზე გული არ მწყდება, რადგან ჩვენ სულ სხვა რამ გვაერთიანებს – მთის სიყვარული. არ შეიძლება, მესამე ადგილზე გასულმა მოთხილამურემ I და II ადგილზე გასულთა სიხარულიც არ გაიზიაროს. მხოლოდ ჩემს შემთხვევაში კი არ არის ასე საერთოდ, მთას ახლავს განსაკუთრებული კეთილშობილება და აქ სხვანაირი ვერ იქნები. თუ არ გეშინია და თოვლი გიყვარს, ძალიან ადვილია თხილამურებით სრიალი. ყველას მოვუწოდებ, ამოვიდნენ გულაურში, ისრიალონ მთებზე და მომავალ „სუხიას“ ტურნირშიც მიიღონ მონაწილეობა.“

ნანა ქიბიაური

ამას წინათ, მეგობარმა მიაშო თბილისის ერთ-ერთ ბარში დატრიალებული ამბავი. შეზარხოშებულმა პოლიციელებმა იუკადრისეს თურმე: როგორ გაგვიხედეთ და დანახარჯის გადახდა როგორ მოგვთხოვეთ?! ატყდა ერთი აურზაური, ლანძღვა-გინება, ბოლოს კი, იარაღზეც გაიკრეს ხელი. ბარში მყოფი ერთი, სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონი ჯერ გულგრილად ადევნებდა თვალს მოვლენების განვითარებას, მერე კი დამფრთხალ ხალხს გვერდი აუარა, გამშველებლები გასწი-გამოსწია, პოლიციელებს მიუახლოვდა და რამდენიმე კაცი ელვის უსწრაფესად განაიარაღა.

სანამ „ბუნტისთავები“ კარგად გაერკვეოდნენ, თუ რა ხდებოდა მათ თავს, ერთმანეთის მიყოლებით, ისე, რომ მინისთვის ფეხიც არ დაუკარებიათ, ქუჩაში აღმოჩნდნენ.

ეს ქალბატონი სამხედრო პროკურატურის ყოფილი თანამშრომელი, ავღანეთის ომის მონაწილე, თინა ბახტაძე აღმოჩნდა.

ქალბატონი თინა იურისტი. თუმცა, იმ ექსტრემალურ სიტუაციებში, რომელშიც ის აღმოჩენილა, კანონებზე მეტად ფიზიკური მომზადება და საბრძოლო ხელოვნების ცოდნა გამოადგა. არც იარაღთან არის მწყრაღად და საბრძოლო ტექნიკასა თუ ნაღმების სახეობებშიც საკმაოდ კარგად ერკვევა. ერთ-ერთი პირველი ქართველი მფრინავის, არჩილ ბახტაძის ქალიშვილისთვის სამხედრო ცხოვრება უცხო და ძნელად შესაგუებელი არ აღმოჩნდა. თუმცა მშობლები, რომლებიც ქალიშვილის პიანისტობაზე ოცნებობდნენ და მის ხელებს განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ, ვერასოდეს იფიქრებდნენ, რომ თინა ბახტაძის თითები როიალის კლავიშების ნაცვლად, ავტობატის სასხლეტზე აღმოჩნდებოდა.



ავღანეთი - 1982 წელი

ავღანეთის ომის მონაწილე ქალბატონი უნდოვანო მცხვერძის



თინა ბახტაძე (მარჯვნივ) დასთან ეთერთან ერთად

— მამა ჩემთვის მართლაც ღვეწმარული პიროვნება იყო. ის ჩკალოვთან (დედაძმის გარშემო პირველი გადაფრენის მონაწილე, საბჭოთა მფრინავი) ერთად იყო და ახალი თვითმფრინავების გამოცდელ-ინსტრუქტორად მუშაობდა. ყველაზე სარისკო ოპერაციებში მონაწილეობდა, ღესანტი გადაჰყავდა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე და საბრძოლო აღჭურვილობითაც ამარაგებდა მას. საცდელი ნახტომები იმ დროს საკმაოდ სარისკო იყო. მამას პარაშუტი 1200-ზე მეტი გადმოსტომა აქვს შესრულებული. 4 ომში მონაწილეობდა, 18 ჯილდო ჰქონდა მიღებული — 6 მედალი და 10 საბრძოლო ორდენი. დედა — დონელი კახაკი იყო. ორივე მშობელი 85 წლის ასაკში გარდ-

ამეცვალა. საოცრად უყვარდათ ერთმანეთი. მას შემდეგ, რაც ნიკიტა ხრუშჩოვმა ქართველი სამხედრო პირების დისკრედიტაცია დაიწყო, მამა სამოქალაქო ცხოვრებას დაუბრუნდა და ჩემი მშობლებისთვის ძირითად საზრუნავად, შვილებისთვის კარგი განათლების მიცემა იქცა. მუსიკალურ ათწილეში ვსწავლობდი, ვსატავდი; იმ დროს ძალიან ცნობილი ბალეტმეისტერი ბარნულაროვი მასწავლიდა ცეკვას. მოკლედ, ფიქრობდნენ, რომ სამოღვაწეოდ ხელოვნების რომელიმე დარგს ავირჩევდი. არადა, არანაკლებ ვიყავი გატაცებული სპორტით. ჯერ მხატვრულ, შემდეგ — სპორტულ ტანვარჯიშზე დავიწყე სიარული, მერე ჩოგბურთზე, ფრენბურთზე, კალათბურთზე; მინტერესებდა ის, რაც მაშინ გოგონებს ნაკლებად იზიდავდა — ხაზვა, არქიტექტურა, არქეოლოგია... წინააღმდეგობის მოუხედავად, ყველაზე ვცადე ბუფი, მაგრამ ჩემს ახალ-ახალ იდეებს და ფანტაზიებს ბოლო არ უჩანდა. ერთ მშვენიერ დღესაც გადავწყვიტე: გემზე წავსულიყავი სამუშაოდ. ისე მსიბოავდა ზღვის რომანტიკა და ისე შევაწუხე ოჯახის წევრები ამ მისწრაფებით, რომ იძულებულნი გახდნენ, ბათუმში წავეყვანე. პორტის უფროსი და მაშინდელი „კაპიტან“ წარმომადგენლები ერთობლივი ძალით შეეცადნენ, რომ გადაწყვიტოდა შემეცვალა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ და ბოლოს, პორტის უფროსმაც ხელი ჩაიქნია: როგორც ჩანს, შენ მართლა ძალიან გინდა გემზე მუშაობა; კი ბატონო, მაგრამ მაინც არა მგონია, იცოდე, თუ რას ნიშნავს გემზე

ქალის ყოფნა. რას ნიშნავს-მეთქი? — კვითხე. რას და იმას, რომ ან კაპიტნის უნდა იყო, ან მთელი ეკიპაჟისო... აი, მაშინ კი შეფეიქრიანი. ჰო, თუ ასეა, ეს ჩემი საქმე მართლა არ ყოფილა-მეთქი — ვთქვი და ნინოწამბლარი გამოვბრუნდი. თურქული ფაგულტეტი ორჯონიკიძეში (ახლანდელი ვლადიკავკაზი. — ავტ.) დავამთავრე. მუშაობა სამხედრო პროკურატურაში დავიწყე და იქიდანვე წავივი ავლანეთში.

— რატომ? არ შეგეძლოთ, ამ განვევისთვის თავი აგერიდებინათ?

— ალბათ იმიტომაც წავივი, რომ ხსენები თავგამოდებით ცდილობდნენ, ავლანეთში წასვლა თავიდან აეცილებინათ. მე ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავდი. უბრალოდ, ვიცოდი, რომ მშობლები ინერვიულებდნენ და ვამჯობინე, მათთვის უწყინარი ტყუილი მეთქვა — თითქოს გერმანიაში მივლიოდი... 1983-84 წლებში, ავლანეთში ძალზედ გამწვავდა საომარი მოქმედებები. აერობორტიდან ყოველდღიურად, 30 კუბოს ვვზავნიდით. ქაბულის გარნიზონის პროკურატურაში ბევრი ისეთი საქმე იყო აღძრული, რომელზეც დღესაც არ შეიძლება ლაპარაკი.

— ჩაფრინდით თუ არა ქაბულში, ალბათ გაიფიქრეთ, რომ ადამიანი ყოველთვის მართებულ გადაწყვეტილებას ვერ იღებს...

— თქვენ განიტყვებთ, ვინანე თუ არა, ავლანეთში რომ წავივი? ქაბულში ჩასვლამდე, შევხვდი ერთ ადამიანს და შევხვედი თუ არა მას, მივხვდი, სად მივლიოდი. მისი არც სახელი ვიცი, არც გვარი. ტამკენტის ერთ-ერთ სამხედრო პუნქტში ვნახე. სწორედ იქიდან გადაგვაფრინეს ავლანეთში. იმ შენობის ეზოში იჯდა, სადაც ავლანეთში წამსვლელთა საბუთების საბოლოო შემოწმება ხდებოდა. დამწვარი და გახუნებული ფორმა ეცვა. სადაც, სივრცეში იფურებოდა. წამსვლილი და გულგრილი სახე ჰქონდა, შემოდილი თვალები. ეს თვალები ხან აენთებოდა, ხან ჩაუქერებოდა... ახლაც თვალწინ მიდგას. პატარა ეზოში ჩვენ ორნი აღმოვჩნდით ერთმანეთის პირისპირ. მივუახლოვდა. კარგად არც შემომხვდა, ისე მკითხა: „შენც იქ მიდიხარო? თანხმობის ნიშნად თავი დაუქუნიე. „მიდი, მიდი და მერე ნახავ, რაც მოგივა, ან ფეხი აღარ გექნება, ან ხელი, ან მეგობარს ნახავ, უთავოდ დარჩები... ნახავ, ვერ კიდევ ცოცხალ კაცს, როგორ უდებენ კუჭს ხელით. მიდი და ნახავ, ამ ყველაფერს საკუთარი თვალებით ნახავ.“ — ძითხრა მან. მეორე დღეს, მაინც გაფრინდი ქაბულში, მაგრამ იმ ჯარისკაცის სახე და სიტყვები დღესაც მასწავლებს. უკვე ქაბულში რომ დავემუთ და ვნახე, რომ იქ „ბეტერებიან“ (ჯავშანტრანსპორტიორი. — ავტ.) გადმოსულ ყოველ მეორე ჯარისკაცს ზუსტად ისეთი თვალები ჰქონდა, როგორიც იმ ბიჭს, ტამკენტში რომ ვნახე, ვაგიფიქრე: ამავე

თვითმფრინავით დღესვე, უკან დაგვბრუნდები-მეთქი, მაგრამ აერობორტში ჩემმა კოლეგებმა მომაკითხეს: ნუ გეშინია, ჩვენ სულ შენ გვერდით ვიქნებითო, — დამამშვიდეს და ასე დამტოვეს ავლანეთში... ერთი წლის შემდეგ, მეც ისეთივე თვალები მქონდა, ისეთივე კანის ფერი, შავი ხელები... იქ ჰყარია ისეთი — თითქოს ყველაფერი ფერფლში და მტვერშია გახვეული. ეს მტვერი გიჯდება კანში და დიდი ხნით რჩება. ხელის დაბანისას ერთი საპონი არ მყოფნდა, საათობით ვინებდი ხელებს, მაგრამ კანის ბუნებრივ ფერს ვეღარ ვიბრუნებდი.

— საბრძოლო მომზადება იქ გაიარეთ?

— არა, აქ. როცა გადაწყვიტა, რომ ავლანეთში უნდა წავსულიყავი, საბრძოლო მომზადება აქ გავიარე და გამოამდგა კიდევ. პროკურატურაზეც სწორად ხდებოდა თავდასხმა. ოპერაციებშიც გვიწვევდა მონაწილეობის მიღება. ჩვენი გარნიზონი სნაიპერთა მუდმივ სამიზნეს წარმოადგენდა. ავლანეთში ახალჩამოსული ადამიანები ამას ძალიან განიცდიდნენ. დაიწყებდა თუ არა სნაიპერი „მუშაობას“, მამინვე მიწაზე წვებოდნენ. „სტარიკებს“ მათ პირველ რეაქციაზე ყოველთვის ეცინებოდათ... მერე ეჩვევი ყველაფერს. ტყვიები თავისთვის დაწვილებს, შენ შენთვის ხარ, შენს საქმეს აკეთებ... როცა თავს გესხმან, თავდაცვასა და შენი მეგობრების თუ თანამებრძოლების უსაფრთხოებაზე ფიქრობ, უკვე მექანიკურად აკეთებ იმას, რაც აუცილებელია თავდასხმების მოსაგერიებლად და იმისათვის, რომ ცოცხალი გადარჩე. მერე მოდის ის, რასაც სტრესი და დეპრესია ჰქვია. მე ეს ავლანეთიდან ჩამოსვლის შემდეგ დამემართა და ამისგან თავის დასაღწევად, ორი წელი დამჭირდა. ჩემგან ძალიან შორს იყო ის პრობლემები, არც აქ აწუხებდა ხალხს. ნებისმიერი ყოფითი პრობლემა, რომელსაც მატერიალურ გასაჭირში მყოფნი განიცდიდნენ, ჩემში სიცოცხლს იწვევდა.

— ომს ძლიერი და უხეში მამაკაცის ფსიქიკის შერყევაც კი შეუძლია. ალბათ ძალიან ძნელია, გაუძლო ომის საშინელებებს და თან ისე, რომ ქალღურბა და სინაზე შეინარჩუნო. როგორ მოახერხეთ ეს?

— ხელოვნება დამეხმარა. ომის დროს ალბათ ძლიერიც უნდა იყო და ზოგჯერ უხეშიც, მაგრამ ის, ვისაც ომში ნამდვილი გაჭირვება და სულიერი ტკივილი განუცდია, ომის შემდეგ, ადამიანების მიმართ უფრო ლობობიერი და თბილი ხდება...


— თუ დაჭრილობათ?

მერე ეჩვევი ყველაფერს. გყვიები თავისთვის დაწვილებს, შენ შენთვის ხარ, შენს საქმეს აკეთებ...

— კი, მთელ ტანზე მქონდა ღია ჭრილობები, რომლის შეხორცებასაც დიდი დრო დასჭირდა. „ბეტერებით“ მივლიოდი. ჩვენ წინ ჯიბი აფეთქდა — ვიბრაციული ნაღმი ყოფილა მიწაში. ჯიბის 15-20 მეტრი გავმოვრებდა. აფეთქების ტალღამ გადაგვისროლა. მთელ ტანზე კანი მქონდა აცლილი. ჭრილობები დამიჩირქდა. თვით ჰყერი იყო ინფექციის მატარებელი. ჭრილობების იოდით დამუშავების წინ, ექიმი გაუზავებელ სპირტს მასმეფდა: აუტანელი ტკივილისთვის უნდა გამეძლო. არანაკლებ საშიში იყო ციებ-ცხელება, რომელიც ოთხჯერ მქონდა...

— როგორც ქალი, ალბათ ყურადღების ნაკლებობას არ უჩიოდით. ბევრი თავყვანისმცემელიც გეყოლებოდათ და ბევრ კომპლიმენტსაც მიიღებდით.

— უყურადღებოდ არ ვგრძობდი თავს, თუმცა ქათინაურს და კომპლიმენტს ვერავინ გასცდა. მხოლოდ ერთმა მოახერხა და წაიორიგინა: ყვავილებით სავსე, „მერსედისი“ კაბრიოლეტი მოაყენა პროკურატურასთან. რუსი იყო, ავლანეთის თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მსახურობდა — საღესანტო ბატალიონის უფროსი იყო. მის მიმართ სიმპათია კი მქონდა, მაგრამ მაინც გავივიე თავი: მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვყვები რესტორანში, თუ მთელ პროკურატურას დაპატიებ-მეთქი. მართლაც, „პაემანზე“ მთელი პროკურატურა წავიყვანე და ძალიან კარგადაც გავატარეთ დრო... ჩემი პროკურორი ძალიან განიცდიდა იმ ამბავს, რომ როგორც ქალს, მეგობარი არ მყავდა. ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა — ალბათ თინკოს რუსები არ მოსწონსო, — და ქართველი ოფიცრის ძებნა დაიწყო ჩემთვის. ერთ დღესაც, გახარებული და კმაყოფილი მეუბნება: Вот Тинико, наконец-то я тебе нашёл грузина. — Где вы его нашли? — კვითხე, თან ძლივს ვიკაებდი თავს, რომ მის მონღოლებსავე არ





სოსხეში – 1968 წელი

გამცინებოდა. В госпитале, полковник! მეორე დღეს, მართლა მოიყვანა ის კაცი და გვერდზე დამიყენა. ძალიან დაბნეული ჩანდა ქართველი პოლკოვნიკი, ისევ მე მოვახერხე საუბრის დაწყება: ეს კაცი შტურია, ამას ნუ უსმენთ, – ვანიშნე პროკურორზე, თქვენ ის მითხარით, აქ საიდან აღმოჩნდით-მეთქი? გერმანიიდან წამოიყვანესო, – მიპასუხა. გერმანიაში ერთ-ერთი ჩემი ბიძაშვილის ქმარი იყო პოლიკლინიკის მთავარი ქირურგი. მასზე ვკითხე – ხომ არ იცნობთ-მეთქი? გადიარია, – რას ჰქვია, არ ვიცნობ? – ჩემი ძმა, 6 წელი ერთად ვცხოვრობდითო... პროკურორი გვისმენს, არ ესმის, რას ვლაპარაკობთ, მაგრამ ინტონაციით ხვდება, რომ ეს ის საუბარი არ არის, რისთვისაც მთელი ქაბული მოიარა ქართველი ოფიცრის ტებანში. Да надоели мне эти грузины – все родственники! – ძალიან გაბრაზებულმა და იმედგაცრუებულმა წამოიძახა ბოლოს. ბევრი ვიცინეთ მაშინ. ყოველი ქართველის გამოჩენა დიდ სიხარულთან იყო დაკავშირებული. მასსოვს, როგორ შემოვიდა ჩემთან პირველად ქუთაისელი ზურა ცერცვაძე. შემოვიდა და ქართულად თქვა: „გამარჯობა!“ მეც, ანგარიშ-მოუცემლად ვუპასუხე ქართულად. არ ვიცო, უცებ რატომ ვერ გავაცნობიერე, რომ ქაბულში ვილაც ქართულად მომესალმა. „ბახტაძე ხარ შენ?“ – აი, მაშინ კი შევხედე. – „ზურა ვარ მე ცერცვაძე, ციხის უფროსი ვარ აქ გაიგე ახლა შენ, კაცო? – მე ციხის უფროსი ვარ, შენ – პროკურორი, ჩვენია, რა, ქაბული!“ მივლინებით ჩამოვედი მერე საქართველოში და მის ახლობლებს დაგურეკე ქუთაისში: ნუ ნერვიულობთ, ცოცხალია, კარგად არის, მაგისია ქაბული-მეთქი. ზურას ჩამოსვლამდე, მარტო მოვთქვამდი ხოლმე: „საქართველო-ო, ლამაზო-ო...“ ცერცვაძეს ისეთი მეორე ხმა აღმოაჩნდა... უნდა გენახათ იქ ჩვენი დუეტი...

— ავღანეთში ყოფნის პერიოდის რაიმე კუროსს ხომ არ გახსენებთ?

– გავიხსენებ. ერთი პრაპორშნიკი იყო.

ძალიან გაუჭირდა ქალის გარეშე და რა უნდა ექნა? – გაყიდა ერთი საბურავი, გადაიხადა ურვადი და წამოიყვანა პატარძალი. სხვებს რომ არ გაეგოთ, იმ სამხედრო საწყობში ჩაკეტა, რომელსაც სდარავლობდა. ერთ მშვენიერ დღეს, ოპერაციაზე მოუწია წასვლა. ქალს დაუტოვა 2 დღის სამყოფი საჭმელ-სასმელი, ცარციტ შემოუხაზა წრე და უთხრა, რომ მის მოსვლამდე, ამ წრის გარეთ არ გასულიყო. საწყობი, რა თქმა უნდა, გარედან ჩაკეტა. მის დაბრუნებამდე, საწყობიდან რაღაცის გამოტანა დასჭირდა. შევიდნენ შიგ და რას ხედავენ? – ცარციტ შემოხაზულ წრეში ავღანელი ქალი დგას და ადგილიდან არ იძვრის... პრაპორშნიკს ქალის ოჯახისთვის დაბრუნება მოუხდა. თუმცა, გათხოვილი ქალი ოჯახში ისევ რომ მიეღოთ, მას კიდევ ორი საბურავის გაყიდვა დასჭირდა...

— როგორც მასსოვს, ავღანეთში ერთი კონცერტი თამარ გვერდნითელ-მაც გამართა...

– კი, მეც დავესწარი იმ კონცერტს. ხშირად ჩამოდიოდა იოსივ კობზონი. დღეში 8 საათს მუშაობდა. სწორედ იქ დაგროვა ფული და დღეს, საბჭოთა ესტრადის ვარსკვლავებიდან ერთ-ერთი უძლიერესი ადამიანია. ხშირად ჩამოდიოდა ლუდმილა ზიკინაც, რომელსაც „ესტრადის გენერალი“ შეარქვეს. მასსოვს, ერთხელ, ზიკინა და ელიტა პიენა ჩამოვიდნენ ქაბულში, მაგრამ ზიკინას მაშინვე ტიფი შეეყარა და სასწრაფოდ გადააფრინეს უკან. პიენას სხვა ქალაქში უნდა ემღერა. მფრინავებმა ძალიან ლამაზი შეხვედრა მოუწვევეს. ყვავილები მიართვეს, ავტოგრაფები ჩამოართვეს, ლამაზი ბიჭები იყვნენ, ნარჩევები, ცისფერი თვალებით... წესი იყო ასეთი: ერთი თვითმფრინავი რომ აფრინდებოდა დავალების შესასრულებლად, მეორე მიჰყვებოდა უკან. რაღაც რომ შემთხვევოდა პირველ თვითმფრინავს, ПОИСКОВАЯ ГРУППА დამწვარი თვითმფრინავიდან გადარჩენილ ნაწილებს და გვამებს კრებდა. ამ ჯგუფში მყოფი 19-20 წლის ბიჭებიც კი ჭაღარები იყვნენ... ელიტა პიენამ გადაწყვიტა, რომ ქაბულში ზიკინას ნაცვლად ემღერა. ის მფრინავები კი, ვისაც პიენა სხვა ქალაქში უნდა ჩაეყვანათ, ოპერაციაზე გავზავნეს და დაილუნენ. სწორედ კონცერტის დაწყების წინ შეიტყო მოძღერალმა, რომ იმ ბიჭებისგან, რომლებმაც რამდენიმე საათის წინ ავტოგრაფი სთხოვეს, დამწვარი ძვლები და რჩენილი იყო. ატირებული პიენა სცენაზე გამოვიდა და მათ ხსოვნას მიუძღვნა ერთი სიმღერა...


— სიმართლე მითხარით — არც ახლა ნანობთ, რომ უფრო ადვილი ცხოვრების გზა არ აიჩრით?

– არაფერს ენანობ. ადამიანი ცხოვრების გემოს ვერ გაიგებს, ერთხელ მაინც თუ არ ნახა, რა არის ბრძოლა. გული მხოლოდ

იმაზე მწყდება, რომ 1997 წლის შემდეგ, ჩემს საქმეს მოეწყობი. ვერასოდეს ვთვლი, რომ სამსახურის გარეშე დავრჩებოდი. ავღანეთიდან ჩამოსვლის შემდეგ, სასამართლოში დავიწვე მუშაობა, მაგრამ ძალე თბილისის გარნიზონის ნაწილი დაიშალა. მე მოხუცებული მშობლები მყავდა. ახალ სამსახურში გადასასვლელად კი, იმდენი თანხა მომიხოვეს, მთელი ცხოვრება რომ ვერ შეგავროვებდი... ახლა, დამოუკიდებელი იურიდიული ფირმის გახსნაზე ვოცნებობ. თუმცა, ამის გარდა, ერთი ისეთი ოცნებაც მაქვს, რომ მემინია, არ გაგეცნობთ: ვარიეტეს გახსნა მინდა თბილისის ძველ უბანში. ოღონდ, ნამდვილი ვარიეტე უნდა იყოს, სადაც მამაკაცი ფრაკებში იქნებინ გამოწყობილები; გარეთ ქალბატონებს და მათ კავალრებს ფაეტონები დაელოდება და თბილისის ძველ უბნებში გაასერებს... რაღაცით ხომ უნდა გავიხალისოთ ცხოვრება, რომელიც ასე ხშირად გვთავაზობს უსიამოვნო სიურპრიზს?! ამას წინათ, ერთი მათხოვარი მოვიდა ჩემთან — ბოთლები ან ქილები ხომ არ გაქვთ, რომ მომცეთ? ახალგაზრდა კაცი იყო, ვინაობა ვკითხე. ავღანეთში ვიბრძოდი, – მიპასუხა. ჯერ დავეკვიცი: „ავღანელები“ ძალიან თავმოყვარე ხალხია და რა უნდა გაუჭირდეთ ისეთი, რომ კარდაკარ, ბოთლები იმათხოვრონ-მეთქი?! წვრილად გამოკითხე ყველაფერი და დაერწმუნდი, რომ მართლა იყო ავღანეთში ნაბრძოლი და ყველაზე დიდ და სარისყო ოპერაციებშიც ჰქონდა მიღებულნი მონაწილეობა. დღესაც, თუ საქართველოს დასჭირდა, ადამიანები, რომელთაც ავღანეთში უშობათ, პირველები წავლენ საბრძოლველად, მიუხედავად იმისა, რომ იციან — ნებისმიერი ომი პოლიტიკოსების თამაშია და მეტი არაფერი. იცით, რატომ წავლენ? — სხვები რომ გადაარჩინონ, იმიტომ.

— ახლა რას აპირებთ?

– სამსახურს ვეძებ და სანამ შესაფერისს ვიპოვი, სიამოვნებით შევასწავლი საბრძოლო ხელოვნებას გოგონებს, რომელთაც სურვილი აქვთ, იცოდნენ თუნდაც რამდენიმე ილეთი, რომლის საშუალებითაც ნებისმიერ ექსტრემალურ სიტუაციაში შეძლებენ თავის დაცვას.



თინა ბახგაძე

მაპ კვალაშვილს გვიან საღამოს ვესტუმრეთ, როცა სა-
გარძელში მოკალათებული ტელევიზორს უყურებდა. მის
მყუდრო ბინაში უამრავი ორიგინალური შანდალი აღმოვაჩინეთ,
რომელსაც ეკა სათუთად არჩევს და ინახავს. უზარმაზარი
პლაკატი წარწერით „ეკა“ საძინებელს „ვარსკვლავურ იერს“
ანიჭებს. ბაბუის ნახატი, რამდენიმე ძველი ნივთი და სუვენირე-
ბი მფლობელის დახვეწილ გემოვნებას უსვამს ხაზს. ძველისა
და ახლის შერწყმა შესანიშნავ შთაბეჭდილებას ახდენს.



თუ ვინმე ჩემს თავმოყვარეობას ზეესო, ვერ ვაპატიებ!

ლევა ჭანკოტაძე

ეკას საყვარელი სათამაშო, რომელსაც რატომღაც სახელი არ ჰქონია, ყოველთვის საგარძელის კუთხეშია მოთავსებული. მას მოძღვრული სიტუაციის განსამუხტავად იყენებს ხოლმე. ერთი შეხედვით უწყინარი იხვი, მოულოდნელად პირს აღებს და იმის-გრძე ენას გადმოაგდებს, რომ შეუძლებელია, შიშისა და მოულოდნელობისგან არ შეჰყვირო. ეს სათამაშო ეკამ თავის გოგონას უყიდა, მაგრამ რატომღაც მარიამმა დაიწუნა და ამის შემდეგ, აგრესიული იხვი ახალდაქორწინებულთა საძინებელში აღმოჩნდა. მან ყველანი შესანიშნავ ხასიათზე დაგვაყენა. შიშისგან ვიფიქრეთ, ვიკვილეო, მაგრამ ის ბარიერი თავისუფლად გადავლახეთ, რაც რესპონდენტსა და ჩვენ შორის საუბრის დასაწყისში ჩნდება ხოლმე.

— ჩემი რეპერტუარი გემოვნებიანი მსმენელისთვის არის განკუთვნილი. თუ თქვენ ჩემი ყველა სიმღერა მოგწონთ, ე.ი. კარგი გემოვნება გაქვთ. რეპერტუარს გულმოდგინედ და დაკვირვებით ვარჩევ. მუსიკალური გემოვნება ამ შემთხვევაში უმთავრესია. საერთოდ, გემოვნება ყველაფერშია საჭირო. გემოვნების გარეშე, არც ერთი კარგი საქმე არ კეთდება.

— ვინ არის ისეთი, ვისაც სიმღერას მანამდე ასმენინებთ, სანამ ის ჩანერის პროცესშია? ვისი აზრი გაინტერესებთ?

— როდესაც აზრი მაინტერესებს, ვკითხები ჩემს მეუღლეს, რომელიც ძალიან კარგი მსმენელია და კარგი გემოვნება აქვს. საერთოდ, ჩემი მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ოჯახმა. ყოველთვის გემოვნებიანი მუსიკა მესმოდა, მამა ძალიან კარგად მღეროდა. ის და მისი მეგობრები მრავალხმიან სიმღერებს რომ მღეროდნენ, სულგანაბრული ვუსმენდი ხოლმე. დიდი გავლენა იქონია მამიდამ, რომელიც კომპოზიტორია.

— თქვენი რეპერტუარიდან რომელი სიმღერა უყვარს თქვენს მეუღლეს?

— ბესოს საყვარელი სიმღერაა СКРИП-24 ძველი რეპერტუარიდან. ახალი სიმღერებიდან განსაკუთრებით მოსწონს სიმღერა კინოფილმიდან „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“, რომელიც სულ მალე აულერდება.

— თქვენ თქვით, გემოვნება ყველაფერში საჭიროა. ჩაცმის გემოვნებაზე ვისაუბროთ, რა გიყვართ განსაკუთრებით — შარვალი თუ კაბა?

— შარვლები ძალიან მიყვარს. ბევრი შარვალი მაქვს. უმეტესობა სპორტული სტილისაა. ჯინსის შარვალს გემრიელად ვხმარობ. შეიძლება, ძივით კვირა სწორედ ჯინსის შარვალში გავატარო. ასევე მიყვარს ჩანთები, ფეხსაცმელები, პურანგები.

— ყოფილა შემთხვევა, როცა ისეთი რამ გცმიათ, რითიც ყველა გაგიოცებიათ?

— სულ ახლახან მეცვა ფრაკი, რომელიც სულ პატარა ნაკუწებისაგან, სხვადასხვა ხარისხის ქსოვილის ნაჭრებისგანაა შეკერილი. გაოცებულები მიყურებდნენ. შეიძლება იფიქრეს კიდევ — როგორ გასჭირვებია ამ



გოგოსო?! მაგრამ მე ნამდვილად ორიგინალურად ჩაცმული ვიყავი. მე არ მაინტერესებს, ვისთვის არის მოუღებელი და ვისთვის — მისაღები. არასდროს არავის ცხოვრებაში არ ვერვინ და არავის გემოვნებას არ ვაკრიტიკებ; რაც მოსწონს ადამიანს, ის უნდა ჩაიცვას. ვერაფრით ჩავიცვამ პებლებთან ქვედაბოლოს. ვერც თმაში გავიკეთებ პებლებს.

— შეგიძლიათ დააკონკრეტოთ ის თავისებურებები, რაც გემოვნების თვალსაზრისით გახასიათებთ? მე მგონია, რომ ეს არის ვარსკვლავობა. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ახლა მოკლედ შეჭრილი თმა მაქვს, ამიტომ ვერ მისთვის ორიგინალური ფორმა ვერ შევარჩიე. ჩაცმულობაშიც განსხვავებული სტილი მიყვარს. უფრო კონკრეტულად შემიძლია ვითხრათ, რომ მიყვარს, როცა არავის ვგავარ — აი, ეს არის ჩემი გემოვნების მთავარი დამახასიათებელი თვისება. ვცდილობ, რევილუციონერი ვიყო და რაღაც ახალი შემოვიტანო, დავამკვიდრო. არ მიყვარს ტანსაცმელი, რომელიც ფორმასავით ყველას აცვია. მაგალითად: ახლა მოდაში შემოვიდა გრძელი, ბოლოაჭრილი ქვედაბოლოები, რასაც არავითარ შემთხვევაში არ ჩავიცვამ. ასევე არ ჩავიცვამ კლასიკურ კაბებს, რომელზეც შარვებს იკეთებენ. მირჩენია, მეტი გადავიხადო და შევიძინო ის, რაც ერთადერთია, ძალიან დასვენებელია და მაღალი მოდის ნიმუშს წარმოადგენს.

— თქვენს გარდერობში რომელია საყვარელი კაბა?

— რაც მაქვს, ყველაფერი მიყვარს, რადგან ტანსაცმელს საონტანურად არ ვყიდილობ. ვიცი, რა დროს რა მჭირდება და ისე ვყიდულობ. წინასწარ ვიცი, რომელ ტანსაცმელზე ზემოდან როგორი ქურთუკი უნდა ჩავიცვა.

ძალიან გაგაცხებული ვარ შანდლების შეგროვებით. ბევრნაირი შანდალი მაქვს. ყველა ლამაზია, თუმცა არც ერთი არ არის ანიკეპარული

ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეონა დვალის უბის წიგნაკრები:

1. კოტე ყუბანიშვილი ტყუბი გოგოს მამაა.
2. სანტა-კლაუსის მარხილში 8 ირემია შებმული.
3. კუნძული როდე აშშ-ის ყველაზე პატარა შტატია.



4. მადონას სასტუდიო დებიუტი 1983 წელს შედგა.
5. MM ასე იწერება რომაული ციფრებით 2000 წელი.
6. წყალს ზემოთ, აისბერგის მხოლოდ ერთი მეცხრედი მოჩანს.

7. სამხრეთ პოლუსზე უფრო ცივა, ვიდრე ჩრდილოეთ პოლუსზე.
8. ხალიჩის ხოჭოს მატლი ხშირად, კომპიუტერში ბინავდება.
9. ძვლებიდან ყველაზე ხშირად, ადამიანს ლავინის ძვალი უტყდება.
10. გერმანიის ავტომობილებზე ავტომობილის სიჩქარე შეზღუდული არ არის.
11. ფანქრით დაწერილი ერთი ასო-ბგერა ფურცელს 0,33 მილიგრამით ამძიმებს.
12. „ვლამაზი ტყუილების თქმა – აი, მიზანი ჭეშმარიტი ხელოვნებისა,“ – წერდა ოსკარ უაილდი.

13. კლინტ ისტვუდის მიერ განსახიერებული პერსონაჟი ბინძური ჰარი 44 კალიბრის „მაგნუმიტი“ იყო შეიარაღებული.

14. აბრამ ლინკოლნი, ბორის ელცინი, ელუარდ შევარდნაძე, რინალდ რეიგანი, ლორდ ბარონი, ჟოულ ვერნი, ჩარლზ დიკენსი, ლუის კეროლი, ბორის პასტერნაკი, სიმონსეტ მოემა, სტენდალი, რომენ როლანი, ლეო ქაჩელი, ანტონ ჩეხოვი, ჯეიმს ჯოისი, სტეინბეკი, ელუარდ მანე, ხოსე დე რივერა, შიშკინი, რუსუდან ფეტვიანიშვილი, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი, შუბერტი, დუნაევსკი, შალიაპინი, მენდელსონი, დიმიტრი არაგიშვილი, პლასიდო დომინგო, მარიო ლანცა, ბობ მარლი, ჯონ ტრაოლტა, თემურ წიკლაური, პატა ბურჭულაძე, პოლ ნიუმენი, ფრანკო ძეფირელი, ტოტო, მიხეილ ჭიაურელი, ელდარ შენგელაია, ოთარ იოსელიანი, ლუბოვ ორლოვა, გურამ საღარაძე, ენსებო, სოკრატესი, ტოსტაო, რობერტო ბაჯო, გეორგი ჰაჯი, რომარიო, მაიკლ ჯორდანი, ლელა წურწუშია, დათო გომართელი, შალვა ნათელაშვილი, ვანო ჩხარტიშვილი, დავით თევზაძე, რამაზ საყვარელიძე და ია ფარულავა მერწყულის ზოდიაქოს ნიშნით არიან დაბადებულნი.

15. დაჭრილისათვის სისხლის დენის შესაჩერებელი „ფგუტის“ შემოჭერა საათ-ნახევარზე მეტხანს არ შეიძლება.

16. ტროლეიბუსს, რომელიც გიორგი შავუ-

ჩემთვის სულ ერთი არ არის, რა მეცმება კახის ზემოდან.

— ტანსაცმელს სად ყიდულობთ?

— ძირითადად მაღაზიებში. კონკრეტულად არც ერთ მოდელიერთან არ ვთანამშრომლობ. თუ დამჭირდა, რომელიმე მათგანს მივმართავ. შეიძლება, ნებისმიერთან მივიდე, რადგან ყველას განსაკუთრებული ხელწერა აქვს.

— ბაკურ ბაკურაძისთვის თუ მიგიმართავთ?

— ბაკური ჩემი მამია. შინაურ მღვდელს შენობა არა აქვსო, — ჩემზე ნათქვამი. ჩემთვის არასდროს სცალია. ყოველთვის ბევრი სამუშაო აქვს.

— ფესაცმელს იმავე პრინციპით ყიდულობთ?

— ძალიან ბევრი ფესაცმელი მაქვს, მაგრამ არ მყოფნის. არა იმიტომ, რომ ვერ „დავანაწირო“ ამდენი ფესაცმლით — უბრალოდ, სხვადასხვა ტანსაცმელს, მასთან შესაბამისი ფესაცმელი ანაცვებს სტოლს. ფრანგული სტილის „შვილკას“ ვერ ჩაიცვამ ვინისზე. ტანსაცმელთან შეუფერებელი ფესაცმელი იგივეა, რაც მოწესრიგებული სახლი და ჭუჭყიანი იატაკი. ფესაცმელს უმეტესად ვაკერებ, რადგან თბილისში დიდი არჩევანი არ არის. რასაც ჩავიფიქრებ, ისეთი მოდელი არ არსებობს, რომ მაღაზიაში ვნახო. ორი არაჩვეულებრივი მოდელი — ექსკლუზიური ნამუშევრები შევიძინე ზაზა სვანიძისთან. მას კარგი მაღაზია აქვს. ჩემს მოდელიერს ნანა ჰქვია. მას ძალიან პატარა სახელოსნო აქვს, მაგრამ საუკეთესო ფესაცმელს კერავენ. რა თქმა უნდა, ყველაფერს თათა ვარდანაშვილის მოდელსაც.

— თუ დაგამახსოვრდათ, რა ეცვა ბესოს, როცა პირველად ნახეთ?

— როგორ არ მახსოვს? — შავი ჯინსი ეცვა, „კაზარკის“ სტილის ფესაცმელი, შავი პერანგი და „დოლჩე და გაბანას“ შავი „კურტკა“. ძალიან კარგად ეცვა. შავი ფერი უხდება.

— ერთმანეთის ჩაცმულობას თუ

არა მაქვს უფლება, რომ ფორმაში არ ვიყო, თუნდაც იმიტომ, რომ ქუჩაში როცა გავდივარ, ყველა მცნობს



ბესომ მომცა იმის სტილი, რომ კარგ ფორმაში ჩავმდგარიყავი და კილოგრამები დამეკლო

აკონტროლებთ?

— აუცილებლად. ყოველთვის ვითვალისწინებ მის აზრს. ასევე იქცევა ბესოც. ქართველ მამაკაცებს გარკვეული კომპლექსები აქვთ. ბესოს ეს არ ახასიათებს. იგი საერთოდ არ მზღუდავს. მიყვარს, როცა ჩემს მეუღლეს განსხვავებულად აცვია. თუ ფული მაქვს და რაღაც კარგი ტანსაცმელი ვნახე, ბესოს აუცილებლად ვუყვდი, ისიც ასევე იქცევა.

— ეი. ერთმანეთის გემოვნებას ენდობით?

— დიას. ვიცით ერთმანეთის ჩაცმულობის სტილი და ზომებიც კი.

— გემოვნების თვალსაზრისით, რა სიახლე ან თავისებურება შემოიტანა ბესომ თქვენს ცხოვრებაში?

— ბესომ მომცა იმის სტილი, რომ კარგ ფორმაში ჩავმდგარიყავი და კილოგრამები დამეკლო. ახლა ჩაცმულობის პრობლემა აღარ მაქვს — ზედმეტი წონა აღარ მაწუხებს. ბესომ ჩემს ჩაცმულობაში უფრო მეტი თავისუფლება შემოიტანა, არ მზღუდავს, შემიძლია ყველაფერი ჩავიცვა.

— ალბათ ცდილობთ, სულ ფორმაში იყოთ?

— რა თქმა უნდა. არა მაქვს უფლება, რომ ფორმაში არ ვიყო, თუნდაც იმიტომ, რომ ქუჩაში როცა გავდივარ, ყველა მცნობს. უხერხულია, რომ ცუდად გამოვიყურებოდე. ისიც არ მინდა, ჩემი მეუღლე მოუწესრიგებელს რომ მხედავდეს.

— ვისი სურვილი იყო, რომ თმა შავად შეგეღებათ?

— მოულოდნელად მოვიფიქრე. გადაწყვეტილებების მიღება უცხად მიყვარს.

— რომ არ მოგწონებოდათ?

— წინასწარ მქონდა ნაფიქრი. როგორ ფიქრობთ — შავ პარიკს არ დავიდებდი თავზე და არ ვნახავდი, შავი თმა მომიხდებოდა თუ არა?!

— სამკაულები თუ გიყვართ?

— ჩემი საყვარელი სამკაული, ქორწინების ბეჭედი.

— თქვენი შვილის ჩაცმულობაზეც თქვენ ზრუნავთ?

— მისთვის ტანსაცმელს მე ვყიდულობ, მოუხედავად იმისა, რომ ისეთ ასაკშია, როცა საკუთარი სურვილების მკვეთრად გამოვლენას იწყებს. ჩემი შერჩეული ტანსაცმელი ძალიან მოსწონს, ერთი სიტყვით, მისი ღიზინიერი ვარ.

— სომღერის გარდა, რა გატაცება გაქვთ?

— ხატვა მიყვარს, თუმცა, ჩემს ნახატებს არ ვაგროვებ. რაშიც თავს პროფესიონალად არ ვივლი, იმას საამქარაოზე არ გამოვიტან. ბაბუაჩემი — კოტე კვალაშვილი მხატვარი იყო. ხატვის ნიჭი მისგან გამომეცა. ნახატი, რომელიც საწოლის თავთან კიდია, სწორედ ბაბუას ეკუთვნის. ჩარჩოც მისი ნახელავია.

— კედელზე ეს უზარმაზარი პლაკატი თქვენ გამოსახულებით, ბესოს გაკრულია?

— ეს პლაკატი სამი წლის წინ, ბაქოში დავამზადებინე. სულ ახლახან, კედელზე ისე გავაკარი, რომ ბესომ არც იცოდა. რომ მოვიდა და ნახა, ძალიან მოეწონა.

— უამრავი ლამაზი შანდალი გაქვთ. აგროვებთ?

— ძალიან გატაცებული ვარ შანდლების შეგროვებით. ბევრნაირი შანდალი მაქვს. ყველა ლამაზია, თუმცა არც ერთი არ არის ანტიკვარული. ანტიკვარიატი არ მიყვარს, რადგან ყველა ძველი ნივთი გარკვეული ინფორმაციის მატარებელია. სულაც არ მაქვს სურვილი, ოჯახში ისეთი ნივთი შემოვიტანო, რომელიც არ ვიცი, უწინ ვის სახლში იდგა. დედაჩემს და მამაჩემს ანტიკვარიატი განსაკუთრებით უყვარდათ. ასე მეგონა, „ერმიტაჟში“ ვიზრდებოდი. მთელი ბავშვობა ანტიკვარული ნივთების და ავეჯის გარემოცვაში მაქვს გატარებული. მე კი თანამედროვე სტილი მომწონს.

— საჩუქრებს რა ადგილი აქვს თქვენს ცხოვრებაში?

— საჩუქრის მიძღვნა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ვცდილობ, ადამიანს ისეთი რამ ვაჩუქო, რომ საძულადოდ დარჩეს.

— თუ გახსოვთ, ბესოს პირველად რა მხარითი საჩუქრად?

— ჩემი თავი...

— ყველაზე ორიგინალური საჩუქარი გახსოვთ?

— რომ ვითხრათ, ვინმეს ჩემთვის მანქანა უჩუქებია-მეთქი, — ტყუილი იქნება. ძალიან გამიხარდა, როცა მეგობრებმა პარიზიდან ულამაზესი ბიჟუტერია ჩამომიტანეს. პარიზში წასულელებსაც კი გავასხენდი, ეს განსაკუთრებით სასიხარულო იყო.

— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

— დროის ფასი ყველამ უნდა იცოდეს. თითოეული წუთი და წამი ადამიანმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს. ყველაზე კარგი

დასვენება ჩემთვის შრომაა. უქმად ყოფნა არ შემიძლია. აქტიური დასვენება ჩვენთვის ის არის — როცა დაღლილები მოვლივართ შინ, მოვზარმავეთ ყვავს, ჩავრთავთ ტელევიზორს და თან ვსაუბრობთ. ზოგჯერ საუბარში დაგვთენება კიდეც.

— შვილის გაჩენას თუ აპირებთ?

— ჯერჯერობით არა. მომავალში — აუცილებლად, თუკი ამას უფალი ინებებს.

— შეგიძლიათ დაახასიათოთ ბესო? როგორი მამაკაცია?

— როცა საზოგადოებაში ვართ, ვვრძნობ, რომ ჩემ გვერდით არის კაცი, რომელიც მეთამყება. ბესო იმ მამაკაცების ტიპაჟს მიეკუთვნება, რომელიც ყოველთვის მომწონდა.

— ამბობენ, ევა ბადრი პატარვაც-ციშვილის საყვარელი მომღერალიაო. თქვენ თუ გაგიგიათ ამის შესახებ?

— კიდეც კარგი, რომ „მომღერალი“ დაამატეთ... რადგან ამბობენ, ეი. ასეც არის. ვერ გეტყვით, ალბათ მას სხვა საყვარელი მომღერლებიც ჰყავს.

— ჭორებს, რომელიც თქვენ შესახებ ტრიალებს, უმკლავდებიო?

— თბილისი ალბათ, ვერ იარსებებს ჭორების გარეშე. რადგან აქ ადამიანებს იმდენად აქვთ დაკარგული პირადი ფუნქციები, რომ სხვისი ცხოვრებით ცხოვრობენ. რა თქმა უნდა, ვლიზანდები, მაგრამ ვწუხდები. აი, თუ ვინმე ჩემს თავმოყვარობას შეეხო, ვერ ვაპატიებ!

— პრესასთან თუ გქონიათ პრობლემები?

— არასდროს მქონია, თუმცა, შეიძლება, მქონოდა, რადგან ყოფილა შემთხვევები, როცა რაღაცები მწყენია. სათაურები ჩემთვის ხშირ შემთხვევაში, მიუღებელია ხოლმე. ერთ-ერთ ჟურნალში დაიბეჭდა ინტერვიუ სათაურით: „გახდებიან თუ არა „სითისის“ ბიჭები ქეთას ნაშები“. მე ასეთ ჟურნალისტს აუცილებლად ვაგებინებდი პასუხს. ქეთა თოფურია ჯერ პატარა, უწესიერესი ბავშვია, რომელსაც ასეთი იმიჯი არ უნდა შეუქმნა. ასეთი სიბინძურე არ უნდა დაწერო მხოლოდ იმისთვის, რომ ჟურნალი გაყიდოს. ■



ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან:

ლიძეს დაეჯახა და მსახიობი იმსხვერპლა, ქალი მართავდა.

17. ფრენკ სინატრამ საკუთარი შვილის გამოსასყიდად, ბანდიტებს 240.000 დოლარი გადაუხადა.

18. სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სომხურ ენაზე ასე უღერს: ჰაიკაკან სოვეტაკან სოციალისტაკან ჰანრაპეტუთიუნ.

19. „პანიატენ ონ ბეს ლიშინს სლოვ, ევო პრიმერ — დრუემი ნაუკა, ონ სდელაჟ მნოგოუ გატოვ, მეშაიუტ ტოლკო რაკ ი შწუკა.“ — ეს ეპიგრამა გენერალ ლებელის შესახებ არის დაწერილი.

20. რობერტ ისტონი ლოს-ანჯელესელი ლოგოპედი. ბევრი უცხოელი მსახიობი მისი დახმარების გარეშე ვერ შეძლებდა წარმატების მიღწევას. ისტონი მსახიობებს აქცენტის დაძლევაში ეხმარება.

21. კალიფორნიის შტატის კანონი კრძალავს ავტომობილის ექსპლუატაციას, რომლის სიგრძეც 19 მეტრსა და 80 სანტიმეტრს აღემატება.



22. დანტესი, პუშკინის ცოლის თავიანთ-ისმცემელი იყო. P.S. ლუელში სასიკვდილოდ დაჭრილმა პოეტმა ორი დღე იცოცხლა.

23. ტყავის დასამუშავებელ სახელოსნოს დაბახანა ჰქვია. ტყავის გამოყვანად დაბახანებში ნაცარი, კირი, შაბი, მარილი, ფქვილი, ქატი, წაქა და მუხის ქერქი გამოიყენებოდა.

24. დალტონიზმით დაავადებულები ერთმანეთისგან ვერ არჩევენ წითელსა და მწვანე ფერს. ეს დაავადება უფრო მეტად, მამაკაცებშია გავრცელებული. P.S. თანდაყოლილი დალტონიზმი არ იკურნება.

25. „საქართველო დღედაღამ იარადით ხელში იდგა. მტერი ყოველი მხრიდან მოწოლილი იყო. ვსთქვით, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის, რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა. რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლისღვრასა. ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქულზედ კაცად უნდა მდგარიყო იარადით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღვილიყო და საზრდობას ვინ აძლევდა და რა აძლევდა? აი საგანი ღირშესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევედ“, — წერდა ილია ჭავჭავაძე.



ზოგიერთს მიაჩნია, რომ „მარილების და- გროვებისას“ საქმე აქვთ ათორიტიან, მეორე- ნი თვლიან, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა ათროზი, ზოგი კი ამ მდგომარეობას „პოლა- გრას“ უწოდებს. რომელია მართალი?

ათროზი – თითქმის ყველაზე გავრცელებული დაავადება მსოფლიოში, ყოველ შემთხვევაში რეგმატიულ დაავადებებს შორის. ადრე თუ გვიან, მრავალ ჩვენთაგანს გველის ათროზით დაავადება – იგი მოხუცებულობის უცვლელი თანამგზავრი. საერთოდ, საშუალოდ 45 წლის შემდეგ, ყოველ მე-6 ადამიანს ეს პრობლემა აწუხებს. მაგრამ ათროზი სუსტი სქესის წარმომადგენლებს განსაკუთრებით ეტანება. სტატისტიკის მიხედვით, ეს დაავადება ქალებს 2-ჯერ უფრო ხშირად ემართებათ, ვიდრე მამაკაცებს.

სახსარშორის ხრტილში ნივთიერებათა ცვლის დარღვევასთან დაკავშირებულ ათროზს, კიდევ ერთი, უფრო სრული სამედიცინო სახელწოდება გააჩნია – „ოსტეოართროზი“.

„მარილების დაგროვებად“ ცნობილ (განსაკუთრებით ფეხის პირველი თითების ათროზის სახით) ოსტეოართროზს, სინამდვილეში, მარილების დაგროვებასთან საერთო არაფერი აქვს. ის, რომ ათროზისას ავადმყოფების რენტგენოგრაფიაზე ხშირად ძვლოვანი ანომალია შეინიშნება, – რაიმე „დაგროვება“ კი არა, არამედ ხრტილქვეშა ძვლის წამონაზარდაა. ადამიანის ხრტილი ორ ძირითად ფუნქციას ასრულებს: სრალი და ამორტიზაცია. ნებისმიერ ძვალს საინტერესო თვისება გააჩნია: თუ მას სისტემატურად ვურტყამთ, ვუკაკუნებთ – ამ ადგილას იგი გამსხვილდება. ეს მუდმივი შიდაკაკუნის, ყოველდღიური ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც პატარა და ფაქიზ სახსრებს ტრავმას აყენებს, ხრტილოვანი ძვლის წამონაზარდის წარმოშობას იწვევს. ვინაიდან ხრტილი დატვირთვის ნორმალურ ამორტიზაციას ვეღარ ახლენს, ირღვევა სრალის უნარი, იკარგება ხრტილის მთლიანობა – თანდათან თითქოს-ღა „ცვდება“.

სწორედ ეს ხდება ათროზის მიზეზი – ქალბატონებში, რომლებიც ტერფის დეფორ-

„მუვ ფრი“: ართრიტის ფონდი ოსტეოართროზის წინააღმდეგ

მაციას მაღალქუსლიანი და ვიწრო ფეხსაც- მლით ახდენენ, აგრეთვე პიანისტებში, პრო- გრამისტებსა და მემანქანებში, რომლებიც კლავიატურას თითებით „უკაკუნებენ“. არ- თროზადმდე „დროზე ადრე“ მივყავართ აგრეთვე დიდ ფიზიკურ დატვირთვებსა და მათთან დაკავშირებულ ტრავმებს, ამიტომ ათროზი- ბი ხშირად სპორტსმენებში (განსაკუთრებით მძლეოსნებსა და ფეხბურთელებში), მოცე- კვავებსა და კასკადორებში.

ათროზის დროს მოძრაობისას სახსრებში სახსრითი კრებიტაცია (ხრაშუნა) იწყება. იგი თანდათან მატულობს და შემდეგ მუდ- მივი ხდება. ალბათ არც ღირს იმაზე საუბარი, რომ პროგრესირებადი ოსტეოართროზი არ- სებთადა აქვეითებს ცხოვრების ხარისხს, რად- გან სახსრების გარემო მყოფი ქსოვილების, სახსრების ღრუს გადაფენილი აკის (სინო- ვიტი) ანთებს და შესაბამისად ტკივილებს იწვევს. დაავადებას პროგრესირებადი ტენ- დენცია გააჩნია, ამასთან, ადამიანის მოძრაო- ბისა და მუშაობის უნარიანობას სულ უფრო და უფრო ზღუდავს. საბოლოოდ კი, შესა- ძლოა მოძრაობების სერიოზული შეზღუდვა – ინვალიდიზაცია გამოიწვიოს. ეს კი ამ შემთხვევაში სახსრების სრულ დისფუნქ- ციას ნიშნავს, განსაკუთრებით სასიფთაოა მსხვილი – მუხლებისა და მენჯ-ბარძაყის – სახსრების „შორს წასული“ ათროზი. აქ შესაძლოა განვითარდეს ძვლის ნეკროზი – ძვლოვანი ქსოვილების ნგრევა და განად- გურება. სხვანაირად რომ ვთქვათ, პერსპექტი- ვა არასახარბიელო იქნებოდა, რომ არა მეც- ნიერების წინსვლა-განვითარება. იმ შემთხ- ვეებში, როდესაც დაავადება სერიოზულად მიშვებულა, ავადმყოფის დახმარების ერთ- დერთი საშუალება რჩება: ენდოპროთეზირება – დაზიანებული სახსრის ქირურგიული ჩარე- ვით ხელოვნურით შეცვლის. მაგრამ ასეთი ოპერაცია მეტად ძვირად ღირებული, ხანგრ- ძლივი და ტრავმატულია. იგი დაკავშირე- ბულია სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვასა და რეაბილიტაციის ხანგრძლივ პერიოდთან, ხოლო ასაკობრივი მანქნებლებით ყველასთვის რეკომენდებული არ არის.

დრამატულად ისმის კითხვა: რა ვქნათ, როგორ დავიცვათ თავი ამგვარი პერსპექტივისგან, როგორ შევჩეროთ დაავადება?

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მისი დროუ- ლი დიაგნოსტირება, პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, – უფრო ყურა- დღებით მოვეკიდოთ ფიზიკურ დატვირთვებს და ზედმეტი კილოგრამები არ ვატაროთ, ათროზი ხომ თან სდევს გადატვირთვებს? თუ ავადმყოფობა მინც შემოგვპარათ, მისი მკურნალობა სასწრაფოდ უნდა დაიწყოთ, თანაც რაც უფრო სწრაფად, ეფექტი მით

უფრო უკეთესი იქნება. ფარმაცევტები მედიკა- მენტების ფართო ასორტიმენტს გვთავაზობენ, მათ შორის სტეროიდებსაც, რომელთა მკურ- ნალობის შედეგი ზოგიერთ შემთხვევაში იმ- დენად კარგია, რამდენადაც ამ პრეპარატების გვერდითი ეფექტებია არასასურველი. მაშ რაზე შევჩეროთ არჩევანი?

კომპანია „ჯეოვიტი“ და მისი სპეციალ- ისტები საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის და- ვადებების მკურნალობაში კიდევ ერთ აღ- მოჩენას გვთავაზობენ – ნატურალური პრეპა- რატი „მუვ ფრი“.

„მუვ ფრი“ – ქონდროტინ-გლუკოზამინის კომპლექსის ოპტიმალურ კონცენტრაციას წარ- მთავდევს. იგი ხელს უწყობს დაზიანებულ ხრტილოვანი ქსოვილის რეგენერაციას, სი- ნოვიალური სითხის წარმოქმნას, ზრდის სახს- რის ამორტიზაციას და მოძრაობათა მოცუ- ლობას. რაიმე გვერდითი მოვლენა არ გააჩნია! ამ პრეპარატის ეფექტურობა მრავალი კლინი- კური გამოკვლევებითაა დადასტურებული.

ამერიკული კომპანია „შიფის“ მეცნიერ- ულმა ლაბორატორიამ, რომელსაც 60-წლიანი ისტორია და გამოცდილება გააჩნია, შექმნა უნიკალური ნატურალური საშუალება არ-



თრიტების, ათროზე- ბის, ოსტეოქონდროზე- ბის, სპონდილოზებისა

და ორგანიზმის საყრდენ-მამოძრავებელი სისტე- მის სხვა დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის.


1. ართრიტებისა და ათროზების კვლევა;
2. მათი პროფილაქტიკა;
3. ართრიტებით და ათროზებით დაავად- ბულთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

ყოველწლიურად ფონდი გრანტების სახით 20 მილიონ დოლარს გამოყოფს, რაც 300- მდე მეცნიერულ გამოკვლევას ხმარდება. ისინი ართრიტების პროფილაქტიკისა და მკურ- ნალობის ასალი ეფექტური მეთოდების ძიე- ბასა და შექმნას ემსახურებიან.

ერთ-ერთი ასეთი მუშაობის შედეგი გახდა „მუვ ფრი“. ეს პრეპარატი ართრიტებისა და ათროზების მკურნალობისა და პროფილაქ- ტიკისთვის გამოიყენება.

ამ პრეპარატისა და კომპანია „შიფის“ სხვა პრეპარატების შექმნა მხოლოდ კომპანია „ჯეო- ვიტმი“ შეიძლება.

მისამართი: ილია ჭავჭავაძის 4F (ვაკის პარკის პირდაპირ), ვიტამინ-ცენტრი, კომპანია „ჯეოვიტი“, ტელ/ფაქსი: 29-20-91 (სამუშაო საათები 10-დან 18 საათამდე, შაბათ-კვირის ჩათვლით)



ჩვენ მზად ვართ თქვენი ცხოვრების ხარისხი გაავუმჯობესოთ!



მამია კახიძე

ოცი წლის წინ, დღემდე საიდუმლოებით მოცულ ავტობიოგრაფიაში დაიღუბა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე. კატასტროფა სართი-ჭალასთან, დილის ოთხ საათზე მოხდა. ქალბატონი ეთერი — ზურაბ პატარაძის ქვრივი — დღემდე იმდენად მძიმედ განიცდის მომხდარს, რომ ამდენი დროის გასვლის მიუხედავად, მას ამ თემაზე ლაპარაკი დიდ ტკივილს აყენებს. ამიტომ, ძირითადად, მისი და ბატონი ზურაბის ერთადერთი ქალიშვილი — ირინე მესაუბრებოდა, ქალბატონმა ეთერმა კი, ბოლოს, მხოლოდ რამდენიმე კითხვაზე მიპასუხა.



მთავრობის თავმჯდომარის მანქანა კაზლით დატვირთულ ტრაილერს დაეჯახა...

ირინე პატარაძე:

— მამამ „კეპეი“ (პოლიტექნიკური ინსტიტუტი. — ავტ.) დაამთავრა. სამთო ინჟინერი იყო და ჭიათურაში, მდაროში დაიწყო მუშაობა. მერე, ტრესტის მთავარი ინჟინერი გახდა. შემდგომ, რაკომის პირველ მდივნად დანიშნეს ჭიათურაში. მოგვიანებით კი, მოსკოვში, ცეკაში გადაიყვანეს.

— **თქვენ თბილისში ცხოვრობდით, ჭიათურაში თუ მოსკოვში?**

— მე და დედა, სადაც კი მამას უმუშავია, ყოველთვის მასთან ერთად ვიყავით. უჯანმთრუელესი კაცი იყო. მამაჩემისგან, დავიღალეო — არასოდეს გამოვინა; არც შევებულებაში გასულა ოდესმე. ძლიერი ბუნების, უშიშარი და პატიოსანი მამა მყავდა, რომელიც ოთხი წლის ასაკში დაობლდა და თავისი ცოდნით, ნაბიჯ-ნაბიჯ გაიარა ცხოვრების რთული გზა.

— **მოსკოვში რა თანამდებობაზე დანიშნეს და სად ცხოვრობდით?**

— საკავშირო ცეკას ინსტრუქტორი იყო. ოროთახიანი ბინა მისცეს. მანქანა არ ემსახურებოდა და მეტროთი მგზავრობდა ხოლმე. ფაქტობრივად, რიგითი თანამშრომელი გახლდათ, მაგრამ პასუხისმგებლობა არ აკლდა. ბელგოროდისა და ლიპეცკის ოლქებს კურიერებდა. კონტაქტური, უშუალო კაცი იყო, ძალიან უყვარდათ მოსკოვში, ჩვენი სახლი კი, ლამის სასტუმროდ გადავაქციეთ: ვინც კი ჩამო-

დიოდა საქართველოდან, ყველას უხაროდა ჩვენთან სტუმრობა. სხვათა შორის, მის დაკრძალვაზე რუსეთის დელაქლაქიდან უამრავი ადამიანი ჩამოვიდა... იცით, ჭიათურიდან რომ წავიდა, მთელი საღვური ხალხით იყო სავსე. დღემდე ცრემლით იხსენებენ და ერთ მდაროს მამას სახელიც დაარქვეს...

— **თბილისში როდის დაბრუნდით?**

— 1971 წელს ჩამოვედით. სწორედ იმ წელს გაიცნო ელუარდ შევარდნაძე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნობის შემდეგ, მამა 7 წელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო.

— **როგორც ვიცი, მაშინ ყველას პქონდა სახელმწიფო აგარაკი. თქვენი ოჯახიც სარგებლობდა ამ პრივილეგიით?**

— ყველა ასე იყო. ჩვენ ზამთარ-ზაფხულ თითქმის სულ წყნეთში ვცხოვრობდით. ჩვენ მეზობლად იყვნენ: ყოული შარტავა, ნოდარ ჭითანავა, ირაკლი ანდრიაძე, ჯუშბერ პატიაშვილი... ჯუშბერთან ძალიან მეგობრობდა მამა. ეს ბინაც, სადაც ახლა ვცხოვრობთ, ბატონმა ჯუშბერმა გაგვირემონტა, თორემ მე და დედას რა შეგვეძლო?!.

— **ირინე, ერთი რამ მაინტერესებს ძალიან: დედათქვენიც გვარად პატარაძეა. როგორ ითხოვა პატარაძემ პატარაძე?**


— დედა რაჭველი პატარაძეა, მამა — იმერელი, მოგვარეები იყვნენ. თბილისში, ანაგის ქუჩაზე შემთხვევით დაუნახავს მამას და ისე მოსწონებია, რომ... დედა იტყვის ხოლმე: დღემდე გაუთხოვარი ვიქნებოდი, ეს იმერელი რომ არ გადაამკიდებოდაო... ძალიან უყვარდათ ერთმანეთი...

— **თქვენს შვილს ალბათ მამის პატივსაცემად დაარქვიო ზურაბი, არა?**

— დიახ. ჩემმა მეუღლემაც ასე მოისურვა: ბიჭი არ ჰყავს ჩემს სიმამროს... ძალიან გაინახრა შვილიშვილის დაბადებით. ყველანი ვხედავდით და ვვრძობდით, როგორ უყვარდა დიდ ზურაბს პატარა ზურაბი.

— **ბატონ ზურაბის ხასიათში რაიმე განსაკუთრებულ თვისებას ხომ ვერ გამოარჩევდით?**

— მამას კაცი ჰყავდა მდივნად — გივი მაისურაძე. გარდაცვალების შემდეგ, იმდენი რამ გვიამბო, რომ გეფიცებით — თავიდან აღმოვაჩინე საკუთარი მამა... მინისტრთა საბჭოში, დარავით დამთავრებული, არავისი დაბადების დღე არ ავიწყლებოდა. გასაცარი იუმორი ჰქონდა, არაჩვეულებრივად მღეროდა. ისეთ ბანს იტყოდა ხოლმე... დედა ხშირად ეუბნებოდა: ამდენს რომ შრომობ, ძეგლს არავინ დაგიღამსო. — მე ძეგლისთვის არ ვაკეთებ არაფერსო, — პასუხობდა... იცით, საზღვარგარეთ სულ სამჯერ იყო ნამყოფი და ისიც — ოფიციალური ვიზიტებით.



დიდი და პაგარა მურაბი

— როგორი დამოკიდებულება გქონდათ, როგორც მამა-შვილს?

— განუყოფელი, განსაკუთრებული ურთიერთდამოკიდებულება გვქონდა, მიუხედავად იმისა, რომ დილის 9 საათზე გადიოდა და შუალამისას ბრუნდებოდა. ჩემი ექიმობა არ უნდოდა, ძალიან წინააღმდეგი იყო, იმიტომ, რომ ექიმები არ უყვარდა...

— დიდი ქორწილი გადაგინდა...

— არ დაიჯერებთ, მაგრამ ჩემს ქორწილში შუალამიზე მოვიდა; ყველა წასული იყო უკვე. იმ დღეს, უამრავი მინისტრი ჩამოვიდა მოსკოვიდან და შვილის ქორწილშიც კი ვერ მოვიდა, სამსახურის გამო. სხვათა შორის, სკოლაში დაუგვიანებლად დადიოდა ხოლმე მშობელთა კრებაზე. ერთხელ კი, ცეკას მდივანობისას, ტყიბულს ესტუმრა. მაღაროში რომ ჩავიდა (რა ვიცი, იქნებ მაშინაც რაღაც საეჭვო მოხდა...), მოულოდნელად ყველაფერი ჩამოინგრა ირგვლივ. მან კი, ყოველგვარი პანიკის გარეშე გამოიყვანა ხალხი... ძალიან მაკლია და მენატრება მამა. მე მამისერთად უფრო ვთვლი თავს, ვიდრე დედისერთად...


— მაინც რა მოხდა იმ საბედისწერო 5 ივნისს?

— ავარია 1982 წლის 5 ივნისს, დილის ოთხ საათზე, სართიჭალასთან ახლოს მოხდა. მანამდე, ბოლო ორი-სამი თვე, მამა თითქმის სულ „დაკარგული“ იყო. კარგად მახსოვს მისი გადაღლილი სახე. 4 ივნისს, ისევე გვიან რომ დაბრუნდა, ვუთხარი კიდევ: ასე არ შეიძლება-მეთქი... ცისფერი თვალები რაღაცნაირი, რუხი გაუხდა... 5-ში მე და დედა ჩვეულები-სამებრ, ველოდით. ღამის 12 საათზე მდი-

ვანს დაუბრუნდა და გვიპასუხა: მოსკოველ სტუმრებთან ერთად, კახეთში წავიდა ელექტროსადგურის მშენებლობაზე და ალბათ დარჩებიანო. რადგან ამბავი გავიგეთ, დავიძინეთ. დილის ხუთ საათზე, ტელეფონის ხარი გაისმა. მამიდაჩემი იყო, ჩემს მეუღლეს უთხრა: „არამიანც-შია“ (თბილისის პირველი საავადმყოფო) ზურაბი, ფეხი აქვს მოტეხილიო. შევედი დედასთან, ის თვალგახელილი იწვა; საშინელი სიზმარი ვნახეო, — მითხრა. ვთხოვე, არ ენერვიულა — მარტო ფეხი აქვს მოტეხილი-მეთქი, მან კი მითხრა: ვიცოდი, ასე რომ დასრულდებოდა ცხოვრებაო... მამას „ვოლგა“ გორიდან მომავალ, ვაშლით დატვირთულ ტრაილერს დასჯახებია. დილის ოთხ საათზე, გზატკეცილი აბსოლუტურად თავისუფალი იყო. სართიჭალასთან ინსპექტორებს გაუჩერებიათ ის ტრაილერი. საბუთები მოუთხოვიათ; უდავიათ, უგაჭრიათ, ვერ მორიგებულან და ინსპექტორებს უთქვამთ: მიაბრუნე მანქანაო. იმ მომენტში შევეჯახა მამას მანქანა ტრაილერს. ინსპექტორებმა „ყოგული“ გააჩერეს და მამა თბილისში წამოიყვანეს, უკანა სავარძელზე დაწვენილი... მანქანაში კიდევ „გოსპლანის“ (სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი. — ავტ.) უფროსი, ალექსანდრე ბუაძე იჯდა. ვიცი, რომ უკანასკნელ წუთებში, მამა მას თავის ვერცხლის ქორწილზე ესაუბრობდა: სწორედ 5 ივნისს, ჩემი მშობლების დაქორწინებიდან 25 წელი სრულდებოდა, თან იმ დღეს, ქუთაისში ყვავილების დღესასწაული ტარდებოდა და დედისთვის სიურპრიზის მოწყობა სურდა.

— ალექსანდრე ბუაძე თუ

პაგარიძეების ოჯახი — ჭიათურა 1969 წ



დაშავდა ავარიის დროს?

— მაშინ არაფერი დაშავებია, მძლოლს, დევი დადვამეს კი, მხოლოდ ერთი ნეკნი გაუტყდა. მაგრამ ერთი წლის შემდეგ, ბუაძე მოულოდნელად გარდაიცვალა პრადის აეროპორტში...

— საავადმყოფოში მამას ცოცხალს მიუსწარიო?

— მე ექიმი ვარ და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ექიმებმა არაფერი იღონეს მამაჩემის გადასარჩენად. ავადმყოფობის ისტორია რომ წავიკითხე, გული ღამის გამიჩერდა: შოკიდან არ გამოსულა და კონტაქტში არ შემოდისო, — ეწერა. არადა, ჩემს ქმარს და დედას ელაპარაკა! უთხრა: რა დროს ფეხის მოტეხა იყო? — ქუთაისში ვიყავი წასასვლელიო... მუცელზე იდებდა ხელს — მტკივაო... თაბაშირის დასადებად ოთარ ლულუშაური გამოიძახეს და გონი მისი იქ ყოფნის დროს დაკარგა. ფაქტობრივად, სისხლით ავესო მიუღი მუცლის დრუ და სისხლდენისგან დაიღუპა. მიმაჩნია, რომ ძალიან დაავიანეს ოპერაციის გაკეთება. კლინიკური სიკვდილის შემდეგ შეიყვანეს საოპერაციოში. 12 საათის განმავლობაში, არაფერი გაუკეთებიათ — რენტგენიც კი! მოსკოვიდან გამოფრენილ ექიმებს ელოდებოდნენ. სადამოს ჩამოვიდა ორი ექიმი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ასეთ პაციენტს სტუდენტიც კი გადაარჩენდა. მამას ძალიან ჯანმრთელი გული ჰქონდა.

— მძლოლი დააპატიმრეს?

— დადვამე სულ რაღაც ერთი წელი იჯდა, იმის შემდეგ, მასზე არაფერი გვსმენია. მხოლოდ ის გავიგე, რომ წარმოშობით გორის რაიონის სოფელ ბერშუეთიდან

ყოფილა. სულ ახალი — ერთი თუ ორი თვის მისული იყო მძღოლად მინისტრთა საბჭოში... ისე კი, იმ ღამეს, კახეთში, დარჩენა რომ უთხოვიათ მამაჩემისთვის, უარი უთქვამს: დილით ქუთაისში უნდა წავიდეთ. მამა ძირითადად, ღამით მგზავრობდა ხოლმე — მუდამ ეჩქარებოდა და იმიტომ... მერე გაირკვა, რომ იმ მძღოლს არც სათანადო კვალიფიკაციის საბუთი ჰქონია და ვერც იმის გარკვევა მოახერხა გამოძიებელმა, თუ საიდან გაჩნდა ეს დადგაძე მინისტრთა საბჭოს გარაჟში... წლების მანძილზე, სომეხი მძღოლი — ლიონია მართავდა მამის მანქანას. ყოველთვის მშვიდობიანად მგზავრობდნენ. მერე, საიდანღაც „მოფრენილი“ დადგაძე გამოჩნდა; ერთ დღეს მას დაჰყავდა, მეორე დღეს — ლიონიას.



ძალიან მაკლია და მენატრება მამა. მე მამისებრთაღ უფრო ვთვლი თავს, ვიდრე დედისებრთაღ...

— რა თქვა სასამართლოზე დადგაძემ — რატომ დავფეხახეთ ტრაილერს?

— რაღაც „ამიპრიალდა თვალებში“ და ვედარაფერი დავინახეთ... საოცარია — ცარიელ გზაზე გახდილი იმხელა ტრაილერი როგორ ვერ დაინახა?! თანაც, მარჯვნივ და მარცხნივ, გზის იმ მონაკვეთზე, მინდვრები იყო და თავისუფლად შეიძლო, საჭისთვის მიმართულების შეცვლა...

— რომელ სასაფლაოზეა ბატონი ზურაბი დაკრძალული?

— საბურთალოს პანთეონშია დაკრძალული. ქალბატონი ნინა ჟვანია არ მოგვცვილებია გვერდიდან, მუშებს თავზე ადგა სასაფლაოზე. საქართველოს მთავრობის თითქმის ყველა წევრი ჩვენთან იყო. შევარდნაძე პანაშვიდზეც მოვიდა და დაკრძალვაზეც, „სასახლევ“ კი ასწია... მამად მივუღო, — მითხრა. მაგრამ მერე, საერთოდ აღარ მინახავს. ჩემს მეუღლეს კი, ერთხელ დაუძახა და სამსახური შესთავაზა, მანქანაც, მაგრამ ალექომ მადლობა გადაუხადა და უარი უთხრა, რადგან არქიტექტორია და პარტიული ცხოვრება არასოდეს იტაცებდა... ეს ბინა შევარდნაძემ მოგვცა, რადგან დედას იმ სახლში შესვლაც აღარ სურდა; ჩავაბარეთ და მერე, ეს ბინა მოგვცეს. მასხოვს, ირაკლი ანდრიაძემ რომ ნახა ჩვენი სახლი, გვითხრა: ცოტა შევალამაზოთ დაკრძალვამდე — ხალხი რას იტყვისო?! დედამ ამაყად უპასუხა: არაფერს შევალამაზებ — ნახონ, როგორ ვცხოვრობთო... 20 წელი გავიდა მამის დაღუპვიდან და დედაჩემს, ვინ მოთვლის, დღეში რამდენჯერ მოსდის ცრემლი: ვაი, ჩემო ზურაბო, — გაუთავებლად იმეორებს...

ქალბატონი ეთერი:

— ზურაბი თავადაც არაჩვეულებრივი მძღოლი იყო. იმ დადგაძეზე მითხრა: არ იცის ტარება, მაგრამ ისწავლის — აბა, რა იქნებაო?! როცა ზურაბი დაიღუპა, მამინვე გავარდა ხმა — ზურაბ პატარიძეს ავარია მოუწყვესო... კახეთიდან რომ წამოვიდა, საგზაო საუშუალოზე დარეკილიც იყო, გააფრთხილეს: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მოდისო. მამ საიდან, როგორ გაჩნდა იქ ტრაილერი?!

— ქალბატონო ეთერ, ამ ბოზენ, ზურაბ პატარიძე ხშირად ეკამათებოდა შევარდნაძესო, მართალია?

— ეს ცეკას ბიუროს სხდომებზე ხდებოდა. კი, ეკამათებოდა, ოღონდ — ეკონომიკის საკითხებზე. საქმე ის არის, რომ პატიოსანი კაცი არავის უნდა, შვილო. შევარდნაძე სამინდად ღვარძლიანი კაცია. ჩემი ქმარი პატიოსანი კაცი რომ იყო, იმიტომ მოიცილეს თავიდან, მისი სიკვდილით ტუზი დაეცათ: კონკურენტი მოიცილეს — ამაშია საქმე!..

— ესე იგი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ავარიის მოუწყვეს?

— მაინცდამაინც მისი მხრიდან როგორღა დაჯახა იმ, ჩემი ცოდვით სავსე დადგაძემ, ტრაილერს?! საერთოდ, ვინ მოაწყო ის მინისტრთა საბჭოს გარაჟში?.. მეტსაც გეტყვით: ვინ გამოიყვანა ერთი წლის შემდეგ ციხიდან?..

ვინ გახიდა კახეთის გზატკეცილზე ტრაილერი?.. რა შეიძლება ვიფიქრო?! 1992 წელს, შევარდნაძე რომ ჩამოვიდა საქართველოში, ვთქვი: ჩემი მტერი ეგ არის, მაგრამ ოღონდ ქვეყანას და ხალხს ეშველოს რამე და ჯანდაბას-მეთქი... ორმოცი წლის სტაჟის მქონე ლექტორს 32 ლარი მაქვს ხელფასი; ეგ რომ ადამიანი იყოს, არ უნდა მომიკითხოს?! თუმცა, თვითონ ხომ ყველაფერს გადაურჩა. ზურაბი კი... ბევრი რამ შერჩათ ვიდაც-ვიდაცებს. 20 წლის შემდეგაც, უამრავი კითხვა პასუხგასაცემია, პასუხს კი არავინ მცემს. პირადად მე, დანამდვილებით მსოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩემი ქმრის სიკვდილით კონკურენტი მოიცილეს, ძაძები ჩამაცვეს, გული გავვიპეს მე და ჩემს შვილს და თავად ძალიან მშვიდად განაგრძობენ ცხოვრებას, შვილებით და შვილიშვილებით ხარობენ. მე რა პასუხი გავცე, ან შვილს, ან შვილიშვილებს? სად არის სიმართლე?! სიმართლე საქართველოში ბინძურმა პოლიტიკამ შთანთქა...

P.S. მართალი ვითხრათ, საოცარი სურვილი გამიჩნდა, 1982 წლის 5 ივნისს მომხდარ ავტოავარიასთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს გავცნობოდი და საკუთარი თვლით წამეკითხა გამოძიებისა და სასამართლოს მასალები, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩამივარდა: დიდი მცდელობის მიუხედავად, ზურაბ პატარიძის დაღუპვის ფაქტზე აღძრული საქმე ვერაფრით მოვიდიე, რადგან — ვინღ დაიჯერეთ, ვინღ არა — უბრალოდ, აღარ არსებობს — „გაქრა“...

ჯეონეტი საზომბონეხანოთ აქონოლონიკაი
GEONET

☎ 7620-6200 სპეციალი
 ● 800-333-6200 (საგადასახი) 10/20 დანი
 ● 057-551-777 (საგადასახი) 24 საათის განმავლობაში 8 00 50 50; 771 772
 ● 057-551-777 (საგადასახი) (Leased Lines)

☎ 206 315-7560
 ● საგადასახი (საგადასახი)
 ● აქონოლონი (საგადასახი)
 ● საგადასახი (საგადასახი) საგადასახი (საგადასახი) საგადასახი
 ● საგადასახი 47 21 25
 ● 876-333-6200 (საგადასახი) საგადასახი - 10/20 დანი
 ● 206 315-7560 (საგადასახი) 0.43 დანი

057-551-777 (საგადასახი) 47 21 25 92 21 25 **www.geonet.ge**

ახალგაზრდა პოეტის, ირაკლის ნადარაიას ბაბუა, ნიკოლოზ ნადარაია, შორეული ნაოსნობის კაპიტანი იყო. ვაჟიშვილიც სშირად დაჰყვებოდა ნაოსნობისას. მამას უნდოდა, ალექსანდრეც მეზღვაური გამოსულიყო. მაგრამ საშა ხატავდა, სამხატვრო აკადემიაც დაამთავრა... გემი მხოლოდ სამოგზაუროდ იზიდავდა. ამ მოგზაურობისას, ვერონაში შესვდა მშვენიერ იტალიელ ქალს, მსახიობ სოფი კონტის, დიდგვაროვანი ოჯახის შვილს. ბევრი წინააღმდეგობის მიუხედავად, სიყვარულმა თავისი გაიტანა. ისინი დაქორწინდნენ. სოფი საბჭოთა კავშირის მოქალაქე გახდა. სამიოდე წელი იცხოვრეს ერთად. ხან მოსკოვში იყვნენ, ხან ვენეციაში, ხანაც სოხუმში. სამიოდე წელი გაუძლო სოფიმ ქართველ ქმარს, ორი შვილი — ირაკლი და რაული — დაუტოვა და წავიდა...



სოხუმელი
მამისა და
ვენეციელი
დედის
პოეტი შვილი
ირაკლი
ნადარაია

სალომე მოშტაშვილი

ირაკლი ნადარაია 21 წლისაა. იგი მისივე პოეზიის საღამოზე გავიცანი. მაყურებელი არ იშურებდა ტაშსა და ოვაციებს... ირაკლი კითხულობდა — „სხვანაირი“, უჩვეულო ლექსებს. ამ ლექსებიდან დარბაზი ივსებოდა სიჩუმეში ჩაკარგული ხმებით, ჯახით, რიჟრაჟით, განთიადით, ერთი სიტყვით — პოეზიით...

პირველი პოეზიის საღამო ირაკლის, მსახიობმა ნინო ლეჟავამ მოუწყო „თეატრალურ სარდაფში“.

— როგორ მოხვდი აქ?

— შემთხვევით შევხვდი ჩემს მეგობრებს, ნინო ლეჟავასთან ერთად. ნინომ რომ გაიგო, ლექსებს ვწერდი, თავის სპექტაკლზე მიმიწვია. „უცნობი ქალის წერილის“ ფინალში მსახიობი წარმოთქვამს ფრაზას: „მეცანი, რა, მეცანი, რა!“ — და ხდება საშინელი რამ: ადამიანი, რომელსაც თავდავიწყებით უყვარდა ქალი, მას შიშველსაც კი ვეღარ ცნობს და ეს ქალი მთელ თავის გრძნობას, ტანჯვას, სიყვარულს ამ ფრაზით გადმოსცემს. და მე გამახსენდა, რომ მანამდე ერთი წლით ადრე, დავწერე ლექსი, რომელიც ამ სპექტაკლის ანალოგიური შინაარსისა იყო:

amarena
სისხლის დენა,
შუბლზე თმასთან,
შუბლზე თმასთან
ფრჩხილით უანი
ვერ მივანი...
რისთვის ვწერი...
მოკვდა წერი.

მერე შევიტყვე, რომ ნინო რესტორანში — „ჩვენი ეზო“ მღეროდა. მივედი მასთან და მივეუტანე ჩემი ლექსები...

— რას ნიშნავს amarena და რატომ არ წერ ამ სიტყვას მთავრული ასოთი?

— amarena იტალიური ხილია... არა, იტალიური კი არა — ალუბლის იტალიური სახელია. ამიტომ არ ვწერ მთავრული ასოთი.

— იტალიასთან ბევრი რამ გაკავშირებს?

— დედა... და იტალიური სისხლი. მე ხომ ნახევრად იტალიელი ვარ. ბოლოს, ორი წლის წინ რომ ჩავედი ვენეციაში, დედამ კატეგორიულად მომთხოვა, ეროვნება შემეცვალა და მასთან დავრჩენილიყავი. მე

კუთხარი: იმისთვის, იტალიაში რომ ჩამოვიდე და ვნახო, სულაც არ არის საჭირო, ქართველობაზე უარი ვთქვა-მეთქი.

— იქნებ, დედის შესახებ კიდევ მიაბზო რამე.

— დედაჩემი დღე-ღამის მონაცვლეობას ჰკავს ჩემს ცხოვრებაში... სულ მოგზაურობს. სხვადასხვა დროს, ცხოვრობდა ათენში, პრაღაში, მოსკოვში, ლუბლინში, რიგაში და რა ვიცი, სად აღარ... ზოგჯერ ჩვენ (მე და ჩემს ძმას) ცოცხალიც აღარ გვევონა. მერე ვიღებდით მისგან მოკლე ბარათებს, ამნათებს... ამჟამად, თავის მეშვიდე ქმართან ერთად მოგზაურობს.

— მეშვიდე ქმართან?! მგონი, მხოლოდ ლიზ ტელიორი გათხოვდა 7-ჯერ თუ 8-ჯერ... უსაუბრია დედას ოდესმე შენთან თავისი ცხოვრების, თავისი ქმრების შესახებ?

— როცა ვუბნები — დედა, ამისწინ ყველაფერი-მეთქი, — იგი ტირის და ყოველთვის ასე მპასუხობს: გული მტკიავ, შვილო, გული!.. ეს ერთი ფრაზა იცის მხოლოდ ქართულად.

— ვინ იყვნენ მისი ქმრები, ეს მაინც თუ იცი?..

— რა ვიცი, ვინ აღარ: ფრანგი, ბერძენი, იტალიელი. ახლა რუსი ებრაელი ქმარი ჰყავს, ალბათ იმასაც მალე გაეყრება...

— რატომ? რას ამბობს მის შესახებ?

— ამბობს, რომ ამოწურა ურთიერთობების შესაძლებლობები... არა, დედა ოჯახის ქალი არ არის, არც დედა(!)... ახლა, არაბ შეიხზე აპირებს გათხოვას... ვკითხე: სარწმუნოებას ხომ არ შეიცვლი-მეთქი (დედა კათოლიკეა, მე — მართლმადიდებელი)? კიდევ კარგი — არავითარ შემთხვევაში, — მიპასუხა.

— მაშატივ, ამ შეკითხვას რომ გისვამ: როგორ ფიქრობ — უყვარხარ დედას?

— ძალიან ვუყვარვართ, მეც და ჩემი ძმაც. თავისებურად ვუყვარვართ... ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მინდორში მიგვატოვა, ზამთარში, თვითონ წავიდა ძვირად ღირებული მანქანით, თბილ, მდიდრულ სახლში და გვითხრა: თუ მოაგნებთ ჩემს სახლს და მოხვალთ, ხომ კარგი, თუ არა და — თქვენს თავს დააბრალეთ... ჩვენც სულ ვეძებთ დედასთან მისასვლელ გზას...

— მამა არ გეხმარებათ ამ ძებნაში?

— მამაჩემს არ გაუძარტლა. სოხუმის კოლორიტს ეძახდნენ. ლამაზი კაცი ეთქმოდა. ახლა... ახლა უბრალოდ, ხელომცარული კაცია. ჩვენ თითქმის მარტოობაში ვიზრდებოდით. მარტოობამ ბევრი რამ მასწავლა. წავიდა დედა, დავრჩით ბებიასთან.

მერე იყო ომი. წამოვედით სოხუმის დაცე-
მამდე. მოგვიანებით ვაგვიე, რომ სოხუმში
დაიწვა ჩვენი დიდი სახლი. ეშერის სახ-
ლზე ახლაც არაფერი ვიცი. იმ პერიოდში,
დედაჩემიც ჩამოსულა იტალიიდან, როგორც
უცხოელი მოქალაქე და გადამწვარ ქალაქ-
ში გვეძებდა თურმე...

— **სად ხვდები ხოლმე დედას?**

— დედა ხშირად მიგზავნის მიწვევას
(ფულთან ერთად). რამდენჯერმე ვიყავი
მასთან ვენეციაში. ვცხოვრობდით ძველ-
ბურ სასახლეში, რომელიც შუა საუკუ-
ნეებშია აშენებული. ბევრჯერ შეაკეთეს, მა-
გრამ ძირითადი სახე შენარჩუნებული აქვს.
4-სართულიანია, ორი სართული წყალშია
ჩაძირული... საღამოობით შევიძლია ისეირნო
გონდოლით. იქ არის არაჩვეულებრივი გარე-
მო საიმისოდ, რომ წერო...

— **თანაც, დედის გვერდით ხარ,
არა?**

— მას ჩვენ გარდა, შვილები არ ჰყავს...
ერთხელ, ვენეციაში ყოფნისას მითხრა: „ირაკ-
ლი, გთხოვ, შეხელო ამ ყვავილებს. ისინი
დღეს ჩავაწვევ ღარნაკში. ნახავ — ყოველ-
დღე შეიცვლიან სახეს. ასე გაგრძელდება
მანამ, სანამ არ დაჭკნებიან. დამჭკნარ
ყვავილებს კი, უბრალოდ, ვყრი. ასე გვეძე-
ვიან ჩვენც — ქალებს. ამიტომაც გავფყარე
ექვს ქმარს... არასოდეს მოექცე ასე ქალებს,
შვილო...“

— **როდის და როგორ შეისწავ-
ლე იტალიური ენა?**

— დედამ რომ მიგვატოვა, 3 წლისაც არ
ვყოფილვარ, ჩემი ძმა მთლად ჩვილი იყო.
ბუნებრივია, დედას არ უსწავლებია ჩემთვის
იტალიური. როდესაც ვუყურებდი იტალი-
ურ ფილმს ან ვუსმენდი იტალიურ სიმღ-
ერას, მშობლიური გრძნობა მუფლდებოდა.
გადაწვევტი, ჩემით მესწავლა იტალიური,
ყოველგვარი მასწავლებლის გარეშე და
დავდექი უცნაური ფაქტის წინაშე. უცხო
ტექსტის თარგმნისას, სიტყვების მნიშვნელო-
ბას ქვეცნობიერად ვხვდებოდი და ლექსიკონში
შესაბამის განმარტებას ვპოულობდი. ახლა
იტალიურს თავისუფლად ვფლობ.

(ცნობისათვის: *ირაკლიმ თბილისის სახ-
ელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის
ფაკულტეტი დაამთავრა, ქართულისა და
იტალიურის გარდა, იცის გერმანული, რუსუ-
ლი ენები. სწავლობს ბერძნულს. — ავტ.*)

— **თუ არ ვცდები, შენი ლექსე-
ბი იტალიაშიც მოსწონთ.**

— ჩემი ლექსებით იტალიაში დაინტერ-
ესდნენ ჟურნალისტები — გარტა ბესა და
რიკარდა მარმანდუკე. რიკარდამ თარგმნა
კიდეც ჩემი რამდენიმე ლექსი და ჩაიწერა
ინტერვიუ ჩემი ლექსების ციკლის შესახებ,
რომელსაც „წმინდა ფიცარი“ ჰქვია. იტა-

ლია საქართველოსავით თბილი ქვეყანაა.
ერთ საღამოს, სინემაში, შავი გონდოლა
მთარღვევდა წყალს. მის შესახვედრად, არხ-
ის მეორე მხრიდან სხვა გონდოლა მოსრი-
ალებდა. როდესაც ერთმანეთს მიუახლოვდ-
ნენ, დაეინახე მოწყენილი ქალი, ფოტოა-
პარატით ხელში. ისეთი შეგრძნება მქონდა,
თითქოს გარტას დიდი ხანია ვიცნობდი...
ის საღამო პატარა კაფეში ვავატარეთ. გარ-
ტას ჩემი ლექსები წავუკითხე (როგორც
ირაკლი ამბობს, ლექსებს მხოლოდ ქართუ-
ლად წერს, ხოლო იტალიურად თარგმნის.
— ავტ.) და ჩვენ დავმეგობრდით...

— **ისიც მითხრეს — ირაკლი
ვანგასთან არის ნამყოფი...**

— მართალია. მაშინ 9 წლის ვიყავი.
დედაჩემის მეგობარმა წამიყვანა ბულგარეთ-
ში და იქ ვავიციანი იტალიელი მოგზაური
ეიტორ ლიონელი. ლექსებს მაშინაც ვწერ-
დი... ეიტორი მივიდა ცნობილ წინასწარმოტყ-
ველ ვანგასთან და უთხრა, რომ თან ახლდა
საქართველოდან ჩამოსული პატარა მეგობარი,
რომელსაც ირაკლი ერქვა. ვანგას კი ასე
უპასუხია: „ის ლექსებს წერს. მოიყვანეთ
ჩემთან...“ ვანგა დიდხანს მელაპარაკა. ბე-
რი რამ მითხრა ჩემს მომავალზე. ზოგი რამ
უკვე ამხნა კიდეც. წარმოიდგინეთ, რა
საოცარია, როცა წინასწარ იცი, თუ რა
გადაგხდება თავს...

— **ირაკლი, რაზე ოცნებობ?**

— ძალიან მინდა, მქონდეს საკუთარი,
დიდი სახლი — თუნდაც ისეთი, როგორიც
სოხუმში ან ეშერაში გვქონდა... კიდეც...
რომ შემეძლოს, ჩემი მეგობრის — მსახიობ
ნინო ლეჟავას ოცნებას შევასხამდი ხორცს.

— **რომელ ოცნებას?**

— ავაშენებდი დიდ „იტალიურ სახლს“,
დიდი ეზოთი. ამ სახლში თავს მოიყრიდნენ
პოეტები, მსატყრები, მოძღვრები, მსახიობე-
ბი... კედლებზე თავ-თავიანთ ავტოგრაფებს

დატოვებდნენ.

ნინო ლეჟავასაც შეეხვდი. ის უკვე აღარ
ძღერის რესტორანში — „ჩვენი ეზო“, არადა,
რამდენი საინტერესო საღამოს მოწყობა
ჰქონდა განზრახული...

ნინო ლეჟავა:


— როცა ირაკლის ლექსები წავკითხე,
გაოგნებული დავრჩი, ისეთი მგრძნობიარე
სტრიქონები, პოეტური სახეებია... მაგრამ
დღეს, რატომღაც, პოეზია მეთხარისხო-
ვანი გახდა. ირაკლის არც ფული აქვს,
არც პატრონი ჰყავს, რომ თუნდაც თავისი
ლექსების პირველი კრებული გამოსცეს.
არადა, მის ლექსებს კითხულობენ იტალ-
იაში, ესპანეთში, პორტუგალიაშიც კი...
იტალიელი მოგზაური მას თავის ესეს
უძღვინის. ქართველი ემიგრანტები ერთმა-
ნეთს გადასცემენ მისი ლექსების ხელნაწ-
ერებს, პწკარდებს...

P.S. დასასრულ, მინდა მკითხველს ისიც
უთხრა, რომ ირაკლი ნადარაია ახლა, სავ-
ამოფენო სალონ „იკებანაში“ გამოსასვლე-
ლად ემზადება. ის თავის ლექსებს წაი-
კითხავს, მათ შორის „ოროველოც“ იქნება.
ამ ლექსში პოეტი ველს, ველის სულს
უხმობს:

**მხედარი ცაიდან
და გზახთან ტერო.
ტერო ნაქცეულ
ხეების ხორცი.
მდინარეს ქვები
და ნუხიოს წერი.
წერი — ფოლორცი.
შენ თეთრი ველო,
შენ იროველო...
შენ იროველო და...**



პოემიის საღამომე
ნინო ლეჟავასთან ერთად



სალამობით, სამსახურ-რიდან დაბრუნებულები საოცარ დადლილობას გრძნობთ და გსურთ, რომ სასწრაფოდ აღიდგინოთ ძალები. მაგრამ როგორ? დაღვეთ ერთ ჭიქა ღვინოს ან შამპანურს, თუ შოკოლადის ფილის მეშვეობით ეცდებით დადლილობის მოხსნას? იქნებ, უკეთესი საშუალებაც არსებობს?

მიიღეთ აბაზანა

აბაზანის მიღება რომ დადლილობას ხსნის, ეს ყველასათვის ცნობილია. მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ, რომ საღამოს, მოძქანცველი დღის შემდეგ, უკეთესია, თუ ცხელი წყლის აბაზანას (რომელიც დამატებითი დატვირთვის მომტანია) კი არა, თბილ, ჩვენი ორგანიზმის ტემპერატურის აბაზანას მიიღებთ. აი, ის კი, რის აბაზანას მიიღებთ, წიწვოვანი ექსტრაქტისა თუ სურნელოვანი, მომადუნებელი ქაფისას – თქვენს გემოვნებაზე დამოკიდებული. სრული სიამოვნებისთვის, შეგიძლიათ, სააბაზანო ოთახში შეიტანოთ ფლეიერი და მოუსმინოთ ჩიტების ჭიკჭიკს, წყაროს ჩუხჩუხს, ზღვის ტალღების ხმაურსა თუ ბუნების სხვა საოცარ ხმებს. ოღონდაც გაითვალისწინეთ: თუ ამ დროს, სააბაზანო ოთახის კრიტიკული თვალით ყურებას დაიწყებთ და იმის ანგარიშს მიჰყოფთ ხელს, თუ რა დაგაჯდებათ მისი რემონტი, რელაქსაციას ნამდვილად ვერ მიაღწევთ.

მომჯანსვარი საშუალო დღის უმედეგ...

საოცარი დადლილობის შეგრძნება თითქმის ყველა ქალისათვის არის ნაცნობი. ჩვენი ძვირფასი დღე, კვირის მანძილზე ნებისმიერი შეიძლება გახდეს. შევბუღება ვერ კიდევ შორსაა, თქვენ კი ხვალ ისევ მოძქანცველი საშუალო დღე გელით. ჩვენი რჩევაა, ყოველ ასეთ საღამოს მოიწყობოთ რელაქსაცია (დაძაბულობის მოხსნა, მოღუნება) – თუნდაც ერთი საათით. ამ საკითხთან დაკავშირებით უამრავი რეკომენდაცია არსებობს. ვთავაზობთ, რამდენიმე მათგანს.

შინ დაბრუნებისთანავე საჭმელს ნუ ეცემით, ცოტა სული მოითქვით

სამსახურიდან ან საქმეებზე სირბილის შემდეგ შინ დაბრუნებულს, საოცარი შიმშილის გრძნობა გაწუხებთ. „მისვლისთანავე ვივასშმებ“, – ფიქრობთ გზაში და სახლში შესული, მაშინვე, სახელდახელოდ იწყებთ საჭმლის მზადებას. თუ შინ მზრუნველი ოჯახის წევრები გელოდებიან, მაშინვე ჭამას მიჰყოფთ ხელს... გირჩევთ, ნუ აჩქარდებით და ტანსაცმლის გამოცვლისა და ხელების დაბანის შემდეგ, უმაღლ ვახშობას ნუ შეუდგებით: დადლილ, დაქანცულ ორგანიზმს საკვების მიღება დიდ სარგებელს ვერ მოუტანს. აიღეთ პატარა ტაიმ-აუტი:

შემდეგისდაგვარად მოღუნდით, ჩაჯექით სავარძელში, მოუსმინეთ საყვარელ მუსიკას, ოღონდ – აუცილებლად მშვიდ მუსიკას. როცა იგრძნობთ, რომ დაძაბულობა ოდნავ მაინც მოგეხსნათ, აუჩქარებლად მიირთვით ვახშამი და ისიამოვნეთ.

მეტისმეტი არაფერი ვარგა

მათ შორის – არც წონა. არსებობს ჭარბი წონის მოშორების არაერთი ეფექტური საშუალება. მათგან ყველაზე შედეგიანი კი, კვების შეზღუდვაა, განსაკუთრებით – ძილის წინ. მაგრამ ვისაც ამ ხერხის მეშვეობით ჯანმრთელობისთვის ან სილამაზისთვის უბრძოლია, დაგვეთანხმება, რომ ეს დიდ გმირობას მოითხოვს. სალამობით, ისედაც განსაკუთრებულად დადლილი ორგანიზმში, საკვების მიღებაზე უარს, დეპრესიასთან მიახლოებული მდგომარეობით პასუხობს. მიუხედავად იმისა, რომ მშვენიერი ფიგურის პერსპექტივა თქვენში დადებით ემოციებს აღძრავს, ვიდრე საგრძნობ შედეგს მიაღწევდეთ, ეს ყველაფერი ნერვების ფასად გიჯდებათ. მაგრამ კომპრომისის გამოძებნა ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია. ნუ ჩამოყრით ყურებს და საკუთარ თავს უვნებელ სიამოვნებაზე უარს ნუ ეტყვი! აიღეთ რომელიმე ლამაზი, წვნიანი, დაბალკალორიული ხილი და მიირთვით.

საინტერესო ინფორმაცია პოსტსკრიპტუმის მაგიერ

სალამობით ტელევიზორის ყურება რელაქსაციის შესანიშნავი საშუალებაა. ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ ცისფერი ეკრანის ტყვეობაშიც ყოველთვის ვერ მოახერხებთ მოღუნებას. თუ სწორედ იმ მომენტში, როცა თქვენთვის აუცილებელია რელაქსაცია, ტელევიზორით მხოლოდ „ბოვეიკებსა“ და ტრილერებს უჩვენებენ, უძვლებსია, ტელევიზორი საერთოდ გამორთოთ. ფსიქოლოგების აზრით, ამ ტიპის სანახაობა მხოლოდ მამაკაცებს ეხმარება დაძაბულობის მოხსნაში, ქალებისთვის კი სასურველია, კომედიების, მულდრამებისა და ძველი, ეწ. რეტრო ფილმების ყურება. იმისათვის, რომ მოწყობას ტელევიზორისგან არ ელოდოთ, შეიძინეთ ვიდეოაპარატურა და თქვენთვის სასურველი ფილმები წინასწარ მოიმარაგეთ, რათა ყოველთვის მზად იყოთ პოზიტიური განწყობის შესაქმნელად.

ბოსტნეული, რომელსაც წითელი ძირხვენა აქვს	რომელი ბოსტნეული შეიცავს კაროტინს	მსახიობი ... მარსო	დაუმორჩილებელი, თავსება	ხარებთან ბრძოლა	ქალაქი, რომელშიც ჩააგარა საჭაღრაკო გურნირი ოსგაპ ბუნდერმა	დე
ბ	ო	ლ	ე	ნ	ს	მ
ფიცი მწამს, ... მაკვირვებს	სითხით, სადაც პარკის მკვავსი სიმსივნე	ალქიმოკოსები სიციხის ელექსირისათვის ექმლენ ... ქვას	ბზრიალა	კამათი, ჩხები	ინდიელთა ერთ-ერთი გომი	ფრინველი, ახალი მელანის სიმბოლ

გმირის პორტრეტი

შევხედოთ „მტერს“ თვალებში და ვალიაროთ, რომ მას მზინავი თმა, უნაზესი კანი, მომაჯადოებელი ღიმილი, უნაკლო ფიგურა აქვს და ძვირფასი კოსტიუმიც უზადოდ მოურგია. შინ იდეალური ქალი რბილი, დამთმობი ხასიათით გამოირჩევა. იგი ნაზად ესაუბრება ქმარს, მზიარულად ეთამაშება შვილებს და ამასთანავე, მტკიცე ხელით მართავს ოჯახს. დამლაშობით, ქმართან მარტო დარჩენილი, თავის მბრძანებელს ნებისმიერ სექსუალურ ფანტაზიას უსრულებს. დილაობით კი, დასვენებული, კარგად გამოძინებული და, რაც მთავარია, შესანიშნავად ჩაცმული, მტკიცე ნაბიჯით მიემართება სამსახურისკენ, სადაც სულ სხვა სტანდარტებზე მორგება უხდება: ის შეუვალი და მიზანსწრაფული ხდება... საინტერესოა – იდეალური ქალი მაინც როგორ ახერხებს ყოველივე ამას? ბევრი ჩვენგანი ამ საკითხზე არც კი დაფიქრებულა, ისე იჯერება ლეგენდას იდეალურ ქალზე და მიბაძვასაც ცდილობდა. მოდით, დავფიქრდეთ: პირველი – ვისთვის კეთდება ყოველივე ეს და მეორე – რეალურად შესაძლებელია თუ არა, გახდეს იდეალური ქალი?


გზა შინისაკენ და უკან

დავიწყოთ პირველი კითხვიდან. მასზე პასუხის გასაცემად დიდხანს ფიქრი არ დაგვიჩირდება. რაღა თქმა უნდა, ყოველივე მამაკაცების ყურადღების მისაქცევად და მათი სიყვარულის მოსაპოვებლად კეთდება. მაგრამ ვჭირდებით კი მამაკაცებს, იდეალური ქალის ნიღაბმორგებულები? საბედნიეროდ, არა. მამაკაცები არჩევანისას, მზამზარეულად მიწოდებულ რეცეპტებს როდი ეყრდნობიან – ისინი საკუთარი აზრითა და შინაგანი ინსტიქტით ხელმძღვანელობენ. ადამიანის ფსიქიკის ლაბირინთში პარტნიორის არჩევის გზა, ერთ-ერთი ყველაზე იდუმალებით მოცული სფეროა.

ახლა მეორე კითხვასაც გავცეთ პასუხი. ნუთუ, სერიოზულად გგონიათ, რომ საკუთარი ღირსებისა თუ სისუსტეების

გამუდგებით იღვანოს ღმერთი

ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ქალები სასტიკი შეთქმულების მსხვერპლნი ხდებიან. თავად განსაჯეთ: ქუჩებში — სარეკლამო დაფებიდან, პრესის ფურცლებიდან და სატელევიზიო ეკრანიდან იმდენად სრულყოფილი, იდეალური ქალები გვიმზერენ, რომ მათთან მეტოქეობის სურვილიც კი დაეკარგება ადამიანს...



ქონე, ნორმალური ქალიდან გამუდმებით მოღიმარ მანქანად გადაქცევას შეძლებთ? ან საოჯახო და სამსახურებრივ ასპარეზზე ერთდროულად იმდენად დიდ წარმატებებს მიაღწევთ, რომ ქვეყანას გააკვირვებთ? დაფიქრდით და დაასახელეთ თუნდაც ერთი ასეთი იდეალური ქალი – ოღონდ, თქვენი პირადი ნაცნობებიდან (და არა საგაზეთო სტატიების ფურცლებიდან ან ტელეეკრანიდან გაცნობილი). შეუძლებელია, ნორმალური, ცოცხალი ადამიანი შინ რბილი და დამთმობი ხასიათის ცოლი და დედა იყოს, სამსახურში კი, სრულიად საპირისპირო თვისებებს ავლენდეს და საქმიან, მტკიცე ნებისყოფის ქალბატონად გვევლინებოდეს, რომელიც თავისი შეუმცდარი გადაწყვეტილებებით ყველას პატივისცემას იმსახურებს. წარმოუდგენელია, მსგავსი მეტამორფოზა ადამიანმა შინიდან სამსახურისაკენ მიმავალ გზაზე (ან უკან დაბრუნებისას) განიცადოს!

დამშვიდდით და მოდუნდით


ისმის კითხვა: რა უნდა გქნათ შექმნილ სიტუაციაში? ჩვენი რჩევა ფრიად მარტივია – მოდუნდით! ოღონდ, რადგან იდეალი მიუღწეველია, ეს სულაც არ ნიშნავს ყველაფერზე ხელის ჩაქნევას და

ცხოვრების თვითდინებაზე მიშვებას. საუბარია იმაზე, რომ ისწავლოთ საკუთარი თავის ისეთად მიღება, როგორიც სინამდვილეში ხართ, რადგან გარშემოცოფები ასეთად აღგიქვამენ და ასეთი მოსწონხართ. ჩვენ ხომ ურთიერთობა ცოცხალ ადამიანთან გვისამოვნებს და არა სურათზე გამოსახულ მის უსიცოცხლო, ლამაზ ორეულთან.

საინტერესო ინფორმაცია
თუ იცით, რომ ფსიქოლოგების აზრით, სწორედ ზედმიწევნით მოვლილ, ბიზნესში წარმატებულ ქალბატონებს (რომლებიც ხშირად, ჩვეულებრივი ქალების შურის ობიექტს წარმოადგენენ) ემართებათ ყველაზე ხშირად ნევროზები, დეპრესიები, აქვთ ძალზედ გართულებული ურთიერთობა შვილებთან და ქმრებთან და რეველარულად მიმართავენ ფსიქოთერაპევტებს? აი, ისეთი ქალები კი, რომლებმაც კარიერაში დიდი მწვერვალები ვერ დაიპყრეს, მაგრამ მყარი ოჯახი, ქმარი და რამდენიმე შვილი ჰყავთ – უფრო ხშირად ირწმუნებიან, რომ საკუთარ თავთან და სამყაროსთან პარმონიაში იმყოფებიან. როგორც იტყვიან, დასკვნა თავად გამოიტანეთ...

მა „... ელონი“	... ია, თითი	მორმეს ანბანის ერთ-ერთი ნიშანი	წნეხი	ფილმი, ლეილა აბაშიძის მონაწილეობით	თევზის ძელი	გერმანიის ფაშისტური პარტიის წევრი	რომის პაპის გამრგვინი
ივი	წყნარი ოკეანის რომელ კუნძულზე ცხოვრობდა პ. ვოლფი	დასჯის შობა, რომელიც სახელმწიფომ 1937 წელს გააგარა	წინასწარ მიცემული თანხა	სახლი, სადაც ფულს ჰკრიან	შარდის ბუშტის ანთება	უარყოფითი პასუხი	

ავადმყოფობისა თუ განსაცდელის დროს, ადამიანები ლოცვით მიმართავენ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, წმინდა ანგელოზებს და წმინდანებს და მათგან შემწეობას ითხოვენ, რადგან მათ ჩვენთვის, ღვთის წინაშე შუამდგომლობა შეუძლიათ... რომელ წმინდანს, წმინდა ანგელოზს და ღვთისმშობლის ხატს უნდა ვევედროთ, სხვადასხვა დაავადებითა თუ განსაცდელის ფაზს?



რომელ წმინდანს ვევედროთ?

მორენა მერკვილაკე

თავის ტკივილისას – ღვთისმშობლის ხატს „ცოდვილთა თავმდები“; იოანე ნათლისმცემელს; დიდმოწამესა და მკურნალს პანტელეიმონს.

თვალეების დაავადებისას – ღვთისმშობლის ხატებს: „ცოდვილთა თავმდები“ და გეთისმანის ღვთისმშობლის ხატს; დიდმოწამე ბარბარეს; მოწამე ლონგინოზ ასისთავს; წმ. მართალ სვიმონს, ვერხოტურელ საკვირველმოქმედს; წმ. დედოფალ შუშანიკს; ლუკა მახარობელს; მოწამე ლავრენტი მთავარდაიკონს; დიდმოწამე მინას; წმ. ნიკიტა დაყუდებულს, ნორვეგიელ ეპისკოპოსს; წმ. ალექსი სასწაულმოქმედს, მოსკოველ მიტროპოლიტს; დიდმოწამესა და მკურნალს პანტელეიმონს.

კბილის ტკივილისას – ღვთისმშობლის ხატს – „ცოდვილთა თავმდები“; მღვდელმოწამე ანტიპას; წმ. იონას – მოსკოველ მიტროპოლიტს.

სიცრუისა და ყურის დაავადებებისას – წაიკითხეთ მარკოზის სახარება: 7, 32-37; ევედრეთ „მოულოდნელ სიხარულად“ წოდებულ, ქართულ და კალუგის ღვთისმშობლის ხატებს.

თიაქრის შემთხვევაში – დიდმოწამე არტემიოსს; ღირს თეოდორეს, სტუდიელ ილუმენს.

ყელის ტკივილისას – ღვთისმშობლის ხატს – „ყოველთა მწუხარეთა სიხარული“; მღვდელმოწამე ვლასის, სებასტიელ ეპისკოპოსს.

ხელეების ტკივილისას, ტრავმისა და სხვა დაავადებებისას – „სამხელეიანად“ წოდებულ ღვთისმშობლის ხატს; ღირს იოანე დამასკელს.

მუცლის ღრუს (კუჭის) დაავადებებისას – დიდმოწამე პანტელეიმონს; უვერცხლო მოწამეებს კვიროსსა და იოანეს; დიდმოწამე არტემიოსს; ღირს სერაფიმე საროველს; ღირს თეოდორეს, სტუდიელ ილუმენს.

ჭლექსას – ღვთისმშობლის ხატს – „ყოველთა მწუხარეთა სიხარული“; წმინ-

და დიმიტრის, როსტოველ მიტროპოლიტს. ცივ-ცხელებისას – ღვთისმშობლის ხატს – „ცოდვილთა თავმდები“; მოწამე მირონ ხუცესს; ღირს ბასილ ახალს.

ჩვილი ბავშვის ავადმყოფობისას – წმ. იულიანეს, კენოზანიელ ეპისკოპოსს. ყრმათა ავადმყოფობისას – დიდმოწამე ბარბარეს; დიდმოწამე პარასკევას; დიდმოწამე პანტელეიმონს; მართალ სვიმონ ღვთისმამოქმედს.

ფეხების ტკივილისას: კოჭლობის, ტრავმის და სხვა დაავადების დროს – „სამხელეიანად“ და „შვიდისრიანად“ წოდებულ ღვთისმშობლის ხატებს; ღირს სერაფიმე საროველს; წმ. მართალ სვიმონს, ვერხოტურელ საკვირველმოქმედს.

ძლიერი სისუსტისა და ფიზიკური უძლეურობისას, რასაც თან ახლავს უძილობა, უმადობა – ღირს ალექსანდრე სვირელს; ღირს ნიკიტა მესვეტეს. „ქალური“ სისხლდენების დროს – მღვდელმოწამე იპატის, ღვთისმშობლის ხატს.

უშვილობისას – მართალთა იოაკიმესა და ანას; ღირს ექვთიმე დიდს; წმ. მოწამე დედოფალ შუშანიკს; წმ. მოციქულთასწორ ნინოს – ქართველთა განმანათლებელს; ღირს რომანოზ განდევილს, ანტიოქიელს; კიევის ქვაბთა შინა დაეანებულ მოწამე ჩვილს; ბეთლემში ჰეროდეს მიერ მოწყვეტილ ათოთხმეტ ათასთავანს.

მშობიარობისას – დიდმოწამე ანასტასიას, მწვალებლობათა დამხსნელს; მართალ მშობლებს იოანე ნათლისმცემლისა, ზაქარიასა და ელისაბედს; ღირს მელანია რომაელს; დიდმოწამე ეკატერინეს.

ძუძუთი კვების სიძნელეებისას – „მეძუძურად“ და „მკურნალად“ წოდებულ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატებს; მღვდელმოწამე იპატის, ღვთისმშობლის ხატს.

გველის ნაკბენის დროს – წმინდა იერემია წინასწარმეტყველს.

წყალმანკისას – წმ. დიდმოწამე ქეთევანს, კახეთის დედოფალს.

ეპილეფსისა ავადმყოფობისას – ტინ-

ვინის ღვთისმშობლის ხატს; მთავარანგელოზ სელაფიელს; მოწამე ვიტეს.

უძილობისას – მფარველ ანგელოზს; შვიდთა ყრმათა ეფესელთა – მაქსიმოლიანეს, იამბლხოსს, მარტინიანეს, იოანეს, დიონისეს, ექსაკუსტოლიანეს (კონსტანტინეს) და ანტონინეს; ღირს ალექსანდრე სვირელს.

სიმთვრალისა და ლოთობისგან – ღვთისმშობლის ხატებს: „ცოდვილთა თავმდები“ და „ბარძიმი დაულეველი“; ღირს მოსე შავს; მოწამე ბონიფანტეს.

უეცარი სიკვდილისგან დასაფარავად – მღვდელმოწამე ხარლამპის; მღვდელმოწამე სალუკს, სპარსელ ეპისკოპოსს.

რომ არ გარდაიცვალო უზიარებლად – დიდმოწამე ბარბარეს.

როცა მშობლებს სურთ ვაჟიშვილის შექმნა – ღირს ალექსანდრე სვირელს.

ეშმაკეულთა განსაკურნებლად, ჯადოქრობისა და საერთოდ, ბოროტი სულელებისაგან თავის დასაცავად – ღირს ილარიონ ქართველს; ღირს მაკარი ალექსანდრიელს; მოწამე აბო ტფილელს; ღირს გრიგოლ ხანძთელს; მღვდელმოწამე კვიპრიანესა და მოწამე იუსტინა ქალწულს; წმ. მღვდელმთავარს ნიფოტს, კვიპრელ ეპისკოპოსს; მოწამე ტრიფონს; ღირს მარუთას, მესობოტამიელ ეპისკოპოსს; წმ. ტინონს, ვორონეველ ეპისკოპოსს; ღირს იოანეს – ექვთიმეს მამას, ათონელს.

ყოველგვარ სნეულებასა ზედა – დიდმოწამე პანტელეიმონს; დიდმოწამე გიორგის; მოციქულთასწორ ნინოს; მოწამე დიმიტრე ექიმს; მოწამე დედოფალ შუშანიკს; მოწამე თალაღე ექიმს; ღირს ილარიონ ქართველს; ღირს სამსონ უცხოთმემწყნარებელს; უვერცხლოთ: კვიროსსა და იოანეს; კონმასა და დამიანეს; ასიელებს, რომაელებს და რომელნი იყვნენ არაბეთიდან; წმინდა სპირიდონს, ტრიუმფურტელ ეპისკოპოსს, საკვირველმოქმედს; მღვდელმოწამე ერმოლაოზს, წმინდა პანტელეიმონის მოძღვარს; მოწამე ანტიოქე მკურნალს; მოწამე ფოტოისსა და ანკიტეს; ღირს პიმენს; მღვდელმოწამე მოკიოსს, ამფიპოლელს.

სიბრმავისას – ღვთისმშობლის ხატებს: ყაზანის, იერუსალიმის, ქართულ, პოჩაევის, ტიხვინის, მსწრაფლშემსმენელს; წმ. იულიანეს, კენოზანიელ ეპისკოპოსს. დიდმოწამე დიმიტრი თესალონიკელს; წმ. ბასილ ნეტარს, მოსკოველს; წმ. ნიკიტა დაყუდებულს, ნოვგოროდელ ეპისკოპოსს; ღირს ევროსინეს (ევლოკიას) მოსკოველს; მოწამე ლუდმილას, ჩეხეთის დედოფალს; წმ. ალექსი სასწაულმოქმედს, მოსკოვის მიტროპოლიტს.

თამაზ ქორქოლიანი

ეს ეკლესია, მამადავითის ეკლესიის გვერდით, IX საუკუნეში აუგიათ. X-XI საუკუნეებში, ის, მონასტრის სახელით, ათონის ივერთა მონასტრის გამგებლობაში ყოფილა.

ივერთა ათონის მონასტერი 980-983 წლებში დააარსეს თორნიკე ერისთავმა და იოანე მთაწმინდელმა ბალკანეთში, ქალკედონიის ნახევარკუნულზე. თორნიკე ერისთავი ტაოელი დიდებულის, ჩორდვანელის ძე, ერობაში დავით III კურაპალატის სახელმძღვანელო სარდალი იყო. იმ დროისათვის, როდესაც ბიზანტიის კეისარს ბარდა სკლიაროსი (სპარსეთის გამგებელი) აუჯანყდა (979 წ.), მოხუცი თორნიკე ერისთავი ბერად იყო აღკვეცილი საბერძნეთში, ათანასე დიდის ლავრაში. დავით კურაპალატმა ბიზანტიის კეისარს 12 ათასი ქართველი მეომარი გაუგზავნა დასახმარებლად და ლაშქრის სარდლობა თორნიკე ერისთავს სთხოვა. ბერად შემდგარი მხედართმთავარი თავიდან უარს ამბობდა ბერძენთა და ქართველთა გაერთიანებული ლაშქრის სარდლობაზე, შემდეგ კი დათანხმდა და სასტიკ ბრძოლაში დაამარცხა ურჯულო სკლიაროსის ლაშქარი, რითიც „იხსნა ბიზანტია და განადიდნა ქრისტეანობის სახელი ქვეყანასა ზედა“ გამარჯვებას ხუთი ათასი ქართველი მხედარი შეეწირა. (ამ ბრძოლას აღწერს აკაკი წერეთელი თავის პოემაში, „თორნიკე ერისთავი“). ბიზანტიის საიმპერატორო კარის დაპირების შესაბამისად, ბრძოლაში მოპოვებული, ურიცხვი ნაღავლი თორნიკე ერისთავს მიეკუთვნა. ნაწილი ამ სიმდიდრისა მან წმინდა ათანასეს ლავრასა და ბერძენთა სხვა მონასტრებს შესწირა, ნაწილი საქართველოში გამოგზავნა ქერივობლებისათვის, ხოლო უდიდესი ნაწილი წმინდა მთაზე, ათონის ივერთა მონასტრის აგებას მოახმარა, რომლის მშენებლობაც 983 წლისათვის დასრულდა.

ათონის ივერთა მონასტერი საუკუნეების განმავლობაში იყო არა მარტო ბიზანტიაში მყოფ ქართველთა საეკლესიო ცენტრი, არამედ იგი ჩამოყალიბდა და განვითარდა, როგორც ზოგადქართული სულიერი კულტურის უდიდესი ცენტრი საზღვარგარეთ. აქ აღმოცენდა და ჩამოყალიბდა ლიტერატურული სკოლა, რომელსაც სათავეში ედგნენ ექვთიმე მთაწმინდელი და მისი ტრადიციების გამგრძელებელი გიორგი მთაწმინდელი. მონასტერში მრავალდებო-


„ჭოი შთანშინ დაე, შთაო ნშინ დაე...“

როგორც „გზის“ წინა ნომერში აღვნიშნეთ, მთაწმინდაზე, მამადავითის ეკლესიის გვერდით, მეორე სამლოცველოა აგებული. ამჯერად სწორედ ამ ნაგებობის შესახებ მოგიხსნათ — ცხადია, შესაბამის ლიტერატურაში არსებული, საკმაოდ მწირ მონაცემებზე დაყრდნობით.

და ქართული ხელნაწერები, ითარგმნებოდა მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლები და იწერებოდა ორიგინალური თხზულებანი. მონასტრის მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი მსოფლიო სარბიელზე ქართული კულტურის ნიმუშების გატანას.

დღიდან დაარსებისა, ათონის ივერთა მონასტრის ქართველი მოღვაწენი, დევნაშევიწროებას განიცდიდნენ ერთმორწმუნე ბერძენებისაგან. მიუხედავად ამისა, ქართული კულტურის ლამაზი წმინდა მთაზე, მაინც ჩაუქრობლად ენთო ცხრა საუკუნეზე მეტხანს. 1900 წელს, ათონის ივერთა მონასტერში 51 ქართველი ბერი იყო დარჩენილი. დღეისთვის კი, ამ გრანდიოზულ ნაგებობას ბერძენი ბერები ეპატრონებიან.

სწორედ ამ მონასტრის გამგებლობაში გადასულა მამადავითის მთაზე აშენებული მეორე ეკლესია და რადგან ათონის მონასტერი ქალკედონიის ნახევარკუნძულზე, წმინდა მთაზეა აშენებული, მამადავითის მთისთვისაც მეორე სახელი – მთაწმინდა უწოდებიათ. ძველი თაობის ისტორიკოსი, პლატონ იოსელიანი განმარტავს: „ქართველებს ჰქონდათ შესანიშნავი ჩვეულება – კლასიკური და ერთმორწმუნე საბერძნეთიდან და პალესტინიდან თავის მიწაზე გადმოეტანათ ქრისტეანულ ტაძართა ნიმუშები და მათი აგებისას მიეცათ მათთვის პირველადი სახელწოდებანი: ნიქოზი, ატენი, კორინთო, გეთსიმანია, იტრია, ანტიოქია, ქაბენი. ამრიგად ათონის მთიდან სახელწოდება მიიღო მთამ, რომელიც თბილისის დარავჯობს სამხრეთ დასავლეთის მხრიდან, ხოლო მასზე აგებულ ეკლესიას აქვს ქართული სახელწოდება „წმინდა მთისა“ – „მთაწმინდა“. მკვლევართა ერთი



ნაწილი საკვებით იზიარებს პლატონ იოსელიანის მოსაზრებას. სხვები კი, კერძოდ – მ. ენიკოლოფაშვილი არ ეთანხმება ისტორიკოსის მოსაზრებას. „საეჭვოა, რომ პატარა ეკლესიისთვის ესოდენ ცნობილი მონასტრის სახელი ეწოდებინათ... მაშინ შეეცდებოდნენ, ახლად აგებული ტაძრისთვისაც ისეთივე სიდიადე მიეცათ“. მკვლევარის აზრით, რადგან მთაზე მეორე ეკლესია ააგეს და ადრე, შესაძლებელია, მასზე სხვა წმინდა ნაგებობებიც ყოფილიყო, თავისთავად დასაშვებია, ხალხს მისთვის მთაწმინდა ეწოდებინა – უბიწოს მნიშვნელობით. მით უმეტეს, რომ: „ტოპონიმი „მთაწმინდა“ არც ერთ ადრეულ წერილობით ძეგლში

ათონის ივერთა მონასტერი



არ მოიხსენიება და მხოლოდ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 1541 წელს გაცემულ სიგელში დასტურდება“.

მეოცე საუკუნის დასაწყისამდე, ორივე სახელწოდება თანაბრად გამოიყენებოდა და სინონიმებს წარმოადგენდა. შემდეგ, მამადავითის ცნება დავიწროვდა და იგი მარტო ეკლესიებს, ბერების სენაკებსა და დღევანდელი პანთეონის ტერიტორიას მოიცავდა, თუმცა, მთაწმინდის პარალელურად, დღესაც იხმარება ცნება „მამადავითის მთა“.

მეთერთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებში, მთაწმინდის როლი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთობ შესუსტებული ჩანს. მ. ჩორგოლაშვილი (წიგნის – „მთაწმინდა“ ავტორი) იმოწმებს ზემოთ ნახსენებ სიგელ-გუჯარს, რომლის ძალითაც, კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკ II ნებას რთავს ბერ ძმებს – დავით და ნიკოლოზ გაბაშვილებს, მთაწმინდაზე, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის ასაშენებლად. მათვე შეუწირავთ ეკლესიისთვის მიწის ნაკვეთი მდინარე ხრამის შემოგარენში. გაბაშვილების მიერ აშენებული ეკლესიისათვის შეუფარებია თავი, თავისი გამორჩეული შვილის – ლევანის დალუპვით დამწუნრებულ მეფე ერეკლე მეორეს. თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში, მთაწმინდიდან მართავდა მგლოვიარე მეფე ქართლ-კახეთს. ეკლესიამდე ქალაქიდან მისასვლელი ბილიკიც მაშინ გაუკვალავთ ნაზირ-გეზირებს (იმ დროს, თბილისი კოჯრის კართან, დღევანდელი ლესელიძის ქუჩის დასაწყისში მთავრდებოდა; იყო მეორე, უფრო ციცაბო ბილიკი, რომელიც დღევანდელი ბესიკის ქუჩით ადიოდა ბეჭობზე). ხოლო 1795 წელს, კრწანისის ომის შემდეგ, როცა თბილისში ალა-მაჰმად ხანი შემოიჭრა და თხუთმეტი დღის თარეშის

შემდეგ, ქალაქში არც ერთი ქართველი არ დატოვა ცოცხალი, უვნებლად გადარჩენილა მამადავითზე შეფარებული ორმოცდაათი მოქალაქე. ეს ფაქტი იმის მაუწყებელია, რომ მთაწმინდაზე მტერს არანაირი მატერიალური სიმდიდრე არ ეგულებოდა...

გაბაშვილების მიერ აგებულ ეკლესიას 200 წელი უარსება. 1809 წელს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ანტონ მეორის (ერეკლე მეფის ძე, მღვდელმთავარი 1811 წლამდე – მანამდე, ვიდრე საქართველოს ეკლესიას ჩამოერთვა ავტოკეფალია და მას რუსეთის იმპერიის მიერ დანიშნული ეგზარქოსები მართავდნენ; შეგახსენებთ, რომ ავტოკეფალია აღდგა 1917 წლის მარტში) ბრძანებით, ეკლესია დაუნგრევათ. კათოლიკოს-პატრიარქს ახალი ეკლესიის აშენება, ქაშვეთის ეკლესიის მეორე მღვდლისთვის – თომა გრიგორიევისთვის დაუვალბა. მამა თომას, მორწმუნეთა შორის შემოწირულობები შეუგროვებია და ეკლესიის მშენებლობაც დაუწვია, რომელიც 1810 წელს დაასრულა კიდევ. შემდეგ, ეკლესიის ირგვლივ მოაწყო მოედანი, დარგო ხეხილი, გააფართოვა მამადავითზე ასასვლელი ბილიკი, გაიყვანა ახალი გზა, რომელიც ქალაქის ძველ ნაწილს უერთდებოდა (ე.წ. კომკავშირის ხეივანიდან) და თალით გაამაგრა კლდიდან გამოძვალვი წყარო. ახალი ეკლესია, ფერისცვალების სახელზე არქიმანდრიტმა ტრიფილიომ აკურთხა, ხოლო ეკლესიის წინამძღვრად მისი აღმშენებელი თომა გრიგორიევი დანიშნა. სიონის საკათედრო ტაძრიდან ახალ ეკლესიაში სამუდამოდ გადასვენეს წმინდა მამა დავითის ხატი. იმავე წელს, ეკლესია სამრევლოდ გამოცხადდა.

ეკლესიის აღმშენებლის, თომა გრიგორიევის მამა, გრიგოლ ფირანიშვილი, ერეკლე მეფის ძის – იულიან ბატონიშვილის მამის წვერი ყოფილა და მასთან ერთად, რუსეთშიც უმოგზაურია. თომას მამის სახელი – გრიგორი – გვარად გადაუკეთებია და საფუძველი ჩაუყარა ახალი განშტოების გვარისთვის – გრიგორიევისთვის (გრიგორაშვილი). 1817 წელს, მამა თომა გრიგორაშვილს კავკასიის მთავარმართებელ ერმოლოვისთვის, მამადავითზე ამაველი გზის გაფართოება უთხოვია, რის პასუხადაც რუსმა გენერალმა გამოყო მესანგრეთა ერთი ბატალიონი და გზის გაფართოება უბრძანა. რამდენიმე თვის მუშაობის შედეგად, ჯარისკაცებმა გაჭრეს და გააფართოეს ეკლესიასთან მისასვლელი გზა, რომელმაც შემდეგ, ახალი ეკლესიის აშენება გააადვილა. რადგან თომა გრიგორაშვილის მიერ აშენებული ეკლესია მცირე ზომისა იყო და სახურავიც ხის ჰქონდა, 1861 წელს, ეგზარქოსმა ევსევიმ მთაწმინდაზე ახალი, უფრო დიდი ეკლესიის აგება განიზრახა. ამავე წლის 16 ოქტომბერს, აკურთხა მომავალი ეკლესიის საძირკველი. ეს ეკლესია ქრისტიან მორწმუნეთა შემოწირულობების ხარჯით, 10 წლის განმავლობაში შენდებოდა. 1871 წლის 12 სექტემბერს მოხდა ახალი, დიდი ეკლესიის კურთხევა. თავდაპირველად ეკლესია უგუმბათო ყოფილა. გუმბათი მას 1877 წელს, დეკანოზმა იოსებ გრიგორიევემ დაადგა (თომა გრიგორიევის შვილი; მანვე მოახატვინა კედლები და მოაგებინა იატაკი).

ახალი ეკლესია საკმაოდ დიდია: მისი სიმაღლე, ჯვრიანად, 25,7 მეტრია, სიგრძე – 17,2 მ, სიგანე – 10,7 მ. ეკლესიაში, მგალობელთა გუნდის ჩათვლით, თავისუფლად ეტევა 400 ადამიანი. მართალია, ეკლესია არ გამოირჩევა ქართული ტაძრებისათვის დამახასიათებელი არქიტექტურული ბრწყინვალეობით, მაგრამ მისი გუმბათის ყელს, პირამიდულ სახურავსა და გვერდითი ფასადის ფონტონებს მაინც დაჰკრავს ქართული სურათმოდერნისათვის დამახასიათებელი სილამაზის ელფერი.

ამრიგად, დღეს მთაწმინდის ფერდობზე, მამადავითის მთაზე, ერთიმეორის გვერდით დგას ფერისცვალების პატარა და მამა დავითის სახელობის დიდი ეკლესიები.

ჯენიფერ კაპრიატი

აღმასვლა, დაბემა

და «მკვდრებით აღდგომა»

ალექსი რეხვიაშვილი

ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია საქვეყნოდ ცნობილ იმ სპორტსმენებზე, რომლებიც თავიანთი სკანდალური ცხოვრების წესის გამო, ხშირად ექცეოდნენ ყვითელი პრესის ყველაზე გავლენიან გამოცემათა ყურადღების ცენტრში. სწორედ ასეთ სპორტსმენთა კატეგორიას მიეკუთვნება ჩოგბურთის ამერიკელი ვარსკვლავი, ჯენიფერ კაპრიატი, რომელმაც თავისი ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, უკვე მოასწრო არა მარტო საჩოგბურთო მწვერვალების დაპყრობა, ოლიმპიური ჩემპიონობა და საერთო-სახალხო სიყვარულის მოპოვება, არამედ ნარკომანობაცა და სარეაბილიტაციო კლინიკასა და სასამართლოს განსასჯელის სკამზე მოხვედრაც. გარდა ამისა, ჯენიფერის თავგადასავალი ერთ-ერთი ამერიკული მაღალრეიტინგული მინისერიალის სიუჟეტად გამოიყენეს. მისი ავტობიოგრაფიული წიგნი კი, ექვსი თვის განმავლობაში აშშ-ის საუკეთესო ბესტსელერების ათეულში შედიოდა. კაპრიატი ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ ჩოგბურთელად ითვლება და ეს არც არის გასაკვირი. მან ხომ თავისი საჩოგბურთო კარიერის მანძილზე რამდენჯერმე შეძლო მარტინა ნავრატილოვას დამარცხება, ხოლო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც რიჩარდ უილიამსი თავისი გოგონების – ვინუსისა და სერენასათვის სპონსორებს ეძებდა და თავქარიან კურნიკოვასაც არავინ იცნობდა, ჯენი უკვე ოლიმპიური ჩემპიონი და ამერიკელთა საყვარელი სპორტსმენი იყო და სარეკლამო კონტრაქტებითაც გვარიან ფულს შოულობდა. საულისხმოა ის ფაქტიც, რომ კაპრიატიმ აღმასვლისა და დაცემის შემდეგ, კვლავ მოახერხა ფეხზე მყარად დადგომა, რაზეც Reuters-ის ვერსიით მსოფლიოს 2001 წლის საუკეთესო სპორტსმენ ქალად მისი დასახელებაც მეტყველებს.

ჯენიფერ კაპრიატიმ პროფესიონალურ ტურნირებში მონაწილეობა 14 წლის ასაკში დაიწყო და მაშინვე დიდი ფურორი მოახდინა. საშუალო სიმაღლისა და მკვრივი აღნაგობის ჯენი, რომელსაც სახეზე მუდმივად „ამერიკული ღიმილი“ დასთამაშებდა, ელვისებურად შეიჭრა სა-



დოსია:
 სრული სახელი: Jennifer Marie Capriati
 დაბადების თარიღი: 1976 წლის 29 მარტი
 დაბადების ადგილი: ნიუ-იორკი
 სიმაღლე: 170 სმ
 წონა: 61 კგ
 თამაშობს: მარჯვენა ხელით
 პროფესიონალის სტატუსი: 1990 წლის 5 მარტიდან
 რეზიდენცია: Wesley Chapel (ფლორიდა, აშშ)



ჩოგბურთო ელიტაში და რამდენიმე წლის განმავლობაში ტოლს არავის უღებდა. კაპრიატის ყველაზე დიდ სპორტულ მიღწევად 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვება იქცა, რის შემდეგაც მან უდიდესი პოპულარობა მოიპოვა მიუღწეველი მანამდე კი, ჯენიფერმა უიმბლდონის ტურნირსა და ამერიკის ღია ჩემპიონატზე გაიბრწყინა. მალე ჩოგბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა კორტებზე თავისი პირველი მილიონიც გამოიმუშავა, რასაც კიდევ უფრო მეტი თანხა სარეკლამო ჰონორარების სახით ემატებოდა.

ჯენიფერ კაპრიატის ჩოგბურთში ვარჯიში მამამისმა, სტეფანომ დააწყებინა, რომელიც არცთუ ისე წარმატებულად ვაჭრობდა ნახმარი ავტომობილებით. სტეფანო კაპრიატის უფრო დიდი შემოსავლის წყაროს გაჩენა სურდა და სწორედ ამიტომ აიძულებდა ქალიშვილს, რომ თავი არ დაეზოგა ტურნირებში ასპარეზობისას და მოთმინებით აეტანა სარეკლამო რგოლებისათვის მრავალსაათიან გადაღებებში მონაწილეობაც. ასეთ გადატვირთულ გრაფიკს არ შეიძლებოდა უარყოფითად არ ემოქმედა ტინიჯერ ჩოგბურთელზე. 1993 წელს კი, სტეფანო და ღენისე გაიყარნენ. მშობლების განქორწინებამ კიდევ უფრო დიდი დაღი დაასვა ჯენიფერის თამაშს და იგი იმავე წელს US Open-ის პირველივე წრიდან გამოეთიშა ტურნირს.

კორტზე წარუმატებლობის გასაქარწყლებლად ჯენიფერი ჯერ ალკოჰოლს მიეძალა, შემდეგ მარიხუანაც გასინჯა, ბოლოს კი, კოკაინსა და ჰალუცინოგენურ ნარკოტიკებზეც გადავიდა. ჩოგბურთის ვარსკვლავის დაცემა ძალიან ხმაურიანი აღმოჩნდა. ამერიკელები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ ეთაყვანებოდნენ ჯენიფერს, უმაღვე ზურგი შეაკციეს მას. სპორტული ჟურნალ-გაზეთები აჭრელებული იყო მყვირალა სათაურებით იმის შესახებ, თუ როგორ ეშვებოდა ნარკომანობის ჭაობში ოლიმპიური ჩემპიონი. ამასობაში კი, თავად კაპრიატი ახალ-ახალ სკანდალებში ეხვეოდა. ერთი წელიც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც იგი ნარკოტიკების მოხმარებაში ამხილეს და



ახალ უსიამოვნებას გადაეყარა. ამჯერად ჩოგბურთელს ქურდობაზე წაასწრეს. მაიამის უნივერსიტეტში ჯენი 35-დოლარიანი სვიტერის აწაპუნას ცდილობდა. კაპრიატის საბედნიეროდ, ადგილობრივი მოსამართლე ჩოგბურთის დიდი გულშემატკივარი აღმოჩნდა და იგი თავდებით გაათავისუფლეს, რის შემდეგაც ნარკოლოგიურ დისპანსერში იძულებითი მკურნალობა გააგრძელა. ამის შემდეგ ჯენიფერი მთელი ორი წლით ჩამოშორდა ჩოგბურთს და მხოლოდ 1996 წელს და შეუდგა ვარჯიშს, თუმცა მის დაბრუნებას ჩოგბურთის გულშემატკივრებიცა და სპეციალისტებიც დიდი სკეპტიციზმით შეხვდნენ. მიუხედავად ამისა, ჯენი ჯიუტად ცდილობდა საკუთარი თამაშის პოვნას და ხშირად, მწვრთნელებსაც იცვლიდა, მაგრამ სწორედ იმ პერიოდში მას კიდევ ერთი „დიდი უბედურება“ შეემთხვა. კაპრიატის ნაკლებად ცნობილი ბელგიელი ჩოგბურთელი, ხავიერ მალისი შეუყვარდა, რომელიც მასზე ექვსი წლით უმცროსი იყო. უნდა ითქვას, რომ მალისთან თავბრუსმომხვევი რომანი ჯენიფერ კაპრიატისათვის პირველი არ ყოფილა. ჩოგბურთის ვარსკვლავმა ქალწულობა 15 წლის ასაკში დაკარგა, როდესაც ერთ-ერთი მილიონერის ვაჟიშვილთან ერთად მაიამის ყურეში დიდებულ ორჩხომელზე განმარტოვდა. ერთი წლის შემდეგ იგი სახლიდან გაიქცა და ვილაც მასაჟისტთან ერთად ცხოვრობდა. 17 წლის ასაკში კი, თავის სპარინგ-პარტნიორთან,

კრის ვეერტის უმცროს ძმასთან გააბარომალი. ეს უკვე ის პერიოდი იყო, როდესაც ჯენიმ ნარკოტიკების მოხმარებაც დაიწყო და მისი საჩოგბურთო კარიერაც არასახარბიელოდ წარიმართა, რის გამოც სპონსორებმაც ზურგი შეაქციეს. შეიცვალნენ ჯენის თაყვანისმცემლებიც. თუ ადრე მას „მამიკოს ბიჭები“ ძვირფასი მანქანებით აკითხავდნენ, ამჯერად უკვე თავზე ელაღებული, ჭუჭყიანი, გრძელთმიანი როკერების გარემოცვაში აღმოჩნდა. უფრო მეტიც, 1995 წლის ზაფხულს – ყველაზე ცხელ საჩოგბურთო სეზონში, – კაპრიატი ბაიკერების ყველაზე ოდიოზური დაჯგუფების, „ჯოჯოხეთის ანგელოზების“ მოტომხედრებთან ერთად ამერიკის შუაგულისაკენ გაეშურა და მთელი თვე-ნახევრის მანძილზე მის შესახებ არავის არაფერი შეუტყვია. ისე კი, ალბათ ძნელი წარმოსადგენი არავისთვის არ უნდა ყოფილიყო ის, თუ რითი ირთობდა თავს ჯენიფერი იმ მამაკაცთა კომპანიაში, რომელთათვისაც ცნება „არ შეიძლება“, – ფაქტობრივად არ არსებობს.

არსებობს ორი ვერსია იმის შესახებ, თუ როგორ გაიცნეს ერთმანეთი ჯენიფერ კაპრიატიმ და ხავიერ მალისმა. ყოველკვირეულ Star-ის მიერ გავრცელებული ვერსიის თანახმად, ჯენის, ხავიერის პირველი დანახვისთანავე თავი დაუკარგავს და მანამდე არ დამშვიდებულა, ვიდრე ბელგიელი ჩოგბურთელი არ დასთანხმებია, რომ მასთან მისულიყო, რათა „ერთი მნიშვნელოვანი საქმე“ განეხილათ. როგორც შემდგომში გამოირკვა, კაპრიატის „მართლაც მნიშვნელოვანი და გადაუდებელი საქმე“ ჰქონდა მალისთან: როგორც კი ხავიერს, კაპრიატის სასტუმროს ნომრის ზღურბლისათვის გადაუბიჯებია, ჯენი მას დამშუული ავაზასავით დასცხრომია თავზე და ტანისამოსი შემოუხეცია. თუ რა ხდებოდა ამის შემდეგ კაპრიატის ნომერში, არავინ იცის, მაგრამ ჭორებზე მონადირე ჟურნალისტებს ის კი დაუფიქსირებიათ, რომ ხავიერი იქიდან თავის ოთახში მხოლოდ მეორე დღეს, სრულიად ქანცგამოცლილი დაბრუნებულა.

გასართობი ტელეარხის Entertainment-ის ვერსიის თანახმად კი, ინიციატივა თავად ხავიერ მალისს გამოუჩენია, რომელიც იმ პერიოდში ახალგაზრდა ჩოგბურთელ ჟიუსტინ ენინს დაშორებია და მის შემცვ-

ლელს ეძებდა. ხავიერი ჯენის პირველი ნახვისთანავე „თავს დასხშია“ და მამინვე „მოუნადირებია“ კიდევ. კაპრიატიცა და მალისის ურთიერთობა ჟურნალისტებმა მონათლეს, როგორც „მსოფლიო ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე ცხელი ორთაბრძოლა“. იმ პერიოდში მალისს მხოლოდ საჩოგბურთო წრეებში თუ იცნობდნენ, თუმცა მას ბევრი სპეციალისტი ნიჭიერ ახალგაზრდა მოთამაშედ მიიჩნევდა და ზოგიერთი თვით ანდრე აგასისაც კი აღარებდა. თავად ხავიერსაც ისღა დარჩენოდა, რომ თავისი სახელოვანი ამერიკელი კოლეგისათვის არა მარტო კორტზე მიეხადა, არამედ მის გარეთაც. ასე დაიწყო ბელგიელმა ჩოგანმა ექსპერიმენტების ჩატარება საკუთარ ვარცხნილობაზე. გარდა ამისა, ანდრეს მსგავსად, ხავიერსაც, ტრენაჟორებზე ვარჯიშს, ხმაურიან „ტუსოკებზე“ სიარული ერჩია, ღამის ორ საათზე ადრე არ იძინებდა და დილის ათ საათზე ადრე არასოდეს იღვიძებდა. თუმცა აგასისთვის მხოლოდ ამით მიზამვა საკმარისი არ იყო. მალისმა კარგად იცოდა, რომ ანდრე ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა სუსტი სქესის წარმომადგენელთა შორის, ამიტომ გადაწყვიტა, – თავადაც სექსუალური სუპერმენი გამხდარიყო. თუ ბრიუსელურ ყვითელ პრესას დავუჯერებთ, ხავიერს ოცი წლის ასაკში 100-ზე მეტი გოგონას „შემა“ მოუსწრია, თანაც იგი 2-3 დღეზე მეტხანს, ერთი და იმავე პარტნიორთან არასოდეს რჩებოდა. ერთი სიტყვით, მალისი ისეთი ოსტატობით ნადირობდა სუსტი სქესის წარმო-



მადგენლებზე, რომ ერთ-ერთ საყვარელს მისთვის ჯალოქარიც კი შეურქმევია. როდესაც ჯერი კაპრიატიზე მიდგა, ყველას ეგონა, რომ შეყვარებულები პუბლიკისა და მასმედიისაგან დაფარულად შეეცდებოდნენ ურთიერთობის გაგრძელებას, მაგრამ რომანის პირველი დღიდანვე ისინი ერთად ჩნდებოდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. უიმბლდონის ტურნირზე კი, სასტუმროში სულაც ერთად დასახლდნენ, ისე, როგორც ნამდვილი ცოლ-ქმარი. სხვათა შორის, ამ „ინტიმურმა ექსპერიმენტმა“ ორივე ჩოგბურთელის სპორტულ შედეგზე უარყოფითად იმოქმედა. „ჯენიფერი სრულიად უმართავი გახდა. იგი მხოლოდ იმაზედა ფიქრობს, რომ კორტიდან მალე გაიქცეს, რათა ხავისთან სიყვარულით დატკბეს. ეს ზომ სიყვარულიც არ არის, არამედ ნამდვილი სიგიჟეა, რომელიც ადრე თუ გვიან, ორ ნიჭიერ ჩოგბურთელს დაღუპავს“, – უთქვამს მაშინ კაპრიატის მწვრთნელს – ჰაროლდ სოლომონს, რომელსაც თავისი მოსწავლის საქციელი ველარ აუტანია და მასთან თანამშრომლობა შეუწყვეტია. გარდა ამისა, ჯენისა და ხავიერის რომანის წინააღმდეგი იყო ყველა, ვინც კი ამ ორი სპორტსმენის გარშემო ტრიალებდა. ჩოგბურთელების მშობლებიცა და საქმიანი პარტნიორებიც მიიჩნევდნენ, რომ ასეთი ზღვარგადასული სიყვარული მათ სპორტულ კარიერას მხოლოდ ზიანს მიაყენებდა. წყვილზე ასეთმა ფსიქოლოგიურმა ზეწოლამ ბოლოს მაინც გამოიღო შედეგი და 2000 წლის შემოდგომაზე, კაპრიატი და მალისი თავიანთ ქორწილამდე სულ ერთი კვირით ადრე დაშორდნენ ერთმანეთს. თუმცა, როგორც ბოროტი ენები ამტკიცებენ, განშორებამდე მათ მთელი 72 საათის მანძილზე არ დაუტოვებიათ საწოლი. შემდეგ კი, იყო ავსტრალიის ღია პირველობა, რომელზეც ჩოგბურთის მოყვარულებმა კვლავ ძველი კაპრიატი იხილეს. „ჩემთვის ახალი ცხოვრება დაიწყო და ძველს აღარასოდეს დაუბრუნდები, – ამბობდა მაშინ ჯენი, რომელმაც რამდენიმეწლიანი იმედგაცრუების შემდეგ, მაინც შეძლო კორტზე დაბრუნება, – ამჯერად საკუთარ თავს სრულად ვაკონტროლებ და წარმატებას თავზე ვაწვდები“. ამის შემდეგ, ჯენიფერ კაპრიატიმ 10-მილიონიანი კონტრაქტიც გააფორმა. ჩოგბურთში შვილის ტრიუმფალური დაბრუნების შემდეგ, შერიგდნენ სტეფანო და დენისე და რაც მთავარია, თავად ჯენიც მალე დაუბრუნდა თავის საყვარელ ხავიერ მალისს.

ცნობი 30 წლის წინანდელი ბუტბრის მთხსნას აპიტბმს

ცნობილმა ავსტრალიელმა მოცურავემ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა, იან ტორპმა მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადება დაიწყო, რომელიც სიდნეიში 22 მარტს აიღებს სტარტს. 20 წლის, მსოფლიოს სამეზის რეკორდსმენმა განაცხადა, რომ ლეგენდარული ამერიკელი მოცურავის, მარკ სპიტცის რეკორდის გამეორება აქვს განზრახული, რომელმაც 1972 წელს, მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე 7 ოქროს მედალი მოიპოვა. ჯერჯერობით ტორპს ერთ – ბრიტანეთში ჩატარებულ, 2002 წლის თანამეგობრობის თამაშებზე – აქვს მოპოვებული ექვსი ოქროს მედალი. იმისთვის, რომ სპიტცის რეკორდი გაიმეოროს, ავსტრალიელი მოცურავე მსოფლიო ჩემპიონატზე კიდევ ერთ დისციპლინაში – 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ასპარეზობასაც აპირებს.



ხელის ჩამტბმევა თქსმუბთის განუყბთუელი ნაწილია



მალე ძალაში შევა კანონი, რომლის თანახმადაც, ფეხბურთელები ვალდებულნი იქნებიან, რომ მათსურების გაცვლასთან ერთად, მატჩის ბოლოს, ერთმანეთს ხელიც ჩამოართვან. „ამან მაყურებლებს უნდა შეახსენოს, რომ შეხვედრისას გამომჟღავნებული ემოციების მიუხედავად, ფეხბურთი მხოლოდ თამაშია, რომელსაც თავისი კანონები აქვს. მარცხიც თამაშის ნაწილია“, – ნათქვამია ფიფას განცხადებაში. ეს კანონი ფიფას ეგიდით ჩატარებულ ნებისმიერ ტურნირზე იმოქმედებს.

ემბაული მანკი კასპატბუს უჩივის

ებრაულმა ბანკმა, First International Bank of Israel ჭადრაკში ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი, გარი კასპაროვი იმ ფინანსური გარიგების პირობების დარღვევაში დაადანაშაულა, რომელიც მას კომპანია Kasparov Chess Online Inc-ისათვის გამოყოფილი, 1,6 მილიონი დოლარის კრედიტის გამოტანის შემდეგ უნდა შეესრულებინა. ბანკმა, რომლის შტაბბინაც თელ-ავივში მდებარეობს, კასპაროვს ვებ-საიტის დახურვისა და კომპანიის საქმიანობის შეწყვეტის გამო უჩივის, რადგან კრედიტის გამოყოფის ერთ-ერთ პირობას, საიტის ფუნქციონირება წარმოადგენდა. საქმეს დელავერის ოლქის სასამართლო განიხილავს. ფინანსისტები მოითხოვენ, რომ მოჭადრაკემ ბანკს ფინანსური ზარალი აუნაზღაუროს.





პრემიუმებით

ხეხოხედი, ფენევის ავტოსალონი

საყოველთაო ყურადღების ობიექტად იქცა Bentley-ს პირველი სერიული მანქანა – კუპე Continental GT. ჟენევაში მისი, როგორც სერიული ავტომობილის, ოფიციალური მსოფლიო პრემიერა გაიმართა. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ პრემიერამდე, 230.000 ევროს ღირებულების Continental-ზე, კომპანიამ მხოლოდ რუსეთიდან, უკვე 20 შეკვეთა მიიღო, რითიც ფაქტობრივად, ფირმის მთელი წლიური კვოტა ამოიწურა: ჩვეულებრივ, „ბენტლი“ მთელ ევროპაში წელიწადში სულ 5-7 მანქანას ყიდის. ამრიგად, გამოდის, რომ ე.წ. „ასალმა რუსებმა“ რამდენიმე თვეში, ფირმას ხუთწლიანი გეგმა შეასრულებინეს... ბრიტანელებიც ამის წყალობით იმდენად გამოცოცხლდნენ, რომ მოსკოვში თავიანთი სალონის გახსნა გადაწყვიტეს, თან – ზედ ტრეტიაკოვის გალერეასთან...

უახლესი ბოლიდი 5 წმ-ში განავითარებს 100 კმ/სთ სიჩქარეს. Continental GT 12-ცილინდრიანი ძრავითაა აღჭურვილი და ოთხადგილიან კუპეებს შორის, მსოფლიოში თითქმის ყველაზე სწრაფმავალი ავტომობილია.

თუმცა, ამ „ტიტულის“ მოსაპოვებლად, სხვა მწარმოებლებიც შეუპოვრად იბრძვიან. მაგალითად, იტალიელებმა ჟენევის საგამოფენო ბილიკზე გამოაგორეს კომპაქტური მოდელი Gallardo, რომელსაც

ჟენევაში ტრადიციული, რიგით 73-ე საერთაშორისო ავტოსალონია გახსნილი, რომელიც იმთავითვე, პრემიერების რეკორდული რაოდენობით აღინიშნა: დათვალიერებაზე 50 მსოფლიო და 25 ევროპული ასალი მოდელია წარმოდგენილი. მათ შორის ყველაზე დასამახსოვრებელი, უმაღლესი ღირებულების მქონე, ე.წ. იმიჯის შემქმნელი მანქანებია. საავტომობილო მრეწველობის ამგვარ ნიმუშთა რიცხვით, აქამდე ჩატარებული ვერც ერთი ავტოსალონი ვერ დაიკვეცნის.

ავტომოცვარულები დიდი ხანია ელოდნენ. Gallardo ხარის იმ ჯიშს ნიშნავს, რომელიც კორიდაზე განსაკუთრებული აგრესიულობითა და გულადობით გამოირჩევა. ადვილი მისახვედრია, რომ მანქანაც ამ თვისებებით ხასიათდება: ის სრულამძრავიანია, უძძლავრესი, 500 ცხ.ძ-იანი, 5-ლიტრიანი აგრეგატიითაა აღჭურვილი. დიზაინითა და აგებულებით Lamborghini Gallardo თავის „უფროს ძმას“ – Murcielago-ს ჰგავს. მისი ძარა და სავალი ნაწილი, ალუმინის ჩარჩოზეა დამაგრებული, რაც ძალზედ მსუბუქსა და სწრაფმავალს ხდის მანქანას.

მისი ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი, ამ სფეროს ლიდერის – Ferrari-ს ახალი ნიმუში – Challenge Stradale. გარეგნულად ის სერიულ Ferrari 360 Modena-ს მოგაგონებთ, მაგრამ ამავე დროს, საფუძვლიანადაა მოდერნიზებული, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე ბოლიდების კონსტრუქციისა და იერის გათვალისწინებით. ამას თვით მანქანის შეფერილობაც უსვამს ხაზს: ორი თეთრი ზოლი ხასხასა წითელ ფონზე – სწორედ ამგვარადაა შეღებილი „ფორმულა-1“-ის სარბოლო მანქანები. ახალ „ფერარის“, ადრინდელზე უფრო დახვეწილი აეროდინამიკა და მოდერნიზებული სამუსრუტე სისტემა აქვს, საჭეზე კი, ე.წ. სეკვენტური გადაცემათა კოლოფის დილაკებია და-

მონტაჟებული.

ჟენევის ავტოსალონზე კიდევ ერთი, საკულტოდ წოდებული პრემიერა გაიმართა – მათთვის, ვისაც მძაფრი შეგრძნებები უყვართ. ამჯერად ლაპარაკია როდესტერზე – Porsche Carrera GT. ის მნახველთა წინაშე წარდგა სრულიად განახლებული დიზაინით, რომელიც ამავე დროს, თავისი „საგვარეულოსთვის“ დამახასიათებელი ნიშნებითაც გამოირჩევა. ახალ „პორშეს“ 5,7 ლ სამუშაო მოცულობის ძრავა აქვს, რომელიც 612 ცხ.ძ-ს ავითარებს. იმისათვის, რათა მისი სიმძლავრე ბორბლებს გადასცემოდა, შემუშავდა სპეციალური, 6-საფეხურიანი ტრანსმისია. ყველაფერ ამის შედეგად, ავტომობილი 100 კმ/სთ სიჩქარეს სულ რაღაც 3,9 წმ-ში ავითარებს, 200 კმ/სთ-ს კი – 10 წმ-ში.

ამ სფეროსთვის საინტერესო სიახლით წარდგა სპეციალისტთა და ავტომოცვარულთა წინაშე კომპანია „ოპელი“, რომელმაც ჟენევაში, პოპულარული როდესტერის – Speedstar Turbo-ს მოდიფიკაცია ჩაიტანა. მანქანა აღჭურვილია 2-ლიტრიანი ტურბოდრავით, რომლის სიმძლავრე 200 ცხ.ძ-ს აღწევს. საუკეთესო ტექნიკური მახასიათებლების წყალობით, საშუალოძრავიანი, მსუბუქი მანქანა ნამდვილ სპორტულ ავტომობილად იქცა, რომელიც 100 კმ/სთ სიჩქარეს 4,9 წმ-



Gallardo



Mazda RX8



Bentley Continental GT



Mercedes-Benz CL

ში და 243 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს განავითარებს.

ბუნებრივია, ამ ექსპოზიციანზეც, სწორედ სპორტული მანქანებია Alfa Romeo-ს მთავარი კოზირი. ამჯერად ფირმამ, ორადგილიანი კაბრიოლეტი – Spider და კუპე – GTV წარმოადგინა. ეს ავტომობილები განასხვავებული დიზაინით, ძრავებითა და აღჭურვილობით მოეწვინა ჟენევის სალონის მნახველთ. მაგრამ „ალფა რომეოს“ მთავარი პრემიერა – კუპე Alfa GT Coupe-ა, რომელიც Alfa 156-ის შასიზე აიგო, მაგრამ დიზაინით, ევროპელებში ძალზედ პოპულარული – 147-ე მოდელის სტილშია შესრულებული. ამ მოდელის, ტექნიკურად ყველაზე სრულყოფილი ვარიანტი V6 ძრავით აღიჭურვება, რომლის სამუშაო მოცულობა 3,2 ლ, სიმძლავრე კი – 250 ცხ.ძ-ა. ამ აგრეგატით „ალფა რომეოს“ 147-ე და 156-ე მოდელების სარბოლო ვარიანტებია აღჭურვილი.

ევროპელთათვის საუცხოო პარტნიორად გვევლინება იაპონური Mazda RX8 – მსოფლიოში ერთადერთი, ე.წ. ვანკელის ძრავით აღჭურვილი სერიული ავტომობილი. იაპონელებმა მოახერხეს, გაეთავისუფლებინათ ეს აგრეგატი მისთვის ჩვეული ვიბრაციისა და გამონ-

აბოლქვისგან და ამავე დროს შეენარჩუნებინათ მისი საუცხოო აეროდინამიკა. მანქანის დიზაინი RX სერიის საუკეთესო ტრადიციებს ავითარებს და ამავე დროს, ეფექტური თავისებურებითაც გამოირჩევა: კუპე ორი დამატებითი კარითაა აღჭურვილი, რომელიც წინა კარის საპირისპირო მხარეს იღება და აადვილებს სალონში ჩავლდომას. სერიული RX8-ის გარდა, „მაზდის“ სტენდზეა RX8-ის სპეციალური ვერსია, ამავე სახელწოდების ბლოკასტერის ფანატებისთვის – X-men series.

დროის მოთხოვნის შესაფერისია, ჩვეულებრივ თავშეკავებული გერმანელების კომპანია Daimler-ის ექსპოზიცია. მისი მთავარი მშენებელი გამაოგნებელი Mercedes-Benz CL 65 AMG – სატუნინგო კომპანია AMG-ის ისტორიაში ყველაზე მძლავრი 12-ცილინდრიანი ძრავით აღჭურვილი კუპე, რომელიც 600 ცხ.ძ-ს ავითარებს. მას გვერდს უმშვენებენ: კაბრიოლეტი CL და ექსკლუზიური კომპლექტაციით წარმოდგენილი როდსტერი SLK.

ჟენევის ავტოსალონი ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს, როგორც საავტომობილო ფირმებს, ასევე მიმომხილველებს შორის. ამის მიზეზი ძალზედ

მარტივია: მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიული შოუ იაპონურს (ტოკიოს ავტოსალონს) მნახველთა რაოდენობით ჩამორჩება, გერმანულს (ფრანკფურტი) – ფართობით, ფრანგულს კი (პარიზი) – ხანგრძლივობით, ის „ნეიტრალურ“ ტერიტორიაზე ტარდება, თანაც – ევროპის ყველაზე მდიდარ ქვეყანაში. იქ არ შეიძლება რომელიმე ნაციონალური მწარმოებლის ჰეგემონია. ამიტომაც ცდილობს ყველა, თავისი საუკეთესო ნიმუშები და პერსპექტიული პრემიერები სწორედ ჟენევაში წარმოადგინოს.

ბოლოს დავედნთ, რომ პირველი ავტოსალონი ამ ქალაქში 1905 წელს მოეწყო. უკვე 1923-ში კი, როცა შვეიცარიაში სულ 25000 მსუბუქი მანქანა იყო, ჟენევის ავტოსალონს უკვე 75000 დამთვალიერებელი ეწვია. 1926 წელს აშენდა მხოლოდ საავტომობილო გამოფენებისთვის გათვალისწინებული სასახლე. მაგრამ 50-ოდე წლის შემდეგ, მისი მოცულობაც აღარ იყო საკმარისი ყველა ახალი ნიმუშის სადემონსტრაციოდ და გადაწყვიტეს, ახალი დიდი საგამოფენო კომპლექსი აეგოთ, რომელშიც ამჟამინდელი ავტოშოუ ეწყობა ხოლმე.



Porsche Carrera GT



Alfa GT Coupe

დასაწყისი იხ. „გზა“, №40-53, 1-10

ნინი სასწრაფოდ თბილისში დაბრუნებას გადაწყვეტს. ცოტნე მას აეროპორტამდე გამოაცილებს და თან, შეჰპირდება — ორ დღეში ჩამოვალ და ნიტას გამოსახსნელ ფულსაც აუცილებლად ჩამოვიტანო.

თვითმფრინავში ნინი უცნაურ სიზმარს ნახავს და იმასაც მტკიცედ ირწმუნებს, რომ ნიტას, მხოლოდ თავად თუ იპოვის და გამოიხსნის.

თბილისში დაბრუნებული ნინი შვილის დაკარგვაზე პასუხს, პირველ რიგში, მარის მოსთხოვს. ამის გამო საბოლოოდ დათრგუნვილ მარის გულის შეტევა მოუვა და საავადმყოფოში მოხვდება.

ნინი ადგილს ველარ პოულობს. ბოლოს, თავს დამტყდარ მთელ ამ უბედურებაში მხოლოდ დიტოს ადანაშაულებს და მასთან ურთიერთობის განწყვეტას საბოლოოდ გადაწყვეტს, მაგრამ მანამდე, მასთან სალაპარაკოდ მისული დიტოსგან ერთ მნიშვნელოვან დეტალს შეიტყობს: გამტაცებლები 50-ს კი არა, 100 ათას დოლარს მოითხოვენო. საბოლოოდ თავზარდაცემულ ნინის დიტო მტკიცედ ჰპირდება — მთელ ფულს მე ვიშოვი, ოღონდ, ცოტა დრო მჭირდებაო.

ამასობაში, გამტაცებლები, იმის დასამტკიცებლად, რომ ბავშვი ნამდვილად მათთან არის, ნინის ამანათს უგზავნიან.

უცბად ნინიმ ყურმილი გიჟივით მოისროლა და გარეთ გავარდა. შოთაც მაშინვე უკან მიჰყვა. დიტომ წამოდგომა სცადა, მაგრამ ყავარჯენმა უმტყუნა და გიორგი რომ არ მიშველებოდა, ალბათ, იატაკზეც მოადენდა ბრაგვანს.

— რა მოხდა?! — ხმაურზე სამზარეულოდან ქალბატონი ნათელაც გამოვარდა.

რამდენიმე წუთში სულ მთლად აცახცახებული ნინი ისევ უკან შემობრუნდა და თან ცელოფანის პარკი შემოიტანა, საიდანაც ბავშვის ცალი ფეხსაცმელი და ვიდეოკასეტა ამოიღო.

— ეს ხომ ნიტას სანდალია?! — იკივლა ქალბატონმა ნათელამ. — სად ნახე? ვინ მოგცა?

მაგრამ ნინის მისთვის პასუხის გასაცემად ნამდვილად აღარ ეცადა. მაშინვე ვიდოს ეცა და შიგ კასეტა კი არ ჩაღო, თითქმის ძალით ჩატენა... ტელევიზორმა ერთხანს იშინინა და შემდეგ ეკრანზე თვალებგაფართოებული ნიტა გამოჩნდა. შვილის დანახვა და ნინის გულის წასვლა ერთი აღმოჩნდა...



ქალური ინსუიკია ახი ჭიამიას თრობი

რუსუდან ბერიძე

ქალბატონი ნათელა და შოთა მაშინვე ნინის მისცვიდნენ, მათ გიორგიც წამოემგვლა, სკამზე ქანდაკებასავით გაშემებულ დიტოს კი ტელევიზორის ეკრანისთვის თვალი წამითაც არ მოუშორებია: ის ხომ საკუთარ შვილს, რომელიც მართლაც გადახატულივით ჰგავდა, პირველად ხედავდა...

კადრში ნიტა მარტო იყო, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ფირს ხმა არ ედო, მაინც ჩანდა, რომ მას ვიღაც ელაპარაკებოდა, უფრო ზუსტად, კითხვებს უსვამდა. ნიტაც ჯერ გულმოდგინედ დაფიქრდებოდა და მხოლოდ მერე პასუხობდა. ერთი-ორჯერ კი, თანხმობის ნიშნად, მხოლოდ ლამაზკულებიანი თავი დაუქნია.

უცბად ეკრანზე კადრი ათამაშდა და ნიტა წამით თვალთახედიდან გაქრა. ამ ერთ თუ ორ წამში ობიექტივმა ოთახში უცნაურად ჭრელშპალერიან კედელს ჩამოურბინა, შემდეგ კიდევ ერთი წამით ისევ ბავშვზე შეჩერდა და გამოსახულება საბოლოოდ გაქრა.

როგორც კი ნინი გონს მოვიდა, მაშინვე ტელევიზორის დისტანციური მართვის პულტს ეცა და კასეტა გადაახვია. ეკრანზე ისევ ნიტას გამოსახულება გამოჩნდა. აქვითინებული ნინი ტელევიზორის ჩარჩოს ისე გამეტებით ჩააფრინდა, თითქოს, გამოგლეჯას და შიგნით შესვლას აპირებდა...

— ნიტა, ჩემო სიცოცხლე, ჩემო სინ-

არულო, სადა ხარ, დედიკო, ვის ხელში?! — გულამოსკენით ქვითინებდა ნინი და თან ეკრანზე ნიტას გამოსახულებას კოცნიდა...

ნინიმ კასეტა წინ და უკან მანამ ახვია, სანამ აკანკალებული ხელიდან პულტი არ გაუვარდა, თავად კი იატაკზე პირქვე დაეშო და ისტერიკული კივილი მორთო:

— გეხვეწებით, გეპუდარებით, მიშველეთ! მაპოვინეთ ჩემი შვილი!

უცბად, აქამდე მართლა ქანდაკებასავით უძრავად მჯდარმა დიტომ ყვარჯენები განზე შლეგით მოისროლა, ორი ნახტომით ნინისთან გაჩნდა და უბრალოდ კი არ წამოაყენა, თითქმის ხელში აიტაცა და გულში გამეტებით ჩაიკრა.

მომხდართი გაოგნებული ნინი დიტოს მკლავებში ერთხანს ბავშვივით გაინაბა, თუმცა, გონს მალევე მოეგო და ისე ძალუძად გაიბრძოლა, დიტოს რომ არ ემარჯვა, ორივენი იატაკზე გაიშლართებოდნენ. ამის შემდეგ დიტომ თავისი ფართო ხელები ნინის აცახცახებულ მხრებზე დააწყო და გვარიანად შეანჯღრია:

— აბა, ახლავე დამშვიდდი და მოიხსინე!

— რა უნდა მოვისმინო, რა?! შენ რა გენაღვლევა?! — ისევ აკივლდა ნინი.

— მენაღვლება და მერე როგორ?! — კიდევ უფრო ძლიერად შეანჯღრია ნინი დიტომ. — მაგრამ ახლა ამის დრო არ არის. მთავარია, რომ ბავშვი ცოცხალი და ჯანმრთელია. ასე რომ, ისტერიკების მოწყობა კი არა, ძალიან ჭკვიანური მოქმედება გეპართებს!

თვალვებგაფართოებული ნინი დიტოს ისე გაოცებული შესცქეროდა, თითქოს, პირველად ხედავს, ბოლოს კი, ძლივსდა ამოიღულღულა:

– შენ... შენ ჩემს სახლში განკარგულებების გაცემის უფლება ვინ მოგცა?... – არავინ!.. მაგრამ ასლა ჩვენი ურთიერთობის გარკვევას მოვეშვით და კასეც კიდევ ერთხელ დავატრიალოთ, ოღონდ, მშვიდად და ყურადღებით ვუყუროთ, განსაკუთრებით – შენ. იქნებ, რამე ხელმოსაჭიდ ღეტალს მოგკრათ თვალი. კადრში ერთხანს, მგონი, ვიღაცის ფოტოც გამოჩნდა, კედელზე ეკიდა...

– ფოტო? – უცბად გონება გაუნათდა ნინის. – რა ფოტო?... მე რომ არაფერი დამინახავს? – რას დანახავდი? კინალამ ტელევიზორში შესტი... ამიტომ გეუბნები, დამშვიდდი და ისე ვუყუროთ-მეთქი...

– ცოტა ხნის შემდეგ, როცა ნინი ოღნავ დამშვიდდა, დიტომ ტელევიზორი ჩართო. კადრში ნიტას გამოჩენაზე, ბავშვივით მოკუნტულ ნინის მხრები ისევ ციებანივით აუცაცაცავდა, მაგრამ მამინვე დიტოს მძიმე ხელის შეხებაც იგრძნო, წელში გასწორდა და ეკრანს გულდასმით დააკვირდა.

– ღმერთო, გამახსენე, სად მინახავს ეს ყველაფერი?! – უცბად წამოიძახა და შემდეგ თავი ხელეშში ჩარგო.

– გინახავს?! – სახეზე აშკარა შიში გამოეხატა ქალბატონ ნათელას. – ნინი, შვილო, დაფიქრდი, რას აბზო?! – მცაღლე რა, ღედა! – თავი არ აუღია, ისე უპასუხა ნინიმ. – ძალიან გთხოვ, მცაღლე... – ოთახში წუთით სრული სიჩუმე ჩამოწვა.

შემდეგ ნინი წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა. ერთი-ორჯერ ტელევიზორის წინაც შედგა, ამოიხზრა და ისევ აქეთ-იქით სიარულს მოჰყვა. ბოლოს, მოღლილი, სკამზე მოწვევებით დაეცა:

– ვერაფრით გავისხენე, ის კედელი, შპალერი, ფოტო სად და როდის მინახავს... არადა, ფაქტია, რომ მინახავს. ის კი არადა, ისეთი განცდა მაქვს, რომ იმ ოთახში, უფრო სწორად იმ სახლში, სადაც ის ოთახია, ნამყოფიც ვარ...

– ვერაფრით გავისხენე, ის კედელი, შპალერი, ფოტო სად და როდის მინახავს... არადა, ფაქტია, რომ მინახავს. ის კი არადა, ისეთი განცდა მაქვს, რომ იმ ოთახში, უფრო სწორად იმ სახლში, სადაც ის ოთახია, ნამყოფიც ვარ...

– ოთახში წუთით სრული სიჩუმე ჩამოწვა. შემდეგ ნინი წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა. ერთი-ორჯერ ტელევიზორის წინაც შედგა, ამოიხზრა და ისევ აქეთ-იქით სიარულს მოჰყვა. ბოლოს, მოღლილი, სკამზე მოწვევებით დაეცა:

– ვერაფრით გავისხენე, ის კედელი, შპალერი, ფოტო სად და როდის მინახავს... არადა, ფაქტია, რომ მინახავს. ის კი არადა, ისეთი განცდა მაქვს, რომ იმ ოთახში, უფრო სწორად იმ სახლში, სადაც ის ოთახია, ნამყოფიც ვარ...

– ოთახში წუთით სრული სიჩუმე ჩამოწვა. შემდეგ ნინი წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა. ერთი-ორჯერ ტელევიზორის წინაც შედგა, ამოიხზრა და ისევ აქეთ-იქით სიარულს მოჰყვა. ბოლოს, მოღლილი, სკამზე მოწვევებით დაეცა:

– ვერაფრით გავისხენე, ის კედელი, შპალერი, ფოტო სად და როდის მინახავს... არადა, ფაქტია, რომ მინახავს. ის კი არადა, ისეთი განცდა მაქვს, რომ იმ ოთახში, უფრო სწორად იმ სახლში, სადაც ის ოთახია, ნამყოფიც ვარ...

– ოთახში წუთით სრული სიჩუმე ჩამოწვა. შემდეგ ნინი წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა. ერთი-ორჯერ ტელევიზორის წინაც შედგა, ამოიხზრა და ისევ აქეთ-იქით სიარულს მოჰყვა. ბოლოს, მოღლილი, სკამზე მოწვევებით დაეცა:

– ვერაფრით გავისხენე, ის კედელი, შპალერი, ფოტო სად და როდის მინახავს... არადა, ფაქტია, რომ მინახავს. ის კი არადა, ისეთი განცდა მაქვს, რომ იმ ოთახში, უფრო სწორად იმ სახლში, სადაც ის ოთახია, ნამყოფიც ვარ...

– ოთახში წუთით სრული სიჩუმე ჩამოწვა. შემდეგ ნინი წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა. ერთი-ორჯერ ტელევიზორის წინაც შედგა, ამოიხზრა და ისევ აქეთ-იქით სიარულს მოჰყვა. ბოლოს, მოღლილი, სკამზე მოწვევებით დაეცა:

– ვერაფრით გავისხენე, ის კედელი, შპალერი, ფოტო სად და როდის მინახავს... არადა, ფაქტია, რომ მინახავს. ის კი არადა, ისეთი განცდა მაქვს, რომ იმ ოთახში, უფრო სწორად იმ სახლში, სადაც ის ოთახია, ნამყოფიც ვარ...

არადა, სულაც ჩემი მობილური მიეცი: ფული ბავშვის მამასთანაა, დაურეკე და უთხარი, სად მოიტანოს-თქო...

– მერე ფული რომ სრულად არა გაქვს? – ტირილს აღარაფერი უკლდა ნინის.

– შენ რაც ვითხარი, ის გააკეთე! – თითქმის უბრძანა მას დიტომ და ფეხზე წამოსადგომად წამოიწია.

– გიორგიმ მას მამინვე ყვარჯნები შეაგება.

– რაკი ერთხელ გავბედე და ისე გავიარე, მაგას ხელში როგორღა ავიღებ... – ყვარჯნებზე ხელი აუკრა დიტომ და კარისკენ სვენებ-სვენებით გაემართა.

ნინის, ოთახიდან გამავალი დიტოს ზურგისთვის თვალი ერთი წამითაც აღარ მოუშორებია...

– დიტოს და გიორგის გასვლა და ტელეფონის აწკრიალება ერთი იყო. ნინი ყურმილს ცოფიანივით დასწვდა:

– დიას... ალო... გისმენთ!..

– ნახე? – გაისმა ყურმილში უცნობის ჩახლეჩილი ხმა.

– რა?... დიას, დიას, ვნახე, მომისმინეთ... – სათქმელს თავი ველარაფრით მოუყარა ნინიმ.

– არა. შენ მომისმინე! – გააწყვეტინა უცნობმა. – ხომ დარწმუნდი, რომ ბავშვი ჩვენთან არის და ჯერჯერობით, ერთი თვის ბეწვიც კი არ შერხევია... მაგრამ თუ ფულს დროზე არ მოიტან, შენს თავს დააბრალე.

– მოვიტან! მითხარით, სად და როდის! – უცბად ხმაში ლითონი გაერია ნინის.

– ო-ო-ო, აი, ეგ უკვე სხვა ლაპარაკია, – შეაქო უცნობმა. – მოემზადე, მალე დაგირეკავ და ყველაფერს ზუსტად გეტყვი. ამის შემდეგ კავშირი გაწყდა, თუმცა, ნინის ტელეფონის ყურმილისთვის ხელი კიდევ კარგა ხანს არ უშვია.

– რაო, რა ვითხრა? – ჰკითხა მას ქალბატონმა ნათელამ.

– არაფერი, დაგირეკავ და გეტყვი, ფული სად და როდის მოიტანო, მაგრამ რა უნდა მივიტანო, რა?

– დაწვინარდი, შვილო, დიტომ ხომ ვითხრა, ყველაფერს მე მივხედავო. მისი ნომერი რატომ არ მიეცი?

– არ მაცალა. ანდა რა მნიშვნელობა აქვს, ვის დაეღაპარა კება, მაგისთვის, მთავარი ფულია. ფული კი ჯერ არ ჩანს... – ცოტნეს არ უნდა დაურეკო?... – გაახსენდა უცბად ქალბატონ ნათელას. – იქნებ, იმანაც გაარკვია რამე.

– მართლა! ცოტნე! ცოტნე სულ დამავიწყდა! – იმედი მიეცა ნინის. – ახლავე დაურეკავ.

– ცოტნეს არ უნდა დაურეკო?... – გაახსენდა უცბად ქალბატონ ნათელას. – იქნებ, იმანაც გაარკვია რამე.

– მართლა! ცოტნე! ცოტნე სულ დამავიწყდა! – იმედი მიეცა ნინის. – ახლავე დაურეკავ.

– ცოტნეს არ უნდა დაურეკო?... – გაახსენდა უცბად ქალბატონ ნათელას. – იქნებ, იმანაც გაარკვია რამე.

– მართლა! ცოტნე! ცოტნე სულ დამავიწყდა! – იმედი მიეცა ნინის. – ახლავე დაურეკავ.

ნინიმ ცოტნეს მობილურის ნომერი სასწრაფოდ აკრიბა. „აბონენტი ამ დროისათვის მიუწვდომელია, დარეკეთ მოგვიანებით“, – გაისმა ყურმილში, ნინიმ თავი ნერვიულად გადააქნია და ნომერი ხელახლა აკრიბა. ყურმილში კვლავ იგივე პასუხი განმეორდა.

ამასობაში ქალბატონმა ნათელამ სუფრა გააწყო და ჩაფიქრებულ ნინის ფრთხილად შეეხმინა:

– იქნებ, გეჭამა რამე... – არ მინდა... არ მშია... – თავი უმწიოდ ჩაქინდრა ნინიმ.

– ყავა მაინც დაგელია... – მაინც არ ცხრებოდა ქალბატონი ნათელა. – თორემ ისე დასუსტდები, რომ აღარც საქმისთვის ივარგებ და აღარც შენი შვილისთვის... – ჩემი შვილისთვის მე ბოლო ამოღებული ვივარგებ... – გააწყვეტინა ნინიმ.

– ოღონდ კი ღმერთმა გადმოშხედოს და დამიბრუნოს... – დაგიბრუნებს, შვილო, გული მეუბნება, რომ ძალიან მალე დაგიბრუნებს... – კარგი, დამისხი ყავა, დაგლევე და უნდა გავიქციე! – უცბად გამოფხიზლდა ნინი.

– სად მიდისარ? – გაუკვირდა ქალბატონ ნათელას.

– ცოტა ხანს გარეთ თუ არ გავედი, ნამდვილად გული გამისკდება! მარისთან წავალ, საავადმყოფოში... მართლა სულ უპატრონოდ ხომ არ მივავებ იმ გოგოს... – თუ აუცილებელია, მარისთან მე წავალ, შენ კი შინ დარჩი, თორემ იმ უპატრონომ კიდევ რომ დარეკოს, მე რა პასუხი გავცე?

– ნუ გეშინია, შენთან ლაპარაკით არ დაიღლება, ჩემი მობილურიც იცის... მაგრამ არა მგონია, ჯერ დარეკოს.

– ნინიმ რამდენიმე ყლუპი ყავა მოსვა, შემდეგ ჩანთას ხელი წამოავლო და ქუჩაში გაავარდა... მარის პალატაში შესვლამდე, ნინიმ მისი მკურნალი ექიმი მონახუჭლა.

– შეიძლება, ბატონო ავთო? – კაბინეტის კარი მორიდებით შეაღო ნინიმ.

– ო-ო-ო, რა კარგია, რომ მოხვედით! – ნინის დანახვაზე, კინალამ ტაში შემოჰკრა გახარებულმა ექიმმა. – სწორედ ახლა ვაპირებდი თქვენთან დარეკვას...

– რამე ხომ არ მოხდა? – შიშით გული გადაუქანდა ნინის.

– მოხდა, აბა, არ მოხდა! – რა?... – ექიმის მიერ შემოთავაზებულ სკამზე ძლივსდა ჩამოჯდა ნინი.

– რა და, კვირის ბოლოს შეგიძლიათ, თქვენი დაქალი შინ წაიყვანათ.

– რა და, კვირის ბოლოს შეგიძლიათ, თქვენი დაქალი შინ წაიყვანათ.

– რა და, კვირის ბოლოს შეგიძლიათ, თქვენი დაქალი შინ წაიყვანათ.

– რა და, კვირის ბოლოს შეგიძლიათ, თქვენი დაქალი შინ წაიყვანათ.

– რა და, კვირის ბოლოს შეგიძლიათ, თქვენი დაქალი შინ წაიყვანათ.

– რა და, კვირის ბოლოს შეგიძლიათ, თქვენი დაქალი შინ წაიყვანათ.

— ასე მალე? — გაუკვირდა ნინის.

— რა იყო? თავი ხომ არ მოგაბეზრათ?

— ცისფერი თვალები ეშმაკურად მოჭუტა ბატონმა ავთომ.

— არა, რას ბრძანებთ, მაგრამ... აქამდე მარი საავადმყოფოში, როგორც წესი, თვეობით რჩებოდა ხოლმე... აბა, ჩემგან არ გესწავლებათ, გულის მანკი რა სერიოზული დაავადებაცაა... თუ მარის ასე სწრაფად გამოწერა ფულთანაა დაკავშირებული, მე ყველაფერს უკლებლივ გადავიხდით... — თქვა ნინიმ.

— რა არის, იცით? მგონი, აქ რბილად რომ ვთქვათ, უზუსტობას აქვს ადგილი.

— რა უზუსტობას? — ვერ გაუგო ნინიმ.

— რა და... მე არ ვიცი, ეს დიაგნოზი ვინ და როდის დაუსვა, მაგრამ თქვენს დაქალს მანკის გარდა, მგონი, ყველაფერი სჭირს...

— რა-ა-ა? — თვალები გაუფართოვდა ნინის. — კი, მაგრამ აბა, ამდენ ხანს ექიმები რაღას მკურნალობდნენ?

— ვერ გეტყვით, — მხრები აიჩეჩა ბატონმა ავთომ, — სხვების დასძულ დიაგნოზზე პასუხს ნამდვილად ვერ ვაგებ... თუმცა, ბოლომდე ალბათ, მაინც ვერავის გამამტყუნებ... აპარატურა, რომლითაც მარი გამოიკვლიეთ, ჩვენში სულ ახალი შემოსულია და საკმაოდ ძვირად ღირებული სიამოვნებაც განსლავთ...

— გამოდის, რომ მარი სრულიად ჯანმრთელია?! — თვალები სიხარულით აენთო ნინის.

— არა, მცირეოდენი დარღვევები, ცხადია, ჩვენც დავაფიქსირეთ, თუმცა ისინი ორგანიზმზე მეტად, ნევროზული ხასიათისაა... მართლა — გათხოვილია თქვენი დაქალი?

— არა. რატომ მეკითხებით? — გაუკვირდა ნინის.

— არც ვინმე ჰყავს?

— ვინმე?... ა-ა-ა, მამაკაცს გულისხმობთ? — როგორც იქნა, მიუსვდა ნინი. — არა, ნამდვილად არავინ ჰყავს.

— ჰოდა, თუ ასეა, ჩემო კარგო, ჩემი მეგობრული რჩევა იქნება... თუმცა, თავადაც ხვდებით, რისი თქმაც მინდა...

— დიახ, დიახ, რა თქმა უნდა... — უცბად, ყურებაძლე გაწითლდა ნინი.

— თქვენ თუ გყავთ მეუღლე? — ახლა, რატომღაც, ნინის ოჯახური მდგომარეობითაც დაინტერესდა ბატონი ავთო.

— დ-დ-იახ... — ენა დაება ნინის.

— შეილი?

— შეილიც. ნიტა ჰქვია...

— ლამაზი სახელია. ღმერთმა გავიზარდოთ! — ფეხზე წამოდგა ბატონი ავთო

და ნინის ხელი მეგობრულად გაუწოდა. — ისე, ბავშვის გაჩენა არც თქვენ დაქალს აწყენდა. მოკლედ: მზე, სითბო, ბევრი კარგი, დადებითი ემოცია და, ცოტა ხანში, გული სადა აქვს, ისიც კი დაავიწყდება...

გასარებული ნინი მარის პალატაში ხმაურით შეიჭრა. მარი საწოლზე ცვილის ფიგურასავით გამეშებული იწვა, გამხდარი ხელები გულზე მიცვალებულივით დაეკრიფა და სივრცეს სევდიანად გაჰყურებდა. ხმაურზე თავი ოდნავ მოაბრუნა და, ნინის დანახვაზე, სახეზე სიხარულთან ერთად, ტკივილიც მამინე გამოესახა.

— მარი, რომ იცოდე, რა კარგი ამბავი მოგიტანე! — მამინე მიეჭრა და პირდაპირ საწოლზე ჩამოვჯდა მარის ნინი.

— რა ამბავი?! ნიტა გამოჩნდა?! — სასწრაფოდ საწოლზე წამოვჯდა გასარებული მარიც.

— არა, ნიტა არა... — უცბად ჩაქრა ნინი და ცრემლებიც მამინე წამოსცივდა.

— აბა, სხვა სასიხარულო რა უნდა მომხდარიყო? — თვალებზე სიმწრის ცრემლი მოადგა მარისაც.

ნინიმ ერთი ღრმად ამოიოხრა, შემდეგ ცრემლები ხელისულებით მოიწმინდა, დაიხარა და მეგობარი გულში ჩაიკრა:

— მომილოცავს, ჩემო კარგო...

— ნინი, რა მოხდა? ვერ გავიგე, მაინც, რას მილოცავ? — დაქალის მკლავებიდან თავი სასწრაფოდ გაითავისუფლა მარიმ.

— ახლა შენი მკურნალი ექიმისგან მოვდივარ და იცი, რა მითხრა?

— რა? — გულგრილად ჰკითხა მარიმ და გვერდზე გაიხედა.

— რა და, შენს დაქალს, მანკის გარდა, მგონი, ყველაფერი სჭირსო...

— რას ჰქვია, ყველაფერი?... კი, მაგრამ როგორ? მერე მე რომ... — სათქმელს თავი ველარაფრით მოუყარა მარიმ.

— მოკლედ, ჩემო კარგო, კვირის ბოლოს გამოვწერს და შეგიძლია, თუნდაც, კოსმოსში გაფრინდე! მართლა, იცი, კიდევ რა მითხრა? — ეშმაკურად გაეღიმა ნინის.

— რა? — უნდობლად ჰკითხა მარიმ.

— მაგის პირველი წამალი კაცია...



რაც მალე გათხოვდება, ან ვინმეს მაინც გაიჩენს, მით უკეთესიო...

მარის სახეზე სიწითლემ გადაჰკრა და თავი სასწრაფოდ გამხდარ მხრებში ჩარგო:

— კაცი არა, კიდევ ის...

— ვითომ რატომაც არა?!.. რა გაკლია?!.. მშენიერი გოგო ხარ... ცოტა უფრო თანამედროვედ რომ ჩაიცვა და შეიღებო, ბევრ თბილისელ ლამაზმანსაც კი სულ თავისუფლად მოუჯოკრავ. — ალანული მეგობარი ისევ გულში ჩაიკრა ნინიმ და ბავშვივით დაარწია. — ცოტა მაცალე, ნიტას დავიბრუნებ და მერე შენთვისაც მოვიცლი, ისე უნდა მოგროთო და მოგკაზმო, რომ...

ნიტას ხსენებაზე მარის ტანში ციებიანივით გააჟრჟოლა და მეგობრის მკლავებიდან თავი ახლა ნელ-ნელა გამოითავისუფლა:

— ახალი სულ არაფერია?... — ჰკითხა მან შემდეგ.

— ახალი?... კი, არის...

— არის?!.. მერე აქამდე როგორ არ მითხარი?!

— რა ვიცი... შენმა ამბავმა იმდენად გამახარა და დამაბნია კიდევ, რომ ცოტა ხნით ჩემი უბედურებაც კი დამავიწყა... — უპასუხა ნინიმ და შემდეგ, სვენებ-სვენებითა და სლუკუნით, ნიტას ფეხსაცმლისა და კასეტის ამბავი დაწვრილებით უამბო...

მოგვიანებით, როცა მეგობრებმა ტირილით გული იჯერეს, ნინი წასასვლელად მოემზადა:

— წავალ ახლა, ცოტას გავივლი... შენ ხომ არ გეწყინება? — ჰკითხა მან მარის.

ბესტი ერედიციაზე

1. რა მანიქიზმი უნდა იდგას ფიზიკურად და ე.წ. ცოცხალი კედელი, როცა მონინააღმდეგე გუნდი ას-რულავს საჯარიმო დარტყმას?



- ა) 9 მ-ის;
- ბ) 11 მ-ის;
- გ) 7 მ-ის.

2. რომელ დარტყმით ახვს მინიჭებული ნოვალის პრემია უინსტონ ჩერჩილს?



- ა) მშვიდობის დაცვის;
- ბ) ფიზიკის;
- გ) ლიტერატურის.

3. ვის ეპითემის ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტის შემოღების იდეა?



- ა) როზა ლუქსემბურგის;
- ბ) კლარა ცეტკინის;
- გ) ნადეჟდა კრუპსკაიას.

4. კამაბერის, ამარბრო, მაცარელა — ამ ჩამონათქვამ-იდან რომელი არ არის ყვე-ლის ნაირსახეობის სახელი?



- ა) კამაბერი;
- ბ) მაცარელა;
- გ) ამარბრო.

— რას ამბობ?! რა უნდა მეწყინოს... მაგრამ, თუ საიდუმლო არ არის, სად მიდ-იხარ? — დაინტერესდა მარი.

— თავადაც არ ვიცი... ჰაერზე გავიფ-ლი... რაღაც მინდა გავიხსენო და არაფერი გამომდის... იქნებ, მარტო რომ დავრჩები, ახარი უფრო მოვიკრიბო...

მეგობრები ერთმანეთს კიდევ ერთხელ გადაეხვევიან და ნინი პალატრიდან გავიდა. ჩაფიქრებული მარი კი მაშინვე საწოლზე მიწვა. თუმცა, თვალის მოხუჭვაც კი ვერ მოასწრო, რომ პალატის კარი ისევ გაიღო და ზღურბლზე გოგი გორგილაძე აისვე-ტა. მის დანახვაზე მარის თვალები კი-ნალამ შუბლზე აუვიდა:

— თქვე-ე-ე-ენ?... საიდან?... ვინ ვითხრათ, რომ...

— რაო, გოგონი?... ტელეფონს რომ ჯიუტად მითიშავდი, რა გეგონა, ვერ ვი-პოვიდი? — ჩაიქირქილა პასუხად ბატონ-მა გოგამ, შემდეგ, ორ ნაბიჯში, მარის სა-წოლთან გაჩნდა, იქვე მდგარ სკამზე სასწრაფოდ ჩამოჯდა და ფეხი ფეხზე გადაიდო: — აბა, მომიყვი, როგორა ხარ, რას შერება შენი ობოლი გული?

— ჩემი გული ჩინებულადაა...

— მართლა?

— დიანაც! — ბავშვივით დაექანდა მარი. — ექიმებმა ახალი აპარატურით გამსინჯეს და მანკის მსგავსიც კი ვე-რაფერი აღმომიჩინეს.

— რას მეუბნები?... მოდი ამის შემდეგ და ენდ ჩვენს ექიმებს...

— ბატონო გოგი, — გააწყვეტინა მარამ, — წუთის წინ აქ ნინი იყო, შემთხვევით ხომ არ...

— დამწვიდლი... კონსპირაცია დაცუ-ლია... ეგ ქალბატონი რომ კიბეზე დაეშვა, მე დერეფნის კუთხიდან მაშინდა გამოვე-დი... ასე რომ, ჩემთვის თვალიც კი არ მოუკრავს... ისე, მართლა, რა მოხდა? მოსკ-ოვიდან ასე უცბად რატომ ჩამოვიდა? — შეფარვით იკითხა ბატონმა გოგამ და მარის თვალი თვალი გამომცდელად გაუყარა.

მარამ მის მხერას ვერ გაუძლო და, დაბნეულმა, ფანჯარაში გაიხედა:

— არაფერი... რა უნდა მომხდარიყო...

— აბა, თავის საყვარელს ვერ დაელო-და და ერთად ვერ ჩამოვიდნენ?

— ბატონო გოგი! — სასწრაფოდ ხმა გაიმკაცრა მარამ. — ძალიან ვთხოვ, ჩემი მეგობრის პირად ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფას შეეშეთ.

— არ მეხმის, ნინისთან დაკავშირებით თქვენ რატომ უნდა იყოთ რაიმის საქმის კურსში?

— რატომაც არა, ვითომ? მაგალითად, ნამდვილად ვიცი, რომ ცოტნემ მოსკოვში კარგა გვარიანი ფული მოჭრა...

— რა ფული? — ვითომ ვერ მიუხვდა მარი.

— კარგი, რა, გოგონი, ხომ იცი, რომ თავის მოკატუნება არ შეგიძლია, ჩემზე უკეთესად არ იცი, რა ფულზეცაა ლაპარ-აკი?..

— ვიცი, მაგრამ იმ ფულს ცოტნეს კი არ ჩუქნიან, საქმისთვის აძლევენ...

— საქმისთვისო? — უშნოდ გაიკრიჭა ბატონი გოგი. — რა? საყვარელი ქალის გახარება საქმე არ არის თუ?.. ვითომ ნინის რომ ძალიან დასჭირდეს, ცოტნე იმ ათასებს არაფერს მოაკლებს?

— ნინისთვის ბატონი ცოტნე ფულს კი არა, ალბათ, სიცოცხლესაც კი არ დაიშურებს, — ამყად უპასუხა მარამ, — თუ მარტო ამის გასაგებად მოხვედით, იქნებ...

— იქნებ, დაგტოვო, ხომ? — ფეხზე წამოდგა ბატონი გოგი. — რა გაეწყობა, რაკი ჩემთან საუბარი აღარ გსურს, წავალ... მაგრამ კიდევ შემოვივლი, იცოდე, და ცოტა უფრო დამტკბარი დამხვდი, თორემ ძალიან მეწყინება. ბოლოს და ბოლოს, მეგობრები თუ არა, საქმიანი პარტნიორები ხომ მაინც ვართ...

— ვერ გავიგე, რა პარტნიორები?..

— არა, შენი უშუალო პარტნიორი, ცხ-ადია, გაგა იქნება... ხომ გახსოვს გაგა, ძალადი, ძალიან სიმპათიური ბიჭი, ჩემთან რომ ნახე... — ამ სიტყვებზე წასასვლე-ლად მომზადებული გოგი უცბად მარის პირდაპირ საწოლზე ჩამოუჯდა.

დამფრთხალი მარი კი, კინალამ ფეხზე წამოსტა:

— ბატონო გოგი, ძალიან ვთხოვ... — ბატონო გოგი, ბატონო გოგი... — გამოაჯავრა რეჟისორმა და უკვე საბანში ნიკაპამდე ჩამძვრალი მარისკენ მთელი ტანით გადაიხარა: — არ მოგებურდა? მოდი, რაც არის, არის, გატეხე ნავსი და უბრალოდ გოგი დამიძახე. ცოტა გავუშინაურ-დეთ ერთმანეთს. დრო არ არის თუ?..

— ძალიან ვთხოვ... გეხვეწებით, თავი დამანებე! — ბავშვივით ამოიხლეკუნა საბოლოოდ დაფეთებულმა მარამ და სა-ბანი ახლა უკვე თავზეც წაიფარა.

ის იყო, ბატონ გოგის მარისთვის სა-ბანი ძალით უნდა გადაეხადა, რომ პალა-ტის კარი ხმაურით გაიღო და ზღურ-ბლზე აქომინებული ნინი გამოჩნდა...

დასასრული შემდეგ ნომერში

„ჰოლივუდის ყველაზე ლამაზი ლეკონტანს“ ტიტუნის გოდოხაძე უყუარებელი სიგურნი უივერი



ცნობილი გახდა, რომ ჰოლივუდში სამეცნიერო-ფანტასტიკური ტრილერის — „უცხო“ გაგრძელების გადაღებას აპირებენ. მთავარი გმირის — უშიშარი ლეიტენანტის, ელენ რიპლის როლში, ისევე, როგორც კინოსერიალის წინა ოთხ ფილმში, მშვენიერი სიგურნი უივერი მოგვევლინება. ეკრანებზე სურათის გამოსვლა 2004 წლისთვისაა დაგეგმილი. იმავე წელს სრულდება „უცხო“ პირველი ფილმის შექმნიდან 25 წლის იუბილეც.

სიგურნი უივერს არაერთგზის განუცხადებია, რომ ლეიტენანტ ელენ რიპლის როლი ყელში ამოუვიდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც დათანხმდა ამ პროექტში მონაწილეობაზე. ალბათ, 22-მილიონიანი ჰონორარი საკმაოდ დიდი საცდური აღმოჩნდა მსახიობისათვის. ეს თანხა ხომ სარეკორდოა არა მარტო სიგურნისათვის, არამედ ჰოლივუდის სხვა წამყვანი ვარსკვლავებისთვისაც. შესაძლოა, უივერი იმანაც მოხიბლა, რომ მას ფილმის პროდიუსერობაც შესთავაზეს, თანაც — აღმასრულებელი პროდიუსერობა, რომლის მიხედვითაც, სიგურნის, ჯოსონ უდონის უკვე დაწერილ სცენარში აქტიურად ჩარევის უფლება ეძლევა. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ მსახიობის არაორდინარული ხასიათის გამოვლინებასთან გვეკონდეს საქმე.

1979 წელს, სიგურნი უივერი პირველად გამოჩნდა უშიშარი და მამაცი ელენ რიპლის როლში, რომლის გმირიც პრაქტიკულად მარტოდმარტო ებრძოდა არამიწიერი წარმოსობის მონსტრებს. მსახიობმა ფილმში იმდენად შთამბეჭდავი სახე შექმნა, რომ მაყურებლის თვალში სამუდამოდ დარჩა სუპერგმირად. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ სიგურნი ცხოვრებაში სრულიად განსხვავებულია — იგი საოცრად კონტაქტური, გულწრფელი და მხიარულია, ამასთან, საოცრად უყვარს ხუმრობა.

სკოლაში სიგურნის მხიარულ, მოხიოხითე გოგონად იცნობდნენ. ასეთადვე დარჩა შემდგომშიც. ერთხელ, მსახიობმა გაიხსენა, თუ როგორ გაამასხარა იგი ოხუნჯობის მოყვარულმა ბილი მიურიემ მისი კიდევ ერთი გახმაურებული ფილმის — „მოჩვენებებზე მონადირენი“ — გადაღებების დროს. ბილის თხოვნით, დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა სიგურნის აცნობეს, რომ ავტოსადგომზე მომხდარი ინციდენტის გამო, მისი საუცხოო ავტომობილი ოდნავ დაზიანდა. უივერი მაშინვე სადგომისაკენ გაეშურა და თვალწინ შემზარავი სანახაობა გადაეშალა: საკუთარი მანქანის ნაცვლად, დამწვარ-დაფერფილი რკინის გროვა დახვდა. აღმოჩნდა, რომ ბილს წინასწარ ეზრუნა და ერთ-ერთი ფილმის გადაღებების დროს აფეთქებული მანქანა მიუტანინებია სადგომზე... თექვსმეტი წლის შემდეგ(!), სიგურნიმ, მეგობრების დახმარებით, შური იძია მიურეზე, როცა მისი საყვარელი „როლს-როისი“ თავიდან ბოლომდე ტკბილი,

საზიზღრად მწებავი ვაჟინით მოთხვარა. 2000 წელს კი, მან საკუთარი გოგონას თხოვნით (შარლოტა იმხანად 11 წლის იყო), თავის ძაღლს ქორწილი გადაუხადა. უივერმა და მისმა ქმარმა, ჯიმ სიმფსონმა თავიანთ იტალიურ მწევარს — პეტალს ნამდვილი საქორწინო ცერემონია მოუწვევეს. ნეფეს (მათი მეგობრების მწევარი) კისერზე ჰალსტუხი-პეპელა ეკეთა, პეტალს კი, ბრჭყვიალა კილიტებით შემკული, გრძელი, საქორწინო სამოსი ამშვენებდა. სამ თვეში პეტალმა სამი მშვენიერი ლეკვი გააჩინა: ერთ-ერთი მათგანი სიგურნიმ თავისთან დაიტოვა და ბაჩი დაარქვა, რაც იტალიურად კოცნას ნიშნავს.

უივერის მშობლები ინტელიგენციის წარმომადგელები იყვნენ. მამა, ტელევიზიის პიონერი გახლდათ და შემდგომში „ენ-ბი-სის“ ტელერადიოკომპანისაც ედგა სათავეში. დედას, დრამატული ხელოვნების სამეფო აკადემია ჰქონდა დამთავრებული და ალფრედ ხიჩკოკის კლასიკად ქცეულ, არაერთ ფილმში მონაწილეობდა. მშობლებმა ქალიშვილს სიუზან ალექსანდრ უივერი დაარქვეს, მაგრამ რომანტიკული ხასიათის გოგონამ 14 წლის ასაკში სახელის გამოცვლა გადაწყვიტა და ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის რომანის — „დიდი გეტსის“ ერთ-ერთი პერსონაჟის — სიგურნის სახელი დაირქვა.

მშობლებმა გოგონას შესანიშნავი განათლება მისცეს. მან სტენფორდის უნივერსიტეტი დაამთავრა და ინგლისურ ლიტერატურაში დისერტაციის დაცვასაც აპირებდა, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად, იელის დრამატულ სკოლაში ამოყო თავი. სიგურნის მშობლებმა, რომლებმაც შოუბიზნესის ნეგატიური მხარეების შესახებ ბევრი რამ უწყობდნენ, შვილს არჩევანი არ მოუწონეს. მათი აზრით, ისეთი წესიერი გოგონასათვის, როგორც სიგურნი გახლდათ, შოუბიზნესის სფეროში გამეფებული სიბინძურე მიუღებელი და აუტანელი იქნებოდა. მისდამი კეთილგანწყობით არც იელის დრამატული სკოლის პედაგოგები გამოირჩეოდნენ, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ გოგონას არანაირი სამსახიობო მონაცემი არ ჰქონდა. მათ სიგურნის, სასწავლებელში გადახდილი თანხის უკან დაბრუნებაც კი შესთავაზეს, რათა სხვა, მისთვის შესაფერისი საქმისათვის მოეკიდა ხელი. მაგრამ ამბიციური უივერი არანაირ კომპრომისზე არ წავიდა და დრამატული სკოლის სრული კურსი გაიარა.

იმხანად, სიგურნისთან ერთად, იელში პოლ ნოუმენი და მერილ სტრიპი სწავლობდნენ. ორივე მათგანს სკოლის დასრულებისას, უკვე ვარსკვლავის სტატუსი ჰქონდა. მათგან განსხვავებით, უივერი

სამსახიობო ასპარეზზე შედარებით გვიან გამოვიდა. თავდაპირველად, იგი ნიუ-იორკის კაფეში ოფიციალურად მუშაობდა, შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში – სხვადასხვა თეატრის სცენაზე გამოდიოდა. კინოში გადაღებაზე კი, უარს იმიტომ ამბობდა, რომ მისთვის შეთავაზებული სცენარების ლიტერატურული დონე არ აკმაყოფილებდა.

ჭირვეულმა დებიუტანტმა ისეთ ვარსკვლავურ პროექტებში თამაშზეც კი თქვა უარი, როგორც იყო: „ცხრა-ნახევარი კვირა“ (ეს როლი შემდეგ კიმ ბესინჯერმა შეასრულა) და „სხეულის სიმშურვალე“ (სადაც კეტლინ ტერნერის წარმატებული დებიუტი შედგა). სიგურნიმ „უცხოში“ შეთავაზებულ მთავარ როლზეც განაცხადა უარი, მაგრამ როცა შეიტყო, რომ გარკვეული მიზეზების გამო შეცვლილ სცენარში მთავარი გმირი – ლეიტენანტი რიპლი თავდაპირველად, მამაკაცი გახლდათ, რომლის როლიც პოლ ნიუმენს უნდა ეთამაშა, ფილმში მონაწილეობაზე სასწრაფოდ დათანხმდა. მან გადაწყვიტა, ყველასათვის დაემტკიცებინა, რომ შესანიშნავი მსახიობი იყო და მიაღწია კიდევ მიზანს! მოგვიანებით კი, მსახიობმა არაერთგზის დაამტკიცა, რომ შესანიშნავად ართმევდა თავს სრულიად განსხვავებული ჟანრის ფილმებში (კომედიაში, დეტექტივსა თუ დრამაში) დაკისრებულ როლებს. „მოჩვენებებზე მონადირეებში“ მან სუპერ-სექსუალური ვილონჩელისტი (რომელსაც ბოროტი სული ჩაუსახლდება) ფრიად შთაბეჭდავი სახე შექმნა.



ჯენიფერ ლავ პიუიგთან ერთად ფილმში – „გულთამპყრობელი“

ფილმის – „გორილები ნისლში“ – გადაღებები კენიასა და რუანდაში იყო დაგეგმილი. რეჟისორს ისეთი მსახიობი სჭირდებოდა, რომელიც ნამდვილ მაიმუნებთან მუშაობას არ შეუშინებოდა. სიგურნი გადაღებების დაწყებამდე თვე-ნახევრით ადრე ჩავიდა აფრიკაში, რათა დარწმუნებულიყო იმაში, შეძლებდა თუ არა ცოცხალ გორილებთან კონტაქტის დამყარებას. პირველივე დღეს, მასთან პატარა გორილამ მიიბრინა, გვერდით მიუჯდა და ხელზე თათი დაადო. „მისი თათი იმდენად თბილი იყო... მაშინვე ვიგრძენი, რომ მაიმუნებმა მიმიღეს, – იხსენებდა სიგურნი. – ისეთი სიხარულის გრძობა დამეუფლა, რომლის მსგავსიც შემდგომ აღარასოდეს განმიცდია. ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა იმას, რომ გაუვალ ჯუნგლებში გადაღებისას, წინ უმძიმესი განსაცდელი მელოდა. გორილების გვერდით ყოფნა იმდენად მსიამოვნებდა, რომ სხვა ყველაფერი ჩემთვის მეორეხარისხოვანი იყო“.

სიგურნი აფრიკაში ყოფნით იმდენად იყო აღფრთოვანებული, რომ საკუთარ შთაბეჭდილებებზე დღიურის ჟანრის წიგნიც დაწერა და რუანდაში სახლის შექმნასაც აპირებდა.

მიუხედავად იმისა, რომ უივერი, სხვა ვარსკვლავებთან შედარებით ნაკლებ ფილმშია გადაღებული, ის სამჯერ იყო წარდგენილი „ოსკარის“ ნომინაციაზე – ფილმებით: „უცხო“ (1987), „გორილები ნისლში“ (1989) და „საქმიანი ქალი“ (1989). მართალია, ჯერჯერობით „ოსკარის“ ქანდაკების მფლობელი ვერ გახდა, მაგრამ სამაგიეროდ, ორი „ოქროს გლობუსი“ აქვს მოპოვებული. სიგურნის საოცრად უყვარს კინოხელოვნება და უმნიშვნელო ანაზღაურების საფასურადაც კი, ხშირად მონაწილეობს მცირე ბიუჯეტის პროექტებში. კრიტიკოსებსაც და მაყურებლებსაც მის მიმართ საოცრად კეთილგანწყობილი დამოკიდებულება აქვთ. მას ხშირად, დიდ-



ჯონ გურგუროსთან ერთად, ფილმში – „ჯამში შემთხვევით“

ბულ კეტრინ ჰებერნსაც კი ადარებენ. მსახიობი თანდაყოლილი სტილის გრძობით გამოირჩევა და ამა თუ იმ ფილმში მისი გამოჩენა უკვე იმაზე მეტყველებს, რომ სურათს მაცურებელი აუცილებლად ეყოლება.

ამასთანავე, უივერი ისეთი შინაგანი თვისებებითა და გარეგნობით გამოირჩევა, რაც ჰოლივუდის ვარსკვლავთა უმრავლესობისთვის საკმაოდ უჩვეულოა. იგი იმდენად არ ჰგავს კინოელიტის სხვა წარმომადგენლებს, რომ თავად ისინიც უცხოდ მიიჩნევენ – თუნდაც მისი სიმაღლის გამო (182 სმ), რომელიც ქალური სილამაზის პოლივუდურ სტანდარტებში ნამდვილად ვერ თავსდება. ალბათ სწორედ ამით არის გაპირობებული, რომ უივერს, ამერიკელ რეჟისორებზე ხშირად, ინგლისელი, ფრანგი, პოლონელი და ავსტრიელი კინემატოგრაფისტები იწვევენ ხოლმე.

არატიპურია მისი პირადი ცხოვრებაც. სიგურნი გვიან გათხოვდა – მისი პირველი და ერთადერთი რჩეული, თეატრის რეჟისორი ჯიმ სიმფსონია. მსახიობს შესანიშნავად ახსოვს ის დღე, როცა პირველად შეხვდა ჯიმს მასაჩუსეტსის თეატრალურ ფესტივალზე. „ის სავარძელში იჯდა, ხელში ჩეხოვის თხზულებათა კრებული ეჭირა და სიგარას სიგარაზე აბოლებდა“, – ამბობს უივერი. მოგვიანებით, მსახიობის უახლოესი მეგობარი, სცენარისტი კრისტოფერ ლურანგი იხსენებდა, რომ სიგურნი ამ ნაცნობობამ ძალზედ ააფორიაქა. ჯიმი საოცარი თავმდაბლობითა და უბრალოებით გამოირჩეოდა, ამიტომ ლამაზმანმა საკუთარ ხელში აიღო ინიციატივა და ნიუ-იორკში ისინი უკვე ერთად დაბრუნდნენ. მერე უივერმა, სიმფსონი ჰელოუინის დღესასწაულზე მიიწვია, არცთუ ისე ხალხმრავალი ვაშმის შემდეგ კი, ჯიმი მის დასახმარებლად დარჩა... მოკლედ, ნოემბრის ბოლოსთვის, ისინი უკვე განუყრელნი იყვნენ. თებერვალში, სიმფსონმა ხელი სთხოვა სიგურნის, მაგრამ უარი მიიღო. „მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ ეს

თავზეხელაღებული ფანატი ბენ აფლეკი

ნასვამი მამაკაცის ნაბოღვარი არ გახლდათ, — იხსენებს უივერი. ჯიძის განზრახვის სერიოზულობაში მსახიობი ორ თვეში დარწმუნდა და თქვა: „თუ არ ვცდები, შენ მშვენიერი იდეა გქონდა ქორწინებასთან დაკავშირებით...“ ისინი 1984 წლის 1 ოქტომბერს შეუღლდნენ. ქორწილი ქალაქგარეთ, ზღვის პირას მდებარე ლონგ-აილენდის კლუბში შედგა და მასზე 250 სტუმარი იყო მიწვეული.

ქორწინების შემდეგ, მსახიობი ამბობდა, რომ იგი დიდხანს ეძებდა ისეთ მამაკაცს, რომელსაც მისი სიმაღლე და ფემინისტური განწყობა არ შეაშინებდა. წვეილს შვილი საკმაოდ გვიან, 1989 წელს შეეძინა: როცა სიგურნი უკვე 40 წლის იყო, ქვეყანას მშვენიერი შარლოტა მოევლინა.

ნიუ-ორკში მდებარე ერთ-ერთი პატარა თეატრის რეჟისორი ჯიმი სიმფსონი ყველაფერში ეხმარება თავის ცნობილ და საყვარელ ცოლს. „მას მშვენივრად ესმის, რაოდენ ქაოსურია მსახიობის ცხოვრება, — ამბობს სიგურნი. — როცა გადაღებებზე მივებზავრები, ყველა საოჯახო საქმეს ჯიმი უძღვება. სიმფსონი წარმოშობით ირლანდიელია, ჰავაის კუნძულებზეა გაზრდილი და წინასწარ დაგეგმილ ცხოვრებასაა მიჩვეული. ყოველ კვირას, მას შარლოტა ადგილობრივ ეკლესიაში დაჰყავს. როცა ეს შესაძლებელია, გოგონა გადასაღებ მოედანზეც მიმყავს. ოღონდ, გულახდილად გეტყვით, რომ მასთან ერთად შინ ყოფნა ყველაფერს მირჩევნია. ამიტომ, წელიწადში ერთ ფილმში მონაწილეობა ჩემთვის სავსებით საკმარისია“.

მსახიობი იმდენად კარგად გამოიყურება, ძნელად დასჯერებელია, რომ შარშან ოქტომბერში მას 52 წელი შეუსრულდა. მას არასოდეს გაუკეთებია პლასტიკური ოპერაცია და განსაკუთრებულად არც არასოდეს უვლიდა თავს, რადგან მიაჩნდა, რომ ეს საკმაოდ მოსაწყენი საქმიანობა იყო. მისი მეუღლის თქმით კი, სიგურნი საკმაოდ კარგი მადითაც გამოირჩევა და არასოდეს დაუცავს ღიება. მიუხედავად ამისა, აშშ-ის ერთ-ერთმა ქალთა ჟურნალმა, რომელმაც 50 ყველაზე სექსუალური ქალის სია გამოაქვეყნა, იგი მე-13 ადგილზე დაასახელა და „ჰოლივუდის ყველაზე ლამაზი დეკოლტეს“ ტიტულიც მიანიჭა.

საუბრობენ იმაზეც, რომ შესაძლოა, სულ მალე, სიგურნიმ რეჟისურაშიც სცადოს ბედი. ისინი, ვინც კარგად იცნობენ მას და მისი შეუპოვარი ხასიათიც იციან, ჰოლივუდში სანაძლეობესაც კი ღებენ, რომ „უცხოვს“ ახალი სერიის რეჟისორად სწორედ უივერი მოევლინებათ, რადგან ის ყველაზე უკეთ ჩასწვდა ლეიტენანტი ელენ რიპლის ხასიათს.



ბენ აფლეკი ირწმუნება, რომ პროდიუსერებს დიდი გარჯა არ დასდგომიათ, „თავზეხელაღებულებში“ თამაშზე მის დასათანხმებლად. იგი ხომ მისი ყველაზე საყვარელი კომიქსის გმირია! „13-14 წლის ასაკში, თავაულებლად კითხულობდი თავზეხელაღებულის თავგადასავლებს, — ამბობს ბენი. — ეს გმირი ადამიანი-ობობაზე მეტადაც კი მომწონდა“.

1995 წელს, „სუპერმარკეტის ვირთხების“ გადაღებებზე აფლეკი თავზეხელაღებულის კიდევ ერთ, დიდ თაყვანისმცემელს გაეცნო: ეს რეჟისორი და სცენარისტი კევინ სმიტი გახლდათ. „კევინი თავზეხელაღებულის დიდი ფანატი და კარგა ხანია, ამ კომიქსის კოლექციას ავროვებს, — ამბობს აფლეკი. — მასზე კარგად ამ სფეროში ალბათ ვერავინ ერკვევა. ჩემთან საუბრის შემდეგ, მან მთელი პასუხისმგებლობით განაცხადა: „შენ ნამდვილი ფანატი ხარ!“ მისი ქაოთნაურით ფრიად ნასიამოვნები დავრჩი“.

რამდენიმე წლის შემდეგ, გამომცემლობა „მარველმა“ კევინ სმიტს თავზეხელაღებულის მომდევნო კომიქსების სცენარის დაწერა სთხოვა. დიდმა პოსტმოდერნისტმა სმიტმა სიუჟეტის განვითარებაში აფლეკის „თემას“ ვერ აუქცია გვერდი და ერთ-ერთ გამომცემში ჩაწერა, რომ „მთი მერდოკს „უილ ჰანტინგის ტკიანების“ პრემიერაზე ბილეთები გარანტირებული ჰქონდა“. აფლეკის საპასუხო შესტამც არ დააყოვნა და როცა გამომცემლობამ რამდენიმე კომიქსის „გრადუალური რომანდი“ გამომცემა განიზრახა, უკვე „ოსკაროსანმა“ ვარსკვლავმა სმიტს წიგნის შესავლის დაწერა შესთავაზა, სადაც აღნიშნა, რომ ძალზედ აფასებდა ამ შესანიშნავ კომიქსს.

არაფერია გასაკვირი იმაში, რომ როცა ევი არადმა „თავზეხელაღებულის“ გადაღება განიზრახა, მან ფილმში ბენ აფლეკი მიიწვია. „როცა მე მერდოკის როლი

შემომთავაზეს, ერთი წუთითაც კი არ დაფიქრებულვარ, ისე დავთანხმდი, — ამბობს აფლეკი, — რადგან კვლავ 14 წლის ბიჭუნად ვიგრძენი თავი!“ როლის მომზადებისას, აფლეკს საკმაოდ დიდი გარჯა დასჭირდა. საბრძოლო სცენების ქორეოგრაფი, ჩუენ-ინ ოუენი (ცნობილი ვუ-პინა ოუენის ძმა, რომელმაც „მატრიცის“ საბრძოლო სცენები დადგა) მოითხოვდა, რომ მსახიობს სიცოცხლისათვის უხეფათო ყველა ტრიუკი თავადვე შესრულიებინა. რამდენიმე კვირის მანძილზე, ბენს ფარეკობას ასწავლიდნენ. ხოლო როცა ჯერი ვადამწყვეტ ორთაბრძოლაზე მიდგა, მსახიობს ღებლიორები (ისიც რეჟისორის დაჟინებული მოთხოვნით) მხოლოდ ძალზედ სახიფათო კადრების გადაღებისას ცვლიდნენ.

„რა თქმა უნდა, მე ჯეკი ჩანის დაუნის გვირგვინზე პრეტენზია არა მაქვს, — ამბობს ბენი. — მაგრამ ყველაფერს ვაკეთებ, რაც ჩემს ძალებს არ აღემატება. როცა მაყურებელი ხედავს, რომ ურთულეს ტრიუკებს თავად მსახიობი ასრულებს, ეს ფილმს დამაჯერებლობას მატებს“. აფლეკის თქმით, მას თავზეხელაღებულის „სუპერმენული“ ასპექტი ბევრად უფრო ნაკლებად აღელვებდა, ვიდრე მთი მერდოკის მანერები და პლასტიკა, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ გმირი კარემოს ზებუნებრივად მერძობიარედ აღიქვამს, იგი მაინც ბრმად რჩება. მარკ სტივენ ჯონსონმა სპეცეფექტების მეშვეობით, „ჩრდილების საოცარი სამყარო“ შექმნა. „ჩემი კონსულტანტი გადაღებებზე საოცარი ადამიანი, ტედ სალივანი გახლდათ, — ამბობს ბენი. — იგი ბრმაა, მაგრამ ამ ცხოვრებაში იმდენ რამეს მიაღწია, რომ მე არც კი დამსიზმრებია: ის ხტება პარაშუტით, შესანიშნავი მოთხილამურეა... საოცრად დიდი ღანძარება გამიწვია თავისი რჩევებით. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ მთი მერდოკის გმირს ასე ღრმად ჩავწვი“. მეტი დამაჯერებლობისათვის, გადამწყვეტ სცენებში აფლეკს გუგებზე გაუმჭვირვალე ლინზები ეკეთა და მართლა ვერაფერს ხედავდა...

მსახიობის თქმით, საბოლოო შედეგი ნამდვილად ღირდა იმ ტანჯვა-წამებად, რაც გადაღებების დროს მსახიობმა განიცადა. „კომიქსებში მონაწილეობა კიდევ ერთი რამით არის ძალზედ მომხიბლავი: მისი გმირები წარმოთქვამენ ფრაზებს, რომელიც ჩვეულებრივ ცხოვრებაში მეტისმეტად პათოსურად და სულელურადაც კი ჟღერს, — მიაჩნია მსახიობს. — რეალობაში ჩვენ ვერ იღებთ ისეთი სიტყვების წარმოთქმას, როგორცაა „პატიოსნება“ და „კეთილშობილება“. დაე, ამ სიტყვებმა კომიქსებში მაინც გაიჟღეროს!“

აკაკი გებენავა

არა, ამერიკა მინც ამერიკაა. აქ სამუშაოს ძებნასაც თავისი ხიბლი აქვს. ერთი შეხედვით პროზაულ გარემოში, ზოგჯერ ისეთი შთაბეჭედავი ამბავი გადაგხდება, რომ დიდხანს დაგამახსოვრებს თავს.

მეც ასე დამემართა. ხუმრობა ხომ არ იყო — ამერიკაში აღებული სატვირთო მანქანის მძღოლის მონობით გათამამებული, ნებისმიერ სამუშაოზე უკვე აღარ ვთანხმდებოდი. უფრო მეტიც, ხელსაყრელ და სარფიან საქმეს ვეძებდი. ძიებისას კი, ერთ ძალზედ სასიამოვნოდ გასახსენებელ გარემოცვაში მოვხვდი. თუმცა, უმჯობესია, ყველაფერი დანვრილებით მოგიტხროთ.

სამსახურისთვის თუ ქალისთვის?


რამდენიმე დღე, სასურველი სამსახურის ძებნისას, გაზეთების ფურცელაში გავატარე. ბევრგან დავრეკე კიდეც. ზოგან მე არ მოვეწონე, ზოგი შემოთავაზება თავად დავიწუნე. ბოლოს კი, ერთმა განცხადებამ მიიქცია ჩემი ყურადღება. განცხადება იწვევდა, რომ ავეჯის გადაზიდვის კომპანია — Allpoint America („ამერიკის ყოველი წერტილი“) სარფიან სამსახურს სთავაზობდა პროფესიონალ მძღოლებს. ჩემი დაინტერესება ერთსა და იმავე დროს, ორმა გარემოებამ გამოიწვია: ერთი, რომ ამერიკის ყოველ კუთხე-კუნძულში შეიძლებოდა მოვხვედრილიყავი და მეორეც, სარფიანი ანაზღაურება მეჩნებოდა. ჰოდა, ამაზე მეტი რა უნდოდა მოგზაურობაზე შეყვარებულ ქართველ კაცს?!

ამაზე მეტი ახლა რა უნდა ვინატრომეთქი? — გავიფიქრე და განცხადებაში აღნიშნული ტელეფონის ნომერი ავკრიბე.

— ჰელოუ... თქვენ ბელმა გაგიღიმათ, რომ ჩვენთან დარეკეთ... — ისეთი სასიამოვნო და ვნებიანი ხმით მიპასუხეს, სულ ერთიანად დავინი და ლამის დამავიწყდა, რისთვის ვრეკავდი. ღრმად ამოვისუნთქე და შევეცადე, რაც შეიძლება მეტი სიტბო „ჩამეღვარა“ ხმაში.

— მძღოლის ვაკანსიის თაობაზე გაწუხებთ. იქნებ, თქვენი პირობების შესახებ მითხრათ...

— წარმოიდგინეთ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გინდათ... მთავარია, მოხვიდეთ და გაგვესაუბროთ...



ამერიკაში სამსახურის და... ქალის საძიებლო

ანდამატივით მიზიდავდა უცნობი ქალის მშვენიერი ხმა. იმ საუბრებთან შედარებით, რაც იმ დღეებში, ათეულობით სხვა კომპანიასთან მქონდა, ამ მიწვევამ ყველა ერთად გადაწონა. ისეთი შეგრძნება დამეფულა, თითქოს ანგელოზს ველაპარაკებოდი...

— როდის შეიძლება მოვიდე? — დავითაფლე ხმა.

— საღამოს 6 საათამდე. მობრძანდით, ძალიან გაგვახარებთ...

ერთიანად გავიბადრე. უცნობი ლამაზი ქალი ჩემს განხარებაზე „ოცნებობდა“...

— რა გჭირს, კაკო? — გაოცებულმა მკითხა კახამ (კახა ის თბილისელი ბიჭი იყო, ვისთანაც მე და დიმა დროებით გადავედით საცხოვრებლად. კახა იმ დღეს ისვენებდა და ძალაუნებურად გახდა იმის მოწმე, თუ როგორ ვეძებდი ტელეფონით სამსახურს).

— რა ვიცი, ასე მგონია, ზღაპრულ ფერიას ველაპარაკებოდი... — გაუუზიარე შთაბეჭდილება.

— ვი-ის?.. — გულიანად გაეღიმა კახას.

— აი, თუ არ გჯერა, შენ თვითონ დარეკე და დარწმუნდები! — კომპანიის ნომერი სასწრაფოდ ავკრიბე და ყურმილი გადავეცი.

კახა კმაყოფილი უსმენდა „ფერიას“

და თან ხელით მანიშნებდა — მაგარიო... — მიდი, ჰკითხე, რა ჰქვია!.. — ვუკარნახე კახას და მანაც ჰკითხა...

— ო'კეი, ო'კეი, — გაიღიმა ბოლოს და ყურმილი დაკიდა.

— არ გეწყინოს, კაკო, მაგრამ მეც მოგყვები მაგ კომპანიაში...

— შენ რაღა გინდა? — გამიკვირდა.

— არა, ძმაო, მაგ ქალის ხელიდან გაშვება საცოდაობაა, ისეთი ტკბილი ხმა ჰქონდა, თანაც მგონი, მოვეწონე კიდეც...

— ალტაცებას ვერ ფარავდა კახა.

— ეგ საიდანღა მოიტანე? მოიცა, მოიცა — სახელი ვითხრა? — დავინტერესდი.

— სახელეს ტელეფონით არ ვარიგებ; მობრძანდით, გამეცანით და მერე ვნახოთო...

— ახლა როგორ მოვიქცეთ? იმ კომპანიაში სამსახურისთვის წავიდეთ თუ ქალისთვის? — ღიმილი ვერ შევიკავე.

— კარგი, რა, კაკო. რა თქმა უნდა, სამსახურისთვის მივდივართ, მაგრამ ხომ იცი ჩემი ხასიათი — ლამაზი ქალი ჩემი სუსტი წერტილია და მაინტერესებს, ასეთი ხმის პატრონი ცხოვრებაში როგორ გამოიყურება... — არგუმენტი მოიშველია კახამ.

რა უნდა მეპასუხა? თანაც, ჩემთვის უკეთესიც იყო, რომ მარტო არ მომიწევდა კომპანიაში წასვლა.



ტრაილერების კომპანიაში

კომპანია Allpoint America-ს ადვილად მივაგენით. უფრო მეტიც, ისეთი შეგრძნება დამეფლა, თითქოს საკმაოდ ნაცნობ ადვილას მოვედი. თუმცა, ეს ასეც იყო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კომპანია მდებარეობდა ბრუკლინში, მანჰეტენისა და ბრუკლინის ხიდებს შორის. მგონი, რაც კი ფილმები გადაუღიათ ნიუ-იორკში, ეს ადგილები ყველგან წინა პლანზეა წამოწეული. ამ ფილმებს თუ დავუჯერებთ, მაფიოზები, ბანდიტები და ყაჩაღები სულ ამ რაიონში „მოღვაწეობენ“. ყველა თავდასხმა თუ საქმიანი გარიგება ამ რაიონში ხდება. არადა, ეს ადგილები სულ საწყობებითა და სააქტორებით არის გადატვირთული. აქ მართლაც დიდი ფული ტრიალებს, რაც ათასობით ბედის (და ფულის!) მადიებელს იზიდავს. მე მათ კატეგორიას ნამდვილად არ მივეკუთვნებოდი, მაგრამ სამსახურს ახლა მეც ვეძებდი და მცირეოდენი ფულის შოვნის იმედიც მქონდა...

ფირმის სარეკლამო ფირნიში სამსართულიანი შენობის თავზე მიემარებინათ და შორიდანვე ადვილი შესამჩნევი გახლდათ. ეზოში ათიოდე ტრაილერი იდგა, რომელთა გვერდით, მომცრო სატვირთო ავტომანქანები ჩაემწკრივებინათ. ყველა მათგანი კომპანიის სარეკლამო წარწერებით აეჭრებოდა...

ორი უზარმაზარი ტრაილერის საბარგულთან მამაკაცები ტრიალებდნენ. საწყობიდან ავეჯი გამოჰქონდათ და ავტომობილს ტვირთავდნენ.

– ამხელა მანქანები უნდა ატარო, კაკო? – მკითხა კახამ.

– ჰო, რა გაგიკვირდა?

– არა, ძმაო, მე ნამდვილად ვერ გავრისკავდი ამ მანქანის მართვას...

– სულაც არ არის ძნელი, უბრალოდ, შეჩვევის ამბავია... – ვუპასუხე და ერთ-ერთ მუშას მივუახლოვდი. კვითხე, ოფისში როგორ მოვხვედრილიყავი. მანაც ამიხსნა და სულ მალე, დიდ, თეთრად შეღებილ ოთახში მოხვდით, რომელსაც დარბაზი უფრო ეთქმოდა. მოხერხებულ მაგიდებთან კომპიუტერები ჩამოემწკრივებინათ, მონიტორებთან გოგონები ისხდნენ, თან ტელეფონით ლაპარაკობდნენ.

ერთ-ერთმა შეგვნიშნა, თავისი ადგილი მიატოვა და ჩვენკენ გამოემართა. საშუალო სიმაღლისა იყო. ჯინსის მოტკეცილი შარვალი და მოკლე ტოპი ეცვა. ჭიპი გამომწვევად უჩანდა, წელიც ისეთი წვრილი და გამოყვანილი ჰქონდა, სურვილი გამიჩნდა, ხელით შევხებოდი, მაგრამ თავი შევიკავე. ტოპი მარტო მოკლე კი არა, სიფრიფანაც იყო. ასე რომ, მისი მოხდენილი, სავე მკერდი მთელი თავისი მშვენიერებით წარმოგვიდგა... ამხვე დროს, ისეთი ბავშური სახით გვიღიმიდა, თვალი ვეღარ გაუხსწორე: შემრცხვა ჩემი ადლებების გამოძვრისა... კახას გადავხედე. გაშეშებული იდგა და გოგონას თვალს არ აშორებდა...

– ჰელოუ! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!.. – შემოგვცინა ფერიამ და მე და კახამ უძალ ვიცანით ტელეფონით მოსმენილი ხმა, რომელმაც ერთბაშად დამატყვევა, კახას კი მთელი დღის გეგმები გადაავიწყა...

– მე მძლოლის ვაკანსიის თაობაზე გეახელით... – როგორც იქნა, გაგებდე და თვალი გაუხსწორე ფერიას.

– ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ათიოდე წუთი უნდა მოიცადოთ: ბოსი გასულია და მალე დაბრუნდება. მანამდე კი, შემიძლია გაგიმასპინძლო: რას ინებებთ – ყავას თუ ჩაის? – სხაპასუხებით მოგვაყარა და კუთხეში მდგარ მაგიდასთან მიგვიწვია. ჩვენც უხმოდ დავსხედით და თვალი გავაყოლოთ მოხდენილ მასპინძელს, რომელიც ბალერინის მსგავსი მიხრა-მოხრით გავიდა გვერდით ოთახში.

– ა, კახუმ, რას იტყვი? – გადავხედე ძმაკაცს.

– რაც კარგია, კარგია! ასეთი მაგარი ტანი და ასეთი ვნებიანი ხმა ერთად ალბათ იშვიათი შემთხვევაა. რა დასანანი, რომ ზანგია... – დანანებით თქვა კახამ.

– მერე რა, რომ ზანგია...

– თეთრკანიანი რომ იყოს, არც დაფვიქრდებოდი, აუცილებლად ცოლად შევირთავდი... – როლში შეიჭრა კახა.

– შენ რა გონია – ფრენა-ფრენით გამოგვევბოლა? ისე კი, კარგი იქნებოდა.

ფერად-ფერადი ბავშვები გეყოლებოდათ...

– აუ, შენც რა მაგარი ხარ! ეს რომ რაჭველ დედაჩემს ჩავუყვანო თბილისში, ხომ გადაირია: ზანგი კი არა, იმერელი ქალიც არ უნდა რძლად – აუცილებლად რაჭველი უნდა იყოსო... – თავისივე ნათქვამზე იცინოდა კახა.

– აბა, რა ვქნათ ახლა? – ისე ვიცითხე, თითქოს ამ კომპანიაში სხვა არანაირი პრობლემა არ მქონდა.

– რა უნდა ვქნათ? – მიხედე შენს საქმეს. მე კიდევ, ცოტა ხანს დავტკებები ამ ლამაზი ზანგი გოგოს ცქერით და წავალ, აბა, თან ხომ არ გადავწყვები...

ამ საუბარში ვიყავით, შავმა ფერიამ ორი ფინჯანი ყავა და ნამცხვარი რომ გამოგვიტანა, თან მოგვიბოდიშა – საქმე მაქვსო, – და კომპიუტერს მიუჯდა.

მე და კახა ვისხედით, გემრიელ ყავას და ნამცხვარს შევქექვოდით, „დესერტად“ ფერადკანიანი მასპინძლის ღიმილიან გამოხედვას ვაყოლებდით და თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობდით... თვითონაც ვერ მიემხდარიყავით, პატარა, მუქკანიანმა სექსუალურმა გოგონამ როგორ მოგვხიბლა ეს თავმომწონე თბილისელი ბიჭები...

მოკლედ, ისე გავერთეთ, რომ არც კი შევეიმჩნევი, როგორ მოგვიახლოვდა სიმპათიური, ასე, სამოციოდე წლის შავგერემანი მამაკაცი.

– თქვენ ჩემთან ხართ? – მოგემართა მან და მივხვდი, რომ ბოსთან მქონდა საქმე. თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიე.

– წამობრძანდით, ჩემთან ვისაუბროთ, – გვითხრა და თავისი ოთახისკენ წავიდა. კახა ისევ შავკანიან ოპერატორს უყურებდა და სულაც არ გაუგია კომპანიის თავკაცის მოსვლა.

– კახა, უფროსი მოვიდა, წამოდი... – ხელი ვკარი და გამოვაფხიზლე.

– მე რა მესაქმება შენს უფროსთან? შენ წადი, გაარკვიე შენი ამბავი, მე კი აქ დავგელოდები... – ჩემკენ არც გამოუხედავს, ისე მიპასუხა. საცოდაობა იყო, ამ სიტუაციისთვის მომეწყვიტა კახა და უსიტყვოდ დავემორჩილე.

ჩემი ქართველობა აქაც „გამომადგა“...

– თქვენი მეგობარი სად არის? – გაიკვირვა ბოსმა, როდესაც კაბინეტში მარტო შევყვიე.

– გარეთ დამელოდება. თქვენთან მხოლოდ მე მაქვს საქმე, – რამდენადაც შემემძლო, თავაზიანად ვუპასუხე.

– ლანა მოეწონა, არა? მართლა ცეცხ-

ლივით გოგოლა... — შინაურულად გამიღ-
 იმა ბოსმა და სკამზე მიმოიხილა — დაბრ-
 ძანდო. თვითონ სავარძლიდან ჩემ პირდა-
 პირ გადმოინაცვლა და ყურადღებით შე-
 მათვალღერა. პაუზა გაიწვია, ის კი
 არაფერს ამბობდა. უხერხულობისთვის
 თავის დასადწევად, ბოლოს და ბოლოს,
 ინიციატივა გამოვიჩინე:

— მისტერ...

— ედმონდ... — შემეშველა ბოსი.

— მისტერ ედმონდ, თქვენი სარეკლამ-
 მო განცხადების თაობაზე მოვედი. თუ
 არ ვცდები, სატვირთო მანქანის მძღოლე-
 ბი გჭირდებათ...

— საიდან ხარ? — ისე მკითხა, წი-
 ნდადებდა არც მქონდა დამთავრებული.

— ჯორჯიიდან...

— ებრაელი ხარ?

— არა, ქართველი...

ბოსს სიამოვნებისგან სახე გაებადრა.
 თბილად შემომხედა და ჩემთვის სრული-
 ად მოულოდნელად გამომიცხადა:

— დიდ პატივს ვცემ თქვენს ხალხს,
 მეგობარიც ბევრი მყავს თქვენი ქვეყნიდან..

საქმის ასე შემობრუნებას მართლაც
 არ ველოდი. ბატონი ედმონდი კი გა-
 ნაგრძობდა:

— მე ამერიკისა და ისრაელის მო-
 ქალაქე ვარ. ისრაელში ძმები და ახ-
 ლობლები მყავს... ხშირად ჩავდივარ იქ.
 საქართველოდან ჩასულები ბევრნი არიან
 ჩემს სამშობლოში, ძალიან კარგი ურთ-
 იერთობა მაქვს მათთან. ამ კომპანიაშიც
 მუშაობდნენ ქართველები, კარგი ბიჭები
 იყვნენ.

და ამას ამბობდა ერთ-ერთი მსხვილი
 ამერიკული კომპანიის მფლობელი... მეც
 მეტი რა მინდოდა? — ჩემს სიხარულს
 საზღვარი არ ჰქონდა.

თუმცა, ამ აღფრთოვანებას სულ მალე,
 ბოსმა ცივი წყალი გადაასხა და ღრუ-
 ბლებიდან მიწაზე დამაბრუნა:

— მიუხედავად იმისა, რომ ქართველები
 მიმართ სიმპათიით ვარ განწყობილი, —
 თქვა მან, — ნუ დაგავიწყდებათ, რომ

ამერიკაში ვიმყოფებით. ძმაკაცობა კარ-
 გია, მაგრამ საქმეში ძმაკაცობა არ გამოვ-
 ვადგება! არავითარი დათმობა არ იქნება!
 თავისი საქმე ყველამ კეთილსინდისი-
 ერად უნდა აკეთოს... ეს ჩემი კომპანიის
 კრედოა!..

ედმონდის ლაპარაკი ახლა ლექციას
 უფრო ჰგავდა. მეც ბეჯითი მოსწავლე-
 სავით ვუსმენდი.

— თუ მიმიღებთ, ვეცდები, თქვენი ნდობა
 გავამართლო... — როგორც იქნა, მეც მო-
 მცა აზრის გამოთქმის საშუალება.

— რაც შეეხება ხელფასს — თავიდანვე
 უნდა შევთანხმდეთ, რომ მერე ნაწყენი არ
 დარჩეთ. იმის გამო, რომ ამ ქვეყნის მო-
 ქალაქე არა ხართ, იმდენს ვერ გადა-
 გიხდით, რამდენსაც ამერიკელებს... — დაი-
 წყო ედმონდმა პირობების განმარტება,
 მაგრამ უამისოდაც ვიცოდი, რომ ასე
 იქნებოდა და ამერიკელებთან შედარებით
 დაბალ ანაზღაურებას მივიღებდი...

— მაგრამ ერთი შეღავათის გაწევა
 შემიძლია, — განაგრძო ედმონდმა, — გარ-
 და იმისა, რომ მძღოლის ხელფასს გადა-
 გიხდით, თუ მუშებსაც დაეხმარებით ავე-
 ჯის დატვირთვა-გადმოტვირთვაში, ამაში
 დამატებით ანაზღაურებასაც მიიღებთ.
 მთავარია, მონიღლოთ და უკმაყოფილო
 ნამდვილად არ იქნებით...

— მისტერ ედმონდ, თქვენი კომპანიის
 სახელწოდების მიხედვით, ამერიკის ყვე-
 ლა კუთხეში დადიხართ... — ვერ მოვ-
 ითმინე და ჩემთვის საინტერესო საკ-
 ითხს შევეხე.

— რა თქმა უნდა! მთავარია, კლიენტი
 გყავდეს და სადაც მოისურვებს, იქ მი-
 ვუტანთ ავეჯს. ეს ჩვენი მოვალეობაა.

ამჟამად კმაყოფილი დავრჩი. ხუმ-
 რობა საქმე ხომ არ იყო? — სამუშაოსაც
 ვმოულოდნელი და ჩემს ოცნებასაც ვუახ-
 ლოვებოდი — მთელ ამერიკაში მომიწ-
 ევდა მოგზაურობა. საქმიანი, მაგრამ მაინც
 მოგზაურობა!

კიდევ ათიოდე წუთი ვისაუბრეთ,
 რაღაც დეტალები დავაზუსტეთ და ერთ-
 მანეთს დავეშვიდობეთ. მეორე
 დღეს, უკვე მუშაობას ვიწყებ-
 დი.

კაბინეტიდან ის-ის იყო
 გამოვედი, რომ ბოსმა შემაჩერა
 და მოულოდნელი შეკითხვა
 დამისვა:

— აკაკი, მაინტერესებს —
 რამდენი ხნით აპირებთ ამე-
 რიკაში დარჩენას?

— გულახდილად რომ გი-
 თხარათ, არ ვიცი... რატომ მე-
 კითხებით? — ამ შეკითხ-

ვისთვის ნამდვილად არ ვიყავი მზად და
 ის ვუპასუხე, რაც თავში მომივიდა. თანაც,
 საპასუხო შეკითხვაც დავეუსვი კომპანი-
 ის მეპატრონეს.

— როგორ გითხრათ... ქართველებისა
 ვერაფერი გამიგია. ხომ გითხარით, ჩემთან
 ბევრი ქართველი მუშაობდა. კარგი ბიჭე-
 ბიც იყვნენ, მაგრამ რად გინდა? —
 წაიმუშავედნენ ერთ, დიდი-დიდი — ორ
 წელს და ისევ საქართველოში, სიღარიბეში
 ბრუნდებოდნენ. არ ურჩევნიათ, აქ დარჩ-
 ნენ და ცხოვრება ააწყონ?!.. ალბათ თქვენც
 მათსავით მალე გაიქცევით სამშობლო-
 ში... ასეა, არა? — მრავალმნიშვნელოვნად
 გადმოხედა.

— ეგ რომ გაიგოთ, მისტერ ედმონდ,
 ქართველი უნდა იყოთ. რაც შეეხება
 ცხოვრების აწყობას — ესეც სხვაზე ნა-
 კლებად არ გვეხერხება... — მეტი
 აღარაფერი მითქვამს, დავეშვიდობე ჩემს
 ახალ უფროსს და ოფისში კახას დავე-
 წყე ძებნა. თუმცა, რად უნდოდა ძებნა? —
 ფეხიც არ მოუცვლია იმ სკამიდან,
 რომელზეც მშენიერმა ზანგმა გოგონამ
 დასვა.

— გამოგდის, ძმაკაც, რამე? — ირონი-
 ულად ვკითხე მეგობარს.

— ნერვები მეშლება, კაკო, ამთ საქმის
 მეტი არაფერი იციან. როცა საქმეზე
 ლაპარაკობენ, თაფლივით ღნებიან, ისე კი,
 მგონი, არც ახსოვთ, რომ ქალები არიან..
 — აღელვებული და უკმაყოფილო იყო
 თბილისელი გოგონებისგან განებივრებუ-
 ლი კახა.

— ვერც სახელი გაიგე შენი ფერად-
 კანიანი ანგელოზისა? — კიდევ უფრო
 გავეუმძაფრე მარცხით მოგვრილი განც-
 და.

— არა, სიტყვა ვერ დავაცდენინე!
 ლამისაა გარეთ გამიძახოს...

— სამაგიეროდ, მე გავიგე, იმ გოგონას
 რა ჰქვია... ლანა ჰქვია და ცოტა ხანში,
 მაგ ლანას თავის დაქალებიანად, სახლში
 ამოგიყვან!.. — დავაიმედე დამარცხებუ-
 ლი რაინდი.

— როგორ, თოკს მოაბამ?

— არა, ბიჭო, სამსახურში მიმიღეს და
 რამეს როგორ ვერ მოვუხერხებ?!.

— თავიდანვე მასე გეთქვა! მოდი,
 მოვილოცო! — გადამეხვია მეგობარი. მე
 ხომ მიხაროდა და მიხაროდა, მაგრამ
 კახაც ვერ ფარავდა სიხარულს. ჩემს
 წარმატებასთან ერთად, ისიც უხაროდა,
 რომ მის ძმაკაცს მშენიერი გოგონების
 გარემოცვაში მოუწევდა მუშაობა და ეს
 გოგონები ახლო მომავალში, მისი ხშირი
 სტუმრებიც შეიძლება გამხდარიყვნენ...



სალომე გასვიანის თავმჯდამსეუვი წამაფრეში ლოს-ანჯელისში

ამ დღეებში, ოთხთვიანი გას-
ტროლების შემდეგ, ახალგაზრდა მო-
მღერალი სალომე გასვიანი თბილისში
დაბრუნდა. აეროპორტში მას უამ-
რავი ახლობელი და ჟურნალისტი
დახვდა. თბილისს მონატრებული
სალომე ხან ერთ მეგობარს ეხუტე-
ბოდა, ხან — მეორეს.

მომღერალი ლოს-ანჯელესში,
საპროდიუსერო ცენტრის ხელმძღვ-
ანელმა შონ მაკნამარამ მიიწვია, სა-
დაც სალომე ცნობილ კომპოზი-
ტორებთან — კოდასთან და დეფარი-
ოსთან ერთად მუშაობდა. სალომემ
„დისნეის“ სტუდიაში ცხრა ინგლი-
სურენოვანი სიმღერა ჩაწერა და ორ
მათგანზე კლიპიც გადაიღო. მასთან
ლეგენდარული მადონას ოპერატორი
ნიკ მენდოზა თანამშრომლობდა, ხოლო
კლიპის რეჟისორი შონ მაკნამარას
სააგენტოს თანამშრომელი — პაატა
პაპუაშვილი იყო. მომღერლის ერთ-
ერთი ახალი სიმღერა — Out of the
world ბრიუს უილისის ახალი ფილ-
მის ბოლოს, ტიტრების დროს გაიჟღ-
ერებს.

სალომეს სურდა, ლოს-ანჯელესის
სკოლაში გაეგრძელებინა სწავლა,
მაგრამ იმის გამო, რომ აშშ-ში ტურ-
ისტული ვიზით იყო წასული, ამის
საშუალება არ მიეცა. ამასთანავე, უნდა
დაბრუნებულიყო სამშობლოში, რად-
გან რეჟისორმა ზაზა ორაშვილმა,
სალომეს ორ ახალ ინგლისურ სიმ-
ღერაზე კლიპი უნდა გადაიღოს.

კომპოზიტორმა კოდამ ქართველი
გოგონას ხმა სელინ დიონისას
შეადარა, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ
სალომეს საკუთარი სტილი აქვს.
რეჟისორ შონის თვალმა სალომესა
და ჯულია რობერტისის გარეგნობას
შორის მსგავსება დაინახა...

საგარაუდოდ აპრილის ბოლოს
ან მაისის დასაწყისში, მომღერალი
კვლავ გაემგზავრება ლოს-ანჯელესში
— ამჯერად, სამუშაო პროგრამით და
ლოს-ანჯელესის სახელმწიფო სკო-
ლაშიც დაიწყებს სწავლას.



ნინი ქაბესელაძე შეიძლება ლთინიში „გაიფაცინ“

ახალგაზრდა მომღერალი ნინი ქაბესელაძე გასულ
ზაფხულს, ინგლისში ფეხბურთელ გიორგი ქინქლაძე-
ესთან იმყოფებოდა სტუმრად. ნინიმ მასპინძელს საკუ-
თარი კლიპები და სიმღერები ჩაუტანა, რომელიც გიორ-
გისთან ერთად მისმა ინგლისელმა მეგობრებმაც მო-
ისმინეს. ამის შედეგად, ნინის შემოქმედებით, გიორგის
აგენტი დაინტერესდა, რომელიც სპორტსმენების გარდა,
შოუბიზნესის წარმომადგენლებთანაც თანამშრომლობს.
ამ პიროვნებამ (რომლის სახელი და გვარი ჯერ დაუ-
ხუსტებელია) ნინისთან თანამშრომლობის სურვილი

გამოთქვა. თავდაპირველად, იგი უზრუნველყოფს ლონდონში, ინგლისურენოვან სკო-
ლაში ნინის გადაყვანას და ინტენსიური სასწავლო კურსის გაგლის შემდეგ, რომე-
ლიმე უცხოელ ვარსკვლავთან მომღერლის დუეტის ჩაწერას.

ამჟამად ნინის „ოჯახური საბჭო“ განიხილავს ამ წინადადების დეტალებს. მის
მიერ მოწონების შემთხვევაში, პროექტზე მუშაობა უახლოეს მომავალში დაიწყება და
2003 წლის ბოლოს, ნინი ქაბესელაძე ინგლისში გაემგზავრება.

სპექტაკლი, წიგნი, სიმღერა...

გასული წელი ნიკო გომელაურისთვის ბევრი წარმატებითა და მარჯანიშვილის
სახელობის პრემიით აღინიშნა. 2003 წელსაც, მსახიობმა ძალზე აქტიურად დაიწყო
მუშაობა. ამჟამად ის ავთო ვარსიმაშვილის ახალ სპექტაკლში — „ტელემისტერია“
70 წელს მიღწეულ მოხუცს განასახიერებს.

სპექტაკლი 60-იანი წლების უნგრული პიესის მიხედვით იდგმება, რომელიც
თავად რეჟისორმა გადმოაქართულა და გაათანამდგროვა. პიესაში აღწერილია ერთი
ოჯახის ამბავი, რომელსაც მდგმური ჰყავს. ამასთანავე, მას ყოველდღე 12 ადამიანი
— 12 მოციქული სტუმრობს. მდგმური, ამქვეყნად მეორედ მოსული ქრისტეა. ის
ყოველდღე სასწაულებს ახდენს. მაგრამ ცოლ-ქმარი ამას ყურადღებას არ აქცევენ და
სერიოზულად არც აღიქვამს. მეუღლეები გამუდმებით მხოლოდ ტელევიზორის
ყურებით არიან დაკავებული. მდგმური ფიქრობს: ალბათ დავივიანეო, — და
სახლიდან მიდის... ნიკოს გმირის მეუღლეს მსახიობი მარინა კახიანი, მდგმურს კი
— რამაზ იოსელიანი განასახიერებს. სპექტაკლში აგრეთვე გოჩა კაპანაძე, ნინო
ბურდული, ქეთი ჩხეიძე და სხვა მსახიობები მიიღებენ მონაწილეობას.

„ჯერ მუშაობის პროცესში ვართ. ძალიან საინტერესო და რთულია 70 წლის
მოხუცის როლის შესრულება. მგონი, საინტერესო სპექტაკლი გამოდის...“ — გვითხრა
ნიკო გომელაურმა, რომელსაც თურმე ამდღერებაც გადაუწყვეტია. ალბათ გასსოვთ,
თემურ წიკლაური რომ მღეროდა ლადო ასათიანის ლექსზე დაწერილ სიმღერას:
„ძველი თბილისი და ფიროსმანი, არ ვიცი, ასე რამ შემაფყარა...“ ჰოდა, ახლა ნიკომ და
„უცნობმა“ მსმენელისთვის ამ სიმღერის შეცვლილი, ახლებური ვარიანტის შეთავაზება
გადაწყვიტეს. არაწერება ეკუთვნის კოტე მალანიას, ნიკომ კი, სპეციალურად დაწერა
ლექსი, რომელიც ლადო ასათიანის ლექსს მიუსადაგა და მისამღერში ჩაებატება.
სიმღერა უკვე მზად არის და კლიპის გადაღებებიც მალე დაიწყება. „ეს გულიდან
ამონახეთქი უფრო იყო, ვიდრე ნამღერი. ქართული ესტრადის არც ერთი კვადრატული
სანტიმეტრის დაპყრობას არ ვაპირებ...“ — ამბობს ნიკო — ალბათ იმ მომღერლების
გასაგონად, ვისაც შეიძლება მისი, როგორც
კონკურენტის შეეშინდეთ...

კიდევ ერთი სიახლე, რაც ნიკოს
პოეზიის მოყვარულებს გაახარებს ის
არის, რომ მალე გამოვა აუდიოკასეტა
— იგივე აუდიოწიგნი, სადაც პოეტი
კითხულობს თავის ლექსებს და კომენ-
ტარსაც ურთავს მათ. ყველაფერ ამას
მუსიკალური ფონი ექნება, რომელზეც
კოტე მალანიამ იზრუნა.



„DJ ბუკლეს“ პტოქცი

როგორც „გზის“ წინა ნომერში გაცნობეთ, „DJ ბუკლესა“ და სალონ DK-ის მორიგი სტუმარი ქეთა თოფურია იყო, რომელსაც რეპტიციის გამო შეხვედრაზე ცოტა შეაგვიანდა და უკვე თავანისმცემლებით სავსე დარბაზში მოუწია შესვლა. მანამდე კი, დამსწრე საზოგადოებამ ქეთასა და აჩი ფურცელაძის სიმღერის – „გვეყვარება ერთმანეთი“ კლიპი იხილა. ერთ-ერთმა თავანისმცემელმა კი DJ ბუკლეს გაანდო, რომ ძალიან უყვარს ქეთა. ამას თავდაც დაურწმუნდით, რადგან შემდეგ, ის ადელეებისგან შეუძლოდაც კი გახდა და „DJ ბუკლეს“ მისი, წყლით მოსულიერება მოუხდა.

რეპტიციისგან დაღლილმა და მოშვივებულმა ქეთამ მოსვლისთანავე ნამცხვრის ჭამა დაიწყო. მას გულშემატკივრებად თამუნა გომართელი და პროდიუსერი მამუკა კაკოიშვილი მოჰყვნენ. თავანისმცემლები ქეთას უამრავ კითხვას უსვამდნენ, განსაკუთრებით, ადრე გულწასული ყმაწვილი აქტიურობდა, რომელმაც შემოსვლისთანავე, ქეთას ერთი ვარდი აჩუქა და უთხრა, რომ ყოველთვის გვერდით დაუდგებოდა და მისი დაჩაგვრის უფლებას არავის მისცემდა.



ჭორებთან დაკავშირებით მომღერალმა განაცხადა, რომ ადრე, მიმოწერა ჰქონდა ერთ-ერთ ქართველ ფეხბურთელთან, ხალხმა კი დააბრალა, თითქოს შეყვარებული იყო. მოუგონეს აგრეთვე რომანი დათო ხუჯაძესთან... სინამდვილეში, როგორც ქეთამ თქვა, მისი გული ჯერ ისევე თავისუფალია... მომღერალმა ისიც გაგვიმხილა, რომ ბავშვობაში ძალიან უყვარდა კალათბურთი, რის გამოც, „DJ ბუკლე“ დაჰპირდა – კალათბურთელს მივათხოვებო.

შეხვედრის ბოლოს, „DJ ბუკლეს“ შეხვედრების ტრადიციისამებრ, ქეთამ ერთ-ერთ თავანისმცემელს – ნიკა ყველაშვილს საჩუქარი – ორიგინალური ლამპა გადასცა და მასთან ერთად სამასსოვრო ფოტოც გადაიღო, რომელიც ურნალ „რეტიტინგის“ ბოლო ნომერში დაიბეჭდა.

„DJ ბუკლეს“ მომღერლო სტუმარი მომღერალი თამთა გოგუაძე იქნება. ■




„მუმი ტროლის“ ახერნილი ტცნება

„აჭარა მიუზიკ-პოლს“ კიდევ ერთი ჯგუფი, „მუმი ტროლი“ ესტუმრა. კონცერტამდე მისმა წევრებმა პრესკონფერენცია გამართეს, სადაც აღნიშნეს, რომ ბავშვობიდან ოცნებობდნენ საქართველოში მოხვედრაზე და ახლა ბედნიერები არიან, რომ ეს ოცნება აუხდათ.

„მუმი ტროლი“ 1981 წელს შეიქმნა. წლების მანძილზე, ჯგუფმა ჩაწერა უამრავი სიმღერა, თანამშრომლობდა სხვადასხვა ჯგუფთან, მოგზაურობდა მრავალ ქვეყანაში – მათ შორის დიდ ბრიტანეთში, იაპონიასა და ისრაელში.

ის მუსიკალური პრემიების – „ოქროს გრამოფონის“, „ოქროს დისკისა“ და რუსეთის საუკეთესო ჯგუფის წოდების მფლობელია. პრესკონფერენციაზე ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ მოსწონთ ქართული ესტრადა და ქართული სამზარეულო, განსაკუთრებით – სულგუნში გახვეული ნადული... დამის 12 საათზე „მუმი ტროლი“ მსმენელთა წინაშე წარდგა. ჯგუფის ყველა წევრს მედიის კუდი ჰქონდა მიბმული. ქართველი მსმე-



სოლისტი ილია ლაგუტენკო

ნელები ისეთ ექსტაზში შევიდნენ, რომ მომღერალს აღარც უსმენდნენ და თავად, დიდი ენთუზიაზმით ასრულებდნენ ჯგუფის ძველსა თუ ახალ ჰიტებს. ერთ-ერთი ქართველი ფანი თმას იწეწავდა და გამწარებული ურტყამდა მუშტებს სცენას.

ჯგუფ „მუმი ტროლის“ თხოვნით, პირველი სამი სიმღერის შესრულების შემდეგ, ვიდეო და ფოტოგადაღება აიკრძალა, თუმცა მსვავს სიტუაციაში გამობრძმედილი ოპერატორები თუ ფოტორეპორტიორები გადაღებას მაინც ახერხებდნენ... ორსაათიანი კონცერტის შემდეგ დისკოთეკა გაიმართა. ■

ნაფთ ნიქატაძის ახალი ამპლუა

კომპანია „ფაივ ლაინს პროდაქშენი“ სიურპრიზს უმზადებს ქართველ მსმენელ-მაყურებელს: ჯგუფმა – „ისინი“ მუშაობა დაამთავრა მეორე დუეტზე: აქამდე ჯგუფის წევრები საიდუმლოდ ინახავდნენ, თუ ვინ იყო ის ტელეჟურნალისტი, რომელთან ერთადაც წერდნენ სიმღერას. ახლა კი გამოაცხადეს: მათ პარტნიორად „რუსთავი-2“-ის წამყვანი, ნატო ნიჭარაძე მოგვევლინება. აღნიშნულ სიმღერაზე შესაძლოა, კლიპიც გადაიღონ. ■



მთაწმალეს ნათია ქივიამა და ნათია თენიავილია

ჯენიტუბ ლთმ მტიფანლოში გაათგნა

32 წლის მსახიობი და მომღერალი ჯენიფერ ლოპესი თავისი ახალი ფილმის – „მოახლე მანჰეტენიდან“ სარეკლამოდ ლონდონში ჩავიდა. თვითმფრინავის ტრაპიდან ჩამოსვლისთანავე მას ისტერიკა დაემართა, როცა შეიტყო, რომ მისთვის სასტუმრო „დორჩესტერში“ იგივე აპარტამენტები გამოეყოთ, რომელშიც ოდესღაც, მისი ექსობიფრენდი შონ კომბსი (ცნობილია პაფ დედის, ამჟამად კი – პი დიდის სახელით) ცხოვრობდა. შემდეგ ოტელის თითქმის ყველა თავისუფალი ნომერი დაიარა, ვიდრე დღე-ღამეში 13,5 ათას დოლარად ღირებულ პენტჰაუზში დაბინავებას გადაწყვიტდა. სასტუმროს



ადმინისტრაციასაც შემდეგი პრეტენზიები წაუყენა: მომსახურე პერსონალს პირველს მასთან დალაპარაკება ეკრძალებოდა; დღისა და ღამის ნებისმიერ მონაკვეთში პერსონალი ვალდებული იყო, მოთხოვნისთანავე მისთვის ახალგამომცხვარი ტკბილი ღვეზელი და ბლითები მიერთმია, შამპანური – მხოლოდ Cristal-ი.

ამ რამდენიმე დღის წინ, პრესას ახალი საკბილო გამოუჩნდა, როცა სასტუმრო „მეტროპოლიტენიდან“ გამოსულმა ლოპესმა თავის ოტელამდე მისასვლელად მთელი სპექტაკლი ჩაატარა. მომღერალი და მისი 30-კაციანი ამაღლა, როგორც იქნა, სასტუმროს წინ გაჩერებულ ექვს ლიმუზინში განთავსდა, „ესკორტმა“ ასიოდე მეტრი გაიარა და იქვე მდებარე სასტუმრო „დორჩესტერთან“ გაჩერდა. ეტყობა, ჯენიფერი ფეხით ასიოდე მეტრის გავლასაც აღარ კადრულობს, მის ოცდაათკაციან ამაღლაში კი პირადი დიეტოლოგები და ვინაჟისტები შედიან. მათ „დორჩესტეში“ 14 ორთახიანი ნომერი უკავიათ.


მტიფნი სპიტსს თბუელი ჰყავს



როგორც ჩანს, ბრიტნი სპირსი იმდენად შეამფოთა იაპონელი ფანატის – მასახიკო სიძავას დევნამ, რომ მისი აშშ-დან გასახლების მიუხედავად, ყოველი შემთხვევისთვის, საკუთარი ორეული გაიჩინა. გარდა იმისა, რომ გოგონა საოცრად ჰგავს პოპ-ვარსკვლავს, მას ზუსტად ბრიტნისავით აცვია. ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ კლუბში გამართულ საზეიმო საღამოზე სპირსი საპირფარეშოშიც კი, მხოლოდ საკუთარი დუბლიორის თანხლებით გადიოდა. მომღერალსაც და მის ორეულსაც ერთნაირი, გადაჭრილი ჯენისი და მინიტიპი ეცვათ, თავზე კი ორივეს ბეისბოლის კეპი ეხურა. ისინი იმდენად იდენტურად გამოიყურებოდნენ, რომ გარშემოყოფნი ერთმანეთისაგან ვერც კი არჩევდნენ. ამან ძალიან გაამხიარულა ბრიტნი, რომელსაც ორეულის მეშვეობით აბეზარი ფოტოგრაფებისაგან თავის დაღწევის იმედიც გაუჩნდა.

კაილი ჯიმსს აღატ დაუმბუნდმა

მას შემდეგ, რაც თავის საქმროს – ჯეიმს გუდინგს დაშორდა, კაილი მინოუგმა პირველად მისცა ინტერვიუ ჟურნალისტებს, რომელზედაც თავის გრძნობებზე ისაუბრა. ავსტრალიელმა სუპერვარსკვლავმა განაცხადა, რომ იგი ძალზედ განიცდის იმას, რომ ჯეიმსი ფსიქიატრიულ კლინიკაში დეპრესიის საწინააღმდეგო კურსს იტარებს. მან დასძინა, რომ მიუხედავად იმ დიდი გრძნობისა, რასაც ისინი ერთმანეთის მიმართ განიცდიდნენ, იგი შექმნილი სიტუაციიდან სხვა გამოსავალს ვერ ხედავს და ჯეიმსთან დაბრუნებას აღარ აპირებს. „ჩვენ საოცრად ახლო ურთიერთობა გვქონდა და ვცდილობდით, რომ ყველაფერი კარგად გამოგვევლოდა. სამწუხაროდ, ჩვენმა მცდელობამ შედეგი არ გამოიღო... ცხოვრებაში ასეც ხდება ხოლმე“, – განუცხადა ჟურნალისტებს მინოუგმა. მომღერალი საკმაოდ თბილად დაპარაკობდა თავის ყოფილ საქმროზე, რომელსაც ალბათ უკვე აპატიია ის გამოსზღობა, როცა Brit Awards-ის ცერემონიაზე იგი ლამის მუშტებით დაეძგერა ჯასტინ ტიმბერლეიკს მხოლოდ იმიტომ, რომ მან კაილისთან დალაპარაკება გაბედა.



ბასკლ ძბთუ ძბბწილს თუჯის კუნბულომგუ გადაიხდის

„გლადიატორის“ სუპერვარსკვლავი რასელ ქროუ ცოლად ირთავს მომღერალ დანიელა სპენსერს და როგორც ამბობენ, ქორწილი სულ რამდენიმე კვირაში შედგება. შეყვარებულებმა ცერემონიის ადგილად ფიჯის კუნძულები აირჩიეს, კონკრეტულად კი, კუნძული – ვაიკაია. შარშან რასელ ქროუ სწორედ ვაიკაიაზე ისვენებდა და დროს ნიკოლ კიდმანისა და მისი შვილების კომპანიაში ატარებდა (იმხანად ნიკოლი ქმართან ახალი გაშორებული იყო და ტროპიკულ კუნძულზე იარებს იმუშებდა). კუნძულზე თავის დროზე ბილ გეიტსი, მიშელ ფაიფერი და სელინ დიონიც ისვენებდნენ.

2002 წლის დეკემბერში, როცა ავსტრალიელი მსახიობის ნიშნობის შესახებ ოფიციალურად გამოცხადდა, ქროუს პირადმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქორწილი დაახლოებით ექვს თვეში გამართებოდა. მაშინ, მსახიობის მატრიმონიალური გეგმების შესახებ, პირველმა მისი რჩეულის მამამ – ლონ სპენსერმა შეიტყო. რასელმა დანიელას სიღნეის ერთ-ერთ რესტორანში სთხოვა ხელი, მერე საცოლის მამის კურთხევა მიიღო და მხოლოდ ამის შემდეგ გამოაცხადა ოფიციალურად ამ სიახლის შესახებ.

დაცემ ან დაესწრება ჯერ ლთა „თსკატმის“ გადაცემის ცერემონიას?



ცნობილი გახდა, რომ ბრიტანელი მსახიობი – ჯუდ ლოუ „ოსკარების“ პრემიით დაჯილდოების ცერემონიას არ დაესწრება. თავდაპირველად, მას ცერემონიაზე მისვლა თავის პარტნიორ – ტომ ჰენკსთან ერთად ჰქონდა განზრახული (ჯუდი და ტომი პარტნიორები იყვნენ ფილმში „დაწყველილი გზა“), მაგრამ სრულიად მოულოდნელად გადაიფიქრა. ამბობენ, რომ ამის მიზეზი ლოუს ცოლის ეჭვიანობა გახდა, რომელსაც დიდი ოჯახური სკანდალი მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობი ყველანაირად ცდილობდა, დაემალა თავისი სასიყვარულო კავშირი ოქროს ქანდაკების ერთ-ერთ უმთავრეს პრეტენდენტთან – ნიკოლ კიდმანთან, როგორც ჩანს, ეს მანც ვერ მოახერხა. სწორედ ამიტომ, ცოლი რომ ზედმეტად არ გაელიზიანებინა, მან ცერემონიაზე წასვლაზე უარი განაცხადა.

შერის საცუატილი პარტი მთქპატეს

შერის ექსტრაგავანტური ტუალეტებით მაყურებლის გაოგნება ყოველთვის უყვარდა. იგი ეფექტს მრავალრიცხოვანი პარტიის გამოყენებითაც ახდენდა, როცა პუბლიკას სცენაზე მონაცვლეობით წითური, ქერა და ხანაც, შავი თმით ევლინებოდა. მაგალითად, ავვისტოში გამართულ კონცერტზე შერი ყოველი სიმღერის შემდეგ სამოსსა და პარტიც იცვლიდა: პირველი ზუთი სიმღერა მან ინდურ კოსტიუმებში გამოწყობილმა იმღერა, შემდეგ კი, ჯინსს, შავი სადამოს კაბასა თუ ჰიპერსექსუალურ კოსტიუმებს უნაცვლებდა ერთმანეთს. იმ კონცერტზე მომღერალმა 11 პარტი გამოიცვალა. „ემის“ პრემიით დაჯილდოების ცერემონიაზე შერი სცენაზე



თეთრი პარტიც წარღვა და ამბობენ, რომ ამან საკმაოდ დიდი ეფექტი მოახდინა პუბლიკაზე, რადგან ყველამ შეაშინა, რომ ცერემონიაზე მისვლისას მომღერალს შავი თმა ჰქონდა. ამას წინათ, შერის რიჩმონდში გამართულ კონცერტზე მისი საყვარელი პარტი მოჰპარეს. ეს არის შავი ფერის, წვრილნაწნავეებიანი პარტი, რომელიც ბუმბულებითაა შემკული და სულ ცოტა 8-10 ათასი ღირს. ჰიტის – All Or Nothing-ის შესრულების შემდეგ, შერის პარტი მოუხდია და რეკვიზიტების ოთახშიც შეუტანია. ცოტა ხანში კი შეუნიშნავთ, რომ ადგილზე აღარ იყო. ამ საქმეს პოლიცია იძიებს.

აგილოტა – „უტსაჩის“ ახალი სატელამთ სასე

მომღერალი კრისტინა აგილერა Versace-ს ახალი სარეკლამო სახე გახდება. დონატელა ვერსაჩეს თქმით, მისი სამოდელო ტანსაცმლის ახალი კოლექცია, სწორედ მომღერლის შემოქმედებითაა შთაგონებული. „კრისტინას კლიპების ყოველი ნახვის შემდეგ, აღფრთოვანებული ვრჩები, – ამბობს დონატელა. იგი შესანიშნავი მოცეკვავე და შემსრულებელია, ხმა კი, საერთოდ, არაჩვეულებრივი აქვს. ყოველთვის მსურდა, რომ მისთვის რაიმე განსაკუთრებული გამეკეთებინა“. თავის მხრივ, ამის საწინააღმდეგო არც აგილერას აქვს რაიმე: „ძალიან მომწონს ყველაფერი, რასაც დონატელა ქმნის და მისი ნებისმიერი მოდელის მორგების სურვილი მიჩნდება ხოლმე“.



მიუხედავად იმისა, რომ 22 წლის მომღერალი „ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმული შემსრულებლის“ ტიტულის არაერთგზის მფლობელია, ეს ფაქტი არც ვერსაჩეს და არც აგილერას არ ადევლებთ. კრისტინა ირწმუნება, რომ მას „საკუთარი, განუმეორებელი სტილი აქვს“, რომელიც დანარჩენებისათვის უბრალოდ გაუგებარია. გამოდის, რომ ვერსაჩე „დანარჩენების“ რიგს ნამდვილად არ მიეკუთვნება.

ცემ კრტტმა ახალი ზელანდიის პტიმიტ-მინისცტი მთსიმლა

ახალი ფილმის „უკანასკნელი სამურაის“ გადაღებებზე, რომელიც ქალაქ ნიუ-პლიმუტის (ახალი ზელანდიის დედაქალაქიდან 320 კმ-ითაა დაშორებული) მახლობლად მიმდინარეობს, ყველასათვის მოულოდნელად, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ჰელენ კლარკი ჩავიდა. 53 წლის ქალბატონი თავისი თავდაჭე-



ერილობითა და სიმკაცრითაა განთქმული, თუმცა ამერიკელი კინემატოგრაფისტების გარემოცვაში მოხვედრილი კლარკი საკმაოდ ხალისიანად და გულლიად იქცეოდა. მან დღის საკმაოდ დიდი მონაკვეთი ტომ კრუზის, მისი ორი შვილისა (როგორც ჩანს, ნიკოლ კიდმანმა ბავშვები მამის მოსანახულებლად გააგზავნა) და პენელოპა კრუზის გვერდით გაატარა. პრემიერ-მინისტრი სიამოვნებით პოზირებდა ფოტოგრაფების წინაშე, როცა მას და კრუზს სურათებს უღებდნენ. კლარკს გადაღებული კინომასალაც უჩვენეს და იგი საკუთარი სამშობლოს ბუნების ხილვით კმაყოფილი დარჩა, თუმცა „უკანასკნელი სამურაის“ სიუჟეტის მიხედვით, მოქმედება XVIII საუკუნის იაპონიაში ვითარდება. ამასთან ჰელენ კლარკმა ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისა და ნაციონალური შემოსავლების გაზრდაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა მოახსენა ამერიკელ კინემატოგრაფისტებს.

სიმღერების არანჟირების ოსტატი და პოპულარული კომპოზიტორი გია მაჭარაშვილი კვლავ ახალ სიმღერებს წერს და ვიდრე პენსიონერი არ გახდება, ამ საქმეს თავს არც დაანებებს. მას სასაუბროდ შინ ვენვიეთ, სადაც საკმაოდ მშვიდი და მყუდრო გარემო დაგვხვდა.



გია მაჭარაშვილი თქვენი თქვენი თქვენი თქვენი თქვენი

ნათია ქივიციანი

— რას საქმიანობთ ამჟამად, ბატონო გია?

— იმავეს, რასაც ეს ბოლო ცხრა წელია. მიღებული მაქვს შეკვეთები არანჟირებებსა და სიმღერებზე. ეს არის ჩემი ცხოვრება, ჩემი საარსებო წყარო (ამის თქმა არც არის სირცხვილი). რაც მთავარია, ვაკეთებ იმას, რაც ყოველთვის მიყვარდა, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული და პროფესიით ინჟინერი ვარ. რასაც დღეს ვაკეთებ, მხოლოდ იმისთვის არ ვაკეთებ, რომ თავი ვირჩინო — ეს ჩემი საყვარელი საქმეა. ვიდრე ხალხს ამ სფეროში ვჭირდები — ვიარსებებ, მერე კი საპენსიო გაგხდები და სხვა რამეს მოვიფიქრებ...

— ახლა, ამ წუთში, ვის სიმღერებზე მუშაობთ?

— ბუთხუზ (ალექსანდრე — ავტ.) ბასილაიამ რაღაც ნაწარმოების შექმნა მთხოვა: გარკვეული გეგმები აქვს, რომელიც მოსკოვში უნდა განახორციელოს. რამდენიმე დღის წინ, დავამთავრე სიმღერა თემურ წიკლაურის გოგონას, კატასთვის. კიდევ ერთი, ძალიან კარგი გოგონაა — თავო კიკაბიძე, რომელსაც ჩემი სიმღერა ვარჯიშე. ის ახლა იკვალავს ესტრადისკენ მიმავალ გზას და მგონი, უკვე ჩამოყალიბებულია, როგორც მომღერალი. სულ ცოტა ხანში, ჩემს სიმღერაზე კლიპს გადაიღებენ თათია გიორგობიანი და პა-

ტარა ლიზი. მანანა თოღაძემ დამირეკა მოსკოვიდან — ჩემთან ერთად ორი სიმღერის მომზადება უნდა. მერაბ სეფაშვილი მოვა, მისთვისაც ახალი სიმღერა უნდა მოვიფიქრო და ა.შ.

— როგორც ვიცით, მუსიკალური ცხოვრება დიდი ხანია, დაიწყო...

— უკვე მეცხრე კლასიდან დაიწყო რაღაცების წერა. როდესაც სტუდენტი გახვდით, პოლიტიკური ინსტიტუტის საესტრადო ანსამბლში ამოვყავი თავი. ოლიმპიადების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე ვიყავი. ინსტიტუტიდან საბუშაოდ, კონკრეტულად არსად გამიშვეს — ე.წ. თავისუფალი განაწილება მქონდა და ფილარმონიის ერთ-ერთ ანსამბლში დაიწყო მუშაობა. 1981 წელს აღმოჩნდა ტელევიზიის როკ-ანსამბლში. 1986 წლამდე იქ ვიყავი. 1985 წლიდან, უკვე „თეატრონი“ დაგვერქვა, რადგან მარჯანიშვილის თეატრში გადავედით. იქ თემურ ყვითელაშვილი შემოგვიერთდა. მოგზაურობა ძირითადად, რუსეთის ქალაქებში გვიწევდა. ახალი სიმღერის ჩაწერა და ტელევიზიით გადაღება ერთი იყო. ხალხი აფასებდა ჩვენს შემოქმედებას და რომ არ მომხდარიყო 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები, ჩვენ ალბათ გავაგრძელებდით საქმიანობას. მაგრამ დადგა პერიოდი, როდესაც ადარავის აინტერესებდა სიმღერა და ცეკვა, რამაც ბუნებრივია, ჩვენი ანსამბლის დაშლა გამოიწვია. რაღაცით უნდა გვერჩინა თავი.

1994 წლიდან დაიწყო შინ მუშაობა — არანჟირება და გაიზარდა დამკვეთების წრე.

— პირველად, როგორ გაგიჩინათ სიმღერის დაწერის სურვილი?

— როგორც წელან ალვინში, მეცხრე კლასში დაწერე პირველი სიმღერა — „სანთელი იწვის“. თავიდან ვიჯექი და წიგნებში ვეძებდი ლექსებს. მაგრამ ბევრი მათგანი უკვე გამოყენებული იყო სიმღერებში, ამიტომ ვწერდი მელოდიას, შემდეგ კი, უკვე ტექსტის ავტორს ვეძებდი, რომელიც მარცვლების მიხედვით დაწერდა ლექსს.

— ახლა, უფრო ხშირად, ვის ლექსებზე წერთ სიმღერებს?

— ინსტიტუტის პერიოდში, მარინა გოგოსაშვილი მიწერდა, მისი ბევრი ლექსი ერგებოდა სიმღერას. მერე მიწერდა ნატო ხეჩუაშვილი, რომელიც პროფესიით ექიმა, მაგრამ მშვენიერ ლექსებს წერს. ამ ბოლო პერიოდში, ჩემი რამდენიმე სიმღერის ტექსტი მანანა გურგენიძემ, ლალი სხირტლაძემ და ირინა სანიკიძემ დაწერეს.

— თავად თუ დაგიწერიათ სიმღერისთვის ლექსი?

— არ შემიძლია ლექსების წერა, თუმცა ამის დიდი სურვილი მაქვს. რა ვიცი, სიტყვების რაზარუხი გამომდის და ვიტანჯები, ტყუილად ვიჭყლეტ ტვინს.

— როგორი განწყობა გჭირდებათ სიმღერის დასაწერად?

— ვერ გეტყვით. ეს არ არის დამოკიდებული იმაზე, ძალიან კარგ ხასიათზე ვარ თუ ძალიან ცუდზე. ვგრძნობ, რომ რაღაც მოდის, რასაც მუხა ჰქვია. ვგრძნობ ენერჯის მოზღვაგებას და ის უნდა გამოვანთხო კლავიშებზე... ეს ხან ყოველდღე ხდება, ხან კიდევ, თვეში ერთხელ... რა ვიცი — არანაირი განწყობა არ მჭირდება, თავისით მოდის. მაგრამ თუ სპეციალური შეკვეთა მაქვს, ღლეების მანძილზე ვიწვალე ტვინს და ბოლოს, რაღაცას ჩამოვყალიბებ სოლმე.

— ყველა შემოქმედს სჭირდება შთაგონების წყარო. ვინ ან რა შთაგონებით სიმღერის დასაწერად?

— შთაგონების წყარო იმ გემრიელი მომღერლებისგან მოდის, რომლებიც სცენაზე ღვანან. მე თუ რამეს ვწერ, ქვეცნობიერად, მათი გავლენის ქვეშ ვწერ: წარმოვიდგენ სოლმე, თუ რომელი მომღერალი როგორ შეასრულებდა ჩემ მიერ

დაწერილ სიმღერას.

— თქვენი აზრით, რომელი მომღერალი ასრულებს თქვენს სიმღერებს ისე, როგორც ეს თქვენ გქონდათ ჩაფიქრებული?

— რა თქმა უნდა, მერაბ სეფაშვილი და ეკა კვალიაშვილი. მათ მაქსიმალურად აქვთ „მორჯულებული“ ყელის აბარატი — ანუ სასიმღერო სტილი და მანერა მათ აძლევს იმის საშუალებას, რომ ნებისმიერი სირთულის სიმღერა შეასრულონ. ისინი არიან პროფესიონალები. დღეს ბევრს უნდა, რომ ასეთები იყვნენ, მაგრამ ვერ არიან... ყურმოკვრით ვიცი — ამბობენ ხოლმე: ვია მხოლოდ მერაბისთვის წერს სიმღერებსო. მხოლოდ მერაბისთვის კი არ ვწერ — უბრალოდ, მასავით ვერავინ მღერის. ყველა მერაბივით ხომ ვერ იმღერებს.

— თუ გიჩუქნიათ თქვენი სიმღერა რომელიმე მომღერლისთვის?

— ძალიან ხშირად ვჩუქნი ხოლმე ჩემს სიმღერებს. თვალი რომ მადევნოთ ერთი თვის მანძილზე, იფიქრებთ: ვია მაჭარაშვილი 24 საათი გარეთ არ გამოდის, ნეტავი მაგას — აშენდა!... არადა, ამ ერთი თვის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს 50 პროცენტი ჩემთვის უფასოა. არიან მომღერლები და კოლეგები, რომლებსთვისაც ცხოვრებაში არ გამო-

მირთმევია ფული და როგორც არ უნდა გამიჭირდეს, ვერც გამოვართმევ. ვთქვათ, მოვიდა ბავშვი, რომლის მონაცემებიც მომეწონა, მაქვს ხოლმე სურვილი, რომ პირველი სიმღერა ვაჩუქო და ჩემგან ჰქონდეს სახსოვრად. ამას ჩემდა უნებურად ვაკეთებ...

— ფონოგრამით სიმღერაზე რას აზრის ხართ?

— კარგი რა უნდა გითხრათ?! ფონოგრამით სიმღერის ერთ-ერთი მოწინააღმდეგე ვარ. როცა ადამიანი საკუთარ თავს მომღერალს უწოდებს, გამოდის ათას, ორათასკაციან დარბაზში და ფონოგრამით მღერის, ეს არ მიმანია სწორად. ხალხმა ხომ ბილეთში ფული გადაიხადა! ხომ ჰხადავენ უცხოელ მომღერლებს — წაჰბადონ ცოცხლად შესრულებაშიც. რომელი უცხოელი მომღერალი უნახავთ, სცენაზე რომ ფონოგრამით მღეროდეს?! ვის ატყუებს ამით? საკუთარ თავს! თან ვარსკვლავობაზე აქვს პრეტენზია. რატომ არის ვარსკვლავი, ვერ გავიგე: როგორც კი ფონოგრამას გამოურთავენ, ყვავივით ჩნავილს იწყებს... დღეს, ამ ვაიმომღერლების გამო, ვეღარ ვარჩევთ, რომელი მღერის უკეთესად. ყველა ერთნაირია, რადგან მათი ხმა კომპიუტერს აქვს გასწორებული.

— როგორ აფასებთ ძველი სიმღერების გარემიქსებას?

— არის სიმღერები, რომელიც რემიქსს კარგად იტანს და მსიამოვნებს. მაგრამ რემიქსებიანათ. ზოგი რამ ძველებური სახით უნდა დატოვო.

— თქვენი სიმღერები თუ გაურემიქსებათ და როგორ მოგეწონათ?

— როგორ არა? მერაბმა გაარემიქსა — „ზაფხულის წვიმაში“. თუმცა, მე ძველი ვარიანტი მირჩევნია. ამას იმით ასაბუთებენ, რომ რემიქსი ტინეიჯერებს მოსწონთ. ჩვენ თუ ასე ვიარეთ

ტინეიჯერების ჭკუასა და გემოვნებაზე, იმაზე, თუ მათ რა მოსწონთ და რა — არა, მაშინ ერთ-ორ წელიწადში საერთოდ გაქრება ქართული საესტრადო სიმღერა. პირიქით უნდა იყოს — ისეთი პროგრამა უნდა გქონდეს, რომ ტინეიჯერი აქეთ გადმოიყვანო შენს გემოვნებაზე.

— მხოლოდ ერთი კლიპი გაქვთ, თათია გიორგობიანთან ერთად. არადა, ახლა კლიპების ბუმი. რატომ არ აქტიურობთ ამ მხრივ?

— ეს კლიპიც სხვისი წყალობით მაქვს. თათიას დაეხმარნენ და თითქმის უფასოდ გაუკეთეს ყველაფერი. მეც პატივი მცევს — იმ თვალსაზრისით, რომ ჩემგან არაფერი გასულა, არც ერთი თეთრი. საკუთარ თავს, როგორც შემსრულებელს, ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ. ძალიანაც რომ მინდოდეს კლიპის გადაღება, დამფინანსებელი ხომ უნდა გყავდეს, რადგან კლიპის გადაღება 7 და 10 ათასი დოლარი ჯდება, საკუთარი ჯიბიდან კი ამდენ ფულს ვერ ამოვიღებ.

— ბოლო დროს, მომღერლის ამბულაში იშვიათად ჩანს-ართ. რა არის ამის მიზეზი?

— ჩემთვის სიმღერა არავის დაუშლია. მაგრამ ისე გადის დღეები, რომ არ ვფიქრობ საკუთარ თავზე, თორემ იმის საშუალება ნამდვილად მაქვს, რომ სცენაზე გამოვიდე და ვიმღერო. ბევრს უკვირს ხოლმე, მეკითხებიან — რატომ არ მღერო? მიჭირს ამაზე პასუხის გაცემა. მართალია — ხანდახან შეიძლება, საკუთარი ჭია გაახარო. ჰოდა, გადავწყვიტე თავს მივხედო და ალბათ მალე მოვაშაბდე ერთ სიმღერას.

— ბოლოს, გვიამბეთ ცოტა რამ თქვენს ოჯახზე.

— შინ, ბინაში მიდგას აპარატურა და სულ აქ ვმუშაობ. ვერ წარმომიდგენია, სადმე სხვაგან ვმუშაობდე. ეს არის თავისუფლება, აქ ჩემს საკუთარ სამყაროში ვარ...

მყავს მეუღლე, ნინო. პირველი ქორწინებიდან მყავს შვილი ნინო, რომელმაც იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, გათხოვდა და წელს მგონი, უკვე ბაბუაც გავხდები. კიდევ მყავს პატარა ანკა, რომელიც „ბასტი-ბუბუში“ დადის, მღერის, ცეკვავს. ორივე შვილს გამოჰყვა სიმღერის ნიჭი, მაგრამ უფროსმა იურისტობა აირჩია. პატარა რას იზამს, არ ვიცი. არ არის სავალდებულო, რომ შვილი მშობლების გზას გაჰყვეს. მათ რაც უნდათ, ის საქმე უნდა აირჩიონ.



მყავს პატარა ანკა, რომელიც „ბასტი-ბუბუში“ დადის, მღერის, ცეკვავს

მეზროლოთ ალერგიას

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამასაშვილი



დადგა გაზაფხული და სულ მალე ნაირფერი ყვავილებით მოირთვება ბუნება. ვისთვის სინარულის, ვისთვის კი პრობლემების მომტანია გარემოს ეს ცვლლება – ყვავილის მტვერი სომ ერთ-ერთი ძლიერი ალერგენია და ალერგიით დაავადებულთათვის გაზაფხულის პირი დაავადების გამწვავების პერიოდს წარმოადგენს.


გარკვეული კვლევის შემდეგ მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ პოლინოზით (ალერგია ყვავილის მტვერზე) დაავადებულებს შეუძლებულია მდგომარეობა, თუ დაიცავენ

სწორი კვების რეჟიმს (რომელიც გააძლიერებს იმუნურ სისტემას) და მიიღებენ ნატურალურ პრობიოტიკებს.

რომელიც ხელს უშლის ჰისტამინის გამოთქმას ორგანიზმში. ჰისტამინი კი ალერგიული რეაქციის განვითარების გამოწვევას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით ასევე სასარგებლოა სალათის ფურცლები და კომბოსტო.

● თივის ცხელების დროს სასარგებლოა ბევრი ხილი და რძემჟავა პროდუქტები: მანონი, იოგურტი, კეფირი, რომელიც შეიცავს ბევრ კალციუმს, ზემოქმედებს გამა-ინტერფერონის გამოთქმებაზე, ააქტიურებს იმუნურ სისტემას, თრგუნავს ალერგიულ რეაქციას.

● ამ კვების პროდუქტთა ანტიალერგიული თვისებები გაძლიერდება, თუ რაციონში შეიზღუდება ხორცი, ავადმყოფი უარს იტყვის ალკოჰოლსა და ნიკოტინზე.



კვების რაციონში უნდა ჩართოთ:

- რაც შეიძლება მეტი ზეითუნის ზეთი;
- ბოსტნეული; განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხახვს,



დამსახლისი
ჩამონა

სამარხვო კერძები

კომბოსტო ნიგვზით


კომბოსტო ჩავლით ქვაბში, დავასხათ ძლულარე წყალი, დავასუროთ სახურავი და მოვხარშოთ. მერე ამოვიღოთ, გავაცივოთ და ხელით გავწუროთ, დავჭრათ წვრილად.

დავწყალოთ ნიგოზი, ნიორი, ყვითელი ყვავილი და მარილი. წვრილად დავჭრათ ხახვი და ქინძი. საკაზში შევურიოთ კომბოსტოს და კარგად ავურიოთ. დავამატოთ ძმარი გემოვნებით.

მასალა: კომბოსტო – 1 კგ; ნიგოზი 1/5 ჩ/ჭ; ნიორი – 5-6 კბილი; მწვანელი – 1 კონა; წიწკა, მარილი, ძმარი – გემოვნებით; ზაფრანა – 1 ჩ/კ; ხახვი – 2 თავი.

ახალი, თეთრი სოკო ნიგვზით

ახალი, თეთრი სოკო გავარჩიოთ, გავრეცხოთ ცივ წყალში, მოვყაროთ მარილი, დავალავოთ ტაფაზე და შევდგათ აირლუმეში შესაწვავად. როდესაც საკმარისად შეიწვება, გამოვიღოთ, დავჭრათ პატარა ნაჭრებად და მოვათავსოთ ღრმა, ფართო ჭურჭელში. შემდეგ დავაყაროთ წმინდად დაკეპილი ხახვი ან მწვანე ხახვი, ქინძი, კამა, ოხრახუში და წმინდად დანაყილი ნიგოზი. დავასხათ სოკოს შეწვის დროს მიღებული წვენი – არეული ღვინის ძმარში, დავუმატოთ ცოტა შავი პილპილი და კარგად ავურიოთ. სუ-



ფრაზე მიტანის წინ, ზემოდან მოვყაროთ წმინდად დაჭრილი ოხრახუში ან კამა.

მასალა: სოკო – 500 გ; ნიგოზი – 3/4 ჩ/ჭ ხახვი (ან მწვანე ხახვი) 1-2 თავი (5-6 ძირი); მწვანელი – თითო პატარა კონა; ძმარი, პილპილი, მარილი – გემოვნებით.

კარტოფილი ნიგვზით

კარტოფილი კანიანად მოვხარშოთ, მერე გავფუცქნათ და კუბურებად დავჭრათ. დავწყალოთ ერთად: ნიგოზი, ნიორი, მარილი, წიწკა, ქინძი; გავხსნათ ძმარში; ავურიოთ შიგ დაკეპილი ხახვი და მოხარშული, ნაჭრებად დაჭრილი კარტოფილი. ლამაზად დავლით თევშზე, მოვყაროთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში, კამა და ისე მივიტანოთ სუფრაზე.

მასალა: კარტოფილი – 1 კგ; ხახვი – 2 თავი; ნიგოზი – 2 ჩ/ჭ; ნიორი – 2 კბილი; ოხრახუში, კამა – თითო კონა; ძმარი, წიწკა, მარილი – გემოვნებით.

ბოლოკის ფოთლის მხალი

გარჩეული, გარეცხილი ბოლოკის ფოთოლი ქვაბში ჩავყაროთ, დავასხათ

ცოტა მდუღარე წყალი და მოხარშოთ. მოხარშული ბოლოკის ფოთოლი შევაგრილოთ და მერე ხელით გავწუროთ.

ნიგოზი დავენაყოთ ნიორთან და ზაფრანასთან ერთად. გამოვხადოთ ზეთი და ცალკე შევინახოთ. დანაყილი ნიგოზი გავსწნათ ძმარში, დავამატოთ წვრილად დაკეპილი ხახვი, დანაყილი ქინძი, კარგად ავურიოთ, შემდეგ კი დავამატოთ მოხარშული, გაწურული ბოლოკის ფოთოლი. მომზადებული მხალი მოვათავსოთ შესაფერის ჭურჭელზე და ზემოდან მოვასხათ ნიგოზიდან გამოხდილი ზეთი.

მასალა: ბოლოკის ფოთოლი – 1 კგ; ნიგოზი – 2 ჩ/ჭ; ნიორი – 4-5 კბილი; წიწაკა, ქინძი, ზაფრანა, ხახვი, ძმარი, მარილი – გემოვნებით.

ლობიო ნიგოზით

ლობიო მოხარშოთ ჩვეულებრივი წესით, ოღონდ ისე, რომ ძალიან არ ჩაიშალოს. გადავწუროთ ნახარში, დავნაყოთ ნიგოზი, ნიორი, ხმელი სუნელი, ქინძის თესლი, მარილი, წიწაკა, გავსწნათ ძმარში და ავურიოთ მოხარშულ ლობიოში ისე, რომ ლობიოს მარცვლები ძალიან არ დაიჭყლიტოს. გადავიტანოთ ლანგარზე და ზევიდან მოვაყაროთ რგოლებად დაჭრილი ხახვი, წვრილად დაჭრილი ქინძი და ოხრახუმი.

მასალა: ლობიო – 1 კგ; ხახვი – 2 თავი; ნიგოზი – 1,5-2 ჩ/ჭ; ძმარი – 0,5 ჩ/ჭ; ხმელი სუნელი – 2 ს/კ; ქინძის თესლი – 2 ს/კ; ოხრახუმი, ქინძი – თითო კონა; მარილი, ნიორი, წიწაკა – გემოვნებით.

ფორთოხლისა და ლიმონის სასმელი

1 კგ ფორთოხალს ყვითელი კანი თხლად ავათალოთ. კანს დავასხათ 1 ლ ალუღბული წყალი და დავვავთ 24 საათით. შემდეგ მიქსერით ავთქვიფოთ, საცერში გავწუროთ. განაწურ ფორთოხლის კანს დავასხათ კიდევ ერთი ლ ანალუღარი, შეგრილებული წყალი და კვლავ ავთქვიფოთ. შემდეგ კი – გავწუროთ დოლბანდში.

დავჭრათ 1 ლიმონი კანინად და ორი გაფცქნელი ფორთოხალი. დავასხათ ერთი ლიტრი ალუღბული წყალი და მიქსერით ავთქვიფოთ. გავწუროთ დოლბანდში.

ამგვარად მდებულები 3 ლ წვენში ჩაყაროთ 500 გ შაქრის ფხვნილი, კარგად მოვურიოთ და თავდასხურული შევვავთ მაცივარში.

თუ იმუნიტატი დაგიქვეითდათ

თავს სუსტად გრძნობთ, აღარც ძალა და ენერჯია გაქვთ და ყველაფრის მიზეზი ვიტამინების უკმარისობა და იმუნიტეტის დაქვეითებაა.

ტვინის მუშაობა რომ აქტიური გახდეს და დაგიბრუნდეთ ძალ-ღონე, საჭიროა, სვით ტონუსის ამწევი ვიტამინიზებული ფიტო-ჩაი:

1. 1/2 ჩ/ჭ კუნელის ნაყოფი ჩაყარეთ თერმოსში და დაასხით 1 ლ მდუღარე წყალი. გააჩერეთ 7-8 საათი და სვით, როგორც ჩაი.

2. 3 ს/კ მოცვის ნაყოფსა და ფოთოლს დაასხით 3 ჩ/ჭ ცხელი წყალი, ალუღეთ 10 წუთი, გააჩერეთ 1 საათი და მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ ჩაი 3-4-ჯერ დღეში.

ბუნება მკურნალია

ძველი ბერძნები მიიჩნევდნენ, რომ არ არსებობს დაავადება, რომლის საწინააღმდეგო წამალი არ მოიპოვებოდეს ბუნებაში.

შეუძლებელია, არ დავეთანხმომთ ამ მოსაზრებას, რადგან დღესაც, ისევე, როგორც ძველად, ხილს, ბოსტნეულსა და სანელებლებს კვებითი ღირებულების გარდა, სამკურნალო თვისებებიც აქვს.

ლიმონის ცედრის სპირტიანი ნაყენი ამშვიდებს ნერვებს. ანგინის დროს, საკმარისია, შეჭამოთ ლიმონის ერთი ნაჭერიც კი, რომ ყელის ტკივილი გაქრეს.


უმი ჭარხლის წვენი სასარგებლოა ფილტვების ანთებისა და პლევრიტის (პლევრის ანთების) დროს. კოსმეტოლოგები გვირჩევენ, რეგულარულად მივიღოთ ჭარხლის წვენი, რათა შევინარჩუნოთ სახის კანის კარგი ფერი. თუ ჭარხლის წვენს დავამატებთ თაფლს, მივიღებთ ჰიპერტონიის (მაღალი წნევის) წამალს და ბრწყინვალე დამამშვიდებელ საშუალებას.

ანემიის (სისხლნაკლებობის) ძველი ხალხური საშუალებაა ჭარხლის, სტაფილოს და ბოლოკის წვენების ნარევი, პროპორციით 1:1:1. ვიტამინების უკ-

მარისობისა და უღონობის დროს საჭიროა, მიიღოთ ვიტამინებით მდიდარი სტაფილოს წვენი.

ერთი კონა ოხრახუმი, ერთი მუჭა ოქროს ტოლფასიაო – ამბობდნენ ჩვენი წინაპრები. ოდითგანვე და დღესაც, ოხრახუმი გამოიყენება ჭრილობების შესასორცებლად, ძალის აღსადგენად, კურნავს ღრძილებს, აძლიერებს თირკმლების მუშაობას.

კიტრი გახეხეთ წვრილ სახეხზე, გამოწურეთ წვენი, დაამატეთ 2 ჩ/კ ახალგამოწურული ლიმონის წვენი და 1 ს/კ თაფლი, ათქვიფეთ მიქსერით, მიიღებთ ძალიან გემრიელ კოქტეილს, რომელიც სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა სისტემის ნორმალური მუშაობისათვის და მომატებული არტერიული წნევის დროს.



კარგად გარეცხეთ შავი მოცხარის ფოთლები და კვირტები, გააშრეთ

და შემდეგ, ჩატენეთ მინის ჭურჭელში (დაახლოებით 1/4-მდე), ჭურჭელი შეავსეთ არყით. გააჩერეთ მანამდე, სანამ ნაყენი არ მიიღებს ღია მწვანე ფერს. შემდეგ გაფილტრეთ, გადაასხით მუქი ფერის ბოთლებში, მჭიდროდ დაახურეთ და შეინახეთ ბნელ ადგილას. მოცხარის ნაყენი მდიდარია ვიტამინებით და აქვს ზოგადგამაჯანსაღებელი თვისება. ის სასარგებლოა ნიკრისის ქარის, რევმატიზმისა და ოსტეოქონდროზის დროს და მათთვის, ვინც წნევის ცვალებადობას უჩივის. ნაყენი უნდა მიიღოთ 1-2 სირჩა დღეში.

ნომის ტელეფონი
ქონსუცაცია
ინსტიტი (18 წლიდან)
☎ 822 009 005

„მათი“ „ჯეოსელი“
 „მევაკომი“ – 0,70 ლ.
 თბილისი – 0,45 ლ.
 რაიონები – 0,65 ლ.

კითხვა



პასუხი

კითხვა: ვარ 57 წლის მამაკაცი, მუდმივად მაქვს წნევა 180/120. საშიშია თუ არა ასეთი წნევა? დაბალი წნევის დროს ცუდად ვხდები. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე.

პასუხი: თუ ადამიანს მუდმივად აქვს წნევის ასეთი მაღალი მაჩვენებელი, ეს ნიშნავს, რომ მას აქვს ჰიპერტონიული დაავადება, რომელიც დღეს არსებულ დაავადებათა შორის, ერთ-ერთ ყველაზე ვერაგ დაავადებად ითვლება. ჰიპერტენზია

არაერთ უმძიმეს გართულებას იწვევს. სწორედ მისი შედეგია გულის იშემიური დაავადება (სტენოკარდია – გულის ტკივილი და ინფარქტი), თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლა, თირკმლების დაზიანება, გულის უკმარისობის განვითარება. მაღალი წნევის ფონზე, გულს გაზრდილი დატვირთვით უხდება მუშაობა, ხდება მისი გადაძაბვა; მაღალი წნევა კარგი ნიადაგია სხვადასხვა ორგანოში სკლეროზული ცვლილებების განვითარებისათვის. განსაკუთრებით საშიშია ქვედა ანუ დიასტოლური წნევა (120 მმ. ვწყ. სვ.), როცა დიასტოლური წნევა 130-ს ასცდება, უძრავლეს შემთხვევაში, იწყება მწვავე იშემიური (სისხლის მიწოდების დარღვევა) პროცესები სკლეროზულად შეცვლილი სისხლძარღვების ფონზე.

მუდმივი მაღალი წნევა დიდი რისკის წინაშე აყენებს თქვენს ჯანმრთელობას. ორგანიზმის შეგუება ასეთ წნევასთან, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი ზიანს არ მოგაყენებთ. როგორც ჩანს, თქვენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფარულად გქონდათ მაღალი წნევა და ორგანიზმიც თანდათან გადაერთო ამ რეჟიმზე. ეს შეგუება დროებითია. ამიტომ გირჩევთ, ექიმის კონსულტაციით დაიწყოთ ანტიჰიპერტენზიული მკურნალობა.

ორგანიზმი როგორც მაღალ წნევას შეეგუა, ასევე თანდათან შეეგუება ნორმალურ წნევასაც.

კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა ნივთიერებებია კანცეროგენები და რატომაა საშიში ადამიანისათვის?

პასუხი: კანცეროგენები სხვადასხვა ქიმიური ბუნების მქონე ნივთიერებებია, რომელიც სუფთა სახით ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედებისას იწვევს სიმსივნის განვითარებას. სადღეისოდ კანცეროგენულ აქტივობაზე გამოკვლეულია მრავალი ათასი ქიმიური ნივთიერება.

კანცეროგენულ ნივთიერებებს მიეკუთვნება: ბენზპირენი, აზბესტი, ბენზოლი, ვინილქლორიდი, კადმიუმი და მისი ნაერთები, ქვანახშირისა და ნავთობის ფისი, საყოფაცხოვრებო ჭვარტლი, თამბაქოს კვამლი.

ნივთიერების ცნობა კანცეროგენად არ ნიშნავს იმას, რომ ორგანიზმის მასთან შეხება აუცილებლად დამთავრდება სიმსივნის განვითარებით. კანცეროგენის აღმოჩენა ადამიანის ირგვლივ, კერძოდ – მის საცხოვრებელ ბინაში, მხოლოდ იმის სიგნალია, რომ არსებობს სიმსივნის განვითარების რისკი. რეალური საშიშროება კი, სხვა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ორი: ნივთიერების

კანცეროგენული აქტივობა (ძალა) და ადამიანზე მოქმედი ნივთიერების კონცენტრაცია (დოზა).

კითხვა: მაქვს შაქრიანი დიაბეტი და ვსვამ შაქრის დამწვევ წამლებს. იშვიათად, მაგრამ პერიოდულად, მაინც მიწევს სუფრასთან მოხვედრა და ღვინის დალევა. მეორე დღეს თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ ხოლმე: ოფლი მასხამს, მაკანკალებს, თავბუ მესხმის. თავიდან ამას ჩვეულებრივ ნაბახუსევად მივიჩნევდი, მაგრამ ბოლო დროს გამიჩნდა ეჭვი, რომ ეს ნიშნები მხოლოდ ჩემი დაავადების ბრალი უნდა იყოს. ან იქნებ, ღვინისა და წამლების ერთად მიღება ჩემს ორგანიზმში უარყოფით რეაქციას იწვევს. გთხოვთ, ამიხსნათ – საერთოდ, შეიძლება თუ არა წამლებისა და ალკოჰოლის ერთად სმა?

პასუხი: ალკოჰოლი და სამკურნალო პრეპარატები ერთდროულად მიღებისას ერთმანეთის უარყოფით ზემოქმედებას აძლიერებს. ეს იმით აიხსნება, რომ ღვიძლში არის ფერმენტული სისტემა, რომელიც წამლების დაშლას (მეტაბოლიზმს) უზრუნველყოფს. ალკოჰოლიც სწორედ ამ სისტემას გაივლის და ღვიძლში იშლება. ალკოჰოლისა და წამლის ერთდროულად მიღებისას, იტვირთება ის რგოლი, რომელმაც უნდა მოახდინოს ორგანიზმის დაცვა, როგორც წამლის, ასევე ალკოჰოლის ტოქსიკური ზემოქმედებისაგან. შედეგად კი, იზრდება ორგანიზმის მოშხამვის რისკი.

გარდა ამისა, ადამიანები ალკოჰოლის ჭარბად მიღების დროს, როგორც წესი, სრულფასოვანი საკვებით არ იკვებებიან, რის გამოც ღვიძლში მცირდება ძალზედ მნიშვნელოვანი ნაერთის – გლუტათიონის შემცველობა. ეს ნაერთი კი აუცილებელია წამლების გადასამუშავებლად და მისი ნაკლებობა წამლისმიერი მოშხამვის რისკს ზრდის.

ალკოჰოლის ზემოქმედებით არტერიული წნევის დამწვევი ზოგიერთი საშუალების (რაუნატინი, ანაპრილინი, პრაზოზინი და სხვა) ეფექტი ხშირად ძლიერდება, რამაც შესაძლოა, არტერიული წნევის მკვეთრი დაცემა და ცენტრალური ნერვული სისტემის დათრგუნვა გამოიწვიოს. იგივე შეიძლება ითქვას ანტიარითმიულ საშუალებებზეც.

თუ ადამიანი იღებს სისხლში შაქრის დამწვევ პრეპარატებს, უნდა გაითვალისწინოს, რომ ალკოჰოლს (რომელსაც აქვს შაქარდამწვევი მოქმედება) შეუძლია, გააძლიეროს ამ პრეპარატთა ზემოქმედება და საქმე მძიმე ჰიპოგლიკემიურ (შაქრის დაწვევა ნორმაზე ქვევით) მდგომარეობამდე კი მივიდეს. ასე რომ, თქვენ მიერ აღწერილი სიმპტომები, სწორედ ჰიპოგლიკემიის ნიშნებია და გირჩევთ, სიფრთხილე გამოიჩინოთ, რათა მძიმე მდგომარეობაში არ ჩაივლოთ თავი.



კვირის (17 - 23 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი

თევზები - 20/II-20/III



აფორიაქებული, დატვირთული და, ამასთან, ძალზედ სასიამოვნო და მხიარული კვირა გელით. დროდადრო თავს კომედიური ჟანრის ფილმის გმირად იგრძნობთ, მაგრამ ყურებს ნუ ჩამოყრით - კომედიას ხომ ყოველთვის ბედნიერი დასასრული აქვს. ოთხშაბათს ან ხუთშაბათს, შესაძლოა, ძალზედ მოულოდნელად, დიდი ხნის ოცნება ავიხდეთ.

მგრი - 21/III-20/IV




ამ კვირაში მრავალ ახალ ნაცნობს შეიძენთ, ხოლო უკვე არსებული კავშირებიდან სერიოზულ სარგებელს ნახავთ. განსაკუთრებით პოზიტიური დღეა სამშაბათი, რომელიც, სხვათა შორის, სასიყვარულო ურთიერთობებისთვისაც საკმაოდ წარმატებული იქნება.

კბრი - 21/IV-21/V



არც ისე იბღლიანი კვირა მოგვლით. განსაკუთრებულ დაძაბულობას კი კვირის დასაწყისში იგრძნობთ. მოსალოდნელია სტრესები, გადაღლა და კონფლიქტები, რომელიც ძირითადად, ურთიერთუნდობლობის საფუძველზე წარმოიშვება. ეცადეთ, შეინარჩუნოთ ოპტიმიზმი და შევება ფილოსოფიასა და ხელოვნებაში ეძიეთ.

მარცხობი - 22/V-21/VI




ორშაბათს და ოთხშაბათს შესაძლოა, მატერიალური შენაძენი გქონდეთ. თუ ასე არ მოხდა, გულს ნუ გაიტეხთ, ეს კვირა მაინც მშვენივრად ჩაივლის. აქტიური, გონებამახვილი და, საერთოდ, ძალზედ მომხიბვლელი იქნებით. სწორედ ამ მიზეზით უქმე დღეებში სტუმრად მიგვიპატიჟებენ. უარს ნუ იტყვით დროის ტარებაზე.

ბირნობი - 22/VI-22/VII



ამ კვირაში მეტისმეტად ამბიციური იქნებით. ამაში ცუდი არაფერია, თუ, რა თქმა უნდა, თქვენი ამბიციების მიღმა რეალური საქმე დგას. მოკლედ, თუ არ გადაამლაშებთ და თავს სამყაროს ცენტრად არ წარმოიდგენთ, ყველაფერი მშვენივრად წარიმართება.

ლი - 23/VII-23/VIII




საკმაოდ უცნაური კვირა გექნებათ. სამშაბათს სიფრთხილე გმართებთ გზებზე - ამ დღეებში მომატებულია ტრავმებისა და ავარიების რისკი. ოთხშაბათს მოსალოდნელია კონფლიქტი, რომლის დროსაც კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. ხუთშაბათს სერიოზული საუბარი გელით სამსახურში. სხვა ყველაფერი ნორმალურად იქნება...

ქალწული - 24/VIII-23/IX



თუკი ამ კვირაში ორ-სამჯერ მაინც ერთსა და იმავე მომხიბვლელ უცნობს შეხვდებით - იცოდეთ, რომ ბედი თავად გიბიძგებთ რომანტიკული თავგადასავლისკენ. ოღონდ გაითვალისწინეთ - პირველი ნაბიჯი აუცილებლად თქვენ უნდა გადადგათ. სხვათა შორის, სამსახურშიც სწორედ თქვენი ინიციატივა მისცემს დასაბამს ახალ, საინტერესო პროექტს.

სასწორი - 24/IX-23/X



ყველანაირი სამუშაოს შესრულებაზე დათანხმდით. თუკი არაფერ არაფერს შემოგთავაზებთ, თავად გამოიჩინეთ დამატებითი ფინანსების შოვნის საშუალება. თუ მაინც ვერ წააწყდებით სამუშაოს, ამ კვირაში უფულოდ ჯდომა მოგიწევთ.

ღიანკალი - 24/X-22/XI



ნეტავი, ყველა ორშაბათი ასეთი გქონდეთ: კვირის დასაწყისში პრაქტიკულად ნებისმიერი საქმე გამოვივათ - თუ, რა თქმა უნდა, ყველას ერთბაშად არ შეეჭიდებით. ხუთშაბათისთვის შეგიძლიათ დაიცხროთ ენერგია - საყიდლებზე წახვიდეთ და მეგობრებთან ერთად ბოლო დროს მომხდარი მოვლენები მიმოიხილოთ.

მშვილდოსანი - 23/XI-21/XII



ამ კვირაში არც ისე გულლია იქნებით, რაც, შეიძლება ითქვას, უკეთესიც იქნება თქვენთვის. მარტოობა წარსულის გაანალიზებასა და ძაღების მოკრებაში დაგეხმარებათ. ასე რომ, განმარტოვდით. უკეთესი იქნება, თუ ქალაქარეთ გაემგზავრებით - იქ ნამდვილად ვეღარ მოგაგნებენ.

თხის რქა - 22/XII-20/I



გემინოდეთ უცხოლანელებებისა და სავაჭრო აგენტების! სწორედ ამ პერსონაჟებს ძალუმს ეს კვირა ჩაგაშნამონ. პირველებს - იმით, რომ, შესაძლოა, უცებ მათი არსებობა დაიჯეროთ. მეორეებს კი უნარი შესწევთ, რაღაც აბსოლუტურად გამოუსადეგარი და მეტისმეტად ძვირად ღირებული ნივთის ყიდვაზე დაგითანხმონ. თუ ორივე ცდუნებას მოერვეთ, ყველაფერი რიგზე იქნება.

მშენებელი - 21/I-19/II



თუ კვირის დასაწყისში კაზინოში შესვლას ვერ მოახერხებთ, ლატარიის ბილეთი მაინც შეიძინეთ: ორშაბათს და სამშაბათს ბედი აუცილებლად გაგიღიმებთ. მომდევნო დღეებში კი კვლავ ფორტუნის იმეღზე ნუ იქნებით და სამსახურში დოკუმენტებზე მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ.

ხართ თუ არა კონფლიქტური?

1) როგორი რეაქცია გაქვთ, როცა გააკრიტიკებენ?

- ა) ძალიან ბრაზდებით - 1;
- ბ) განიცდით და გულთან ახლოს მიგაქვთ - 2;
- გ) ცდილობთ, გაითვალისწინოთ - ოღონდ მაშინ, როცა კრიტიკა სამართლიანია - 3;
- დ) ყურადღებას არ აქცევთ - 4.

2) გჯერათ თუ არა ადამიანების?

- ა) ცდილობთ, ბოლომდე არავის ენდობთ - 1;
- ბ) გჯერათ იმ ადამიანებისა, ვისაც თქვენდამი უნდობლობის გრძნობა არ გასჩენია - 3;
- გ) ყველას ენდობით - 4;
- დ) იმდენჯერ გაგაწვილეს, რომ ადამიანების აღარ გჯერათ - 2.

3) შეგიძლიათ თუ არა, ბოლომდე დაიცვათ თქვენი შეხედულებები?

- ა) ყოველთვის ჯიუტად და ბოლომდე იცავთ საკუთარ პოზიციას - 1;
- ბ) თუ დარწმუნდით, რომ ცდებით, შეიძლება, უკან დაიხიოთ - 3;
- გ) საკუთარ შეხედულებას ბოლომდე მაშინ იცავთ, როცა დარწმუნებული ხართ თქვენი პოზიციის სამართლიანობაში - 2;
- დ) გირჩევნიათ, უკან დაიხიოთ, ვიდრე კონფლიქტური სიტუაცია გამოიწვიოთ - 4.

4) საერთოდ, რა გირჩევნიათ — ხელმძღვანელობა თუ ხელქვეითობა?

- ა) ნებისმიერ საქმეში ხელმძღვანელობა გირჩევნიათ - 1;
- ბ) ხელმძღვანელობა გიყვართ, მაგრამ შეგიძლიათ დაემორჩილოთ მას, ვინც

თქვენზე გამოცდილია - 2;
 გ) გირჩევნიათ, სხვამ გიხელმძღვანელოთ, თქვენ კი მშვიდად იმუშაოთ - 3.

5) როგორ იქცევით, როცა ვინმე გაგანაწყენებთ?

- ა) ცდილობთ, სამაგიერო გადაუხადოთ - 1;
- ბ) ნერვიულობთ იმაზე, თუ რა შეიძლება ამას მოჰყვეს - 2;
- გ) სამაგიეროს გადახდა სისულელედ მიგაჩნიათ - 3;
- დ) წყენას მალე ივიწყებთ - 4.


6) როგორ იქცევით, როცა ვინმე თქვენთვის გზის გადარბენას ცდილობს?

- ა) ხელს ჰკრავთ და უკან დაახევინებთ - 1;
- ბ) ჩხუბს იწყებთ და ამაში სხვების მხარდაჭერასაც ელოდებით - 2;
- გ) აღელდებით, მაგრამ არაფერს მოიძიებთ - 3;
- დ) დათმობთ, ოღონდ კი ჩხუბი და კონფლიქტი აიცილოთ თავიდან - 4.

7) ძნელია თუ არა თქვენი წონასწორობიდან გამოყვანა?

- ა) წვრილმანზეც კი ნერვები გემლებათ და საკუთარ თავზე კონტროლს კარგავთ - 1;
- ბ) წონასწორობიდან მხოლოდ მაშინ გამოდინართ, როცა ამის სერიოზული მიზეზი არსებობს - 2;
- გ) იშვიათად ბრაზდებით, მაგრამ თქვენი გაბრაზება ღიღხანს ამასსოვრდებათ - 3.

8) როგორ ფიქრობთ, „ყინულის“ ტიპის ადამიანი ხართ თუ



„ცეცხლის“?

- ა) იმდენად ემოციური ხართ, რომ ალბათ „ცეცხლი“ უფრო შეგეფერებათ - 1;
 - ბ) არ ხართ აგრესიული და ემოციური, ამიტომ პასუხის გაცემა გიჭირთ - 2;
 - გ) მშვიდი და უემოციო ხართ, „ყინული“ უფრო შეგეფერებათ - 3.
- ## 9) ყოველთვის ამბობთ თუ არა სიმართლეს?
- ა) ყოველთვის იმას ამბობთ, რასაც ფიქრობთ და მოსაუბრეს თვალეზში უყურებთ - 1;
 - ბ) ხანდახან ისეთ გუნებაზე დგებით, რომ ყველაფერს აფრქვევთ, რასაც კი ფიქრობთ - 2;
 - გ) ჯერ კარგად აწონ-დაწონით სათქმელს და შემდეგ ამბობთ - 3;
 - დ) საერთოდ, ბევრი ლაპარაკი არ გიყვართ - 4.

დააჯავებთ ქულები

9-17 ქულა: ძალიან მძიმე ხასიათის ადამიანი ხართ, ხშირად კონფლიქტურ სიტუაციას საქმიდან გამომდინარე კი არა, მხოლოდ საკუთარი პრინციპის დასაცავად ქმნით სოლმე. ძალიან გიყვართ ჩხუბი და კამათი და კონფლიქტის დროს, თავს ბედნიერად გრძნობთ. მაგრამ დაფიქრებულხართ თუ არა ოდესმე, თუ რა სარგებლობა მოაქვს პირადად თქვენთვის, ამდენ კამათს და ჩხუბს: თქვენ სომ ნერვებს იშლით, ემოციებს აფრქვევთ, სარგებელი კი ამას თქვენთვისაც არაფერი მოაქვს.

18-25 ქულა: საკმაოდ ტყვიანი და პრაქტიკული ადამიანი ხართ, შეგიძლიათ იჩხუბოთ მაშინ, როცა ეს საჭიროა და შეინარჩუნოთ წონას-

წორობა მაშინ, როცა ამას სიტუაცია მოითხოვს. ყველაფერ ამის წყალობით, მშვენივრად ახერხებთ ადამიანებთან ურთიერთობას და ამის გამო, ბევრიც გცემთ პატივს.

26-33 ქულა: საერთოდ არ ხართ კონფლიქტური, თუმცა, თქვენთან ურთიერთობა ბევრს არ უხარია, რადგან ადვილად იცვლით საკუთარ აზრსა და შეხედულებებს. პრინციპები საერთოდ არ გაგაჩნიათ და ამის გამო, მოსაწყენ ადამიანად მიგიჩნევენ. გაითვალისწინეთ, რომ მშვიდობისმოყვარეობა არ უნდა გადაიზარდოს თქვენს პიროვნულ პასიურობაში — ამით თქვენ თვითონ ზარალდებით.

ამეხიელება სახეობის კომპიუტერი სახეობა დახეობა

კოლორადოს შტატის ქალაქ ლაფაიეტში, ბარისა და რესტორნის მფლობელმა ვორჯ დაუტომ მთელი დამე პოლიციის განყოფილებაში გაატარა — მან უამრავი კლიენტის თვალწინ საკუთარ ნოუტბუქს ოთხჯერ ესროლა. კომპიუტერის სახეობა დახეობის მიზეზი ის გახდა, რომ იგი საკმაოდ ხშირად ფუჭდებოდა. ბოლოს და ბოლოს, დაუტის მოთმინების ფაილა აევსო და ოთხი ტყვია დააჭედა ნერვების ამშლელ ნოუტბუქს. პოლიციაში გაატარებული დამის შემდეგ, დაუტი გაათავისუფლეს, მაგრამ უახლოეს ხანში, მას სასამართლო ელის.



ვორჯს ბრალად ედება იარაღის უკანონოდ გამოყენება და ის, რომ ჩადენილით, საფრთხე შეუქმნა ბარში მყოფი კლიენტების სიცოცხლეს. დაკითხვის დროს, დაუტიმ მონანია თავისი გაუაზრებელი საქციელი და აღიარა, რომ კომპიუტერის სახეობა დახეობა, არცთუ ისე კარგი იდეა იყო. თუმცა იქვე დასძინა, რომ იმ მომენტში, მას ეს გადაწყვეტილება ყველაზე მისაღებდ მოეჩვენა.

ენილით, საფრთხე შეუქმნა ბარში მყოფი კლიენტების სიცოცხლეს. დაკითხვის დროს, დაუტიმ მონანია თავისი გაუაზრებელი საქციელი და აღიარა, რომ კომპიუტერის სახეობა დახეობა, არცთუ ისე კარგი იდეა იყო. თუმცა იქვე დასძინა, რომ იმ მომენტში, მას ეს გადაწყვეტილება ყველაზე მისაღებდ მოეჩვენა.

ბრიტანეთის სავაჭრო ქსელში კომფორტული ბომბსაფარი გამოჩნდა

დიდ ბრიტანეთში 50 ათას გირვანქა სტერლინგად (75 ათას დოლარზე მეტი) შეგიძლიათ, კომფორტული ბომბსაფარი შეიძინოთ. ბრიტანელებს ეს უჩვეულო საქონელი, ამ დღეებში ერთ-ერთმა ფოლადსასხმელმა კომპანიამ შესთავაზა. დამპროექტებლის თქმით, ორსართულიანი სახლი-ბუნკერი მფლობელებს ტყვიებსა და ბომბის ნამსხვრევებისგან დაიცავს. ბუნკერში მცხოვრებთათვის სახლის სიანხლოვეს, მანქანაში ჩამონტაჟებული ბომბის აფეთქებაც კი არ იქნება სახიფათო. დამატებითი საფასურის გადახდისას სახლს ტყვიავაგუმბარი მინებითაც აღჭურვავენ, რომლის ღირებულებაც (თითოეული ფანჯრის) 1.300 გირვანქას შეადგენს. კიდევ, 3.500 გირვანქად სახლს შეგიძლიათ, სეიფისმაგვარი რკინის კარიც შეაბათ. სახლი-ბუნკერი კეთილმოწყობილია და საკმაოდ შთამბეჭდავი ზომებითაც გამოირჩევა. მასში ერთდროულად რამდენიმე ოჯახის ცხოვრებაა შესაძლებელი. ასეთ თავშესაფარს ისეთ კლიენტებს სთავაზობენ, რომლებსაც საკუთარი, ეზოიანი სახლები აქვთ. კომფორტულ ბომბსაფარს ოთხი მუშა სულ ათ საათში დაემონტაჟებთ. მწარმოებელთა განცხადებით, ასეთი კომპლექსები სამხედრო შეიარაღებული ძალების ბანაკებისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ მოახლოებული საომარი მოქმედებების დაწყებასთან დაკავშირებით, ერაყის მხრიდან მოსალოდნელი ტერაქტების საფრთხეც გაიზარდა და ამ უჩვეულო სიანხლის მწარმოებლებმა გადაწყვიტეს, რომ ეს მიღწევა ყველა მსურველისთვის ხელმისაწვდომი გაეხადათ. სახლი-ბუნკერების დასამზადებლად, ფოლადსასხმელი კომპანია უკვე შეკვეთებს იღებს.

ესპანეთში დისკოთეკის მეზატხონე დაპატიმრეს

ესპანეთის გარემოს „აკუსტიკური დაბინძურებით“, იაპონიის შემდეგ მსოფლიოში მეორე ადგილი უკავია. უკანასკნელ ხანებში, ხმაურის პრობლემასთან დაკავშირებით ესპანეთის მოსახლეობის პროტესტი სულ უფრო და უფრო იზრდება. მართლმსაჯულების მთელი ისტორიის მანძილზე, ესპანეთის უმაღლესმა სასამართლომ ხმაურის დაშვებული ნორმის გადაჭარბებასთან დაკავშირებით, უნიკალური განაჩენი გამოიტანა. სასამართლომ დისკოთეკის ვალენსიელ მეპატრონეს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. დისკოთეკა „ჩიპოს“ მფლობელი, ხოსე გარსია დე ზუანი არაერთჯერ გააფრთხილეს, რომ არსებული წესების დარღვევა დაუშვებელი იყო. თავისუფლების აღმკვეთი განაჩენის გამოტანამდე, იგი ოთხჯერ დააჯარიმეს და საერთო ჯამში 13,8 ათასი ევროს გადახდა მიუსაჯეს. მაგრამ წესრიგის დამრღვევმა ხმაურის აღსაკვეთად არანაირ ღონისძიებას არ მიმართა, ჯარიმებსაც მშვიდად იხდიდა, რადგან დისკოთეკის შემოსავალი ბევრად აღემატებოდა საჯარიმო თანხას. ხოსე გარსიას სასამართლოში „ჩიპოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებლებმა უჩივეს. ვინაიდან ხმაური ოფიციალურად დაშვებულ ნორმას — 30 დეციბალს აღემატებოდა, სასამართლომ ხოსე გარსია დე ზუანი დამნაშავედ ცნო და განაცხადა, რომ მოქალაქე ხალხს ნორმალურად ცხოვრებაში ხელს უშლიდა და მათ ჯანმრთელობასაც საფრთხეს უქმნიდა. მართლაც, ხმაური უარყოფითად მოქმედებდა მოსახლეობაზე, განსაკუთრებით კი ბავშვებზე, რომლებიც უძილობას, უკმარისობას, მუდმივი დაღლილობისა და გაღიზიანების შეგრძობას უჩიოდნენ. სასამართლომ ხოსე გარსიას, დაზარალებულთა სასარგებლოდ საკმაოდ სოლიდური კომპენსაციის გადახდაც მიუსაჯა, დისკოთეკა კი, სამი წლით დახურა.



ჩიოს ეახნავადის გამაჩხვებელი

ჩიო-დე-ჟანიეროს კარნავალს გამარჯვებულად „ბეიჟა-ფლორის“ (კოლიბრს ნიშნავს) სამხის სკოლა გამოცხადდა. გამარჯვებულმა კოლექტივმა 400 შესაძლოდან 399,6 ქულა მოაგროვა. შარშანდელ ფესტივალზე „ბეიჟა-ფლორა“ ვიცე-ჩემპიონი გახლდათ. საზეიმო მსვლელობისას, „ბეიჟა-ფლორის“ სკოლის კოლექტივმა სილარიბესთან და შიმშილთან ბრავილიელთა ბრძოლის სცენები ცეკვით წარმოადგინა; მათ ომის საშინელებისა და ამ უბედურებისაგან თავის დაღწევის იმედის ინსცენირებაც წარუდგინეს მაყურებელს. 40-კაციანმა ჯიურმა უპირატესობა ერთხმად ამ სკოლის წარმომადგენლებს მიანიჭა. საზეიმო ალღუმში 14 მუსიკალურ-საცეკვაო ჯგუფს მონაწილეობდა და ზოგიერთი მათგანის შემადგენლობაში 6 ათასი კაციც შედიოდა. პირველი ექვსი გამარჯვებული სკოლის წარმომადგენლებს რიოს სამბადრომზე ფინალურ ალღუმში მონაწილეობის პატივი ხვდათ წილად.



ფოტოკუჩიოზები

